ბობრინთა ნაკრძალი

ალფრედ ბესტერი

ეკატერინე ფანფასტიკა

ეკატერინე ფ. სპიგასი

The Hugo and Nebula
Award-winner

თავი 1

ინსპექტორი დრეიტონი ხის ფართო საწერ მაგიდასთან იჯდა და იცდიდა. იგი გამხდარი კაცი იყო, ისეთი შეუხედავი, გეგონებოდათ, ბლაგვი ნაჯახით გამოუთლიათ კოჟრიანი ხის მორისგანო. მის თვალებში ნაკვერჩხალი ღვიოდა, აშკარად გაბრაზებული და აღელვებული იყო რაღაცით, მაგრამ პიტერ მაქსველი კარგად ხვდებოდა, რომ ისეთი კაცი, როგორიც ისპექტორი იყო, თავს არასოდეს მისცემდა უფლებას, საკუთარი გაბრაზება სააშკარაოზე გამოეტანა. ასეთი მრისხანების უკან ბულდოგის თვისება იმალებოდა - სიბრაზის შეგრძნება საკუთარ თავში ჩაეკლა და დაკისრებული მოვალეობა უდრტვინველად აღესრულებინა.

სწორედ ასეთ სიტუაციაში მაქსველს იმედი ჰქონდა, რომ მისი გრძნობები არ გამოაშკარავდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, ცდებოდა. მან ასევე იცოდა, რომ მისი ამაო სწრაფვა დანიშნულების ადგილისთვის ჯერ კიდევ ექვსი კვირის წინ მიეღწია, ალიაქოთს გამოიწვევდა აქ, დედამიწაზე.

სისულელე იყო იმაზე ფიქრი, რომ სახლში შეუმჩნევლად გაიპარებოდა. და აი ახლა იჯდა ამ საწერ მაგიდასთან, შესცქეროდა ინსპექტორს მაგიდის მეორე მხარეს და ცდილობდა, ეს ყველაფერი მშვიდად აღექვა.

მაგიდის საპირისპირო მხარეს მჯდომს მიმართა:

„თქვენი ნათქვამიდან ყველაფერი სწორად ვერ გავიგე, - რატომ უნდა წარმოადგენდეს საფრთხეს ჩემი დედამიწაზე დაბრუნება? ჩემი სახელია პიტერ მაქსველი და ვისკონსინის მეცნიერებათა ქალაქის ზებუნებრივი ფენომენების კოლეჯის ფაკულტეტის წევრი გახლავართ. თქვენ ნახეთ, რომ ჩემი საბუთები...“

„წესრიგშია, - თქვა დრეიტონმა, - ვიცი, ვინც ბრძანდებით, თუმცა მეეჭვება კიდეც. მაგ მხრივ ყველაფერი მოგვარებული გაქვთ. და მაინც არის რაღაც, რაც ძალიან მაწუხებს. პროფესორო მაქსველ, თუ წინააღმდეგი არ ხართ, იქნებ ზუსტად მითხრათ, სად ბრძანდებოდით?“

„ბევრი არაფერი მაქვს თქვენთვის სათქმელი, - მიუგო პიტერ მაქსველმა. - მე მოვხვდი პლანეტაზე, რომლის სახელი და კოორდინატები ჩემთვის უცნობია. შეიძლება სინათლის წელზე ახლოს იყოს და შეიძლება - ჩვენთვის ცნობილი სფეროს გარეთაც.“

„ყველა შემთხვევაში, - თქვა დრეიტონმა, - ვერ მიაღწიეთ დანიშნულების ადგილამადე, თქვენს სამგზავრო ბილეთზე რომ იყო აღნიშნული.“

„მართალი ბრძანდებით,“- თქვა მაქსველმა.

„შეგიძლიათ, ამიხსნათ, რა მოხდა?“

„ჩემი ვარაუდით, გადაცემის დროს ჩემი ტალღური სტრუქტურის მარშრუტი შეიცვალა, ის ჩაიჭირეს და მიმართულება ხელოვნურად შეუცვალეს.

fb.com/groups/elib

თავდაპირველად მეგონა, რომ ეს გადამცემის შეცდომა იყო, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს შეუძლებელია. ამ ტიპის გადამცემებს უკვე ასეული წლებია უცვლელად იყენებენ. ყველა სავარაუდო ხარვეზი, დიდი ხანია, უკვე გამოსწორებულია.“

„იმის თქმა გინდათ, რომ მოგიტაცეს?“

„თუ თქვენთვის ასე უფრო მისაღებია.“

„და მაინც, კონკრეტულად არაფერს იტყვით?“

„უკვე აგიხსენით, ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი.“

„შეიძლება, რომ ამ პლანეტას რამე კავშირი ჰქონდეს ვილერებთან?“

მაქსველმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

„ბოლომდე ამაში დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ უფრო მგონია, რომ არა. მათი კვალი არსად ჩანდა.“

„პროფესორო მაქსველ, ოდესმე თუ გინახავთ ვილერები?“

„ერთხელ. რამდენიმე წლის წინ. ერთმა მათგანმა ერთი თუ ორი თვე გაატარა „დროს“ უნივერსიტეტში. იქ მოვკარი თვალი.“

„ანუ, რომ დაგენახათ ვილერი, აუცილებლად იცნობდით, ასე არ არის?“

„დიახ, ასეა,“- თქვა მაქსველმა.

„როგორც მიგიხვდით, თქვენი მოგზაურობის დანიშნულების ადგილი კუნსკინის სისტემის ერთ-ერთი პლანეტა უნდა ყოფილიყო.“

„დრაკონის შესახებ დადიოდა ხმები, - თქვა მაქსველმა. - მტკიცებულებები არ არსებობს. მხოლოდ ზოგადი ცნობებია ამის შესახებ, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, რომ გამოძიება ღირდა...“ დრეიტონმა გაოცებისგან ცალი წარბი ასწია.

„დრაკონი?“ - ჩაეძია იგი.

„ეგრე მგონია, - თქვა მაქსველმა, - ვისაც ჩემს საქმიანობასთან საერთო არაფერი აქვს, მისთვის ძნელია წარმოიდგინოს, რაოდენ მნიშვნელოვანია დრაკონები. ფაქტი კი ერთია, მცირედი მტკიცებულებაც არ არსებობს, ვიფიქროთ, რომ ასეთი ქმნილებანი ოდესმე რეალურად არსებობდნენ. მაგრამ ამის მიუხედავად, დრაკონებზე ლეგენდა მაინც ფესვებგადგმულია დედამიწისა და რამდენიმე სხვა პლანეტის ფოლკლორში. ფერიები, გობლინები, ტროლები, ბანშები - ყველა გვხვდება რეალურ ცხოვრებაში, მაგრამ არავითარი კვალი დრაკონებზე. ამ ამბავში ისაა საინტერესო, რომ დედამიწაზე გავრცელებული ლეგენდა დრაკონებზე, რეალურად, ადამიანებს არ

ეკუთვნით. პატარა რასაშიც ვხვდებით. ხანდახან მგონია, რომ ეს ლეგენდა ჩვენ იმათგან გადმოვიღეთ. მაგრამ მხოლოდ ლეგენდა. სხვა არავითარი მტკიცებულება.“

ის შეჩერდა, თავს სულელურად გრძნობდა. რაში ენაღვლებოდა მაგიდის მეორე მხარეს მჯდომ ფლეგმატურ პოლიციელს ლეგენდა დრაკონების შესახებ?

„მომიტევეთ, ინსპექტორო, - თქვა მან. - გავკადნიერდი და ჩემი ენთუზიაზმით, საყვარელი საქმის მიმართ, თავი მოგაბეზრეთ.“

„გამიგია, რომ ლეგენდა დრაკონზე მომდინარეობს ჩვენი წინაპრების მოგონებებიდან დინოზავრების შესახებ.“

„ასეთი რამ მეც გამიგია, - თქვა მაქსველმა, - მაგრამ ეგ შეუძლებელია. დინოზავრები გადაშენდნენ ბევრად დიდი ხნის წინ, ვიდრე ადამიანების წინაპრები წარმოიშვნენ დედამიწაზე.“

„მაშინ პატარა რასა...“

„შესაძლებელია, - თქვა მაქსველმა, - მაგრამ არა მგონია, ეგრე იყოს. მე ვიცნობ პატარა რასის ხალხს და მისაუბრია მათთან ამის შესახებ. ისინი უძველესი არსებანი არიან, ბევრად უფრო ძველი, ვიდრე ჩვენ, ადამიანები, მაგრამ არ არსებობს არავითარი ნიშანი, რომ ასე შორს მიდიოდეს მათი ფესვები ან თუ მიდის, მათ აშკარად ეს არ ახსოვთ. დარწმუნებული ვარ, რომ მათი ლეგენდები და ზღაპრები ადვილად გაუძლებდა რამდენიმე მილიონ წელს. ისინი ხანგრძლივად ცხოვრობენ, ვერ ვიტყვით, რომ უკვდავები არიან, მაგრამ თითქმის მიესადაგებიან ამ მცნებას და ასეთ სიტუაციაში ზეპირი გადმოცემის ტრადიცია ყველაზე უფრო სარწმუნოა.“

დრეიტონმა ხელი ისე გაიქნია, გეგონებოდა, დრაკონები და პატარა რასა მიმოფანტაო.

„თქვენ გაემგზავრეთ კუნსკინში, - თქვა მან, - მაგრამ ვერ მიაღწიეთ იქამდე.“

„მართალი ბრძანდებით. ხელი სხვა პლანეტამ შემიშალა. კრისტალურმა პლანეტამ.“

„კრისტალურმა?“

„ქვის გარკვეული სახეობაა, შესაძლოა, კვარციც. თუმცა ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული. იქნებ, ლითონიც იყო. იქ ლითონის ზოდებიც შევნიშე.“

დრეიტონმა მშვიდად იკითხა:

„მაშასადამე, როცა მოგზაურობას იწყებდით, არ იცოდით, რომ ამ პლანეტაზე მოხვდებოდით?“

„თუ თქვენ ფარული განზრახვა გაქვთ მხედველობაში, თქვა მაქსველმა, - მაშინ ცდებით. მე თავად გაოცებული დავრჩი, მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენ სრულიადაც არ გიკვირით. თითქოს ამას ელოდით კიდეც ჩემგან.“

„არა ვარ გაოცებული, - თქვა დრეიტონმა. - ასეთი რამ ორჯერ უკვე მოხდა.“

„მაშ თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს ეს პლანეტა.“

„კონკრეტულად არაფერი ვიცით, - თქვა დრეიტონმა. უბრალოდ ვიცით, რომ სადღაც არსებობს პლანეტა, რომელზეც მოქმედებს დაურეგისტრირებელი გადამცემი და მიმღები და კომუნიკაციას ამყარებს ასევე ოფიციალურად დაურეგისტრირებელი სიგნალის მეშვეობით. როცა ოპერატორმა, აქ, ვისკონსინის სადგურზე, მიიღო მათი სიგნალი, მოთხოვნა მატერიის გადაცემაზე, სთხოვა დაეცადა, რადგანაც ყველა მიმღები დაკავებული იყო. შემდეგ მე დამიკავშირდა.“

„იმ ორ სხვა შემთხვევაზე საუბრობთ?“

„დიახ, იმ ორზე და ორივე ვისკონსინის სადგურისკენ იყო მომართული.“

„მაგრამ, თუ ისინი უკან დაბრუნდნენ...“

„საქმეც მაგაშია, - თქვა დრეიტონმა. - არ დაბრუნებულან. ვფიქრობ, მეტყვით, დაბრუნდნენო, მაგრამ მათთან გასაუბრება ვერ შევძელით. გადმოცემული ტალღური სტრუქტურები რაღაც უცნაური შეცდომით მოვიდა. ყველაფერი აირ-დაირია, მატერიის რეკონსტრუქცია შეცდომით წარიმართა, სტრუქტურები ერთმანეთს დაედო. ორივე რომ უცხოპლანეტელი იყო, ეს ფაქტია, თუმცა ისე იყვნენ ერთმანეთში აზელილი, ძნელი იყო მათი წარმომავლობის დადგენა. ეს დანამდვილებით ახლაც კი არ ვიცით.“

„დაიღუპნენ?“

„დაიღუპნენ? რა თქმა უნდა. საშინელებაა. აი თქვენ კი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხართ დაბადებული.“

მაქსველს მთელს ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

„დიახ, ვფიქრობ, რომ გამიმართლა,“ - თქვა მან.

„დამიჯერეთ, ასეა, - თქვა დრეიტონმა, - ვინც მატერიის გადამცემის გამოყენებას ცდილობს, უნდა იცოდეს, რასთან აქვს საქმე და დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იცის, რასაც აკეთებს. ვფიქრობ, საჭირო არაა გითხრათ, თუ რა შედეგები მოჰყვება ხოლმე მიმღები ან გადამცემი სადგურის არასწორ მუშაობას.“

„მაგრამ თქვენ ალბათ იღებთ გარკვეულ ინფორმაციას დანაკარგის შემთხვევაში. სადგური ალბათ ღებულობს შეტყობინებას, როცა მოგზაური ვერ აღწევს დანიშნულების ადგილს ან ამოვარდება გრაფიკიდან.“

„სასაცილოდ შეიძლება მოგეჩვენოთ, - უთხრა მას დრეიტონმა, - მაგრამ არანაირი დანაკარგები არ არის. აბსოლუტურად დარწმუნებულები ვართ, რომ ის ორი უცხოპლანეტელი, რომლებიც გარდაცვლილები მივიღეთ, ჯანმრთელად ჩავიდნენ თავიანთი დანიშნულების ადგილზე. დაკარგულთა სიაში არავინ ირიცხება.“

„მაგრამ აი მე, კუნსკინში უნდა ჩავსულიყავი. უეჭველია, მათ გაცნობეს, რომ...“ მაგრამ მან სათქმელი აღარ დაამთავრა, რადგანაც ერთმა აზრმა გაუელვა.

დრეიტონმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად:

„პიტერ მაქსველი ჩავიდა კუნსკინის სისტემაში და დაბრუნდა უკან, დედამიწაზე, დაახლოებით ერთი თვის წინ.“

„აქ, ალბათ, რაღაც შეცდომაა,“ - მაქსველმა სცადა პროტესტი განეცხადებინა, მაგრამ სუსტად გამოუვიდა. მისთვის წარმოუდგენელი იყო მისი ორეულის არსებობა - კიდევ ერთი პიტერ მაქსველი, აბსოლუტურად მისი იდენტური და თანაც დედამიწაზე.

„არანაირი შეცდომა, - თქვა დრეიტონმა. - უკვე მივხვდით, რაშიც არის საქმე. ეგ პლანეტა მარშრუტს კი არ უცვლის ტალღურ სტრუქტურას, მის იდენტურ ასლს აკეთებს.“

„ესე იგი, შეიძლება ამქვეყნად არსებობდეს ორი მე? შესაძლებელია...“

„უკვე აღარ არსებობს, - თქვა დრეიტონმა, - მხოლოდ თქვენ დარჩით. თქვენი ორეული მოგზაურობიდან დაბრუნების ერთი კვირის თავზე კატასტროფაში მოყვა. პიტერ მაქსველი დაიღუპა.“

თავი 2

იმ პატარა ოთახიდან მოშორებით, სადაც იგი დრეიტონს ესაუბრა, მაქსველმა ჩამწკრივებული ცარიელი სკამები იპოვა, ფრთხილად ჩამოჯდა და თავისი სამგზავრო ჩანთაც გვერდით, იატაკზე მოათავსა.

დაუჯერებელია, - ფიქრობდა იგი - დაუჯერებელია, რომ შეიძლება ყოფილიყო ორი პიტ მაქსველი და ერთი ამ მაქსველთაგანი უკვე მკვდარია. დაუჯერებელი იყო ისიც, რომ კრისტალურ პლანეტას ჰქონდა ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც შეეძლო სინათლის სიჩქარეზე ბევრად უფრო სწრაფად მოძრავი ტალღური სტრუქტურის წაკითხვა და შემდეგ მისი დუბლირება. გალაქტიკაში, სადაც ვარსკვლავურ სისტემებს შორის მჭიდრო კავშირი იყო დამყარებული მატერიის გადამცემების საშუალებით, სადაც გამგზავრებასა და დანიშნულების ადგილამდე მიღწევას

მხოლოდ წამები ყოფდა, მარშუტიდან გადახრა, ერთი სადგურის მაგივრად მეორეზე მოხვედრა შესაძლებელი ჩანდა. მაგრამ სტრუქტურის ასლის გადაღება რამდენიმე მილიწამის განმავლობაში რაღაც აბსოლუტურად ახალი და წარმოუდგენელი გახლდათ.

ორ უცნაურობას ჰქონდა ადგილი. ორი რამ, რაც არ უნდა მომხდარიყო. თუმცა, თუ ერთი მოხდებოდა, მეორე აუცილებლად იქიდან გამომდინარე იქნებოდა. თუ კოპირება მოხდა, მაშინ აუცილებლად ორი პიტერ მაქსველი გაჩნდებოდა, ერთი, რომელიც გაემგზავრა კუნსკინის სისტემაში და მეორე, რომელიც გაემგზავრა კრისტალურ პლანეტაზე.

მაგრამ თუ ის მეორე პიტერ მაქსველი მართლა გაემგზავრა კუნსკინში, ის ჯერ კიდევ იქ უნდა იმყოფებოდეს ან ახლა უნდა ბრუნდებოდეს უკან. ის ხომ იქ სულ ცოტა ექვსი კვირით მაინც გეგმავდა დარჩენას და მეტითაც, თუკი დრაკონებზე გამოკვლევა მეტ დროს წაიღებდა.

უცბად მიხვდა, რომ ხელები უკანკალებდა, ამის დანახვის შერცხვა, ისინი ერთმანეთს მიატყუპა და მუხლებში მოიქცია.

ცდილობდა, თავი ხელში აეყვანა, იცოდა, რომ აღელვების უფლება არ ჰქონდა. სულერთი იყო, რა ელოდა წინ, ეს ყველაფერი უნდა გაერკვია. არავითარი მტკიცებულება, არაფერი რეალური. ერთადერთი, ხელმოსაჭიდი, ეს უსაფრთხოების თანამშრომლის ნათქვამი იყო და ისიც ბევრს არაფერს ნიშნავდა. ეს პოლიციის ხრიკიც შეიძლება ყოფილიყო, მის გამოსატეხად მოგონილი. თუმცა ასეთი რამ იქნებ მართლაც მოხდა! მაგრამ ასეთი რამ რომც მომხდარიყო, ყველაფერი თავად უნდა გაერკვია. წინ საქმე ელოდა და შეცდომის დაშვების უფლება არ ჰქონდა.

საქმე კიდევ უფრო გართულდებოდა, თუკი ვინმე თვალთვალს დაუწყებდა, მაგრამ ვის უნდა დასჭირვებოდა მისი თვალთვალი. თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობაც არ ჰქონდა. იცოდა, რომ ყველაზე რთული, რაც წინ ელოდა, ენდრიუ არნოლდთან შეხვედრის ორგანიზება იყო. პლანეტარული უნივერსიტეტის პრეზიდენტთან შეხვედრა ადვილი საქმე არ გახლდათ. ახლა მას ყველაზე მეტად იმის გაგება უნდოდა, თუ რას ეტყოდა ყოველივე ამის შესახებ პროფესორი. მით უფრო, რომ პროფესორი ვერც წარმოიდგენდა, რის მოყოლას აპირებდა მისთვის. ხელების კანკალი შეუჩერდა. მაგრამ მუხლებიდან მაინც არ აუღია. ცოტა ხანში გარეთ გავა და დაადგება მოძრავ გზატკეცილს, იპოვის ჩქაროსნულ არეს, დაიკავებს თავის ხაზს და ერთ საათში ან ცოტა მეტში, უკვე შინ იქნება, კამპუსში, მეცნიერთა ქალაქში, და მალე გაარკვევს, რამდენად სწორი იყო დრეიტონის ნათქვამი. კვლავ თავის მეგობრებს დაუბრუნდება – ოლეი უფსს და მოჩვენებას, ჰარლოუ შარპს, ალენ პრესტონს და სხვა დანარჩენებს. მოეწყობა შფოთიანი საღამოები - შუაღამემდე უზომო სმით ტავერნა „გოჭსა და სტვირში“, სეირნობები დაჩრდილულ ხეივნებში და, რა თქმა უნდა, კანოებით - ტბაზე. ისაუბრებენ, იკამათებენ, მოუთხრობენ ერთმანეთს ძველ ამბებს

და ისევ დაიწყება აკადემიური ცხოვრების ყოველდღიური რუტინა, აქამდე ასე საყვარელი რომ იყო მისთვის.

თავი იმ გზაზე წარმოიდგინა, რომელიც გობლინთა ნაკრძალისკენ მიუყვებოდა მთებს, გვერდით. არა, იქ, ნაკრძალში, მარტო გობლინები არ ცხოვრობდნენ; იქ ასევე შეხვდებოდით პატარა რასის სხვა წარმომადგენლებსაც და ყველა მისი მეგობარი იყო – ან, ყოველ შემთხვევაში, უმეტესობა მაინც. ტროლები დროდადრო გულისგამაწვრილებლად იქცეოდნენ, ასევე რთული იყო ნამდვილი და ხანგრძლივი მეგობრობის დამყარება ისეთ ქმნილებებთან, როგორიც ბანშები იყვნენ.

მისი აზრით, წელიწადის ამ დროს მთა შეუდარებელი იყო.

უკვე გვიანი ზაფხული იდგა, როცა კუნსკინში წასვლა გადაწყვიტა. ხეებს ჯერ ისევ მწვანე ხავერდოვანი მოსასხამი ემოსათ, მაგრამ ახლა, ოქტომბრის შუა რიცხვებში, ისინი ფერად-ფერადად მოქარგულ საშემოდგომო კაბაში გამოწყობილიყვნენ. მუხას ბორდოსფერი ჩაეცვა, ელვარე წითელი და ყვითელი ფერი დასდებოდა ირგვლივ არემარეს, ცეცხლისფერი და ალისფერი კი არშიად შემოვლებოდა.

ჰაერი სიდრის სურნელით იყო გაჯერებული. ეს უცნაური, დამათრობელი არომატი ხეებიდან მხოლოდ ფოთოლთა გარდაცვალების დროს მოდიოდა.

ის იჯდა და თვალწინ ედგა ის დრო, მხოლოდ ორი ზაფხულის უკან, როდესაც ის და მისტერ ო'ტული კანოეთი სამოგზაუროდ მდინარეზე გაემგზავრნენ, ჩრდილოეთის ველურ ბუნებაში, იმ იმედით, რომ სადმე შორს, გზად, იქნებ სპრაიტებს შეხვედროდნენ, რომლებზეც ბებერი ოჯიბვეის ლეგენდებში იყო საუბარი. ისინი მიცურავდნენ ბროლივით გამჭვირვალე წყლებში და ღამღამობით კოცონს ანთებდნენ უღრანი ფიჭვნარის განაპირას; თევზი ჰქონდათ ვახშმად და მინდვრის ყვავილებს კრეფდნენ ტყეში, კორდებზე მიმოფანტულს, ჩუმად ადევნებდნენ თვალყურს ცხოველებსა და ფრინველებს და მშვენივრად ატარებდნენ შვებულებას.

მაგრამ სპრაიტებისთვის თვალი არასოდეს მოუკრავთ, რაც სულაც არ იყო გასაკვირი. ადამიანებმა მხოლოდ სულ რამდენიმეჯერ შეძლეს კონტაქტის დამყარება ჩრდილოეთ ამერიკის პატარა რასის ხალხთან, ისინი მართლაც რომ ველური ბუნების შვილები იყვნენ, რაც ასე განასხვავებდათ ნახევრად ცივილიზებული, ადამიანებთან შეთვისებული ევროპელი არსებებისგან.

სკამი, რაზეც იგი იჯდა, დასავლეთისკენ იყო პირმიქცეული და მაღლა აზიდული, შუშის კედლებს იქით, მდინარის მეორე მხარეს გასცქეროდა ფრიალო კლდეებს, რომლებიც უძველესი შტატის - აიოვას საზღვრად გადაჭიმულიყო – უზარმაზარი, მუქი მეწამული ფერის მასები, რომელთაც თავზე გვირგვინად შემოქსოვილი ღია ცისფერი შემოდგომის ცა ადგათ. ციცაბო კლდეების ზემოთ, ტავმატურგიის, სისხლის მაგიის კოლეჯის, ღია ფერის შენობა გაარჩია, იქ ხშირად შეხვდებოდით ოქტოპოიდებს კენტავრის სისტემიდან. გასცქეროდა შენობის მკრთალ სილუეტს და

გაახსენდა, რამდენჯერ მისცა საკუთარ თავს პირობა, მათ საზაფხულო სემინარებს დასწრებოდა, მაგრამ დანაპირები არასოდეს შეუსრულებია.

მაქსველი დაიხარა და თავის სამგზავრო ჩანთას დასწვდა, ასადგომად მოემზადა, მაგრამ ვეღარ ადგა. სუნთქვა ჯერ ისევ უჭირდა და თითქოს ფეხებიც არ ემორჩილებოდა. მიხვდა, რომ ყველაფერმა, რაც დრეიტონმა უთხრა, იმაზე მეტად ააღელვა, ვიდრე ფიქრობდა და, როგორც ჩანს, ისევ განაგრძობდა მღელვარებას, რაც მთელ რიგ დაგვიანებულ რეაქციაში აისახებოდა. იცოდა, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა, ახლა ამის დრო არ გახლდათ. შესაძლოა, ეს ყველაფერი სიმართლე არც ყოფილიყო და ალბათ არც იყო კიდეც. უაზრობა იქნებოდა მისი მხრიდან, ენერვიულა ამაზე, სანამ თავად არ დარწმუნდებოდა ყველაფერში.

ის ნელ-ნელა წამოდგა ფეხზე, დასწვდა სამგზავრო ჩანთას, მაგრამ ცოტათი შეისვენა, ვიდრე საბოლოოდ შევიდოდა მოსაცდელ დარბაზში, სადაც გიჟური რიტმი გამეფებულიყო. ხალხები – უცხოპლანეტელები და ადამიანები ან სადღაც გამიზნულად მიიჩქაროდნენ, ან პატარ-პატარა ჯგუფებად იდგნენ. თეთრწვერა მოხუცი, რომელსაც სოლიდური შავი ფერის სამოსი ეცვა და გარეგნულად პროფესორს მოგაგონებდათ, როგორც ჩანს, მის გასაცილებლად მოსული სტუდენტებით იყო გარშემორტყმული. რეპტილიების ოჯახი, ზანტად ზლაზვნის შემდეგ, უცნაური ფორმის სავარძლების გვერდით გაჩერდა, ეს ადგილი მსგავსი არსებების კომფორტისათვის იყო გათვალისწინებული. მათ შორის ორი უფროსი, მშვიდად გათხლაშული, ერთმანეთს შესცქეროდა და წყნარად საუბრობდა. უფრო სისინებდნენ, რაც ასე დამახასიათებელი იყო რეპტილიებისთვის. უფრო პატარები სკამებზე და სკამების ქვეშ, იატაკზე დაცოცავდნენ და თამაშით იქცევდნენ თავს. ციცქნა ფანჩატურის ერთ კუთხეში, ლუდის კასრის ფორმის ქმნილება გვერდულად იწვა. ასეთ მდგომარეობაში ხან წინ გადაგორდებოდა, ხან უკან, ერთი კუთხიდან მეორეში, ერთნაირი მონდომებით და ალბათ იმავე მიზნით, რაც ბოლთის მცემ ადამიანს აქვს ხოლმე. ობობის მსგავსი ორი ქმნილება, რომელთა სხეულები უფრო ასანთის ღერებისგან აგებულ კარიკატურას მოგაგონებდათ, ვიდრე ხორციელ არსებებს, ერთმანეთის პირისპირ ჩაცუცქულიყო. მათ იატაკი ცარცით მოეხატათ, ნახატი დაუმთავრებელ სათამაშო დაფას მოგაგონებდათ, ზედ უცნაური ფორმის ფიგურები დაეწყოთ, რომელსაც სწრაფად უცვლიდნენ ადგილს და თამაში რაც უფრო ცხოველდებოდა, აზარტისგან წრიპინს უფრო და უფრო უმატებდნენ.

ვილერები? ხომ ახსენა მაქსველთან დრეიტონმა.

შესაძლოა, რაიმე კავშირი იყოს კრისტალურ პლანეტასა და ვილერებს შორის? ეჭვი ყოველთვის შეიძლება გქონდეს ვილერებზე, გაიფიქრა მაქსველმა. ვილერები უკვე აკვიატებულ აზრად ექცა ყველას. ალბათ ამის საფუძველიც არსებობდა, მაგრამ ხელმოსაჭიდი არაფერი ჩანდა. ძალიან ცოტა რამ იყო მათზე ცნობილი. შორეულ კოსმოსში ჩაიკარგა მათი ცივილიზაცია, კიდევ ერთი ძლიერი კულტურული

გაერთიანება, რომელიც ფეხს იკიდებდა გალაქტიკაში და რომლის საზღვრებიც ნელნელა უახლოვდებოდა და კვეთდა კაცობრიობის მიერ შეკრულ, მრავალი სხვადასხვა რასისაგან შემდგარ კულტურული თანამეგობრობის საზღვრებს.

მოგონებებიდან ამოუტივტივდა პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როცა ვილერი დაინახა – ეს იყო სტუდენტი, რომელიც რიო-დე-ჟანეიროს შედარებითი ანატომიის კოლეჯიდან ჩამოვიდა

„დროს“ კოლეჯში ორკვირიან სემინარზე.

მას კარგად ახსოვდა, როგორ იყო ვისკონსინის მეცნიერებათა ქალაქი ამ ფაქტით აღელვებული და რა ბევრს საუბრობდნენ ამის შესახებ. ძნელად თუ მოჰკრავდით თვალს ამ იგავად ქცეულ ქმნილებას, რადგანაც სემინარის ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა. თავადაც შემთხვევით შეხვდა, როცა ის დერეფანში მოგორავდა, ის და ჰარლოუ შარპი სადილზე მიდიოდნენ და ახსოვს, რა შოკის მომგვრელი იყო მისი დანახვა.

ბორბლები... - გაიფიქრა თავისთვის. გალაქტიკაში ცნობილი სხვა არცერთი ქმნილება არ დადიოდა ბორბლებით. ეს იყო პატარა და ფუმფულა, პუდინგის მსგავსი ქმნილება, მსუქანი, რომელიც ორ ბორბალს შორის იყო დაკიდული და მორგვები, რითიც ბორბლები სხეულზე იყო მიმაგრებული, სადღაც შუიდან ჰქონდა გამოზრდილი. ბორბლები ბეწვით იყო დაფარული და მათი ფერსო, გარეთა ზედაპირი, როგორც მან შენიშნა, რქოვანი გარეკანით ბოლოვდებოდა. ამ მსუქანი სხეულის ქვედა ნაწილი ტომარასავით ეკიდა ბორბლის ღერძებს შორის. მაგრამ ყველაზე უსიამოვნო, რაც მასთან მიახლოებისას შენიშნა, ეს ჩამოკიდებული, გამჭვირვალე სხეულის ნაწილი იყო, სავსე რაღაც მოფუთფუთე კლაკნილი არსებებით. საოცარი ქმნილების ეს ნაწილი მხიარულად შეფერადებული მატლებით სავსე ვარცლს უფრო მოგაგონებდათ. მაქსველმა იცოდა, რომ ეს დაკლაკნილი არსებანი, იმ საშინელ მუცელში, მატლები თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მწერების რაღაც სახეობა მაინც იყო ან სიცოცხლის ის ფორმა, რომელიც დედამიწაზე ადამიანისთვის კარგად ნაცნობ მწერებს მოგაგონებდათ. ვილერები მწერთა კოლონიას წარმოადგენდნენ. ფაქტობრივად, ვილერის სხეული მწერთა სკა იყო, რომელთაც კოლექტიურად აზროვნების უნარი ჰქონდათ.

ვილერები სრულიად განსხვავებულად აზროვნებდნენ და, რა თქმა უნდა, ის საშინელი ამბები, რაც მათ შესახებ ვრცელდებოდა, სულაც არ იყო ძნელი დასაჯერებელი. და თუ ყველაფერი ის, რასაც შიშით ჩურჩულებდნენ შორეულ კოსმოსში ვილერების საზღვრებთან მცხოვრებნი, სიმართლეს შეეფერებოდა, უდაოდ იმას ნიშნავდა, რომ ადამიანი უკვე შეხვდა თავის ჰიპოტეტიურ მტერს, პირველად მას შემდეგ, რაც კოსმოსში გავიდა და რომელსაც, მისი წარმოდგენით, სადმე, სამყაროს სიღრმეებში, აუცილებლად უნდა გადაყროდა.

მთელ გალაქტიკაში ადამიანი არა ერთ უცნაურ და, ამავე დროს, შიშისმომგვრელ არსებას შეხვედრია, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრებოდა ისეთ უცნაურ არსებას, როგორიც ბორბლებზე მოსიარულე მწერების ბუდე იყო, შეხედვისას ადამიანში დაუოკებელ გულისრევას რომ იწვევდა.

დღეისთვის არამიწიერი არსებები ათასობით იყრიდნენ თავს დედამიწაზე, ისინი აქ კოლეჯში სასწავლებლად ჩამოდიოდნენ და უდიდეს გალაქტიკურ უნივერსისტეტში ირიცხებოდნენ, რომელიც, თავის დროზე, დედამიწაზე დააფუძნეს. მაქსველის აზრით, იქნებ, ვილერებიც შეერთებოდნენ გალაქტიკის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც თავს იყრიდა დედამიწაზე კოლეჯებში. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ რაიმე საერთო ენას გამონახავდნენ. მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ ხერხდებოდა.

რატომ მოხდა, - ფიქრობდა მაქსველი, - როცა ადამიანი და ყველა სხვა გალაქტიკის შვილები ერთმანეთს დაუკავშირდნენ და თანაცხოვრებას სწავლობდნენ, ვილერებმა დინების საწინააღმდეგოდ გაცურეს? აქ, ამ მოსაცდელ დარბაზში, შეგეძლოთ გენახათ ამ თანაცხოვრების რეალური სურათი – მხტუნავები, მცოცავები, მხოხავები, დაკლაკნილები და მგორავები, რომელთაც ბევრი სხვადასხვა პლანეტიდან და ვარსკვლავთა სისტემიდან მოეყარათ თავი. დედამიწა იყო გალაქტიკის გული, ადგილი, სადაც ათასობით სხვადასხვა ვარსკვლავთსისტემის წარმომადგენელი ხვდებოდა, უახლოვდებოდა და უზიარებდა თავის კულტურასა და გამოცდილებას ერთმანეთს.

„ნომერი ხუთი-ექვსი-ცხრა-ორი, - გაჰყვიროდა მიკროფონი, - მგზავრი ნომერი ხუთი-ექვსი-ცხრა-ორი, თქვენი გამგზავრების დრო ახლოვდება ხუთ წუთში. კუბი ოცდაჩვიდმეტი. მგზავრი ნომერი ხუთი-ექვსი-ცხრა-ორის საყურადღებოდ, გთხოვთ, დაუყოვნებლივ გამოცხადდეთ ოცდამეჩვიდმეტე კუბში.“ ნეტავ, საით მიემგზავრება, დაინტერესდა მაქსველი, ნომერი 5692? ჰედეკ 2-ის ჯუნგლებისკენ, საზარელი, ქარისთვის ყოველმხრივ ღია ყინულოვანი ქალაქებისკენ მიზერი IV-ზე, განადგურებული მზის უდაბურ პლანეტებზე, თუ სხვა რომელიმე პლანეტაზე, რომლებიც ათასობით იყო და რომელთაგანაც მხოლოდ ერთი ნაბიჯი და რამდენიმე წამი აშორებდა. მოგზაურობა მას შემდეგ გამარტივდა, რაც კავშირის დამყარება მატერიის გადამცემების მეშვეობით გახდა შესაძლებელი, მაგრამ, სანამ ეს ხელმისაწვდომი გახდებოდა, უამრავი მკვლევარი ხომალდი დაუსრულებელ კოსმოსურ წყვდიადს წლობით არღვევდა. აუცილებელი იყო, კოსმოსურ ხომალდს ჯერ მიეღწია დანიშნულების ადგილამდე და იქ მატერიის მიმღები და გადამცემი აეგო. მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა შესაძლებელი წამიერი მოგზაურობა თვალუწვდენელ მანძილებზე დედამიწასა და მიმღებს შორის. ამ ბრძოლის შედეგად, ნელა და მტკივნეულად, მაგრამ მაინც ფართოვდებოდა ადამიანისთვის ცნობილი სამყაროს პერიმეტრი.

ხმაური მოსაცდელ ოთახში ხან ძლიერდებოდა, ხან სუსტდებოდა, დაგვიანებული ან დარჩენილი მგზავრების გაღიზიანებული საუბრიდან გამომდინარე, იგი გუგუნით ამოხეთქავდა ხოლმე ასობით სხვადასხვა ენაზე და ათასობით სხვადასხვა ხორხიდან და რომელსაც იატაკზე ფეხების ბაკუნი, ტყაპუნი და კაკუნი ახლდა თან. მაქსველი დაიხარა, დასწვდა თავის სამგზავრო ჩანთას და გასასვლელისკენ შეტრიალდა.

სამი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, შეჩერდა და გზა დაუთმო ურიკას, რომელსაც კუპრისებრი სითხით სავსე ავზი მიჰქონდა. მიუხედავად სითხის მუქი ფერისა, მაინც გაარჩია ავზში დამალული მკრთალი სილუეტი, ალბათ რომელიმე არსება ერთ-ერთი თხევადი პლანეტიდან, სადაც სითხე წყალს არ წარმოადგენდა. ადვილი შესაძლებელია, იგი ფილოსოფიის პროფესორი ყოფილიყო, რომელიმე კოლეგასთან ან სამეცნიერო ინსტიტუტში სტუმრად ჩამოსული.

როგორც კი ურიკამ და მისმა ავზმა გაიარა, მან კვლავ შესასვლელისკენ განაგრძო გზა. გარეთ გავიდა და აღმოჩნდა მშვენიერ, ქვაფენილით მოპირკეთებულ და ტერასებიან მოედანზე, საიდანაც გზატკეცილი იწყებოდა. შვებით ამოისუნთქა, როცა დაინახა, რომ გაჩერებაზე რიგი არ იდგა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე.

მერე ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი ფილტვებში – სუფთა, წმინდა, მძაფრი შემოდგომის სუსხით გაჯერებული ჰაერი. ეს მართლაც რომ შეუდარებლად სჯობდა კრისტალური პლანეტის მკვდარ და დახუთულ ატმოსფეროს. შემობრუნდა, რომ კიბეზე დაშვებულიყო. გზატკეცილზე გასასვლელთან აბრა დაინახა. აბრა დიდი ზომის იყო და ზედ ძველი ინგლისური ასოებით გაკეთებული წარწერა მთელი ღირსებით გაჰკიოდა:

უილიამ შექსპირი, სტრედფორდ-ონ-ეივონიდან, ინგლისი

„როგორ მოხდა, რომ მე არ დამიწერია პიესები“

„დროს“ კოლეჯის სპონსორობით

ოქტ. საღამოს 8 საათი. დროის მუზეუმის აუდიტორია

ბილეთები ყველა სააგენტოშია ხელმისაწვდომი

„მაქსველ!“ - ვიღაცამ დაუძახა და ისიც შემობრუნდა.

კაცმა სირბილით დატოვა შესასვლელი და მისკენ გამოემართა.

მაქსველმა ჩანთა ძირს დადო, ხელი მაღლა ასწია, მისალმების ნიშნად, მაგრამ მერე ნელა დაუშვა, რადგან მიხვდა, რომ ვერ იცნო იგი.

კაცმა სირბილი შეანელა, სწრაფ სიარულზე გადავიდა.

„პროფესორი მაქსველი, არა? - კიდევ ერთხელ იკითხა, როცა მიუახლოვდა. - დარწმუნებული ვარ, რომ არ შევცდი.“ მაქსველმა ცივად და ცოტა გაოცებით დაუქნია თავი.

„მონტი ჩერჩილი, - თქვა კაცმა და ხელი გამოუწოდა. ჩვენ ერთი ან ორი წლის წინ შევხვდით ერთმანეთს ნენსი კლეიტონის ერთ-ერთ წვეულებაზე.“

„როგორ ხართ, ჩერჩილ?“- ცოტა ოფიციალურად მოიკითხა მაქსველმა. ბუნდოვნად გაახსენდა ეს პიროვნება, სახეზე ვერ იცნო, მაგრამ სახელი მოაგონდა. მგონი იურისტია, - გაიფიქრა მან, თუმცა დარწმუნებული არ იყო. თუ სწორად ახსოვდა, მისი საქმიანობა საზოგადოებასთან ურთიერთობა იყო, შუამავლის როლს ასრულებდა და მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაც ნებისმიერი პატიოსანი ან საეჭვო საქმის მოგვარება შეეძლოთ კლიენტის სასარგებლოდ, თუ, რა თქმა უნდა, ამაში კარგ საზღაურს გადაუხდიდნენ.

„მე შესანიშნავად ვარ, - მხიარულად უპასუხა ჩერჩილმა. - ახლახან დავბრუნდი მოგზაურობიდან, ხანმოკლე დროით, მაგრამ რა კარგია შინ დაბრუნება. ვერაფერი შეედრება სახლს. ამიტომაც დაგიძახეთ - პირველ ნაცნობ სახეს, რომელიც უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში დავინახე.“

„მიხარია, რომ შემეხმიანეთ,“ - უთხრა მაქსველმა.

„უკან, კამპუსში ბრუნდებით?“

„კი, გზატკეცილისკენ მივემართებოდი.“

„არ არის საჭირო, - უთხრა ჩერჩილმა, - ჩემი ფლაერი აქვე მიყენია, უკანა ზოლზე, ორადგილიანია, ასე რომ, თავისუფლად ჩავეტევით. კამპუსში ბევრად უფრო სწრაფად მივალთ.“ მაქსველი შეყოყმანდა. არ მოსწონდა რაღაც ეს კაცი, მაგრამ, რაც მან თქვა, სიმართლე იყო, ასე უფრო სწრაფად იმგზავრებდა. ერთი სული ჰქონდა, ჩქარა დაბრუნებულიყო კამპუსში. იქ რაღაც-რაღაცები ჰქონდა აუცილებლად გადასამოწმებელი.

„მადლობელი ვარ, - მიუგო მან, - გამოგყვებით, თუკი დარწმუნებული ხართ, რომ თავისუფალი ადგილი გაქვთ.“

თავი 3

ძრავამ სუსტად დაიგუგუნა და ჩაქრა. ხომალდმა ერთი წამით დაიზუზუნა და შემდეგ სულ დადუმდა. ჰაერის ნაკადი გამაყრუებელი წუილით ეხეთქებოდა ლითონის ზედაპირს.

მაქსველმა სწრაფი მზერა სტყორცნა გვერდზე მჯდომს. ჩერჩილი გაყინული იჯდა – ერთდროულად შეშინებულიც და გაოცებულიც. მაქსველიც აცნობიერებდა, რომ ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო – დაუჯერებლად ეჩვენებოდა. ფლაერები, მათ შორის ისიც, რითაც ახლა მგზავრობდნენ, საიმედოობით გამოირჩეოდნენ.

ქვემოთ წაწვეტებული კლდეების მწკრივი მოჩანდა, კლდოვანი ხრამებით, და მთები, რომლებსაც თვალუწვდენელი ტყე ნაბადივით გადაკვროდა - შუბებივით ატყორცნილი დატოტვილი ხეებით. მარცხნივ მდინარე მიედინებოდა. როგორც ვერცხლისფერი ლენტი ხეებით დახუნძლულ მიწას, ისე შვენოდა იქაურობას.

დრო თითქოს გაჩერდა. გაიწელა, თითქოს ვიღაცის ჯადოსნურმა ხელმა წამი წუთად გადააქციაო. დროის გაჭიანურებასთან ერთად ძლიერდებოდა იმის განცდა, თუ რა ელოდათ. თითქოს ეს ყველაფერი სხვის თავს ხდებოდა, სიტუაციას ისეთი ფხიზელი გონებითა და განსაცვიფრებელი სიმშვიდით აფასებდა, როგორც გარეშე დამკვირვებელი და არა პირი, რომელიც თავად მოხვდა ასეთ სიტუაციაში. ამას ყველაფერს აცნობიერებდა და გონების შორეულ კუნჭულში ისიც კარგად იცოდა, რომ პანიკა მოგვიანებით მოვიდოდა, როცა ფლაერი დაბლა მომლოდინე ტყისა და კლდისკენ შესახვედრად თავგამეტებით დაეშვებოდა.

წინ გადახრილი, ყურადღებით ათვალიერებდა დაბლა გადაჭიმულ არემარეს და უცბად თვალი მოჰკრა პატარა მწვანე მდელოს, რომელიც ბზარივით გასჩენოდა ხეების უსასრულო მწკრივებით დამშვენებულ ტყეს.

მუჯლუგუნი გაჰკრა ჩერჩილს და ერთი ადგილისკენ მიუთითა. ჩერჩილმა დააფიქსირა, საითკენაც მიანიშნებდნენ და საჭე ნელა, დიდი სიფრთხილით მოატრიალა, თითქოს მანქანის რეაქციის გათვლას ცდილობსო, ამოწმებდა, დაემორჩილებოდა თუ არა ის ბრძანებას.

ფლაერი მსუბუქად გადაიხარა, მობრუნდა და რხევა დაიწყო, ვარდნას ისევ განაგრძობდა, მაგრამ ამორჩეული ადგილისკენ მიემართებოდა. რაღაც მომენტში წონასწორობის კონტროლის მექანიზმმა მუშაობა შეწყვიტა, ფლაერი გვერდზე გადაიხარა, უკვე სიმაღლეს სწრაფად კარგავდა, მაგრამ ხეებს შორის მომწყვდეულ მდელოსკენ მაინც მიეშურებოდა.

ხეები უფრო და უფრო ახლოვდებოდნენ, მაქსველი უკვე კარგად არჩევდა მათ საშემოდგომო ფერებს – ისინი აღარ ითქვიფებოდნენ მუქ ტონში, არამედ უხვად გაარჩევდით წითელს, ოქროსფერსა და ყავისფერს. საჩხვლეტად გამზადებული გრძელი, ატყორცნილი წითელი შუბები და მრისხანებით გამოწვდილი, კლანჭების მსგავსი ოქროსფერი ხელები მათ შეპყრობას ლამობდნენ.

ფლაერმა მუხის ხის აწოწილ ტოტებს გადაუარა, ერთი შეყოყმანდა, თითქოს ასე ჰაერში გამოკიდებული ყოფნა არჩიაო, მაგრამ შემდეგ ნარნარით დაეშვა ტყეში გაწოლილ პატარა მწვანე მდელოსკენ.

ფერიების მწვანე მდელო, - ფიქრობდა თავისთვის, – ფერიების სამეჯლისო ადგილი ახლა დასაფრენ ბილიკად უნდა გამოეყენებინათ.

ერთი წამით თავი მოატრიალა, ჩერჩილი ფრენის კონტროლებს ჩაფრენოდა, შემდეგ თავი ისევ მიაბრუნა და მოახლოებული სიმწვანის ყურება განაგრძო.

რბილად უნდა დავეშვათ, - ფიქრობდა თავისთვის, ბორცვები და ღრმულები მანდ არ უნდა იყოს, მდელო მათკენ მორბოდა.

ფლაერი ჩამოვარდა, შეხტა, ჰაერში შეთამაშდა, კვლავ დაბლა დაენარცხა და ჩქარი სვლით, მაგრამ რბილად, განაგრძო სვლა მწვანეზე. მოშორებით, მდელოს ბოლოში ჩამწკრივებული ხეები მათ შესახვედრად მოჰქროდნენ და თან ძალიან სწრაფად.

„შეჩერდი!“ - ყვიროდა ჩერჩილი და, მისი ყვირილის მიუხედავად, ფლაერი მაინც განაგრძობდა რწევას, სრიალს და, ამავდროულად, დამუხრუჭებას. ის ზუსტად თორმეტი ფუტის მოშორებით შეჩერდა ხეებისგან, რომლებიც სარტყელივით შემოვლებოდნენ მდელოს.

სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა. სიჩუმე, რომელიც შეფერადებული ტყიდან და კლდოვანი ქარაფებიდან იფრქვეოდა. ჩერჩილმა სიჩუმე დაარღვია.

„სულ ცოტაც და დავეჯახებოდით,“ - თქვა მან. წამოიწია, სარქველი გადაწია და გადმოვიდა. მაქსველი უკან მიჰყვა.

„ვერ გამიგია, რა მოხდა,- თქვა ჩერჩილმა, - ამ აპარატში უსაფრთხოების იმდენი სისტემაა, ვერც კი წარმოიდგენ. მეხის დაცემა, მთასთან შეჯახება, ქარბორბალასთან შერკინება - ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ძრავის მწყობრიდან გამოსვლა დაუჯერებელია. ერთადერთი შემთხვევა, როცა ძრავა შეიძლება გაჩერდეს, ეს მისი გამორთვაა.“ მკლავი მაღლა ასწია და პერანგის სახელოთი შუბლი მოიწმინდა.

„იცნობთ ამ ადგილებს?“ - იკითხა მან.

მაქსველმა თავი გააქნია:

„ზუსტად ამ ადგილს არა. მაგრამ ვიცოდი, რომ ასეთი მდელოები არსებობდა. როცა ნაკრძალი შენდებოდა და ლანდშაფტს არჩევდნენ, დამგეგმავი მწვანე მდელოებს ანიჭებდა უპირატესობას. ეს ფერიების საცეკვავო ადგილია, ალბათ გაგიგიათ. რამე კონკრეტული არ მქონდა გონებაში, როცა დასაფრენ ადგილს ვათვალიერებდი, მაგრამ, როცა ამ უღრანში ეს ღია ადგილი შევნიშნე, მივხვდი, რომ ჩვენს შემთხვევაში ეს ყველაზე კარგი ვარიანტი იყო დასაჯდომად.“

„როცა ამ ადგილზე მიმითითეთ, - თქვა ჩერჩილმა, მეგონა, იცნობდით აქაურობას, სხვაგან წასასვლელი მაინც არ გვქონდა, და მეც თავს გარისკვის უფლება მივეცი...“ მაქსველმა ხელი მაღლა შემართა გაჩუმების ნიშნად.

„ეს რა ხმაა?“- იკითხა მან.

„ცხენის ხმას ჰგავს, - მიუგო ჩერჩილმა. - ნეტა, ვის რა ესაქმება ამ ადგილას და თანაც ცხენით? მგონი, აი იქიდან მოდის.“

ხმაური და ცხენის ფეხის ხმა უფრო და უფრო ახლოვდებოდა. მათ ფლაერს შემოუარეს და თვალი მოჰკრეს ბილიკს, რომელიც ციცაბო და ვიწრო თხემისკენ მიემართებოდა, მის წვერზე კი მასიური ციხესიმაგრის ნანგრევები წამომჯდარიყო. ცხენი ბილიკს დაბლა არათანაბარი ჭენებით მოუყვებოდა.

პატარა და ჯმუხი აგებულების მხედარი გასაოცრად ხტოდა ცხენის ყოველ მოძრაობაზე. მასზე ვერ იტყოდით, ელეგანტური მხედარიაო, იდაყვები გვერდებზე გაეშვირა და ისე იქნევდა, ფრთები გეგონებოდათ. ცხენმა ფერდობი გამოარღვია და მწვანე მდელოზე აღმოჩნდა. მხედრის მსგავსად, არც ის გამოირჩეოდა ელეგანტურობით, - ფაფრიანი, ჯიჯგვი ცხენი იყო და მისი ძლიერი ჩლიქები, რომლებიც გრდემლივით გამოსცემდნენ ხმას, კორდზე ბელტებს ხეთქავდნენ და შორს ისროდნენ. ის პირდაპირ ფლაერს უახლოვდებოდა, თითქოს ზედ უნდა გადაევლოსო, მაგრამ ზუსტად ბოლო მომენტში ტლანქად მობრუნდა და გაჩერდა, თან მძიმედ სუნთქავდა და ფრუტუნებდა. მისი მხედარი ფრთხილად ჩამოსრიალდა ცხენიდან და როცა მიწაზე ფეხი დადგა, არემარეს სწრაფად მოავლო მრისხანე თვალი.

„ეს მათი ოინებია, უსაქმურები! - დაიღრიალა მან. ისინი არიან, ტილიანი ტროლები. გავაფრთხილე, ხომ გავაფრთხილე, მფრინავ ვარცლებს თავი დაანებეთ-მეთქი. მაგრამ არა, ისინი არასოდეს მისმენენ. ყოველთვის მასხრად იგდებენ ჩემს ნათქვამს. როგორც ჩანს, შელოცვით ჩამოუგდიათ.“

„ბატონო ო’ტულ, - დაუძახა მაქსველმა, - გახსოვართ?“ გობლინი სწრაფად შემოტრიალდა და წითლად ანთებული თვალები მიანათა.

„პროფესორო! - აღმოხდა ძახილი. - თქვენ აქაურების, ყველას კარგი მეგობარი ხართ. ოჰ, რა სირცხვილია! დამიჯერეთ, პროფესორო, ყველა ტროლს სახლის კარს ამოვუჭედავ და მათ ყურებს ხეებზე დავკიდებ.“

„შელოცვა? - იკითხა ჩერჩილმა, - თქვენ შელოცვა ახსენეთ?“

„აბა სხვა რა უნდა იყოს? - შეიჭმუხნა ბ-ნი ო’ტული, სხვას რას შეეძლო ციდან ამ ვარცლის ჩამოგდება?“ იგი მაქსველს მიუახლოვდა და დაჟინებით ჩააცქერდა.

„ნუთუ ეს მართლა თქვენ ხართ? - იკითხა მან ცოტათი შეცბუნებულმა. - ხორცშესხმული? ჩვენამდე ამბავი მოვიდა, თითქოს თქვენ დაიღუპეთ. გვირგვინიც კი დავწანით ფიტრისა და ბაძგისგან და ამით ჩვენი დიდი სინანული გამოვხატეთ.“

„ეს მე ვარ, ჭეშმარიტად, - სწრაფად გადავიდა პატარა რასის დიალექტზე მაქსველი, - ეგ მხოლოდ ჭორი იყო.“

„ეს უნდა აღვნიშნოთ, - დაიძახა ო’ტილმა, - სამივემ შესანიშნავი ოქტომბრის ლუდი მივირთვათ უზარმაზარი კათხებით. ახალი კასრი მზად არის გასახსნელად, ბატონებო, გთხოვთ, ეს სიხარული ჩემთან ერთად გაიზიაროთ.“ სხვა გობლინებიც გამოჩნდნენ, ბილიკს სწრაფად მოუყვებოდნენ, ექვსიოდე იქნებოდა, ო’ტულმა ანიშნა, აჩქარებულიყვნენ.

„ყოველთვის აგვიანებენ, - დაიწუწუნა მან, - არასდროს არ არიან ადგილზე დროულად. ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე, მაგრამ აუცილებლად - დაგვიანებით. კარგი ბიჭები არიან, ყველანი, გულიანები, მაგრამ სიცოცხლე და მოხერხებულობა აკლიათ, რაც ასე დამახასიათებელია ისეთი ნამდვილი გობლინისთვის, როგორიც მე ვარ.“ გობლინები ძუნძულითა და ქოშინით შემოვარდნენ მინდორზე და შემდგომი განკარგულების მოლოდინში ო’ტულის წინ ჩამწკრივდნენ.

„თქვენთვის სამუშაო მაქვს, - უთხრა მათ, - უპირველეს ყოვლისა, დაეშვით დაბლა ხიდისკენ და ტროლებს უთხარით, მეტი აღარ გაბედონ შელოცვის გამოყენება. თავი დაანებობ, მოეშვან ვარცლებს. გადაეცით, რომ კიდევ ერთ და უკანასკნელ შანსს ვაძლევ. თუ ისევ განმეორდა მსგავსი რამ, ნაფლეთებად ვაქცევ ხიდს, ქვას ქვაზე არ დავტოვებ და ამ ქვებსაც შორს მიმოვფანტავ, რომ ხიდის აღდგენა ვეღარასდროს შეძლონ; და გადაეცით - შელოცვა მოხსნან ჩამოვარდნილი ვარცლიდან, რომ ძველებურად ფრენა შეძლოს. - მინდა, რომელიმე თქვენგანმა ფერიები მოძებნოს და აუხსნას, რომ მათი მდელო ცოტათი შეილახა. ბრალდება ბინძურ ტროლებს წაუყენონ, მე კი, ჩემი მხრივ, ვპირდები, რომ კორდი უწინდებურად ფაფუკი და გასწორებული იქნება მათი მომდევნო მეჯლისების სეზონისთვის, სავსემთვარიანობის დროს. - და კიდევ, ერთმა თქვენგანმა დობინს მიხედოს, ცხენს, ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ მოუქნელმა არსებამ ეს მინდორი მეტი აღარ დააზიანოს. აჭამეთ რამე, ცოტა მაღალი ბალახი, თუკი ასეთს სადმე მიაგნებთ. საწყალ ცხოველს ყოველთვის არ აქვს ასეთ საძოვარზე მოლხენის ბედნიერება.“ იგი მაქსველსა და ჩერჩილს მოუბრუნდა ხელების ფშვნეტით, იმის ნიშნად, რომ სამუშაო წარმატებით დააგვირგვინა.

„ახლა კი, ბატონებო, - თქვა მან, - გთხოვთ, ერთად ავცოცდეთ ამ თხემზე და მოვიფიქროთ, რა მოვუხერხოთ საუცხოო ოქტომბრის ლუდს. გთხოვთ, ყველაფრის მიუხედავად, ნელა იაროთ, იმიტომ, რომ ბოლო დროს ღიპი ძალიან გამეზარდა და ჰაერის უკმარისობა დამჩემდა.“

„გაგვიძეხი, მეგობარო! - უთხრა მაქსველმა, სიამოვნებით შეგიწყობთ ნაბიჯებს. დიდი დრო გავიდა მას მერე, რაც ერთად ვხვრეპდით ოქტომბრის ლუდს.“

„ხო, რა თქმა უნდა,“ - თქვა ჩერჩილმა, ცოტა არ იყოს უჟმურად. ყველანი ბილიკს დაადგნენ. მათ წინ, თხემზე, მუქად მოჩანდა მკრთალი ცის ფონზე გოლიათივით გადმომდგარი ციხის ნანგრევები.

„წინასწარ ბოდიში უნდა მოგიხადოთ, - თქვა ბ-ნმა ო’ტულმა, - ციხესიმაგრის მდგომარეობის გამო. ეს უბადრუკი ადგილია, სადაც სიცივე გამეფებულა და ყოველგვარი ინფექციისა და სხვა ბევრი უბედურების ბუდე გამხდარა. ქარი უკითხავად გაბატონებულა და ნესტისა და შმორის სუნით აუქოთებია იქაურობა. ვერ გამიგია, თქვენ, ადამიანებმა, როცა ეს ციხესიმაგრე ჩვენთვის ააგეთ, რატომ არ იზრუნეთ მის სიმტკიცესა და მყუდროებაზე. რადგან ჩვენ უწინ ნანგრევებში ვცხოვრობდით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვერ შევიფერებდით კომფორტსა და კეთილდღეობას.

ნანგრევებში ვცხოვრობდით, მართალია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საუკეთესო იყო მათ შორის, რაც ღარიბმა ევროპამ შემოგვთავაზა.“ ის ჰაერის ჩასასუნთქად შეჩერდა, შემდეგ კვლავ განაგრძო:

„კარგად მახსოვს, ორი ათასი ან უფრო მეტი წლის წინ, სულ ახალაგებულ ციხესიმაგრეებში ვცხოვრობდით, მართალია, ხარისხით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ იმ დროს ტლანქი ადამიანები მეტის აგებას ვერც ახერხებდნენ. მოუქნელები იყვნენ და არც შესაფერისი იარაღი ჰქონდათ, არანაირი ტექნიკა, უმწეო რასა იყო მაშინ ადამიანებისა. ჩვენ გვაიძულებდნენ, დავმალულიყავით ციხესიმაგრის შორეულ კუნჭულებსა და ნაპრალებში იმიტომ, რომ გონებაჩლუნგებს ჩვენი ეშინოდათ და ვერ გვიტანდნენ, თავიანთი უვიცობიდან გამომდინარე, და ცდილობდნენ, ჩვენგან თავი, თავიანთი ჭკუით, უძლიერესი შელოცვებით დაეცვათ. მიუხედავად ამისა, - თქვა მან ერთგვარი კმაყოფილებით, - მაშინდელი ადამიანები რიგიანად ვერც კი ერკვეოდნენ შელოცვებში. ჩვენ, სულ იოლად, დიდი ძალისხმევის გარეშე ვჯობნიდით მათ მაგიას.“

„ორი ათასი წლის წინ? - იკითხა ჩერჩილმა, - იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ...“ მაქსველმა თავის სწრაფი მოძრაობით ანიშნა, გაჩუმებულიყო.

ბ-ნი ო’ტული ბილიკზე შეჩერდა და განმგმირავი მზერა ესროლა ჩერჩილს.

„მე მახსენდება, - განაგრძო მან, - როცა ბარბაროსები პირველად თავხედურად შემოიჭრნენ იმ ჭაობიანი ტყეებიდან, რასაც ახლა თქვენ ცენტრალურ ევროპას უწოდებთ, და რკინის ტლანქი ხმლების ჟღრიალით თავად რომის მისადგომებამდე მოვიდნენ. ამის შესახებ ამბავმა ჩვენამდეც მოაღწია ტყის სიღრმეებში, სადაც მაშინ ვცხოვრობდით, იქ ჩვენ გარდა კიდევ სხვებიც იყვნენ, ახლა უკვე დიდი ხნის გარდაცვლილები, რომლებმაც ტერმოპილებთან ბრძოლის ამბავი სულ რამდენიმე კვირაში გაიგეს.“

„ვწუხვარ, - უთხარა მაქსველმა, - ყველა კარგად არ იცნობს პატარა რასის...“

„გთხოვთ, - მიუგო ო’ტულმა, - თუ ასეა, თქვენ აუხსენით.“

„მართალია, - მოიუბრუნდა მაქსველი ჩერჩილს, - ან შესაძლებელია, რომ სიმართლე იყოს. უკვდავნი არ არიან იმიტომ, რომ გარკვეული დროის მერე იხოცებიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაზე ხანგრძლივად ცხოვრობენ, ვისაც კი ვიცნობთ. შობადობა ცოტაა, ძალიან ცოტა, ასე რომ არ იყოს, მაშინ დედამიწაზე მათთვის ადგილიც არ იქნებოდა. მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი მეტისმეტად ხანდაზმულ ასაკამდე ცხოვრობენ.“

„ესეა, - თქვა ო’ტულმა, - იმიტომ, რომ ჩვენ ვცდილობთ, გულის სიღრმემდე ჩავწვდეთ ბუნებას და უქმად არ გავფლანგოთ ჩვენი სულის სასიცოცხლო ძალები ისეთ უმნიშვნელო წვრილმანებზე, რომლებიც დაუნდობლად უთხრიან ძირს ადამიანთა სიცოცხლესა და იმედებს.“

„ეს, - თქვა მან, - მოსაწყენი თემაა, რომელზეც ასეთი მშვენიერი შემოდგომის დღის დაკარგვა არ ღირს. ჯობია, საუცხოო ქაფიან ლუდზე ვიფიქროთ, რომელიც ზემოთ, მთაზე გველოდება.“ ის გაირინდა და ისევ ბილიკს მიუბრუნდა, ოღონდ ამჯერად უფრო სწრაფი ნაბიჯით განაგრძო სიარული, ვიდრე მანამდე.

ზემოდან, მათი მიმართულებით, პატარა გობლინი მოიჩქაროდა. მის ფერად და საკმაოდ დიდი ზომის პერანგს ქარი დროშასავით აფრიალებდა.

„ლუდი! - დაიყვირა მან, - ლუდი!“ და უცბად შეჩერდა სამი კაცის წინ, ბილიკს მძიმედ რომ მოუყვებოდნენ.

„რა დაემართა ლუდს? - ხვნეშით ჰკითხა ო’ტულმა. - არ გაბედო იმის თქმა, რომ დააგემოვნეთ.“

„ამჟავდა, - ზლუქუნით მიუგო პატარა გობლინმა, მთლიანად, ეს მაგიური სასმელი აგვიმჟავდა.“

„ვის გაუგია ლუდის ამჟავება?“ - აღშფოთდა მაქსველი და მომხდარი ტრაგედიის მთელი სურათი თვალწინ წარმოუდგა.

ბ-ნი ო’ტული გაშმაგებისგან ადგილზე შეხტა. სიბრაზისგან სახეზე ყავისფერმა, წითელმა და მეწამულმა ფერებმა გადაურბინა. ძლივსღა სუნთქავდა, თითქოს სული ეხუთებაო.

„ჯანდაბა, - გაჰყვიროდა იგი, - ეს მხოლოდ მაგიის დახმარებით მოხდებოდა!“ ის შემობრუნდა და სწრაფად დაეშვა თავქვე ბილიკზე, პატარა გობლინი კვალდაკვალ აედევნა.

„გამიშვით იმ ბინძურ ტროლებთან! - გაჰყვიროდა ბ-ნი ო’ტული, - ყელში ჩავაფრინდები იმ გაუმაძღრებს. ვერსად დამემალებიან, მიწიდანაც კი ამოვთხრი ჩემი ორი ხელით და მზეზე დავკიდებ გასახმობად. ერთიანად გავატყავებ. ჭკუას ვასწავლი

ერთხელ და სამუდამოდ...“ მისი ღრიალი, რომელშიც უხამსი სიტყვები უხვად ერია, თანდათან სულ უფრო და უფრო შორიდან ისმოდა, ის სწრაფად მიუყვებოდა ქვემოთ ბილიკს ხიდისკენ, რომლის ქვეშაც ტროლები ბუდობდნენ.

ორი ადამიანი იდგა და მას გასცქეროდა გაოცებითა და ინტერესით. ასეთ ტრაგედიას ისინი ჯერ არასდროს შესწრებოდნენ.

„ჰოო, - თქვა ჩერჩილმა, - მასთან ერთად ჩვენი შესანიშნავი ოქტრომბრის ლუდის დალევის შანსიც დაიკარგა.“

თავი 4

საათმა მიუზიკ-ჰოლში ექვსჯერ ჩამოკრა. ამ დროისთვის მაქსველს უკვე კამპუსის გარეუბნისთვის მიეღწია. ის აეროპორტიდან ერთ-ერთ ყველაზე ნელა მოძრავ საგარეუბნო ხაზს გამოჰყვა. ჩერჩილმა სხვა ხაზი არჩია და მაქსველი ამით კმაყოფილი იყო. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს კაცი მასში არანაირ ნდობას არ იმსახურებდა, კიდევ იმიტომ, რომ მარტო ყოფნა უნდოდა. მას ნელა მგზავრობა ეწადა, ღია ფანჯრით, სიჩუმეში, იძულებითი დიალოგების გარეშე, რათა დამტკბარიყო რამდენიმე მილზე გადაჭიმული შენობა-ნაგებობებისა და სკვერების ხედებით და იმ შეგრძნებით, რასაც შინ დაბრუნება ჰქვია, ადგილზე, რომელიც ასე ძალიან უყვარდა.

ბინდი ისე ნელ-ნელა ეფინებოდა კამპუსს, როგორც ბოძებული წყალობა, შენობების სილუეტები უფრო კოხტად გამოიყურებოდნენ, სკვერები კი ისეთ ელფერს იძენდნენ, რომანტიკული წიგნებიდან გადმოტანილ პეიზაჟებს მოგაგონებდათ.

სტუდენტთა ჯგუფი სკვერთან ახლოს შეკრებილიყო და ჩუმად საუბრობდა. ჩანთები გადაეკიდათ ან წიგნები იღლიაში ამოეჩარათ. თეთრთმიანი მოხუცი სკამზე ჩამომჯდარიყო და ორ ციყვს მისჩერებოდა, რომლებიც გაზონზე უდარდელად თამაშობდნენ. ორი უცხოპლანეტელი რეპტილია გრეხა-გრეხით ნელა მოსეირნობდა და ერთმანეთთან გაცხოველებით საუბრობდა. ადამიანი სტუდენტი ტროტუარს ჭკვიანი სახით და, ამავდროულად, სტვენით მიუყვებოდა, მისი სტვენის ხმა შენობების მიყრუებულ კუნჭულებში მიძინებულ ექოებს ძილს უფრთხობდა. იგი რეპტილიებს მიუახლოვდა და, სანამ გვერდზე ჩაუვლიდა, სალამის ნიშნად ხელი აუწია. ატყორცნილი ხეები, დიდები და წლოვანები, უკვე იმდენი ხანი იდგნენ როგორც შთამომავლობის ერთგული გუშაგები, რომ დროის სათვალავი არეოდათ. საათმა ჩამოჰკრა და დრო ამცნო ყველას. ზარების რეკვა ისმოდა და მისი წკრიალა ხმა შორს ეფინებოდა არემარეს.

მაქსველს ეჩვენებოდა, რომ საათის სახით მას კამპუსი უთვლიდა სალამს. საათი მეგობარია, - ფიქრობდა იგი – და არა მარტო მისი, არამედ ყველასი, ვისაც ის

მიაწვდენს ხმას, ეს კამპუსის ხმა იყო. სანამ დაიძინებდა, ლოგინში ჩაწოლილი ყოველ ღამე ყურს უგდებდა მის წკრიალს, რომელიც დროის გამოძახილს უფრო აგონებდა და კიდევ უფრო მეტსაც. ის უფრო ღამის გუშაგს ჰგავდა, რომელიც ქვეყანას ამცნობდა - ყველაფერი რიგზეაო.

„დროს“ კოლეჯის ვეებერთელა კორპუსი სიბნელეში ბუნდოვნად მოჩანდა – მაგრამ მაინც ახერხებდა, დაეჩრდილა გზატკეცილი და სკვერი, ეს იყო უზარმაზარი პლასტმასისა და მინის ბლოკების ნაგებობა, რომლის ფანჯრებშიც სინათლე ბჟუტავდა. კომპლექსთან ახლოს მიწაზე მუზეუმი გართხმულიყო. მის მოპირდაპირე მხარეს მაქსველმა ქარში მოფრიალე თეთრი ქსოვილი დაინახა, რომელზეც რაღაც წარწერა გაეკეთებინათ. მანძილის გამო, სიბნელეში მხოლოდ ერთი სიტყვა გაარჩია: შექსპირი.

საკუთარ თავს შეუღრინა, როცა ეს წაიკითხა. ეს ალბათ ინგლისური ენის ლიტერატურათმცოდნეების ოინები იყო.

ბებერ ჩენერის და დანარჩენებსაც უნივერსიტეტისთვის ვერ ეპატიებინათ ორი თუ სამი წლის წინ გაკეთებული აღმოჩენა, რომ ვინმე ოქსფორდელი გრაფი იყო პიესების ავტორი და არა შექსპირი. ახლა ამ ადამიანის პიროვნული გამოჩენა სტრედფორდ-ონ-ეივონიდან, შეუხორცებელ ჭრილობაზე მარილის დაყრას უფრო წააგავდა.

მოშორებით, გორაკზე, კამპუსის დასავლეთით, მაქსველმა ადმინისტრაციის კორპუსი გაარჩია, რომელიც დასავლურ ღია წითელ ცაზე გრავიურასავით გამოკვეთილიყო. სამგზავრო ხაზი გრძელდებოდა, გვერდზე ჩაუარა „დროს“ კოლეჯსა და მიწაზე გართხმულ მუზეუმს. საათმა რეკვა შეწყვიტა, ის დროს უკვე აღარ იუწყებოდა და უკანასკნელი ბგერები მანძილთან ერთად იკარგებოდა.

ექვსი საათი იყო. კიდევ რამდენიმე წუთი და ტრანსპორტიდან გადმოვიდოდა და პირდაპირ ვინსტონ არმსისკენ გაეშურებოდა, - თავისი სახლისკენ ბოლო ოთხი, არა, ხუთი წლის განმავლობაში. ხელი ქურთუკის მარჯვენა ჯიბეში ჩაიყო და ნაკეცებში ჩამალული პატარა რგოლზე წამოცმული გასაღებების ასხმულა მოძებნა.

ახლა, პირველად მას მერე, რაც ვისკონსინის სადგური დატოვა, კვლავ ამოუტივტივდა მეხსიერებაში მეორე პიტერ მაქსველის ამბავი. სინამდვილეს ჰგავდა, თუმცა რეალობიდან შორს იყო. შესაძლებელია, უსაფრთხოების ოფიცერმა შეთითხნა მის გამოსატეხად. მაგრამ თუ ეს სიმართლე არ იყო, მაშინ რატომ არ მოვიდა კუნსკინიდან შეტყობინება მგზავრის გაუჩინარების შესახებ? ასევე გაახსენდა ინსპექტორ დრეიტონის ნათქვამი და კიდევ ის, რომ ანალოგიური შემთხვევა უკვე ორჯერ მოხდა. თუ პირველი ისტორია დრეიტონმა გამოიგონა, მეორე ორი შემთხვევის ავტორიც იგი შეიძლება ყოფილიყო. თუ ის ორიც კრისტალურმა პლანეტამ აიყვანა, რა თქმა უნდა, მას ამის შესახებ არაფერს ეტყოდნენ, როცა იქ

იმყოფებოდა. უეჭველია, კრისტალური პლანეტის ხალხმა მას მხოლოდ ის გაანდო, რაც უნდა სცოდნოდა.

მაგრამ მას სხვა რამე უფრო ადარდებდა, ვიდრე დრეიტონის ნათქვამი, ეს იყო - რაც ო'ტულმა უთხრა: ჩვენ გვირგვინი დავწანით ფიტრისა და ბაძგისგან და ამით ჩვენი დიდი სინანული გამოვხატეთ. მოვლენები რომ სხვაგვარად წარმართულიყო, ამის შესახებ თავის მეგობარ გობლინს აუცილებლად დაელაპარაკებოდა, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, მოვლენები როგორც განვითარდა, მათ არანაირი შანსი არ დარჩათ, თუნდაც რამეზე ესაუბრათ.

ეს ყველაფერი დაიცდის, - დაიმშვიდა თავი. სულ ცოტა ხანში, როცა სახლამდე მიაღწევს, აიღებს ყურმილს, დარეკავს ვინმესთან და სიმართლესაც მალე გაარკვევს. ვის დაურეკოს? - ჩაფიქრდა, - ჰარლოუ შარპს უნივერსიტეტში თუ დალას გრეგს, მისი ფაკულტეტის დეკანს, თუ ქსიგმუ მაონ ტაიერს, ბებერ ერიდანიელს, თოვლივით ქათქათა ქურქითა და ღრმად ჩამჯდარი ცისფერი თვალებით, რომელსაც ცხოვრების მრავალი წელი თავის ციცქნა კუბის ფორმის ოთახში მითების სტრუქტურაზე ანალიზების წერაში გაეტარებინა. იქნებ ალენ პრესტონს დაურეკოს, რომელიც მისი მეგობარიც გახლდათ და ადვოკატიც. პრესტონი მართლაც რომ კარგი ვარიანტი იყო, რაც დრეიტონმა უთხრა თუ სიმართლეა, მაშინ გარკვეული იურიდიული საკითხებიც იქნებოდა მოსაგვარებელი.

მოუთმენლობით შეპყრობილმა საკუთარ თავს შეუბღვირა. მას უკვე სჯეროდა ან იწყებდა დაჯერებას. ასე თუ გაგრძელდებოდა, მალე იმასაც დაიჯერებდა, რომ ეს ყოველივე, შესაძლებელია, სიმართლე ყოფილიყო.

ვინსტონ არმსი გამოჩნდა ქუჩის ბოლოში და ისიც ადგილიდან წამოდგა, სამგზავრო ჩანთა მოიმარჯვა და მოზოზინე ხაზიდან ჩამოსასვლელად მოემზადა. ჩამოქვეითდა, როგორც კი ვინსტონ არმსს, გაუსწორდა.

ირგვლივ არავინ ჩანდა. ფართო ქვის კიბეს შეუდგა და მალე ფოიეში აღმოჩნდა. ჯიბეში ხელი მოაფათურა და გასაღების ასხმა ამოიღო. მოძებნა საჭირო გასაღები და წინკარი გააღო. ლიფტი იცდიდა. შევიდა და მეშვიდე სართულის ღილაკს მიაჭირა. გასაღები ადვილად შესრიალდა ბინის საკეტში, რბილად გადატრიალდა და კარი გაიღო. ჩაბნელებულ ოთახში შეაბიჯა. ზურგს უკან კარი თავისით მიიხურა და საკეტით ჩაიკეტა. მაქსველმა ხელი პანელისკენ გაიშვირა სინათლის ასანთებად. მაგრამ ღილაკზე დასაჭერად გამზადებული ხელი ჰაერში გაუშეშდა. რაღაც ვერ იყო რიგზე - გრძნობა, რაღაცის შეგრძნება, ალბათ რაღაც სუნიც კი, ნამდვილად – სუნი.

მსუბუქი, მაგრამ ნაზი სუნამოს სურნელი იდგა.

მან ხელი დასცხო ჩამრთველს და სინათლეც აინთო.

ოთახი ის აღარ იყო, რაც უწინ. ავეჯი მთლიანად შეეცვალათ. კედელზე მყვირალა ფერებით შესრულებული ნახატები ეკიდა, მას ასეთი სურათები არც არასოდეს ჰქონია და არც ექნებოდა! მის ზურგს უკან საკეტმა ისევ დაიტკაცუნა, ის შემობრუნდა. კარი ფართოდ გაიღო და მახვილკბილა არსება შემოიძურწა.

მაქსველის დანახვაზე, დიდი კატა ჩაიჩოქა და კნავილი დაიწყო, თან ექვსი დუიმის ტოლა კბილები სააშკარაოზე გამოიტანა.

მაქსველმა ფრთხილად დაიხია უკან, კატა კნავილითა და ხოხვა-ხოხვით უახლოვდებოდა. მაქსველმა ერთი ნაბიჯის უკან გადადგმა კიდევ სცადა, მაგრამ რაღაცის კუთხეს დაეჯახა. გვერდის ავლა უნდოდა, მაგრამ - უშედეგოდ.

გრძნობდა, რომ სადაცაა, წაიქცეოდა. დაინახა, რომ აქ პუფი იდგა, უნდა ხსომებოდა ამის შესახებ, მაგრამ რაღაც არ აგონდებოდა, თუ როდის დადგა ეს პუფი აქ. ახლა ასე უკანუკან სვლით წამოადგა მას. ის ცდილობდა, თავი შეემზადებინა, რომ მისი იატაკზე დაცემა ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო, მაგრამ იატაკზე არ დაცემულა.

მისი ზურგი რბილ ზედაპირს შეეხო და მიხვდა, რომ დივანზე დაეცა, რომელიც პუფის უკან დაედგათ.

კატა უკვე ჰაერს მოაპობდა გრაციოზული ნახტომით, ყურები უკან გადაეწყო, პირი ოდნავ დაეღო, უზარმაზარი ბრჭყალები გამოეჩინა, ეს მის საბრძოლო მზადყოფნაზე მეტყველებდა. მაქსველმა სწრაფად მაღლა ასწია ხელები თავდასაცავად, მაგრამ უეცრად ისინი გვერდზე გადაყირავდნენ, უზარმაზარი თათები მკერდზე მიებჯინა და დივანზე მიალურსმნა. უზარმაზარი კატის თავი, ელვარე ეშვებით, ზუსტად მის სახეს დაჰყურებდა. ნელა, ნაზად, კატამ თავი დახარა და გრძელი, მაგრამ ვარდისფერი და ხაოიანი ენა გამოყო და მაქსველს აუსვა სახეზე.

კატამ კრუტუნი დაიწყო.

„სილვესტერ! - ზღურბლიდან მოისმა ხმა. - სილვესტერ, შეწყვიტე ახლავე!“ კატამ კიდევ ერთხელ აუსვა ხაოიანი, მაგრამ ნოტიო ენა მაქსველს სახეზე და უკანა ფეხებზე ჩამოჯდა ნაწყენი და ყურებდაცქვეტილი, მაგრამ მაქსველს მაინც მეგობრულად და დიდი ინტერესით შესცქეროდა.

მაქსველმა წამოსაჯდომად გაიბრძოლა, ზურგი პატარა ბალიშებს მიაბჯინა და მხრები დივანის საზურგეს მიადო.

„ვინ ბრძანდებით?“- იკითხა გოგონამ, რომელიც ჯერ ისევ ზღურბლზე იდგა.

„ვინ, მე?...“

„ალბათ შეგეშინდათ,“ - თქვა მან.

სილვესტერი ხმამაღლა კრუტუნებდა.

„მაპატიეთ, ქალბატონო, - მიუგო მაქსველმა, - მაგრამ მე აქ ვცხოვრობ. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო. ეს შვიდას ოცდამეერთე ბინაა, არა?“

„კი ესეა, - უპასუხა გოგონამ. - მე ეს ბინა ერთი კვირის წინ დავიქირავე.“ მაქსველმა თავი გააქნია.

„უნდა მიმხვდარიყავი, - თქვა მან - ავეჯი სულ შეცვლილია.“

„მე ვთხოვე სახლის პატრონს, ყველაფერი გადაეყარა, მიუგო მან. - საზიზღრობა იყო.“

„ნება მომეცით გავიხსენო, - უთხრა მაქსველმა, - ძველი მწვანე ფერის ავეჯი, ხმარებისგან გაცვეთილი...“

„კაკლის ხის კაბინეტი, - დაუმატა გოგონამ, - და საზარელი სადგამი...“ მაქსველმა ხელი ასწია გაღიზიანებით.

„საკმარისია, უთხრა მან, - თქვენ რაც გადაყარეთ, ჩემი ნივთები იყო.“

„ვერაფერი გავიგე, - თქვა გოგონამ, - სახლის პატრონმა თქვა, რომ წინა მაცხოვრებელი გარდაიცვალა, რაღაც უბედური შემთხვევით, ასე მახსოვს.“ მაქსველი ფეხზე ნელა წამოდგა. დიდი კატაც წამოდგა, მასთან ახლოს მოიწია და ფეხებზე ლაქუცი დაუწყო.

„შეწყვიტე, სილვესტერ!“ - დაუძახა გოგონამ.

სილვესტერი მოფერებას აგრძელებდა.

„ყურადღებას ნუ მიაქცევთ, - სთხოვა გოგონამ. - ის პატარა ბავშვივითაა.“

„ბიომეხია?“

გოგონამ თავი დაუქნია.

„ძალიან საყვარელი არსებაა. ყველგან თან დამყვება. იშვიათად არის ცუდ ხასიათზე. არ მესმის, რა დაემართა. მგონი, ძალიან მოეწონეთ.“ ის კატას შესცქეროდა, მაგრამ ახლა მზერა მასზე გადმოიტანა.

„ცუდად ხართ?“ - შეეკითხა ის.

მაქსველმა თავი გააქნია.

„სახეზე ფერი არ გადევთ.“

„ცოტათი შოკირებული ვარ, - მიუგო გოგონას, - ალბათ ამის ბრალია. რაც გითხარით, სიმართლე იყო. მე აქ ვცხოვრობდი რამდენიმე კვირის წინ. რაღაც გაუგებრობა მოხდა უბრალოდ...“

„დაბრძანდით, - მიმართა მან. - დალევთ რამეს?“

„ალბათ კი, - დაეთანხმა შეთავაზებას, - მე პიტერ მაქსველი მქვია და მე ვარ წევრი...“

„დაიცადეთ. თქვენ მაქსველი ხართ? პიტერ მაქსველი. მე თქვენ მახსოვხართ. ეს სახელი...“

„დიახ, ვიცი, - დაუდასტურა მაქსველმა, - ერქვა კაცს, რომელიც დაიღუპა.“ ის ფრთხილად ჩამოჯდა დივანზე.

„რამე დასალევს მოვიტან,“ - უთხრა გოგონამ.

სილვესტერი უფრო ახლოს მიხოხდა და უზარმაზარი თავი მაქსველს მუხლზე ნაზად დაადო. მაქსველმა ყურის უკან ხელი გადაუსვა და სილვესტერმაც, მოწონების ნიშნად, ხმამაღალი კრუტუნით უპასუხა.

გოგონა დაბრუნდა სასმელით ხელში და მის გვერდით ჩამოჯდა.

„ჯერ კიდევ ვერ გამიგია, - თქვა მან, - თუ თქვენ ის კაცი ხართ, რომელიც...“

„ყველაფერი, - მიუგო მაქსველმა, - მეტისმეტად ჩახლართულია.“

„უნდა ვაღიარო, რომ ამ ამბავს კარგად უმკლავდებით, ცოტათი შეძრწუნებული ჩანხართ, მაგრამ თავი ყოჩაღად გიჭირავთ.“

„საქმე იმაშია, რომ, - დაიწყო მაქსველმა, - ამ ყოველივეს შესახებ მე ნაწილობრივ საქმის კურსში ვიყავი. მითხრეს, მაგრამ ბოლომდე არ დავიჯერე. ალბათ სიმართლე ისაა, რომ არ მინდოდა ამის დაჯერება.“ მან ჭიქა ასწია.

„თქვენ არ სვამთ?“

„თქვენ თუ თავს კარგად გრძნობთ, მაშინ ჩემთვისაც მოვიტან დასალევს.“

„კარგად ვარ, - უპასუხა მაქსველმა. - თავს გავართმევ როგორმე“.

მან გოგონას შეხედა და მხოლოდ ახლა, პირველად დააკვირდა. სწორი, მოწესრიგებული, მოკლედ შეკრეჭილი შავი თმა, გრძელი წამწამები, მაღალი ყვრიმალები და მოღიმარი თვალები ჰქონდა.

„რა გქვიათ?“ - ჰკითხა მას.

„მე კეროლ ჰამპტონი ვარ. ისტორიკოსი „დროში“.

„მის ჰამპტონ, - მიმართა მას, - ბოდიშს გიხდით აქ შექმნილი სიტუაციისთვის. მე ექსპედიციაში ვიყავი წასული სხვა პლანეტაზე. ახლახან დავბრუნდი. გასაღები მქონდა, რადგანაც აქ ვცხოვრობდი, და ის კარს მოერგო...“

„ახსნა-განმარტება საჭირო არ არის,“ - მიუგო გოგონამ.

„ვფიქრობ, ჩემი წასვლის დროა, მადლობა სასმელისთვის. აი თუ...“

„თუ რა?“

„თუ წინააღმდეგი არ ხართ, იქნებ ერთად გვევახშმა. ასე ვთქვათ, მინდა მადლობა გადაგიხადოთ გაგებისთვის. შეგეძლოთ, პანიკა აგეტეხათ.“

„ნუთუ ეს ყველაფერი გაითამაშეთ! - თქვა გოგონამ. თუ თქვენ...“

„შეუძლებელია, - უპასუხა მაქსველმა, - სულელი უნდა ვიყო, რომ ამდენი რამე შემეთხზა, ან საიდან უნდა მქონოდა გასაღები?“ გოგონამ ერთხანს უცქირა და მერე უთხრა:

„მაპატიეთ, სულელურად მომივიდა. წამოვალ, მაგრამ სილვესტერიც უნდა წავიყვანოთ. მას მარტო ვერ დავტოვებ.“

„რას ბრძანებთ, - თქვა მაქსველმა, - მისი დატოვება არც მიფიქრია. მე და ის უკვე დავმეგობრდით.“

„მისი წამოსვლა ერთ სტეიკად დაგიჯდებათ, გაფრთხილება სცადა კეროლმა. - ის ყოველთვის მშიერია და არაფერს ჭამს, კარგი სტეიკის გარდა. სტეიკი დიდი უნდა იყოს და ცოტა უმიც.“

თავი 5

„გოჭსა და სტვირში“ ბნელოდა, ხმაურითა და კვამლით იყო გაჯერებული იქაურობა. მაგიდები ერთად დაეხვავებინათ და მხოლოდ ვიწრო გასასვლელი დაეტოვებინათ მათ შორის. სანთლის შუქი ციცინათელასავით ბჟუტავდა. ერთდროულად მოლაპარაკე ხმების ზუზუნი ჭერამდე ავსებდა ისედაც დაბალ ოთახს.

მაქსველი შეჩერდა და მიმოიხედა, ცდილობდა, ცარიელი მაგიდა აღმოეჩინა. ისიც კი გაიფიქრა, ხომ არ აჯობებდა, სადმე სხვაგან წასულიყვნენ, მაგრამ მას აქ უნდოდა ესადილა, რადგანაც ეს იყო სტუდენტებისა და ფაკულტეტის ზოგიერთი წევრის თავმოყრის ადგილი, ის კამპუსის ასოციაციას იწვევდა.

„ალბათ, - უთხრა მან კეროლ ჰემპტონს, - სადმე სხვაგან უნდა წავსულიყავით.“

„მალე ვინმე გამოჩნდება, - თქვა მან, - და თავისუფალ ადგილამდე მიგვაცილებს. აქ ყველა ისეთი მოუცლელი ჩანს. ალბათ პიკის საათია – სილვესტერ, შეწყვიტე!“ მან თავაზიანად მიმართა იმ მაგიდის გარშემო მსხდარ ხალხს, რომლის გვერდითაც ისინი იდგნენ:

„მიუტევეთ, გთხოვთ. კარგი მანერები საერთოდ არა აქვს, განსაკუთრებით მაგიდასთან ჯდომისას. ის ყველაფერს ეპოტინება, რასაც თვალს მოჰკრავს.“ სილვესტერი თათებს ილოკავდა, კმაყოფილი ჩანდა.

„არაფერია, მის, - მიუგო კაცმა გაბურძგნილი წვერით. მე მაინც არ ვაპირებდი ჭამას. სტეიკს იძულების წესით ვუკვეთავ ხოლმე.“ ვიღაცის ხმა გაისმა ოთახის მეორე კუთხიდან:

„პიტერ, პიტერ მაქსველ!“ მაქსველი წყვდიადს მიაშტერდა. შორს, კუთხეში მიდგმული მაგიდიდან ვიღაც ფეხზე წამომდგარიყო და ხელს უქნევდა. მაქსველმა ძლივს გაარჩია. ეს ოლეი უფსი იყო და მის გვერდით თეთრ სუდარაში გახვეული ფიგურა იჯდა, მოჩვენება.

„თქვენი მეგობრები არიან?“ - იკითხა კეროლმა.

„დიახ, უნდათ, რომ მათ შევუერთდეთ. წინააღმდეგი ხომ არ ხართ?“

„ნეანდერტალელია?“ - ისევ იკითხა კეროლმა.

„იცნობთ?“

„არა, მაგრამ ზოგჯერ თვალი მომიკრავს. სიამოვნებით გავიცნობდი. მეორე მოჩვენებაა?“

„ეს ორნი განუყრელნი არიან,“ - თქვა მაქსველმა.

„მოდით, მათთან მივიდეთ.“

„ჩვენ შეგვიძლია მივესალმოთ და მერე სადმე სხვაგან წავიდეთ.“

„არავითარ შემთხვევაში, - მიუგო გოგონამ, - ეს ადგილი ძალიან მომწონს.“

„აქ არასდროს ყოფილხართ?“

„ვერასდროს ვბედავდი,“ უპასუხა მან.

„ნება მომეცით, გაგიძღვეთ,“ - უთხრა მაქსველმა.

ის ნელა მიიკვლევდა გზას მაგიდებს შორის, კვალდაკვალ გოგონა და კატა მიჰყვებოდნენ.

ოლეი უფსი მუჯლუგუნებით მოარღვევდა გზას მწკრივებს შორის მათ შესახვედრად. ხელები ძლიერად შემოხვია და გადაეფსკვნა. შემდეგ მხრებში წაავლო ხელი, მკლავის სიგრძეზე უკან გაწია და სახეში ჩააცქერდა.

„ეს შენ ხარ, ჩემო ძველო მეგობარო? - იკითხა მან. - ხომ არ გვასულელებ?“

„მე ვარ, პიტერი, - მიუგო მაქსველმა, - შენ ვინ გგონივარ?“

„მაშინ გამაგებინე, - უპასუხა უფსმა, - ვინ დავმარხეთ სამი კვირის წინ, ხუთშაბათს? ორივე, მეც და მოჩვენებაც, იქ ვიყავით. ოცი დოლარი ვალი გაქვს, თუ ესეა, იმ ყვავილებისთვის, შენთვის რომ ვიყიდეთ. ზუსტად მაგდენი დაგვიჯდა.“

„მოდი, ჩამოვჯდეთ,“ - უთხრა მაქსველმა.

„ვშიშობ, აქ არ დაგვაცდიან, - თქვა უფსმა. - ამ ადგილას სულ აურზაურია. ყოველ საათს მუშტი-კრივს მართავენ, ყოველთვის ვიღაც ეჯახება მაგიდას და მერე საუბრით ტვინს ბურღავს.“

„უფს, - თქვა მაქსველმა, - მე ქალბატონი მახლავს და მინდა თავაზიანად და ცივილიზებულად მოიქცეთ. მის კეროლ ჰამპტონი, ეს ვაჟბატონი ოლეი უფსია.“

„მოხარული ვარ თქვენი გაცნობის, მის ჰამპტონ, - უთხრა ოლეი უფსმა, - და ეს რა გყავთ მანდ? ამას რას ვხედავ, მახვილკბილა! ერთ ამბავს მოგიყვებით, ქარბუქის დროს მოხდა, ერთ გამოქვაბულს თავი შევაფარე და ამ დიდ კატას გადავაწყდი სწორედ იქ. თან არაფერი მქონდა, გარდა ბლაგვი ქვის დანისა. ჩემი კომბალი დათვთან შერკინების მერე დავკარგე და...“

„სხვა დროს მოყევი, მეგობარო, - სთხოვა მაქსველმა, ან ნება მოგვეცი, ჯერ ჩამოვჯდეთ. რამეს შევუკვეთავთ, სანამ აქედან გავუგდივართ.“

„პიტ, - მიუგო ოლეი უფსმა, - აქედან გაგდება ძალიან დიდი პატივია და მას დამსახურება უნდა. თუ აქედან მოგისროლეს, შეგიძლია ჩათვალო, რომ სოციალური სტატუსით მკვეთრად მაღლა აიწიე.“ ეს უთხრა, მაგრამ შემობრუნდა და თავის მაგიდისკენ გაუძღვა, კეროლს სკამი შესთავაზა. სილვესტერი მაქსველსა და კეროლს შორის მოკალათდა, ნიკაპი მაგიდაზე ჩამოდო და უფსს მტრულად შეაცქერდა.

„ამ კატას არ მოვწონვარ, - განაცხადა უფსმა. - ალბათ იცის, რომ ბევრი მისი წინაპარი გამისტუმრებია იმ ქვეყნად ჯერ კიდევ ქვის ხანაში.“

„ის ბიომეხია, - უთხრა კეროლმა. - არა მგონია, ახსოვდეს.“

„არც ერთი სიტყვა არ მჯერა, - თქვა უფსმა. - ეს ქმნილება ბიომეხი ვერ იქნება, მის თვალებშიც იგივე სივერაგეს ვხედავ, რაც ყველა მახვილკბილასთვისაა ასე დამახასიათებელი.“

„გთხოვ, უფს, - მიმართა მაქსველმა, - ერთი წუთით გაჩერდი. მის ჰამპტონ, ეს ჯენტლმენი მოჩვენება გახლავთ, ჩემი ძველი მეგობარი.“

„მოხარული ვარ თქვენი გაცნობის, ბ-ნო მოჩვენება,“ თავაზიანად უთხრა კეროლმა.

„ბატონობით ნუ მომართავთ, - სთხოვა მოჩვენებამ. უბრალოდ მოჩვენება დამიძახეთ. უბედურება კი ისაა, რომ არ ვიცი, ვისი აჩრდილი ვარ. მეც მოხარული ვარ თქვენი

გაცნობის. კარგია, როცა ოთხნი ვუზივართ მაგიდას გარშემო. რაღაც სიამოვნებისა და ბალანსის შეგრძნებას მაძლევს რიცხვი ოთხი.“

„ახლა, - თქვა უფსმა, - რადგანაც უკვე ვიცნობთ ერთმანეთს, საქმეზე გადავიდეთ. რამე დასალევი შევუკვეთოთ. მოსაწყენია ადამიანისთვის მარტო დალევა. რა თქმა უნდა, მე ძალიან ვაფასებ მოჩვენებას, მისი გაწონასწორებული ხასიათის გამო, მაგრამ არ მიყვარს ადამიანი, რომელიც უარს ამბობს სასმელზე.“

„შენ კარგად იცი, რომ მე არ ვსვამ, - მიუგო მოჩვენებამ, - და არც ვჭამ. არც ვეწევი. არც ისე ბევრი რამის გაკეთება შეუძლია მოჩვენებას. კარგი იქნება, თუ ამას ყოველთვის ხაზს არ გაუსვამ, როცა კი ვინმეს ვხვდებით ხოლმე.“ უფსმა კეროლს მიმართა:

„თქვენ ალბათ გაკვირვებული ბრძანდებით, რომ ისეთი ნეანდერტალელი ბარბაროსი, როგორიც მე ვარ, კარგად ვართმევ თავს საუბარს.“

„გაკვირვებული არა, - მიუგო კეროლმა, - გაოცებული.“

„უფსმა, - აუხსნა მას მაქსველმა, - ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში იმაზე მეტი ცოდნა შეიძინა, ვიდრე ყველა დანარჩენმა ჩვეულებრივმა ადამიანმა. ფაქტობრივად, საბავშვო ბაღიდან დაიწყო და ახლა სადოქტორო ნაშრომზე მუშაობს. კარგი ამაში ისაა, რომ ასე გაგრძელებას აპირებს.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ჩვენი ერთ-ერთი წარჩინებული პროფესიონალი სტუდენტთაგანია.“ უფსმა ხელი მაღლა ასწია, დაიქნია და მიმტანისკენ შებრუნდა.

„აქეთ, - დაიღრიალა მან, - აქ ხალხი წყურვილისგან ვიხრჩობით, მოგვხედეთ!“

„მის მორცხვ, თავშეკავებულ ბუნებას აღტაცებაში მოვყავარ, - თქვა მოჩვენებამ.“

„სწავლას ვაგრძელებ, - დაიწყო უფსმა, - არა იმიტომ, რომ ცოდნას ვარ მოწყურებული, უფრო იმიტომ, გაბღენძილი პროფესორებისა და მათი ბრიყვი სტუდენტების სახეზე აღბეჭდილი გაოცების დანახვა მსიამოვნებს. იცი რა, მაქსველს მიუბრუნდა, - ყველა პროფესორი, რომელსაც აქამდე შევხვედრივარ, თავდაჯერებული არარაობაა.“

„დიდი მადლობა,“ - მიუგო მაქსველმა.

„ეს მხოლოდ მათ ეხება, ვინც ფიქრობს, რომ ჰომო საპიენს ნეანდერტალელები სხვა არაფერი არიან, თუ არა უტვინო მხეცები, - აუხსნა უფსმა. - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გადაშენდა როგორც რასა, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ის მეორეხარისხოვანი იყო. ვფიქრობ, მთელ ჩემს ცხოვრებას მივუძღვნი იმის მტკიცებას, რომ...“ მიმტანი უფსს მიუახლოვდა.

„ეს ისევ თქვენ ხართ, უთხრა მან, - უნდა მივმხვდარიყავი, როცა დამიღრიალეთ! აღზრდა გაკლიათ, უფს.“

„სტუმარი მყავს, - მიუგო უფსმა და შეურაცხყოფას ყურადღებაც კი არ მიაქცია, - ადამიანი, რომელიც მკვდრეთით აღსდგა. ვფიქრობ, მისი აღდგომა აღნიშვნის ღირსია მეგობრების წრეში და თანაც დიდი ზარ-ზეიმით.“

„როგორც უკვე მივხვდი, ისევ დასალევს მოითხოვთ.“

„იცი, - მიმართა უფსმა, - ერთი ბოთლი სასმელი მოგვიტანე ყინულით და ოთხი, არა, სამი ჭიქა. მოჩვენება არ სვამს, შენც კარგად იცი.“

„ვიცი,“ - მიუგო მიმტანმა.

„სულ ეს არის, - უთხრა უფსმა, - მის ჰამპტონ, რამე რბილ სასმელს ხომ არ ინებებდით?“

„ვინ, მე? - იკითხა კეროლმა, - და გამოვეყო ამ კომპანიას? თქვენ რას მიირთმევთ?“

„ბურბონს, - მიუგო უფსმა. - მე და პიტი სიამოვნებით მივირთმევთ ლიქიორს.“

„მაშინ მეც ბურბონს ავიღებ,“ - თქვა კეროლმა.

„მიღებულია, - თქვა მიმტანმა, - ოღონდ, როცა მე აქ ბოთლს მოვიტან, თქვენ ნაღდი ფული მზად უნდა გქონდეთ გადასახდელად. მახსენდება დრო...“

„თუ რამე დამაკლდა, - აღნიშნა უფსმა, - ბებერი პიტი დაამატებს.“

„პიტი? - მიმტანმა მაქსველს შეხედა, - პროფესორო! წამოიძახა მან. - მე ყური მოვკარი, რომ თქვენ...“

„აი სწორედ ამის ახსნას ვცდილობდი შენთვის, - უთხრა უფსმა. - სწორედ ამას აღვნიშნავთ ახლა. ის მკვდრეთით აღსდგა.“

„ვერაფერი გავიგე.“

„არც არის საჭირო, - მიუგო უფსმა. - მხოლოდ სასმელი მოგვიტანე.“ მიმტანი ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

„ახლა კი, - მიუბრუნდა მაქსველს მოჩვენება, - გთხოვ, გვითხარი, ვინ ხარ. მოჩვენება აშკარად არ ხარ, ან თუ ხარ, მაშინ დიდი პროცედურული გაუმჯობესება მომხდარა იმის შემდეგ, რაც ადამიანმა, ვისი აჩრდილიც მე ვარ, თავისი მოკვდავი სხეული დატოვა.“

„როგორც ვატყობ, - უთხრა მათ მაქსველმა, - მე გავორდი. ერთი მე, როგორც მივხვდი, ავარიაში მოყვა და დაიღუპა.“

„მაგრამ ეს შეუძლებელია, - თქვა კეროლმა. - მენტალური გაორება, კიდევ ჰო, გასაგებია. მაგრამ ფიზიკური...“

„არაფერია შეუძლებელი ცასა და მიწაზე“ - წამოიძახა მოჩვენებამ.

„ეს შეუფერებელი ციტატაა, - მიუგო უფსმა, - გარდა ამისა, შენ არასწორად მოახდინე მისი ციტირება.“ მან ხელი ბანჯგვლიან მკერდზე დაიდო და კოტიტა თითებით ენერგიულად მოიქექა.

„ასე შეშინებული ნუ მიყურებთ, - მიმართა მან კეროლს. - მექავება. მე ბუნების ველური შვილი ვარ, აქედან გამომდინარე, ქავილის უფლება მაქვს. თანაც შიშველი ხომ არ ვარ. შორტები მაცვია.“

„ის უკვე მოთვინიერებულია, - თქვა მაქსველმა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ.“

„მოდით, ისევ თქვენს გაორებას დავუბრუნდეთ, მიმართა გოგონამ, - შეგიძლიათ მოგვიყვეთ, ზუსტად რა მოხდა?“

„მე გავემგზავრე კუნსკინის სისტემის ერთ-ერთ პლანეტაზე, - თხრობა დაიწყო მაქსველმა, - მაგრამ გზად, როგორღაც ჩემი ტალღური სტრუქტურის დუბლირება მოხდა და მე ერთდროულად ორ ადგილას აღმოვჩნდი.“

„იმის თქმა გინდა, რომ არსებობდა ორი პიტერ მაქსველი?“

„ზუსტად ეგრე იყო.“

„მე რომ შენს ადგილას ვიყო, - თქვა უფსმა, ვიჩივლებდი. ტრანსპორტის ხალხი მკვლელობაშია დამნაშავე. ამისთვის შეგიძლია საკმაოდ ბევრიც დააყრევინო. მე და მოჩვენება მოწმეებად დაგიდგებით. ჩვენ შენს დაკრძალვას ვესწრებოდით. ეგ კი არა და, - განაგრძო მან, - მე და მოჩვენებამაც შეგვიძლია ვუჩივლოთ, მორალური ზარალის ანაზღაურებაც მოვითხოვოთ. ჩვენი საუკეთესო მეგობარი დავინახეთ გაყინული და გაშეშებული სასახლეში და განადგურებულები ვიყავით მწუხარებისგან.“

„მართლა ცუდად ვიყავით,“ - თქვა მოჩვენებამ.

„ეჭვიც არ მეპარება ამაში,“ - მიუგო მაქსველმა.

„უნდა ვაღიარო, - თქვა კეროლმა, - სამივე მსუბუქად ეკიდებით ამ საქმეს. ერთი თქვენი საუკეთესო მეგობარი...“

„რა გინდა ჩვენგან? - ჩაეძია უფსი. - ალილულია რომ ვიმღეროთ ალბათ, ჰო? თუ თვალები გადმოვკარკლოთ გაოცებისგან? ჩვენ მეგობარი დავკარგეთ, ახლა ისევ დაგვიბრუნდა და...“

„მაგრამ

„ის“ მეორე მკვდარია!“

„ჰო, მაგრამ, - თქვა უფსმა, - რამდენადაც მახსოვს, მე მხოლოდ ერთ

„მას“ ვიცნობდი და ეს შეიძლება კარგიცაა.

წარმოიდგინეთ, რა უხერხული სიტუაცია შეიქნებოდა, ორი

„ის“ რომ ყოფილიყო.“ კეროლი მაქსველს მიუბრუნდა.

„და თქვენ?“ - ჰკითხა მან.

მან თავი გააქნია.

„ერთ ან ორ დღეში ამაზე სერიოზულად დავფიქრდები. ახლა, აზროვნების თავი არ მაქვს. სიმართლე რომ გითხრათ, როცა ამაზე ვფიქრობ, ლაპარაკის უნარს ვკარგავ. მაგრამ ამ საღამოს ლამაზი გოგოს, ჩემი მეგობრების, უზარმაზარი ფისოსა და ბოთლი ლიქიორის საზოგადოებაში ეს არც ისე მადარდებს, თანაც ცოტა მოგვიანებით ვახშამსაც მოგვართმევენ.“ გოგონამ მხრები აიჩეჩა.

„არასოდეს შევხვედრივარ ასეთი გიჟების კომპანიას,თქვა მან. - მგონი, მომწონს თქვენთან ყოფნა.“

„მეც ძალიან მომწონს, - თქვა უფსმა. - ბრძანეთ, რაც მოგესურვებათ. თქვენი ცივილიზაცია წარსულთან შედარებით ბევრად უფრო დახვეწილია. ჩემს ცხოვრებაში ყველაზე იღბლიანი დღე იყო, როცა „დროს“ უნივერსიტეტის გუნდმა ზუსტად მაშინ ჩამავლო ხელი, ზოგიერთი ჩემი საყვარელი ტომის წევრი ჩემგან სადილის მომზადებას რომ აპირებდა. არა, არ გამიგოთ, რომ მათ ვემდურებოდე. გრძელი, მკაცრი ზამთარი იყო, დიდთოვლობით, და ასეთ დროს ნადირობაც უაზრობაა. ჩემს ტომშიც იყვნენ წევრები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ჩემთან რაღაც ჰქონდათ გასაყოფი და დავის გადაწყვეტა სცადეს. შეიძლება ჰქონდაც კიდეც სადაო. მე უკვე გამზადებული ვყავდი უზარმაზარ ქოთანში ჩასაგდებად.“

„კანიბალიზმი!“, - თქვა შეძრწუნებულმა კეროლმა.

„ეს ხომ ბუნებრივია, - მიუგო უფსმა გოგონას, - იმ პრიმიტიულ ხანაში ეს სავსებით მისაღები იყო. მაგრამ ამას თქვენ, რა თქმა, უნდა ვერ გაიგებთ. თქვენ სინამდვილეში მართლა არასოდეს გშიებიათ, ამაში დარწმუნებული ვარ. თქვენი კუჭი არასდროს ისე ცარიელი არ ყოფილა, თითქოს შიმშილისგან ხერხემალზე გეკვრისო...“ მან საუბარი შეწყვიტა და ირგვლივ მიმოიხედა.

„ყველაზე მოსაწონი და მიმზიდველი თქვენს კულტურაში საზრდოს სიუხვეა, - განაცხადა მან, - ადრე, ძველ დროში ჩვენ გვქონდა წარმატებული და წარუმატებელი დღეები. ზოგჯერ მასტოდონების ხორცით ვსკდებოდით, გულისრევამდე, და ამის შემდეგ მაინც ვჭამდით და ვჭამდით და...“

„მეეჭვება, - თქვა მოჩვენებამ გამაფრთხილებელი ტონით, - რომ ეს შესაფერისი თემა იყოს ვახშმისთვის.“ უფსმა კეროლს შეხედა.

„ახლა მე მკითხეთ, - ჯიუტად აგრძელებდა ის, - გულწრფელად ვლაპარაკობ. როცა ვგულისხმობ გულისრევას, ვამბობ გულისრევას და არა რწყევას.“ მიმტანმა ბოთლით ლიქიორი მოიტანა, ყინულებით სავსე ვედრო მაგიდაზე დაახეთქა.

„რამეს შეუკვეთავთ კიდევ?“ - იკითხა მან

„ჯერ არ გადაგვიწყვეტია, - მიუგო უფსმა, - ვახშმად დავრჩებით თუ არა ამ საძაგელ ადგილას. აქ დალევა კიდევ შეიძლება, მაგრამ...“

„თუ ასეა, აი ბატონო...“ - თქვა მიმტანმა და ანგარიში მაგიდაზე დადო.

უფსმა ხელი ჯიბეში ჩააცურა, ცოტა ხანი აფათუნა და ფული ამოიღო. მაქსველმა ვედრო და ბოთლი ახლოს მიიწია და სასმელის ჩამოსხმა დაიწყო.

„ჩვენ აქ ვახშამზე დავრჩებით, ასე არ არის? - იკითხა კეროლმა. - თუ სილვესტერს დაპირებულ სტეიკს არ აჭმევთ, არ ვიცი, რა მოხდება. ის ამდენი ხანი ისე მოთმინებით იცდიდა, თავი ისე კარგად ეჭირა, მაშინ, როცა ირგვლივ ასეთი საჭმლის სუნი ტრიალებს...“

„მაგრამ მან უკვე შეჭამა ერთი სტეიკი, - თქვა მაქსველმა და იქითკენ მიუთითა, - კიდევ რამდენი შეუძლია შეჭამოს?“

„განუსაზღვრელი რაოდენობის, - მიუგო უფსმა. - ძველ დროში ასეთ მონსტრებს ერთ ჯერზე მთელი ცხენ-ირმის შესანსვლა შეეძლოთ. არასდროს მომიყოლია თქვენთვის...“

„დარწმუნებული ვარ, რომ მოგიყოლია,“ - შეაწყვეტინა მოჩვენებამ.

„მაგრამ ეგ შემწვარი სტეიკი იყო, - წინააღმდეგობას განაგრძობდა კეროლი, - მას კი უმი უყვარს. თანაც ის პატარა ნაჭერი იყო.“

„უფს, - მიმართა მაქსველმა, - დააბრუნე ის მიმტანი უკან. შენ ეს კარგად გამოგდის. ხმაც ხელს გიწყობს.“ უფსმა გარუჯული მკლავით ნიშანი მისცა და თან დაიღრიალა. ცოტა ხანი დაიცადა და შემდეგ ისევ დაიღრიალა, მაგრამ - უშედეგოდ.

„ყურადღებას აღარ მაქცევს, - ჩაილაპარაკა დაბოღმილმა. - შეიძლება ჩვენი მიმტანი სულაც არ არის. ვერასოდეს ვასხვავებ მათ სახეზე, ჩემთვის ყველა ერთია.“

„დღევანდელი საზოგადოება არ მომწონს, - თქვა მოჩვენებამ, - რამდენი ხანია, თვალყურს ვადევნებ. ჰაერში ჩხუბის სუნი ტრიალებს.“

„რა არ მოგწონს?“ - იკითხა მაქსველმა.

„დღეს რაღაც ბევრნი არიან ინგლისური ლიტერატურათმცოდნეებიდან. ეს მათი თავშეყრის ადგილი არაა. უმრავლესობა „დროდან“ და ზებუნებრივებიდან მოდის ხოლმე აქ.“

„შენ გინდა თქვა, რომ ეს შექსპირის გამოსვლის გამოა?“

„შეიძლება ეგრეც იყოს,“ - უპასუხა მოჩვენებამ.

მაქსველმა კეროლს სასმელი მიაწოდა. მეორე ჭიქა მაგიდაზე გააცურა უფსის მიმართულებით.

„რაღაც უხერხულია, თქვენ რომ არ გთავაზობთ, - უთხრა კეროლმა მოჩვენებას, - ერთი ყლუპის მოსმაც არ შეგიძლიათ?“

„ამაზე არ იფიქროთ, - მიუგო უფსმა, - ჩვენი ბიჭი მთვარის სხივებით გამოთვრება ხოლმე. მას ცისარტყელაზე ცეკვის უნარი აქვს და კიდევ ბევრი სხვა უპირატესობაც გააჩნია, რაც ჩვენ ასე გვაკლია. თუნდაც ერთი რამ - ის უკვდავია. აბა, ვის ან რას შეუძლია მოჩვენება მოკლას?“

„მაგაში ბოლომდე დარწმუნებული მთლად არ ვარ.“ - არ დაეთანხმა მოჩვენება.

„არის რაღაც, რაც მაწუხებს, - თქვა კეროლმა. წინააღმდეგი ხომ არ ხართ, რომ ვთქვა?“

„ბრძანეთ,“ - მიუგო მოჩვენებამ.

„თქვენ ბრძანეთ, რომ არ იცით, ვისი მოჩვენება ხართ. მართლა ასეა თუ მხოლოდ იხუმრეთ?“

„სიმართლეა, - დაუდასტურა მოჩვენებამ. - მეტსაც გეტყვით, ეს ძალიან უხერხულია და მაწუხებს კიდეც. მაგრამ მე, უბრალოდ, არ მაგონდება, დამავიწყდა. ერთი კი ვიცი, ინგლისიდან ვარ. მაგრამ, სახელს ვერ ვიხსენებ. მგონია, რომ ბევრ სხვა მოჩვენებასაც...“

„ჩვენ სხვა მოჩვენებები არ გვყავს, - შეაწყვეტინა მაქსველმა. - მე მათთან კონტაქტს, დიალოგსა და საუბარს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა. არც ერთმა სხვა მოჩვენებამ ჩვენთან ცხოვრება არ ისურვა. შენ რატომ გადაწყვიტე ეს, მოჩვენება, რატომ ცხოვრობ ჩვენ შორის?“

„ის ოხერია, - თქვა უფსმა. - ყოველთვის წინასწარ თვლის, საიდან შეიძლება სარგებლის მიღება.“

„აქ კი ცდები, - მიუგო მაქსველმა. - ჩვენ ძალიან ცოტა რამ შეგიძლია მოჩვენებასთვის გავაკეთოთ.“

„თქვენ ჩემთვის უკვე გააკეთეთ, - თქვა მოჩვენებამ. რეალობის აღქმის უნარი მაჩუქეთ.“

„მნიშვნელობა არა აქვს, რატომ ხარ ჩვენთან, - უთხრა მაქსველმა, - მიხარია, რომ ჩვენ შორისა ხარ.“

„თქვენ სამნი, - აღნიშნა კეროლმა, - ალბათ უკვე დიდი, დიდი ხანია, რაც მეგობრები ხართ.“

„უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ?“ - იკითხა უფსმა.

„იქნებ ეგრეა კიდეც, - მიუგო მან. - ისე კი, არც კი ვიცი, რატომ ვიკითხე.“

ოთახის წინა მხრიდან გაურკვეველი ჩოჩქოლის ხმა გაისმა. მაქსველი და კეროლი სკამებზე შემოტრიალდნენ და იმ მხარეს გაიხედეს, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა, მაგრამ დიდი ვერაფერი გაარჩიეს. უცბად ერთი კაცი მაგიდაზე ახტა და სიმღერა დაიწყო: ხოტბა შევასხათ ბებერ ბილ შექსპირს, რომ არ უცეკვია ამათ დაკრულზე, ის იჯდა სახლში და ეტრფოდა ქალებს, უძღვნიდა მათ ბილწ რაუნდილეებს...

სიცილი და სტვენა გაისმა ოთახის ყველა კუთხიდან, ვიღაცამ რაღაცაც კი ისროლა მომღერლის მიმართულებით. სტუმრების ერთმა ჯგუფმა სიმღერა აიტაცა: ხოტბა შევასხათ ბებერ ბილ შექსპირს, რომ არ უცეკვია....

ვიღაცამ საზარელი ხმით დაიღრიალა:

„ჯანდაბამდის გზა ჰქონია ბებერ ბილ შექსპირს!“ ოთახში აურზაური ატყდა. სკამები გადაბრუნდა.

ზოგიერთი სტუმარი მაგიდაზე ახტა. ისმოდა გადაძახილები, იყო ხელის კვრა და მუჯლუგუნები. ჰაერში უკვე მუშტები ტრიალებდა. სხვადასხვა საგანი უმისამართოდ დაფრინავდა.

მაქსველი ფეხზე წამოხტა, ხელის სწრაფი მოძრაობით კეროლი ზურგს უკან მოიქცია, უფსი მაგიდას გადაევლო ველური საბრძოლო ყიჟინით. ფეხი ვედროს მიარტყა და ყინულის ნატეხები ჰაერში მიმოიფანტა.

„მე ამათ ძირს დავყრი, - დაუძახა მან მაქსველს, - შენ კი კუთხეში მიაწყვე!“ მაქსველმა თვალი მოკრა მუშტს, რომელიც მისი მიმართულებით მოექანებოდა და გვერდზე გადახტა. უკვე ისიც უაზროდ იქნევდა ჰაერში მუშტებს, ცდილობდა, იმისთვის მოერტყა, ვინც მისთვის მუშტი გამოიმეტა. მის მხარს გარუჯული მკლავი გადმოევლო, სახესთან უფსის უზარმაზარმა მუშტმა ჩაიქროლა. მუშტი მაგიდის მეორე მხარეს მდგომს მოხვდა ბრაგუნით და მოკვეთით იატაკზე დააგდო.

რაღაც მძიმე და სწრაფი მოხვდა მაქსველს ყურს უკან და დაბლა გაიშხლართა. უთვალავი ფეხი ირეოდა მის გარშემო, ვიღაცამ ხელზე ფეხიც კი დაადგა. ვიღაცამ ვერ მოზომა და ზედ დაეცა. ზემოთ, ცოტა მოშორებით, უფსის ველური ყიჟინა ისმოდა. ის დატრიალდა, უცნობი მოიშორა, რომელიც ზედ გარდიგარდმო დაცემოდა და ფეხზე წამოდგომა სცადა. ვიღაცის ხელი დასწვდა მაჯაში და შემოატრიალა.

„წავედით აქედან, - თქვა უფსმა, - აქ ვიღაცას მაგრად მოხვდება.“ კეროლი მაგიდას მიყრდნობოდა, ოდნავ მოხრილი, სილვესტერისთვის ქეჩოში ხელი წაევლო და ისე აკავებდა.

სილვესტერი უკანა ფეხებზე შემდგარიყო და წინა თათებს ჰაერში იქნევდა. ღნავილის ხმა ამსოდიოდა ყელიდან და მახვილი ეშვები უელავდა.

„აქედან დროზე თუ არ გავიყვანთ, - თქვა უფსმა, - ეს კატა უეჭველად მიიღებს თავის სტეიკს.“ ის დაიხარა და ხელი შემოხვია კატას, შუა ტანიდან ასწია და მკერდზე მაგრად მიიკრა.

„შენ გოგოს მიხედე, - გადასძახა მაქსველს. - აქ სადღაც უკანა კარი უნდა იყოს. ბოთლიც გამოაყოლე. მისი აქ დატოვება არ შეიძლება. მოგვიანებით გამოგვადგება.“ მაქსველი ბოთლს მივარდა და ხელი დასტაცა.

მოჩვენება სადღაც გამქრალიყო.

თავი 6

„მშიშარა ვარ, - გამოტყდა მოჩვენება, - ვაღიარებ, როგორც კი ძალადობას ვხედავ, მაშინვე წიწილასავით უსუსური ვხდები.“

„და შენ, - თქვა უფსმა, - ხარ არსება, ვიზეც თითის დაკარება ამქვეყნად არავის შეუძლია.“ ისინი კმაყოფილები უსხდნენ ტლანქ, ოთხკუთხედ, მოყანყალებულ მაგიდას, რომელიც ერთ დროს უფსს უსწორმასწორო ფიცრებისგან შეეკრა. კეროლმა თეფში წინ გასწია.

„ძალიან მშიოდა, - თქვა მან, - მაგრამ ახლა უკვე ამას ვეღარ ვიტყვი.“

„მარტო თქვენ არ იყავით მაგ დღეში, - მიუგო უფსმა, შეხედეთ თქვენს მოთხუპნულ კატას.“ სილვესტერი ბუხრის წინ დახვეულიყო, კუდი დაბლა დაეწია და გავაზე მიებჯინა. ფაფუკი თათები ცხვირზე აეფარებინა. მისი ულვაშები მსუბუქად ირხეოდა ყოველ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვაზე.

„პირველად ვნახე ჩემს ცხოვრებაში, - თქვა უფსმა, როცა ამ მახვილკბილამ იმაზე მეტი ჭამა, ვიდრე შეეძლო.“ ის ბოთლს დასწვდა და შეანჯღრია. ცარიელი იყო. ბუზღუნით წამოდგა ფეხზე და ოთახი გაიარა, ჩაიჩოქა და პატარა კარი გააღო, რომელიც იატაკში დაეყოლებინათ. ერთი ხელი შიგ ჩაყო და ქვემოთ რაღაცის ძებნა დაიწყო. იქიდან შუშის ქილა ამოიღო და გვერდზე დადგა. შემდეგ მეორე, ისიც პირველს მიუდგა გვერდით. ბოლოს ტრიუმფატორის სახით ბოთლი ამოძვრინა. ქილები ისევ უკან

ჩაალაგა და კარი დახურა. მაგიდასთან ბოთლს საცობი ახსნა და ჭიქებს დასწვდა ჩამოსასხმელად.

„მეგობრებო, ყინული არ გჭირდებათ, - აღნიშნა მან. - ის სპირტიან სასმელს ასუსტებს. გარდა ამისა, ყინული მაინც არ მაქვს.“ მან თითი გაიშვირა იატაკში დამალული კარისკენ.

„ჩემი საიდუმლო საცავია, - თქვა მან. - ერთი ან ორი ბოთლი ყოველთვის მაქვს დამალული. ხომ შეიძლება, ოდესმე ფეხი მოვიტეხო ან რამე დამემართოს და ექიმმა მითხრას, რომ დალევა მეკრძალება...“

„მოტეხილ ფეხზე ეგ არ გემუქრება, - თქვა მოჩვენებამ.

- არავინ აგიკრძალავს დალევას მოტეხილობაზე.“

„კარგი, მაშინ, თუ სხვა რამე დამემართება,“ - თქვა უფსმა.

ისინი ისხდნენ, სასმელს მიირთმევდნენ და კმაყოფილება ეტყობოდათ. მოჩვენება ცეცხლს მიშტერებოდა. გარეთ ამოვარდნილი ქარი ქოხს ეხეთქებოდა.

„არასდორს ყვოფილვარ უკეთეს ვახშამზე მიწვეული, თქვა კეროლმა. - პირველად როცა ვცადე ჩემთვის ასეთი სტეიკის მომზადება, ღია ცეცხლზე, სტეიკი ჯოხზე მიიწვა და გაიჭედა.“ უფსმა კმაყოფილებისგან დააბოყინა.

„აი ასე ვამზადებდით ხოლმე ხორცს ადრე, ძველ ქვის ხანაში. მახვილ-კბილებიანების მსგავსად, ჩვენც ან უმად მივირთმევდით ან ასე მომზადებულს. სად გვქონდა გაზქურები, ღუმელები ან სხვა ამგვარი თანამედროვე სასწაულები.“

„ისეთი შეგრძნება მაქვს, - თქვა მაქსველმა, -უკეთესი იქნება, თუ არ გკითხავ, მაგრამ მაინც, საიდან მოიტანე ამდენი ხორცი. როგორც ვიცი, ყველა საყასბო დაკეტილი უნდა იყოს.“

„იყო კიდეც, - გამოტყდა უფსი, - მაგრამ მის უკანა კარს ჰქონდა ცეროდენა კლიტე...“

„ოდესმე, - უთხრა მოჩვენებამ, - მაგისთვის უსიამოვნებაში გაეხვევი.“ უფსმა თავი გააქნია.

„არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, ამჯერად ეგ არ მოხდება. პირველადი მოთხოვნილებაა – არა, ეს ფრაზა სწორი არ არის. როცა ადამიანს შია, მას აქვს უფლება, ჭამოს ყველაფერი, რასაც ნახავს. ასეთი იყო კანონი პრეისტორიულ დროში. თუმცა ახლა ამაზე შეიძლება საქმე აღძრან სასამართლოში. გარდა ამისა, ხვალ ვაპირებ, მივიდე და ავუხსნა, რაც მოხდა. სხვათაშორის, - მიუბრუნდა მაქსველს, - გაქვს რამე ფული?“

„ფული ბევრი მაქვს, - მიუგო მაქსველმა, ხარჯებისთვის საკმაოდ ფული წავიღე კუნსკინის მოგზაურობაში, მაგრამ იქ ერთი ცენტიც არ დამიხარჯავს.“

„იმ სხვა პლანეტაზე თქვენ სტუმარი იყავით,“ - უთხრა კეროლმა.

„ვფიქრობ, რომ კი, - მიუგო მაქსველმა. - თუმცა ზუსტად ვერ მივხვდი, რა სახის ურთიერთობა გვქონდა დამყარებული.“

„კარგი ხალხი იყო?“

„კი, კარგები იყვნენ, მაგრამ ხალხი ვუწოდო თუ არა, არ ვიცი, რა მოგახსენო.“ ის უფსს მიუბრუნდა:

„რამდენი გჭირდება?“

„ვფიქრობ, ასი უნდა მეყოს. ხორცი და გატეხილი კარი, ჩვენი მეგობარი ყასაბის შელახული თავმოყვარეობა რომ სათვალავში არ ჩავაგდოთ.“ მაქსველმა ჯიბიდან საქაღალდე ამოიღო და ბანკნოტები გადათვალა, შემდეგ უფსს გაუწოდა.

„მადლობა, - უთხრა უფსმა. - ოდესმე დაგიბრუნებ.“

„არა,- უთხრა მაქსველმა. - ეს წვეულება ჩემს ხარჯზე იყოს. მე დავპატიჟე კეროლი სავახშმოდ და საქმე ასე შემოტრიალდა.“ ბუხართან, სილვესტერი გაიზმორა და დაამთქნარა, შემდეგ ისევ ძილს მისცა თავი, ოღონდ ამჯერად გვერდი იბრუნა, ზურგზე ამოტრიალდა და ფეხები ჰაერში გამოკიდა.

მოჩვენებამ იკითხა:

„აქ ვიზიტით ხართ, მის ჰამპტონ?“

„არა, - მიუგო გაკვირვებულმა კეროლმა. - აქ ვმუშაობ. საიდან მოგივიდათ ეგ აზრი?“

„ვეფხვის გამო, - თქვა მოჩვენებამ. - ბიომეხი გყავთ, როგორც თქვენ ეძახით. აქედან გამომდინარე, დასკვნა გამოვიტანე, რომ ბიო-მექანიკის ინსტიტუტში მუშაობდით.“

„გასაგებია, - თქვა კეროლმა. - ვენა ან ნიუ-იორკი.“

„სხვაგანაც არის ასეთი ცენტრი, - უპასუხა მოჩვენებამ, - სადღაც, აზიაში. ულან-ბატორი, თუ მეხსიერება არ მღალატობს.“

„იქ ნამყოფი ხართ?“

„არა, - თქვა მოჩვენებამ, - მხოლოდ მსმენია.“

„მაგრამ მას შეეძლო იქ ემოგზაურა, - თქვა უფსმა, - მას ყველგან შეუძლია წავიდეს. თვალის დახამხამებში აღმოჩნდება, სადაც უნდა. ეს არის მიზეზი, რომ ზებუნებრივი ფაკულტეტის ხალხი არ ეშვება. იმედი აქვთ, რომ ოდესმე ისინიც იგივეს შეძლებენ, რისი უნარიც ამას გააჩნია. მაგრამ ბებერი მოჩვენება ოხერია. მათ არაფერს ასწავლის.“

„მისი დუმილის მთავარი მიზეზი, - თქვა მაქსველმა, მაინც ისაა, რომ სატრანსპორტო კომპანიასთანაა შეკრული. ისინი მას ხელფასს დუმილში უხდიან, მან რომ თავისი მოგზაურობის ტექნიკა გაამხილოს, მთელი სატრანსპორტო საქმიანობა ჩავარდება. ისინი აღარ იქნებიან საჭირო. ადამიანები უბრალოდ თავისით იმოგზაურებენ სადაც მოესურვებათ ერთი მილის თუ მილიონი სინათლის წლის მანძილზე.“

„ის ტაქტიანი სულია, - აღნიშნა უფსმა, - იღებს იმას, რაც დამსახურებულად ეკუთვნის. აი, ბიომეხი თუ ხარ, სულ სხვა საქმეა. შეგიძლია მიირთვა, რაც გაგიხარდება. მახვილკბილას ყოლა კი ალბათ ხარჯთან არის დაკავშირებული.“

„გასაგებია, - თქვა კეროლმა. - ვფიქრობ, მართალი ხარ. ის მართლაც ძვირი ღირს. მაგდენი ფული არ მაქვს. მამაჩემი სანამ პენსიაზე გავიდოდა, ნიუ-იორკის ბიო-მექანიკის ლაბორატორიაში მუშაობდა. სილვესტერი იმ ერთობლივი პროექტის შედეგია, რომელსაც მამაჩემი ხელმძღვანელობდა. პროექტის ბოლოს სტუდენტებმა ის მამაჩემს დაუტოვეს.“

„მე ისევ არ მჯერა, - მიუგო უფსმა, - რომ ეს კატა ბიომექანიკური ცხოველია. მას თვალებში ველური ცეცხლი უკიაფებს ხოლმე, როცა მიყურებს.“

„ფაქტია, - უპასუხა კეროლმა, - დღესდღეობით მათში ბიოლოგიური უფრო მეტია, ვიდრე მექანიკური. ეს სახელიც ადრე, იმ დროს წარმოიშვა, როცა მაღალტექნოლოგიური ელექტრონული ტვინი და ნერვული სისტემა სპეციალურ პროტოპლაზმაში მოათავსეს. ახლა მათში ერთადერთი ხელოვნური რამ, რაც დარჩა, ეს ორგანოებია, რომლებიც ბუნებრივად ბერდება და იცვლება - გული, ფილტვები, თირკმელები და სხვა. რაც ბიომეხებთან მიმართებაში დღეს კეთდება, ეს სპეციფიკური სიცოცხლის ფორმების შექმნაა – თუმცა თქვენთვის ყველაფერი ისედაც კარგადაა ცნობილი, რასაკვირველია.“

„უცნაური ამბები დადის, - თქვა მაქსველმა. - ამბობენ სუპერადამიანების ჯგუფი ჰყავთ ჩაკეტილიო. გსმენიათ რამე ამის შესახებ?“

„დიახ, მე მომიკრავს ყური, - დაუდასტურა კეროლმა, ყოველთვის დადის უცნაური ჭორები.“

„ყველაზე საუკეთესო ჭორი, რაც ამ ბოლო დროს გავიგე, - თქვა უფსმა, - მართლაც რომ გადასარევი ამბავია. ვიღაცამ მითხრა, ზებუნებრივის ხალხმა კონტაქტი დაამყარა სატანასთანო. ამაზე რას იტყვი, პიტერ?“

„არაფერი გამიგია, - უპასუხა მაქსველმა. - შესაძლოა, ვინმემ მართლა სცადოს. ეგ კი არადა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ვიღაცამ უკვე სცადა. ეს ისედაც ისე ცხადია ყველასთვის, რომ ამაზე აღარ ვისაუბროთ.“

„იმის თქმა გინდათ, - თქვა კეროლმა, - რომ შესაძლოა სატანა არსებობდეს?“

„ორი საუკუნის წინ, - აღნიშნა მაქსველმა, - ადამიანები ასეთივე გაკვირვებული ხმით კითხულობდნენ იმ ქმნილებების არსებობის შესახებ, როგორებიც ტროლები და გობლინებია.“

„და მოჩვენებები,“ - ჩაურთო მოჩვენებამ.

„თქვენ ყველანი ხუმრობთ!“ - წამოიძახა კეროლმა.

„არ ვხუმრობთ, - მიუგო მაქსველმა. - უბრალოდ, წინასწარ ყველაფრის უარყოფა არ შეიძლება, თუნდაც ეს სატანა იყოს.“

„გასაოცარი ხანაა, - აღმოხდა უფსს, - ალბათ გაგახსენდებათ, ადრეც ვამბობდი. დროა, ბოლო მოეღოს ცრურწმენებისა და ზღაპრების მოყოლას. დროა, მათშიც სიმართლე ეძებოთ. ჩემს ხალხს ყოველთვის სჯეროდა იქ ნახსენები ტროლების, გობლინებისა და სხვა დანარჩენთა არსებობისა. მათზე მოთხრობილი ამბები, ახლა ხომ ხვდებით, ყოველთვის ფაქტებს ეფუძნებოდა. იმის გარდა, რაც მოგვიანებით შეიქმნა, როცა უმოწყალოდ გაამარტივეს ყველაფერი, თუკი ასეთი სიტყვა შეიძლება ვიხმაროთ ამ შემთხვევაში, ადამიანმა უარყო ფაქტები. თავს უფლება არ მისცა, ეღიარებინა ფაქტები, რომელთა უტყუარობაში ეჭვი არც ეპარებოდა. მან მიჩქმალა და ეს არსებები ლეგენდებად აქცია, მითებად. რაც უფრო იზრდებოდა ადამიანთა რიცხვი, ისინი სულ უფრო და უფრო მიყრუებულ ადგილებში იმალებოდნენ. არც ისეთი მიმზიდველები და საყვარლები იყვნენ, როგორებიც ახლა წარმოგიდგენიათ.“

მოჩვენებამ იკითხა:

„და სატანა?“

„დარწმუნებული არ ვარ, - თქვა უფსმა, შესაძლებელია. ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ. ყოველთვის არსებობდნენ ისინი, ვისზეც თქვენ ჯერ უარი თქვით, მერე ხელახლა აღიარეთ და ახლა ნაკრძალში გაუშვით საცხოვრებლად. ადრე კიდევ უფრო მეტი ნაირსახეობისანი იყვნენ. ზოგი - საზარელი, ყოველი მათგანი კი აბეზარი.“

„ისე მეჩვენება, მაინცდამაინც გულზე არ უნდა გეხატებოდნენ,“ - შენიშნა კეროლმა.

„მის, - თქვა უფსმა, - მართალი ხართ.“

„ასე მგონია, - თქვა მოჩვენებამ, - რომ ეს ნაყოფიერი საქმიანობის სფერო იქნება ზოგიერთი მკლევარისთვის „დროდან“. აშკარაა, რომ ადრე ბევრი განსხვავებული სახეობა არსებობდა - შეიძლება მათ პრიმატები დავარქვა?“

„ვფიქრობ, შეიძლება,“ - მიუგო მაქსველმა.

„მაიმუნებისა და ადამიანების ჯიშისგან ძალიან განსხვავებული პრიმატები.“

„ძალიან განსხვავებული ჯიშის, - თქვა უფსმა. საზიზღარი პატარა მყრალი არსებები.“

fb.com/groups/elib

„ოდესმე, დარწმუნებული ვარ, - თქვა კეროლმა, „დრო“ შეისწავლის ამ ყველაფერს. ეს ყოველივე მათთვის ცნობილია, ასე არ არის?“

„უნდა იცოდნენ წესით, - უპასუხა უფსმა. - მე საკმაოდ ხშირად მითქვამს მათთვის ამის შესახებ და თანაც შესაბამისი აღწერილობაც მიმიწოდებია.“

„დროს“ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, - შეახსენა მათ მაქსველმა. - მრავალი ინტერესის სფეროა შესასწავლი მთელი წარსული.“

„და საჭირო თანხები კი არასოდეს არის“ - თქვა კეროლმა.

„შეხედეთ, - განაცხადა მაქსვლემა, - თქვენ წინაშეა „დროს“ ერთგული თანამშრომელი.“

„მაგრამ ეს სიმართლეა, - წამოიძახა მან. - სხვა დისციპლინებმა შეძლეს ბევრი სიახლის აღმოჩენა „დროს“ გამოკვლევების წყალობით. არ შეიძლება მხოლოდ დაწერილ ისტორიაზე დაყრდნობა. ბევრ შემთხვევაში, რეალურად, საქმის ვითარება სულ სხვაგვარად იყო. არასწორი ინტერპრეტაციები, ადამიანური ცდომილებები, მიკერძოებული მსჯელობები წერილობითი ფორმით არიან დაკონსერვებულნი. მაგრამ განა სხვა განყოფილებებს შემოაქვთ რაიმე სახის წვლილი უნივესიტეტის გამოკვლევებში? მე გიპასუხებთ არავითარი. მხოლოდ მცირე ჯგუფს. სამართლის კოლეჯი შესანიშნავად თანამშრომლობს, მაგრამ სხვებზე ამას ვერ ვიტყვით. მათ ეშინიათ, არ სურთ, რომ თავიანთი პატარა და აწყობილი სამყაროები თავდაყირა დააყენონ. აი, თუნდაც შექსპირის ამბავი აიღეთ. თქვენ ფიქრობთ - ინგლისური ენის ლიტერატურათმცოდნეობის ჯგუფი მადლობელია იმის გარკვევით, რომ პიესები ვინმე ოქსფორდის დაწერილია? რამდენი წელი მიდიოდა მსჯელობა იმაზე თუ – ვისი შექმნილია სინამდვილეში პიესები. ახლა მათ გულისწყრომას საზღვარი არა აქვს, როცა „დრომ“ ბოლოს და ბოლოს გაარკვია, თუ სინამდვილეში ვინ არის ავტორი.“

„და ახლა, - თქვა მაქსველმა, - „დროს“ ჩამოყავს შექსპირი, რათა მან წაიკითხოს ლექცია, როგორ მოხდა რომ მას არ დაუწერია პიესები. არ ფიქრობთ, რომ ასე უხეშად ამის დემონსტრირება, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია?“

„საქმე ამაში არაა, - თქვა კეროლმა, - ამით „დროს“ სურს, ისტორიული შოუ დადგას და ცოტა ფულიც გააკეთოს. თავიდანვე ეს იყო ჩადებული - მაქინაციები, რათა დამატებითი სახსრები მოიზიდონ. თუმცა ამით ცირკის მასხარების რეპუტაციას იქმნიან. თქვენ გგონიათ, რომ დეკან შარპს სიამოვნებს...“

„მე ვიცნობ ჰარლოუ შარპს, - თქვა მაქსველმა. დამიჯერეთ, ამის ყოველი წუთით ტკბება.“

„ეს ღვთისგმობაა, - წამოიძახა უფსმა ცრუ შეშფოთებით. - არ გეშინიათ, რომ ამგვარი საუბრისთვის ჯვარზე გაცვამენ?“

„თქვენ მე მასხრად მიგდებთ, - უპასუხა კეროლმა, მასხრად იგდებთ ყველას და ყველაფერს. ეს თქვენც გეხებათ, პიტერ მაქსველ.“

„მათ მაგივრად მე გიხდით ბოდიშს, - თქვა მოჩვენებამ, რადგან არც ერთს არ ჰყოფნის თავაზიანობა, რომ თავად მოგიხადონ ბოდიში. მათთან ათი, თხუთმეტი წელი მაინც უნდა გაატაროთ, რომ მიხვდეთ, თუ რა ჯურის ხალხია და რომ ვინმესთვის ტკივილის მიყენება მათ ბუნებაში არ ზის.“

„მაგრამ დადგება ჟამი, - თქვა კეროლმა, - როცა „დროს“ ექნება საკმარისი ფონდები ყველა სასურველი კვლევის დასაფინანსებლად. ყველა მათ სათაყვანო პროექტსაც და სხვა კოლეჯებსაც ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ. როცა გარიგება შედგება...“ მან უცბად შეწყვიტა საუბარი. ადგილზე გაიყინა. ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, თითქოს პირზე ხელის აფარება უნდოდა და მხოლოდ რკინის ნებისყოფის წყალობით ძლივს იკავებს თავსო.

„რა გარიგებაზეა საუბარი?“ - იკითხა მაქსველმა.

„მგონი, მე ვიცი, - დაიწყო უფსმა, - ყური მოვკარი, რაღაც უმნიშვნელო ჭორი დადის, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. თუმცა სწორედ ეს პატარა ბინძური ჭორებია ხოლმე, მერე რომ სიმართლედ გადაიქცევა. დიდ, საზიზღარ, ხმაურიან სიმართლედ...“

„უფს, ნუ დაეცი ქადაგად, - უთხრა მოჩვენებამ, უბრალოდ გვითხარი, რას მოკარი ყური.“

„დაუჯერებელი რამეა, - თქვა უფსმა, - არასოდეს დამიჯერებთ. ერთი ცხოვრება არ გეყოფათ ამის დასაჯერებლად.“

„შეწყვიტე!“ - მოთმინება დაკარგა კეროლმა.

სამივემ გოგონას შეხედა და გაისუსა.

„შეცდომა დავუშვი, - თქვა მან, - წამომცდა. გთხოვთ, დაივიწყეთ ყველაფერი. მე თვითონაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს სიმართლეა.“

„რა თქმა უნდა, - მიუგო მაქსველმა. - ამ საღამოს ჩვენ თავი მოვიწონეთ როგორც გაუთლელების ჯგუფმა, ცუდი მანერების პატრონებმა და...“ გოგონამ თავი გააქნია:

„არა, არ არის კარგი ამის თხოვნა. ამის უფლება არ მაქვს. უბრალოდ, ყველაფერი უნდა მოგიყვეთ და მივენდო თქვენს კეთილგონიერებას. იცით, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს სიმართლეა. „დროს“ გარიგება შესთავაზეს არტეფაქტის გაყიდვის თაობაზე.“

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა, რადგანაც სამი მეგობარი გაშეშებული იჯდა და ძლივს სუნთქავდა მღელვარებისგან. გოგონა ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს და ვერაფერს ხვდებოდა. ბოლოს ისევ მოჩვენება შეინძრა მსუბუქად და შრიალის ხმამ დაარღვია

გამეფებული სიჩუმე, თითქოს მისი თეთრი სუდარა მართლა ქსოვილი ყოფილიყოს, ისეთი შრიალის ხმა ისმოდა ყოველ მის მოძრაობაზე.

„თქვენ არ გესმით, - თქვა მან, - ის კავშირი, რაც ჩვენ სამს არტეფაქტთან გვაკავშირებს.“

„თქვენი ნასროლი პირდაპირ მიზანში მოხვდა,“ - დაამატა უფსმა.

„არტეფაქტი, - აღნიშნა მაქსველმა, - არტეფაქტი ერთერთი ყველაზე დიდი ამოუცნობი მისტერიაა, რომელიც ყველასთვის თავსატეხს წარმოადგენს...“

„სასაცილო ქვა,“ - თქვა უფსმა.

„ის ქვა არ არის,“ - მიუგო მოჩვენებამ.

„მაშინ თუ ეგრეა, - წამოიძახა კეროლმა, - იქნებ, თქვენ გვითხრათ, რა არის.“ ამ კითხვაზე, - საკუთარ თავს გამოუტყდა მაქსველი, პასუხის გაცემას ვერც მოჩვენება და ვერც სხვა ვინმე შეძლებდა. ათი ან ცოტა მეტი წლის წინ „დროს“ მკვლევარებმა იურულ ხანაში, გორაკის თავზე აღმოაჩინეს ის და აწმყოში გადმოიტანეს, ამას უზარმაზარი თანხები და ძალისხმევა დასჭირდა. მისი მასიდან გამომდინარე, აწმყო დროში მის გადმოტანას იმაზე მეტი ენერგია დასჭირდა, ვიდრე სხვა რაიმეს ტრანსპორტირებას. ამისთვის აუცილებელი გახდა უკან, დროში, პორტატიული ბირთვული გენერატორი აეწყოთ. ის ნაწილ-ნაწილ გადაიტანეს და შემდეგ ხელახლა ააწყვეს ობიექტის ახლოს. არტეფაქტის ტრანსპორტირების შემდეგ ეს ბირთვული გენერატორი ისევ დაშალეს და უკან წამოიღეს, რადგანაც, უბრალოდ, არაეთიკური იქნებოდა მსგავსი მოწყობილობის წარსულში დატოვება - თუნდაც ეს შორეული იურული პერიოდი ყოფილიყო.

„მე ვერაფერს გეტყვით, - უთხრა მათ მოჩვენებამ. - არა მგონია, ეს ვინმემ იცოდეს.“ მოჩვენება მართალი იყო. ვერავინ შეძლო, მიახლოებით მაინც, რაიმეს მიხვედრა. რაღაც მატერიის მასიური ბლოკი, რომელიც არც ქვას ჰგავდა, არც მეტალს, თუმცა ერთ დროს ეგონათ, რომ, შესაძლოა, ქვა ყოფილიყო და მოგვიანებით ფიქრობდნენ, რომ ეს ლითონია. ყველა გამოკვლევამ ფუჭად ჩაიარა. ექვსი ფუტი სიგრძის, ოთხი ფუტი სიგანის შავი ფერის მასა, არანაირ ენერგიას არც შთანთქავდა და არც ასხივებდა, ირეკლავდა ყველანაირ სინათლეს და რადიაციას ზედაპირიდან, შეუძლებელი იყო მისი გაჭრა, გაბურღვა, მასზე ლაზერული სხივიც კი არ მოქმედებდა. ვერაფერმა გაკაწრა და დააზიანა - ის არაფერზე რეაგირებდა. არტეფაქტი მაღალ პედესტალზე მოათავსეს „დროს“ მუზეუმში, ის ერთადერთი რამ იყო მთელ სამყაროში, რასაც ვერავინ ვერაფერი გაუგო, მიახლოებითი ეჭვიც კი არავის ჰქონდა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა იგი.

„მაშინ, - იკითხა კეროლმა, - რატომ დაგცათ ამ ამბავმა ასე თავზარი?“

„იმიტომ, რომ, - თქვა უფსმა, - პიტს ეჭვი აქვს, რომ ერთ დროს ის, შესაძლოა, პატარა რასის ღმერთი ყოფილიყო. თითქოს ამ პატარა ტილიან არსებებს ღვთის აღიარების უნარი შესწევდათ.“

„ვწუხვარ, - მიუგო კეროლმა, - მართლა ვწუხვარ. არ ვიცოდი. იქნებ „დროს“ რომ სცოდნოდა... „

„საკმარისი მონაცემები არ არსებობს, - უპასუხა მაქსველმა, - რომ ამაზე დარწმუნებით ვისაუბრო.

უბრალოდ, ეჭვი მაქვს. ასეთი გრძნობა დამეუფლა პატარა რასის წარმომადგენლებთან საუბრის მერე. მაგრამ მათაც კი არაფერი იციან დანამდვილებით. ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო.“ ძალიან დიდი ხნის წინ, - გაიფიქრა თავისთვის, - დიდება შენდა, უფალო, დაახლოებით, ორასი მილიონი წლის წინ!

თავი 7

„ოჰ, ეს უფსი, - თქვა კეროლმა. - ვერ გამიგია მისი. სასაცილო სახლი აუგია უადგილო ადგილას, შორეულ განაპირას.“

„ის შეურაცხყოფილი დარჩება, - თქვა მაქსველმა, თუკი გაიგებს, რომ ამას სახლი უწოდეთ. ეს ქოხია და ის ამაყობს იმით, რომ ცხოვრობს ქოხში. გამოქვაბულიდან პირდაპირ სახლში გადასვლა ზედმეტად კარგი იქნებოდა მისთვის. ის თავს უხერხულად იგრძნობდა.“

„გამოქვაბულიდან? ის მართლა გამოქვაბულში ცხოვრობდა?“

„ნება მომეცით, რაღაც გითხრათ ჩემს ძველ მეგობარ უფსზე, - უთხრა მაქსველმა, - ის საშინელი მატყუარაა. არ შეიძლება დაიჯეროთ ყველა ის ამბავი, რასაც ის ყვება. მაგალითად, კანიბალიზმი...“

„ცოტა უკეთესად გავხდი. თორემ არ მომწონს ის იდეა, რომ ხალხი ერთმანეთს ჭამს!“

„ჰო, კანიბალიზმი მართლაც არსებობდა. ეს ეჭვგარეშეა. მაგრამ მართლა უპირებდნენ თუ არა უფსს ქვაბში მოხარშვას, ეს უკვე სხვა საკითხია. როცა ის ზოგადად საუბრობს, მისი მონათხრობი დასაჯერებელი და ნამდვილად სარწმუნოა. მაგრამ როცა ის თავისი პირად გამოცდილებაზე მოგითხრობთ, აი ამაში უკვე ეჭვი უნდა შეგეპაროთ.“

„საოცარია, - თქვა კეროლმა. - რამდენჯერ შევხვედრილვარ მას და ცნობისმოყვარეობასაც კი შევუწუხებივარ, მაინტერესებდა, ვინ იყო, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ გავიცნობდი. თუმცა არც არასდროს მქონია ამის

დიდი სურვილი. არის ხალხი, ვისგანაც თავი შორს მიჭირავს, ის ერთ-ერთი იმათთაგანი იყო. ასე წარმომედგინა, რომ ძალიან უხეში იქნებოდა...“

„ის უხეშია,“ - აღნიშნა მაქსველმა.

„მაგრამ თავისებური ხიბლიც აქვს,“ - მიუგო კეროლმა.

ჩაბნელებულ ცაზე ღრმად ჩამჯდარი შემოდგომის კრიალა ვარსკვლავები ცივად ანათებდნენ. გზა, რომელიც თითქმის გაუკაცრიელებული იყო, გორაკისკენ მიუყვებოდა. შორს, ქვემოთ მოჩანდა განათებული კამპუსი. ქარს, რომლიც გორაკს მთლიანად დაპატრონებოდა, სუსტად მოჰქონდა დამწვარი ფოთლების სურნელი.

„ცეცხლთან ყოფნა სასიამოვნო იყო, - თქვა კეროლმა. ჩვენ რატომ არ გვაქვს ცეცხლი? ბუხრის გაკეთება ძნელი არ უნდა იყოს.“

„იყო დრო, შვიდასი წლის წინ, - დაიწყო მაქსველმა, როცა ყველა სახლს ან თითქმის ყველა სახლს ჰქონდა ერთი ბუხარი მაინც. ზოგჯერ რამდენიმეც. ბუხართან ყოფნის მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ მას უკან, ძველ დროში გადავყავდით, იმ დროში, როცა ცეცხლი იყო ჩვენთვის სითბოს წყარო და თავდაცვის საშუალება. მაგრამ ბოლოს ესეც გადავლახეთ.“

„არა მგონია, რომ ასე იყოს, - მიუგო გოგონამ, - უბრალოდ, გადავაბიჯეთ. ზურგი შევაქციეთ ჩვენი წარსულის ამ მომენტს. თუმცა ჯერ ისევ ვგრძნობთ ცეცხლის საჭიროებას. შესაძლებელია, ეს ფსიქოლოგიური მოთხოვნილებიდანაც გამომდინარეობდეს. ამას ამ საღამოს მივხვდი. თავს ისე კომფორტულად და ამაღლებულად ვგრძნობდი ცეცხლთან. შესაძლოა პრიმიტიულია, მაგრამ ჩვენში ჯერ ისევ ცოცხლობს პრიმიტივი.“

„უფსს, - უთხრა პიტმა გოგონას, - არ შეუძლია ცეცხლის გარეშე ცხოვრება. ცეცხლის უქონლობა იყო მიზეზი, მისი მწყობრიდან გამოსვლისა, როცა ის „დრომ“ პირველად აქ მოიყვანა. იგი დროებით დამწყვდეული იყო ტყვესავით, მასზე თვალყურს ადევნებდნენ, თუმცა ბოლომდე გამოკეტილი არ იყო. მაგრამ აი, როცა საკუთარი თავის ბატონი გახდა, მაშინვე მიწა აიღო კამპუსის განაპირას და თავისი ხელით აიშენა ქოხი. მოუხერხებელი, მაგრამ მას თავად სურდა ასე და კიდევ ბუხარი. ჰო, მართლა, კიდევ, ბაღი. მისი ბაღი აუცილებლად უნდა ნახოთ. საკუთარი საზრდოს მოყვანის იდეა სრულიად ახალი მცნება იყო მისთვის. ეს იყო რაღაც, რაც ადრე, მის დროში, არავის მოსვლია აზრად. ლურსმანი, ხერხი, ჩაქუჩი, შალაშინი - აბსოლუტურად უცხო იყო მისთვის ისევე, როგორც სხვა ყველაფერი. მაგრამ მას ადაპტაციის საოცარი უნარი აქვს. თავად ისწავლა ინსტრუმენტების გამოყენება და ახალი იდეები სხვისი ჩარევის გარეშე შეითვისა. არაფერი გაკვირვებია. ის, უბრალოდ, დასწვდა ჩაქუჩს, ხერხსა და შალაშინს და დაიწყო ქოხის შენება. მაგრამ მისთვის ყველაზე გასაოცარი მაინც ბაღში მუშაობა იყო - საკუთარი საზრდოს მოყვანა

და არა ნადირობა მისი მოპოვების მიზნით. ალბათ შეამჩნიეთ ახლაც ვერ ფარავს ხოლმე გაოცებას, ასე ხელმისაწვდომი და უხვი საჭმელის არსებობის გამო.“

„და მით უმეტეს - სასმელის,“ - თქვა კეროლმა.

მაქსველმა გადაიხარხარა:

„კიდევ ერთი ახალი იდეა, რაც უცბად აითვისა. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს მისი ჰობია. იცით, თვითონაც ამზადებს საკუთარი რეცეპტით. მას გამოსახდელი ქვაბი აქვს უკან, შეშის ფარდულში და ხდის ყველაზე საშინელ არაყს, რაც კი ოდესმე ყელში ჩაგსვლიათ. საზიზღრობაა.“

„მაგრამ, ეტყობა, სტუმრებს არ სთავაზობს, - აღნიშნა კეროლმა. - ჩვენ დღეს ვისკით გაგვიმასპინძლდა.“

„მისი საუკეთესო მეგობარი უნდა გახდეთ, - უთხრა მაქსველმა, - რომ თავისი გამოხდილი არაყი შემოგთავაზოთ. ქილები, მან რომ გამოფინა...“

„ჰო, დამაინტერესა. შიგ არაფერი იყო.“

„კამკამა, საძაგელი არაყი, აი რა ესხა შიგ.“

„თქვენ თქვით, რომ თავიდან ის ტყვესავით იყო და ახლა? რამდენად მჭიდრო ურთიერთობა აქვს მას ახლა „დროსთან?“

„კოლეჯის მეურვეობის ქვეშაა. თუმცა არანაირი ვალდებულება არა აქვს აღებული. მიუხედავად ამისა, მისი გადაბირება ძნელია. ის „დროს“ უფრო ერთგული მომხრეა, ვიდრე თქვენ.“

„მოჩვენება? აქ ცხოვრობს ზებუნებრივებთან? ზებუნებრივების მეურვეობის ქვეშაა?“

„არც მთლად მასეა. მოჩვენება მაწანწალა კატასავითაა. ყველგან მიდის, სადაც მოისურვებს. მას მთელ პლანეტაზე ჰყავს მეგობრები. დიდი ფიგურაა შედარებითი რელიგიების კოლეჯში, ჰიმალაის კამპუსში. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ხშირად ახერხებს ჩვენთან ყოფნას. ის და უფსი მაშინვე დამეგობრდნენ, როცა კი ზებუნებრივის ხალხმა კონტაქტი დაამყარა მოჩვენებასთან.

„პიტერ, შენ მას მოჩვენებას უწოდებ. სინამდვილეში ვინ არის იგი?“

„ის მოჩვენებაა.“

„მაგრამ რა არის მოჩვენება?“

„არ ვიცი და არა მგონია, რომ ვინმემ იცოდეს.“

„მაგრამ შენ ხომ ზებუნებრივებს შორის ხარ?“

„კი, რა თქმა უნდა, ზებუნებრივში ვარ, მაგრამ მთელი ჩემი სამუშაო პატარა რასასთან ურთიერთობით შემოიფარგლება, კერძოდ, გობლინების შესწავლით, მაგრამ მე ყველა მათგანი მაინტერესებს, ბანშებიც კი, თუმცა არაფერია უფრო მზაკვარი და ჩუმჩუმა, ვიდრე ბანში.“

„მოჩვენებების სპეციალისტები ხომ არსებობენ. რას ამბობენ ისინი ამის შესახებ?“

„ვფიქრობ, რომ მათ რაღაც მოსაზრებები აქვთ. ტონობით ლიტერატურა არსებობს მოჩვენებებზე, მაგრამ არასდროს მქონია დრო, თვალი რომ გადამევლო. მხოლოდ ის ვიცი, რომ ადრეულ ხანაში ფიქრობდნენ - როცა ვინმე იღუპებოდა, ის მოჩვენებად იქცეოდა, მაგრამ ახლა ვხედავ, ეს აღარავის სჯერა. არსებობს განსაზღვრული გარემოებები, რა შემთხვევაშიც სული გადაიქცევა მოჩვენებად. მაგრამ ეს გარემოებები ჩემთვის უცნობია.“

„მისი სახე, - თქვა კეროლმა. - ცოტა საშიში იყო, ალბათ, მაგრამ როგორღაც მომაჯადოებელი. თავს ძლივს ვიკავებდი, რომ გამუდმებით არ მეცქირა მისთვის. საბურველში შემოსილი ბნელი სიცარიელე, რომელიც, შესაძლოა, სულაც არ არის საბურველი ქსოვილი და ნაპერწკალი, რომელიც დროდადრო გაიელვებდა, ალბათ თვალებიდან. იქნებ ყველაფერი ეს ჩემი წარმოსახვის ნაყოფია?“

„არა, მეც ასე აღვიქვამ.“

„გთხოვთ, - მიმართა კეროლმა, - ხელი მოკიდეთ მაგ სულელ კატას და ოდნავ უკან დასწიეთ, ჩქაროსნული ხაზიდან არ გადავარდეს. სულ დაკარგა სიფრთხილის გრძნობა, არაფერზე დარდობს. შეუძლია, დაიძინოს როცა უნდა და სადაც უნდა. ჭამა და ძილი მისი ერთადერთი საზრუნავია.“ მაქსველი გადაიხარა და სილვესტერი თავის ადგილზე დააბრუნა. სილვესტერმა ძილში დაიღნავლა. მაქსველი გასწორდა და სკამის საზურგეს მიეყრდნო, მაღლა ცას ახედა.

„ახედეთ ვარსკვლავებს, - თქვა მან, - დედამიწის ცას ვერაფერი შეედრება. მიხარია, რომ უკან დავბრუნდი.“

„ახლა რას აპირებთ, შინ დაბრუნებული?“

„მას შემდეგ, რაც თქვენ სახლში მიგაცილებთ, ჩემს ნივთებს წამოვიღებ და უფსთან დავბრუნდები. სანამ ჯერ კიდევ შერჩა, ერთი მაინც, ის თავისი ქილა, დავჯდებით, გათენებამდე ვისაუბრებთ და ნელ-ნელა გამოვწრუპავთ, შემდეგ დავწვები სტუმრებისთვის განკუთვნილ საწოლზე, ის კი ფოთლების გროვაში გაეხვევა...“

„მე დავინახე ეგ ფოთლების გროვა ოთახის კუთხეში და ცნობისმოყვარეობამ წამძლია, თუმცა ვერაფერი ვიკითხე.“

„სულ მანდ სძინავს. საწოლს ვერ შეეგუა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამდენი წელი ფოთლების გროვა მისთვის ფუფუნების მწვერვალს წარმოადგენდა...“

„ისევ ცდილობთ, რომ დამცინოთ.“

„არა, არ ვცდილობ, - მიუგო მაქსველმა, - სიმართლეს გეუბნებით.“

„მე არ გეკითხებოდით ამ საღამოს გეგმებზე. მე ვგულისხმობდი, საერთოდ რის გაკეთებას აპირებთ. დაგავიწყდათ, თქვენ ხომ მკვდარი ხართ?“

„ყველას ავუხსნი, - თქვა მაქსველმა, - ისე ალბათ გამუდმებით ახსნა-განმარტების მიცემა მომიწევს. სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან იქნება ხალხი, ვინც მკითხავს, თუ რა მოხდა. ალბათ, გარკვეულ წილად გამოძიებასაც ჩაატარებენ. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ეს არ მოხდება, თუმცა ვგრძნობ, რომ საჭირო გახდება.“

„ძალიან ვწუხვარ, - უთხრა კეროლმა. - მაგრამ, ამასთან, მოხარულიც ვარ. გაგიმართლათ, რომ გაორებული აღმოჩნდით.“

„სატრანსპორტო კომპანიას ამის გამეორება რომ შეეძლოს, მაშინ დამატებითი შემოსავლების შანსი გაუჩნდებოდა. ყველა ჩვენგანი მოინდომებდა ორეულის ყოლას, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევისთვის.“

„მაგრამ ამგვარად თუ ვიფიქრებთ, არ ივარგებს, აღნიშნა კეროლმა. - ის მეორე პიტერ მაქსველი ხომ ცალკე პიროვნება იყო და... ოჰ, არ ვიცი, რას ვამბობ, უკვე გვიანია და აზრებს თავს ვეღარ ვუყრი. ერთში კი დარწმუნებული ვარ, ორეულების ყოლა არ გაამართლებდა.“

„არა, - დაეთანხმა მაქსველი, - მეც ეგრე მგონია, რომ არ გაამართლებდა, ცუდი იდეა იყო.“

„სასიამოვნო საღამო გავატარე, - თქვა კეროლმა. თქვენი დიდი მადლობელი ვარ. კარგად ვიმხიარულე.“

„და სილვესტერმაც ბლომად სტეიკი მიირთვა.“

„კი, ასეა. ამას არ დაგივიწყებთ. მას უყვარს ხალხი, ვინც სტეიკით უმასპინძლდება. ძალიან ღორმუცელაა.“

„დარჩა ერთი რაღაც, - უთხრა მაქსველმა. - ერთი რაღაც, რაც თქვენ არ გითქვამთ ჩვენთვის. ვის უნდა არტეფაქტის შეძენა?“

„არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ იყო წინადადება შეძენის თაობაზე. საკმაოდ კარგი წინადადება, რადგანაც „დროს“ ყოყმანი არ დაუწყია. უბრალოდ, ყური მოვკარი საუბარს, რომელიც მე არ მეხებოდა. განა ამას მნიშვნელობა აქვს?“

„შესაძლოა, ჰქონდეს,“ - უპასუხა მაქსველმა.

„ახლა მაგონდება, - უთხრა მან, - ვიღაცის სახელს ახსენებდნენ. არა მგონია, რომ ეს მყიდველის სახელი ყოფილიყო, უფრო მონაწილის. აქამდე არც გამხსენებია. ვინმე, სახელად ჩერჩილი. ეს თქვენ რამეს გეუბნებათ?“

თავი 8

უფსი ბუხრის წინ იჯდა და უზარმაზარი დასაკეცი ჯიბის დანით ფეხის ფრჩხილებს იჭრიდა, როცა მაქსველი უკან დაბრუნდა თავის სამგზავრო ჩანთით ხელში. უფსმა დანით მიუთითა საწოლზე, რომელიც მისთვის გაემზადებინა.

„დაყარე იქ ყველაფერი და მოდი, ჩემთან დაჯექი. ახლახან შევუმატე ცეცხლს ორი მორი. ერთი ქილა არაყი უკვე სანახევროდ ჩავცალე და რამდენიმე კიდევ მაქვს გადამალული.“

„მოჩვენება სად არის?“ - იკითხა მაქსველმა.

„გაუჩინარდა. არ ვიცი, სად წავიდა; არასოდეს მეუბნება, სად მიდის. მაგრამ ვიცი, რომ დაბრუნდება. ის არასოდეს იკარგება დიდი ხნით.“ მაქსველმა ჩანთა მაგიდაზე დადო, ბუხარს მიუახლოვდა და ჩამოჯდა ისე, რომ სახით მისი ქვით მოპირკეთებული ზედაპირისკენ გადაიხარა.

„დღეს მასხარასავით იქცეოდი, - თქვა მან. - უკეთესად გამოგდიოდა, ვიდრე ჩვეულებრივ ახერხებ ხოლმე. მიზეზი რა იყო?“

„მისი დიდი გაოცებული თვალები, - ჩაიცინა უფსმა, თითქოს თავად მიბიძგებდა ამისკენ. მაპატიე, პიტ. თავი ვერ შევიკავე.“

„მთელი ეს საუბრები კანიბალიზმსა და პირღებინებაზე, თქვა მაქსველმა. - ძალიან ცუდად გამოგივიდა.“

„მაპატიე, - უპასუხა უფსმა, - ვფიქრობ, როლში შევედი. როგორც წესი, ადამიანები სწორედ ასეთ საქციელს ელიან ხოლმე მოუქნელი ნეანდერტალელისგან.“

„ეს გოგონა სულელი არაა, - თქვა მაქსველმა, - მან შესანიშნავად შემოგვაპარა ამბავი არტეფაქტის შესახებ.“

„შემოგვაპარა?“

„რა თქმა უნდა, შემოგვაპარა. ხომ არ გგონია, რომ წამოსცდა? თუმცა ეცადა, რომ ასე ეჩვენებინა.“

„მე ასე არა მგონია, - თქვა უფსმა, - შეიძლება შემოგვაპარა კიდეც. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ, როგორ გგონია, რატომ გააკეთა ეს?“

„ვფიქრობ, არტეფაქტის გაყიდვა არ უნდა. ალბათ იფიქრა, რომ თუ ამას ისეთ ყბედს ეტყოდა, როგორიც შენ ხარ, ხვალ შუადღემდე ეს ამბავი მთელ კამპუსს ეცოდინებოდა, ბევრ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა და გარიგებაც ჩაიშლებოდა.“

„მაგრამ, პიტ, ხომ იცი, რომ ყბედი არ ვარ?“

„ვიცი, მაგრამ ამ საღამოს ზუსტად ეგრე იქცეოდი.“ უფსმა დანა დაკეცა და ჯიბეში შეინახა. სანახევროდ დაცლილ ქილას დასწვდა და მაქსველს მიაწოდა. მაქსველმა არაყი მოიყუდა და დალია. ცეცხლოვანმა სითხემ ყელი ჩაუწვა და ხველა დააწყებინა. ინატრა ის დღე, როცა ამ სითხეს დალევდა და არ დაახველებდა. ქილა დაბლა დადგა, სულს ძლივს ითქვამდა, ცოტა ააკანკალა კიდეც.

„მაგარი სასმელია, - თქვა უფსმა, - საუკეთესოა მათ შორის, რაც ამ ბოლო დროს გამომიხდია. შეკრულ ჯაჭვს ხედავ, თავზე მომდგარს?“ მაქსველს საუბარი არ შეეძლო და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. უფსი წამოიწია და ქილას დასწვდა, მოიყუდა, ერთი-ორი დიუმი რომ მოაკლო, ქილა ჩამოსწია და სიყვარულით მიიხუტა ბანჯგვლიან მკერდზე. ისეთი ჰაერის ნაკადი ამოუშვა პირიდან, რომ ბუხარში ცეცლის ალმა ცეკვა დაიწყო. თავისუფალი ხელით ჭურჭელს მიეფერა.

„უმაღლესი ხარისხის სითხეა,“ - დაამატა მან. მაჯით პირი მოიწმინდა და ცეცხლს მიაშტერდა.

„აი შენ კი ის ყბედად ნამდვილად არ ჩაგთვლიდა, - თქვა მან ბოლოს, - შევამჩნიე, სიმართლის ირგვლივ როგორ დელიკატურ პირუეტებს ასრულებდი.“

„ალბათ იმიტომ, რომ სიმართლეში თავად ვერ გავრკვეულვარ, - უთხრა მაქსველმა, - რა ვქნა, არ ვიცი. მოსმენის გუნებაზე ხარ?“

„ყოველთვის, - მიუგო უფსმა, - თუკი ეს შენც გინდა. თუმცა ვალდებული არ ხარ, რამე მომიყვე, თუნდაც ჩვენი მეგობრობის გამო. მშვენივრად იცი, რომ ჩვენ მაინც მეგობრებად დავრჩებით, თუნდაც არაფერი მითხრა. ამის თქმაც კი არ არის საჭირო. არსებობს კიდევ ბევრი რამ, რაზეც შეგვიძლია ვისაუბროთ.“

მაქსველმა თავი გააქნია.

„უნდა ყველაფერი მოგიყვე, უფს. ვინმეს უნდა ვუთხრა და შენ ერთადერთი ხარ, ვისთანაც გავბედავ ამაზე ლაპარაკს. ძალიან ბევრი რამეა, რასაც მარტო ვერ მოვერევი.“

უფსმა ქილა მიაწოდა.

„ერთხელ კიდევ მოსვი და როცა გაგიხარდება, თხრობა მერე დაიწყე. ერთადერთი, რაც თავში მომდის, ტრანსპორტთან დაკავშირებული სისულელეა. ვერ დამიჯერებია, რომ ეს მოხდა. ეჭვი მაქვს, რომ აქ რაღაც სხვა ამბავია.“

„მართალიც ხარ, - მიუგო მაქსველმა, - სადღაც არსებობს პლანეტა, ვფიქრობ, რომ ძალიან ახლოს, თავისუფლად მოძრავი პლანეტა. ის არ ეკუთვნის არც ერთ მზის სისტემას, თუმცა შეუძლია ნებისმიერ დროს, როცა კი მოისურვებს, ჩაჯდეს ნებისმიერი მზის სისტემაში.“

„ჰო, მაგრამ, ეს ქაოსს გამოიწვევს სხვა პლანეტების ორბიტებში.“

„არც მთლად ეგრეა, - მიუგო მაქსველმა, - აუცილებელი არ არის იმავე სიბრტყეში ჩაჯდეს, რომელშიც სხვა პლანეტების ორბიტებია. ეს მისი იქ ყოფნის ეფექტს საგრძნობლად შეამცირებს.“ ის დასწვდა ქილას, თვალები დახუჭა და დიდი ყლუპი მოსვა. ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა, კუჭი ცეცხლის ალში გაეხვია. ქილა დაბლა დადგა და უსწორმასწოროდ ნაგებ კედელს მიეყრდნო. ქარი საკვამურში ღმუოდა – მარტოობას ტიროდა, მაგრამ გარედან ამ ხმას ტლანქი ხის ფიცრის კედლები ახშობდა. მორი ცეცხლში ჩაიშალა და მოციმციმე ნაკვერჩხალი აქეთ-იქით გაყარა. ცეცხლის ალი მაღლა აიწვერა და აცეკვდა, ამით წაქეზებულმა ჩრდილებმა ოთახში თამაში დაიწყეს. უფსი გადაიხარა და მაქსველს ხელიდან ქილა გამოართვა, მაშინვე არ მოუსვამს. ხელში დაიჭირა და მუხლებში მოიქცია.

„ესე იგი იმ მეორე პლანეტამ მოახერხა და შენი ტალღური სტუქტურის ასლი გადაიღო, - წარმოთქვა მან, - და ასე გაჩნდი ორი „შენ.“

„ეს საიდან იცი?“

„დედუქცია. ეს ყველაზე ლოგიკური გზაა, ამის მოსახდენად. ვიცი, იყო ორი შენ. ის მეორე შენზე უფრო ადრე დაბრუნდა. მე მას ვესაუბრე და ის შენ იყავი - ის ისეთივე პიტერ მაქსველი იყო, როგორიც ახლა შენ ხარ, აქ რომ ზიხარ. მან მითხრა - რომ ვერანაირი დრაკონის კვალს ვერ მიაგნო, რომ კუნსკინში წასვლა დროის ფუჭი ფლანგვა აღმოჩნდა და ამიტომაც დაგეგმილზე ადრე დაბრუნდა.“

„აი თურმე რაში ყოფილა საქმე, - თქვა მაქსველმა, - მე კიდევ თავს ვიმტვრევდი, ვერ მივხვდი, რატომ დაბრუნდა უკან ასე ადრე.“

„რთულ მდგომარეობაში ვარ, - მიუგო უფსმა, - ვერ გადამიწყვეტია, უნდა მიხაროდეს თუ უნდა მეწყინოს. ალბათ ცოტათი ორივე, ისე, რომ საკმარისი ადგილი დავიტოვო გულში იმ სასწაულისთვის, რასაც ადამიანის ბედ-იღბალი ჰქვია. ის მეორე ადამიანიც შენ იყავი და ახლა ის მკვდარია, მე მეგობარი დავკარგე – ის ადამიანი იყო, პიროვნება და ეს ადამიანი და პიროვნება დაიღუპა. მაგრამ, სამაგიეროდ აი, შენ აქ ხარ და თუ მანამდე მეგობარი დავკარგე, ახლა კვლავ შევიძინე ის დაკარგული მეგობარი, რადგანაც შენ ისეთივე ნამდვილი პიტერ მაქსველი ხარ, როგორიც ის მეორე.“

„მითხრეს, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო.“

„არ ვარ დარწმუნებული, - თქვა უფსმა, - ბევრი ვიფიქრე ამაზე. მაგრამ მას მერე, რაც შენ დაბრუნდი, უკვე აღარაფერში ვარ დარწმუნებული. ის სავალი ხაზიდან ჩამოდიოდა, ფეხი აერია, დაეცა და თავი დაარტყა...“

„ფეხი არ შეიძლება აგერიოს, როცა სავალი ხაზიდან ჩამოდიხარ, თუ ხეიბარი არ ხარ ან ნასვამი, ან ძალიან მოუქნელი. ეს გარეთა ხაზი შენც კარგად იცი, ძლივს დახოხავს.“

„ვიცი, - თქვა უფსმა. - პოლიციაც ასე ფიქრობს, მაგრამ სხვა ახსნა ვერ მოუძებნა და რადგანაც საქმის დასახურად რაღაც ახსნა-განმარტების პოვნა სჭირდებოდა, ამან დააკმაყოფილა და საქმე დახურეს. ეს ძალიან უკაცრიელ ადგილზე მოხდა. შუა გზაზე აქედან და გობლინების ნაკრძალამდე. არავის არაფერი დაუნახავს. ალბათ მგზავრებიც არ იყვნენ, ისეთ დროს მოხდა. შესაძლოა, ღამე იყო. ის დილის ათ საათზე იპოვეს. მგზავრები უკვე ექვსი საათიდან იწყებენ მოძრაობას, მაგრამ ალბათ უფრო შიდა და, როგორც ჩანს, სწრაფი ხაზით სარგებლობენ. ასეთ შემთხვევაში ბევრს ვერაფერს დაინახავ, რა ხდება ხაზის გარეთ. სხეული დიდი ხანი იყო ასეთ მდგომარეობაში, სანამ იპოვეს.“

„შენ ფიქრობ, რომ შეიძლება ეს სულაც არ იყო უბედური შემთხვევა? იქნებ, მკვლელობა იყო, არა?“

„არ ვიცი. ეს აზრი არ მასვენებს. ერთი საინტერესო დეტალია ამ ისტორიაში - რაღაც, რის, ახსნაც მიჭირს. უცნაური სუნი ჰქონდა გვამს და ირგვლივაც ეს სუნი იდგა. უცნაური არომატი, რომელსაც, არა მგონია, ვინმე იცნობდეს. შესაძლოა, ვინმემ გაიგო, რომ ორი „შენ“ იყავი. იქნებ ვინმეს არ აწყობდა ორი შენნაირის არსებობა.“

„მაგრამ ვის უნდა სცოდნოდა, რომ არსებობდა ორი მე?“

„იმ სხვა პლანეტის მცხოვრებლებს. თუ, რა თქმა უნდა, იქ მცხოვრებლები არიან...“

„არიან, - თქვა მაქსველმა, - ეს ყველაზე გასაოცარი ადგილია...“

ახლა, როცა აქ იჯდა და ამაზე საუბრობდა, ყველაფერი თვალწინ ისე წარმოუდგა, თითქოს ისევ იქ იყო. კრისტალური პლანეტა - ყოველ შემთხვევაში, ასე გამოიყურებოდა, როცა პირველად დაინახა. უკიდეგანო კრისტალური ვაკე, რომელსაც არ ჰქონდა დასასრული, და კრისტალური ცა კრისტალური სვეტებით, რომლებიც დაბლიდან აღმოცენებულიყვნენ და ზემოთ, ცისკენ აღმართულიყვნენ. მათი მწვერვალები რძისფერ ცაში ჩაკარგულიყო, მაღლა ატყორცნილი სვეტები თითქოს ცას აკავებდნენ. ცარიელი სივრცე მიტოვებულ უზარმაზარ სამეჯლისო დარბაზს მოგაგონებდათ, ყველაფერი სუფთა და გაკრიალებული იყო, გეგონებოდათ, მხოლოდ მუსიკასა და მოცეკვავეებს ელოდებაო, რომლებიც არც არასდროს გამოჩენილან და ალბათ არც გამოჩნდებოდნენ. გეგონებოდათ, ეს სამეჯლისო ოთახი მარადისობისთვის მიუნდიათო, მთელი თავისი თვალისმომჭრელი ბრწყინვალებითა და ამაოდ დახარჯული ნატიფი გემოვნებით. სამეჯლისო დარბაზი,

რომელსაც არ ჰქონდა არც კედლები და არც დასასრული ჰორიზონტზე, ალბათ, იმიტომ რომ არანაირი ჰორიზონტი არ არსებობდა, გრძელდებოდა იმ წერტილამდე, სადაც ცა - ეს უცნაური რძისფერი გამჭირვალე ცა - კრისტალურ იატაკს უერთდებოდა.

ის გაოცებული იდგა უკიდეგანო უსასრულობაში, უსასრულობაში უკიდეგანო ცით, რომელიც არც ისე შორს მოჩანდა, თუკი ამ უსასრულობას დარბაზის მასშტაბებით გავზომავდით. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ეს გოლიათის სახლი იყო და იგი ამ სახლში დაიკარგა, ეძებდა გასასვლელ კარს, მაგრამ ვერ ხვდებოდა, სად შეიძლება ყოფილიყო. ამ ადგილს განმასხვავებელი ნიშნები არ ჰქონდა, ყველა სვეტი ჰგავდა შემდეგს და ცაზეც არც ერთი ღრუბელი არ ჩანდა (თუკი ის ცა იყო), ყოველი ნაბიჯი და განვლილი მილი ჰგავდა ამ მოპირკეთებულ კრისტალურ ქვაფენილზე სხვა გადადგმულ ნაბიჯსა და მილს, რომელიც ყველა მიმართულებით გადაჭიმულიყო.

მას უნდოდა დაეყვირა, ვინმესთვის მოეხმო, მაგრამ ვერ ბედავდა - ალბათ იმის შიშით, ამას მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა, რომ უბრალო ხმამაღალ ბგერასაც კი შეეძლო მთელი ეს ცივი და თვალისმომჭრელი ბრწყინვალება ერთ დიდ მტვრის ღრუბლად გადაექცია. სიწყნარე გამეფებულიყო, არანაირი ჩქამი და ბგერა არ ისმოდა. ჩუმი, ცივი და მიტოვებული ბრწყინვალება მთელი თავისი სისპეტაკით მარტოობაში ჩაკარგულიყო.

ის ნელა, ფრთხილად, შიშით შეპყრობილი, რომ მის ნაბიჯსაც კი მთელი ამ სამყაროს მტვრად ქცევა შეეძლო, დაიძრა, თვალის კუთხეში რაღაცამ გაიელვა - არა, მოძრაობა არ დაუნახავს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს იქ ვიღაც იყო და ისე სწრაფად მოძრაობდა, რომ თვალს ამის აღქმა უჭირდა. ის გაშეშდა, მოკლედ შეჭრილი თმა ყალყზე დაუდგა, მოჯადოებულს იმით, რომ რაღაც სრულიად უცხოს, უნახავს ხედავდა, იმ შიშით, რასაც შეუცნობელი აღძრავს, შიშით, რომ აღქმა ამ უცხოსი, ასე შორს მყოფის ყოველი ნაცნობისგან, უფრო ადრე შეშლიდა ადამიანს ჭკუიდან, ვიდრე თვალის აცილებას მოასწრებდა.

არაფერი მოხდა და ისიც ოდნავ გაინძრა. ნელ-ნელა, ფრთხილად შემოტრიალდა და უცბად მიხვდა, რომ მთელი ამ დროის მანძილზე მის ზურგს უკან რაღაც აპარატი იდგა ძრავა? ინსტრუმენტი? დანადგარი? უცბად გონება გაუნათდა. ეს იყო სწორად ის უცნაური მოწყობილობა, რომლის წყალობითაც ის აქ აღმოჩნდა, ეს იყო ამ შეშლილი კრისტალური სამყაროს ერთგვარი მატერიის გადამცემი და მიმღები.

ის მიხვდა, რომ ეს არ იყო კუნსკინის სისტემა. ის არ ჰგავდა არც ერთ პლანეტას, რომელთა შესახებაც აქამდე სმენია. ნაცნობ სამყაროში არსად იყო ამის მსგავსი ადგილი. რაღაც მოხდა და ის გადაისროლეს არა კუნსკინის პლანეტაზე, რაც მის დანიშნულების ადგილს წარმოადგენდა, არამედ, რომელიღაც, შორეულ, სამყაროს მივიწყებულ კუთხეში, სადღაც, სადაც ადამიანი ალბათ ვერ შეაღწევდა კიდევ

მომდევნო მილიონი წელი, იმდენად შორს დედამიწიდან, რომ მანძილის გაზომვა წარმოუდგენელიც კი იყო.

ისევ რაღაცამ გაიელვა, რაღაც ციმციმით მოძრაობდა, როგორც ცოცხალი ჩრდილი კრისტალურ ფონზე. ის თვალყურს ადევნებდა და შეამჩნია, რომ ეს ციმციმი თანდათან მოძრავ ფიგურად გამოიკვეთა, და თვალმა თანდათან ბევრი ასეთი მოძრავი ფიგურა გაარჩია, ყოველი მათგანი უცნაური იყო, მაგრამ ყოველ ცალკეულ ციმციმს რაღაც თავისი ინდივიდუალობა ჰქონდა. ძრწოლით გაუელვა თავში, რომ შესაძლოა, ერთ დროს ამ პლანეტის ბინადრები ახლა მხოლოდ მოჩვენებებს წარმოადგენდნენ.

„და მე ისინი მივიღე, - უთხრა მან უფსს, - ვაღიარე – ვიწამე მათი, ასე მგონია. ან უნდა მიმეღო ყველაფერი, როგორც იყო ან უარმეყო ისინი და მარტო დავრჩენილიყავი იქ, მარტო ვმდგარიყავი იმ კრისტალურ ვაკეზე. ერთი საუკუნის წინ, ადამიანი ალბათ უარს იტყოდა, ერწმუნა მათი. ის უფრო ამჯობინებდა, მეხსიერებიდან წაეშალა ისინი როგორც უბრალო წარმოსახვის ნაყოფი. მაგრამ მე იმდენი საათი გავატარე ჩვენს მოჩვენებასთან, რომ უკვე აღარ მეცინებოდა მოჩვენებების ხსენებაზე. უკვე იმდენად დიდი ხანია ვმუშაობ ზებუნებრივი ფენომენების შესწავლაზე, რომ აღარც უარვყოფ ისეთი ქმნილებებისა და ძალების არსებობას, რომლებიც ადამიანის წარმოსახვას სცილდება. და ყველაზე უცნაური რაც იყო, სანუგეშო, მათ იგრძნეს, რომ ისინი მე მივიღე...“

„და სულ ეს არის? - იკითხა უფსმა, - მოჩვენებებით სავსე პლანეტა?“ მაქსველმა თავი დაუქნია, „თუ ამ კუთხით შევხედავთ კი. მაგრამ, ნება მომეცი, გკითხო - სინამდვილეში რა არის მოჩვენება?“

„ზმანება, - მიუგო უფსმა, - სული.“

„მაგრამ რას გულისხმობ ზმანებაში? ამიხსენი, რა არის სული.“

„ვიცი, - თქვა უფსმა სინანულით, - ცოტა გადავამლაშე და არ მეპატიება. ჩვენ არ ვიცით, რა არის მოჩვენება. მოჩვენებამაც კი არ იცის თავად, ზუსტად რა არის ის. ან მხოლოდ ის იცის, რომ არსებობს - და თუ ვინმემ უნდა იცოდეს ეს, ის არის პირველ რიგში. მან ბევრი იფიქრა ამაზე, სხვა მოჩვენებებსაც ესაუბრა, მაგრამ არანაირი დასკვნები. ასე რომ, ისევ ზებუნებრივებს დავუბრუნდეთ... „

„გაუგებარია,“ - თქვა მაქსველმა.

„მუტაციის გარკვეული ფორმა,“ - უთხრა უფსმა.

„კოლინზი ფიქრობდა ასე, - მიუგო მაქსველმა. - მაგრამ მას მხარი არავინ დაუჭირა. მეც არ ვეთანხმებოდი, მაგრამ ეს ადრე იყო, სანამ კრისტალურ პლანეტაზე მოვხვდებოდი. ახლა უკვე ასე აღარ ვფიქრობ. რა ემართება გონებრივთა რასას, რომელიც თავის განვითარების ბოლოს უახლოვდება, როცა, როგორც რასა, ის

გაივლის ბავშვობას, შუა ასაკს და მიაღწევს სიბერეს? რასაც ისევე იღუპება, როგორც ადამიანი, იღუპება ხანდაზმულობით. რას აკეთებს ის შემდეგში? მას შეუძლია გაქრეს, რა თქმა უნდა. ეს არის, რასაც წესით უნდა ველოდოთ. მაგრამ წარმოიდგინე, რომ არსებობდეს მიზეზი, რის გამოც ის ვერ ქრება, ის იძულებულია, დარჩეს, იძულებულია, განაგრძოს არსებობა რაღაც აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, რის გამოც ის თავს გაქრობის უფლებას არ აძლევს.“

„თუ მოჩვენება მართლა მუტაციის შედეგია, - თქვა უფსმა, - მათ თუ იცოდნენ, რომ ეს მიუტაცია იყო, მაშინ ისე ყოფილან განვითარებულნი, რომ მუტაციის კონტროლი შესძლებიათ...“ ის შეჩერდა და მაქსველს შეხედა.

„შენ გგონია, რომ სწორედ ეს არის, რაც მანდ მოხდა?“

„ჩემი აზრით, ასეა, - თქვა მაქსველმა, - უკვე იმაზეც ვიწყებ ფიქრს, რომ ეს რეალურია.“ უფსმა ქილა გაუწოდა.

„დალევა გჭირდება, - უთხრა მან, - შენ როცა მორჩები, მე კიდევ მოვსვამ.“ მაქსველმა ქილა აიღო, ხელში გააჩერა, მაშინვე არ მოუყუდებია. უფსი ხის ნაფოტების გროვას დასწვდა, ერთ მუჭში მოიქცია და ცეცხლში შეყარა. ცეცხლის ალი აიწვერა და საკვამურში შესრიალდა. გარეთ ღამის ქარი გულმოკლული კვნესოდა.

მაქსველმა ასწია ქილა და მოსვა. სითხემ ლავის ნიაღვარივით ჩაირბინა საყლაპავი მილი. დაახველა, ისევ ინატრა, ოდესმე ისე დაელია სასმელი, თუნდაც ერთხელ, რომ არ დაეხველებინა. ქილა უფსს უკან გაუწოდა. უფსმა გამოართვა, მაგრამ არ დაულევია, ქილა დაბლა დაუშვა. ალმაცერად გახედა მაქსველს.

„შენ თქვი, რომ შეიძლება იყოს რაღაც, რისთვისაც განაგრძობ ცხოვრებას. რაღაც მიზეზი, რის გამოც მათ არ შეუძლიათ გაქრობა - რაღაც, რის გამოც ისინი არსებობას განაგრძობენ, იმ ფორმით, როგორც ახერხებენ.“

„სწორია, - მიუგო მაქსველმა, - ინფორმაცია. ცოდნა. პლანეტა გაჟღენთილია ცოდნით. წარმოიდგინე, რომ ის ცოდნის უზარმაზარი საცავია - და მეეჭვება, რომ მისი, თუნდაც მეათედი, იყოს ჩვენთვის ცნობილი. დანარჩენი ყველაფერი ახალია, უცხო. არის ისეთი მასალები, ჩვენ რომ არც კი დაგვსიზმრებია. განუსაზღვრელი ცოდნა - მის შესაძენად ჩვენ კიდევ მილიონობით წლები დაგვჭირდება, თუკი ოდესმე მოვახერხებთ ამას. ეს ცოდნა შენახულია ელექტრონული ფორმით - ატომები ისეთნაირად არის მოწესრიგებული, რომ თითო ატომი ინფორმაციის რაღაც ნაწილაკის მატარებელი ხდება. შენახულია ლითონის ფირფიტებზე, რომლებიც წიგნის აკინძულ გვერდებს უფრო მოგაგონებს. თოთოეული ატომური შრე - დიახ, ისინი შრეებად არიან დალაგებული – ცალკეულ თავს შეიცავს. ჯერ წაიკითხავ პირველ შრეს, შემდეგ გადახვალ მეორე შრეზე. მერე აგრძელებ, წიგნის გვერდების მსგავსად. ატომის თითოეული შრე ერთ ფურცელს წარმოადგენს და ისინი ერთმანეთის მიყოლებით არიან დალაგებული. თითოეული ლითონის ფირფიტა - არ

მკითხო, წარმოდგენაც არ მაქვს, რამდენ ატომის შრეს მოიცავს. ასი ათასობით, ასე მგონია.“

უფსმა ნაჩქარევად მოიყუდა ქილა, უზარმაზარი ყლუპი მოსვა, სასმელის ნახევარი ბანჯგვლიან მკერდზე ჩამოეწუწა. ამოისუნთქა და თან ძლიერად ამოაბოყინა.

„მათ არ შეუძლიათ ამ განუზომელი ცოდნის დაკარგვა, უთხრა მაქსველმა, - მათ უნდათ, იმას გადასცენ, ვინც გამოიყენებს. ისინი ვერ გაქრებიან მანამ, სანამ ამ ცოდნას ვინმეს არ ჩააბარებენ. აი სწორედ იქ, უფლის წყალობით, მოვხვდი მე. მათ მე მომანდეს, მათი სახელით, ამ ცოდნის გაყიდვა.“

„მათი სახელით ამ ცოდნის გაყიდვა! მოჩვენებების ჯგუფი, რომლებიც ფეხის წვერებზე ძლივს დალასლასებენ! რა მოითხოვეს სანაცვლოდ? რა ფასი მოითხოვეს?“ მაქსველმა ხელი მაღლა ასწია და შუბლი მოიწმინდა, რომელზეც უნებლიეთ ცივმა ოფლმა დაასხა.

„არ ვიცი,“ თქვა მან.

„არ იცი? როგორ შეგიძლია გაყიდო რამე, როცა მისი ღირებულება არ იცი, ფასი არ გიკითხავს?“

„მათ მითხრეს, რომ ფასს მოგვიანებით გამაგებინებდნენ. ისიც მითხრეს, რომ ჯერ ვინმე დაინტერესებული მხარე მომეძებნა და მერე მეტყოდნენ ფასს.“

„ეს, - თქვა უფსმა უკმაყოფილოდ, - გარიგების დადების ჯერ არნახული ფორმაა.“

„დიახ, ვიცი,“ - მიუგო მაქსველმა.

„მიახლოებითაც არ იცი ფასი?“

„არანაირი წარმოდგენა არ მაქვს. ვცადე, მათთვის ამეხსნა, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე ან არ უნდოდათ გაგება. იმის მერე ისევ და ისევ ვუბრუნდები ამას, მაგრამ თავში არაფერი მომდის, ვერ წარმომიდგენია, სანაცვლოდ რა შეიძლება უნდოდეთ.“

„კარგი, - თქვა უფსმა, - მათ შესაფერისი ადგილი აირჩიეს ასეთი ტიპის გარიგების დასადებად და როგორ აპირებ ამის საზოგადოებისთვის გაცნობას?“

„მივალ და არნოლდს დაველაპარაკები.“

„არ ხარ სწორი,“ - მიაძახა უფსმა.

„მისმინე, არნოლდს უნდა დაველაპარაკო პირველ რიგში და არავის სხვას. ეს ამბავი ჯერ გარეთ არ უნდა გავიდეს, არანაირი საშუალებით. გარეთ ამ ამბავს სენსაციად ჩათვლიან. თუ მედია საშუალებები და ჭორიკნები ამას ყურს მოკრავენ, უნივერსიტეტი ვეღარ გაბედავს ამისთვის ხელის მოკიდებას. ეს ცნობილი არ უნდა გახდეს, თორემ გარიგება ჩაიშლება - დამიჯერე, ერთი სიტყვაც რომ გახდეს

ცნობილი, უნივერსიტეტმა კი მაინც გაბედოს მოლაპარაკებების წარმოება და ეს ყველაფერი ჩაიშალოს, მთელი გალაქტიკური მასშტაბით მეც და არნოლდსაც მაგრად დაგვცინებენ...“

„პიტერ, არნოლდი არარაობაა, გაბღენძილი ტომარა, ეს შენც კარგად იცი ისევე, როგორც - მე. ის ადმინისტრატორია. უბრალოდ, უნივერსიტეტის სახელით მართავს საქმეებს. არ მენაღვლება მისი პრეზიდენტობის ტიტული, ის უბრალოდ მმართველია. წარმოდგენაც არა აქვს აქ მიმდინარე აკადემიურ პროცესებზე. ის თავს არ შეიწუხებს ცოდნით დატვირთული პლანეტისთვის.“

„უნივერსიტეტის პრეზიდენტი ადმინისტრატორიც უნდა იყოს...“

„ცოტა სხვა დრო რომ ყოფილიყო, - დაიწუწუნა უფსმა, შეიძლება შენ შანსიც გქონოდა, მაგრამ ვინაიდან ეს საკითხი ახლა დადგა, არნოლდი, ჩათვალე, რომ თითსაც არ გაანძრევს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ნიუ-იორკიდან ამ ერთიციდა კამპუსში გადმოტანა...“

„კამპუსში, - ჩაურთო მაქსველმა, - რომელიც სავსეა უდიდესი ლიბერალური ტრადიციებითა და...“

„საუნივერსიტეტო პოლიტიკას, - განუცხადა უფსმა, ნაკლებად ადარდებს შენი ლიბერალური ტრადიციები ან თუნდაც სხვა სახის ტრადიციები.“

„ვიმედოვნებ, რომ ეს ასე არ არის, - უთხრა მაქსველმა, არნოლდი აუცილებლად უნდა ვნახო. კარგი იქნებოდა, რომ სხვა ვინმე მყოლოდა სანახავი, ვინმე, რომელსაც ადმინისტრაციასთან არ ექნებოდა კავშირი, მაგრამ ამ შემთხვევაში მასთან მომიწევს საქმის დაჭერა.“

„შენ შეგეძლო ამისთვის გვერდი აგეარა.“

„შუამავლის როლი? არა, არ შემეძლო, უფს. არც ერთ ადამიანს არ შეეძლო. მაშინ მოძებნიდნენ ვინმე სხვას რომელიც ალბათ ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა. არ ვარ დარწმუნებული, რომ მეც ეგრე არ დამემართება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ვცდი მაინც. ამას მარტო ჩემთვის არ ვაკეთებ, ამას მათთვისაც ვაკეთებ.“

„გატყობ, ის ხალხი მოგეწონა!“

„არც კი ვიცი, რამდენად ძალიან მომეწონა. უბრალოდ, აღტაცებული ვარ. იქნებ მეცოდებიან კიდეც. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რაც შეუძლიათ, - ძალიან დიდხანს ეძებდნენ ისეთ ვინმეს, ვისაც თავიანთ ცოდნას გადასცემდნენ.“

„გადასცემდნენ? აკი შენ თქვი - ყიდიანო?“

„მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს რაღაც, რაც მათ უნდათ ან სჭირდებათ. ნეტავ შემეძლოს და გამოვიცნო, რა არის ეს. მაშინ ბევრად უფრო გამარტივდებოდა ყველაფერი.“

„ერთი კითხვა მაქვს, შენ ხომ მათ ესაუბრე. რა ფორმით ურთიერთობდი მათთან?“

„დაფების მეშვეობით, - თქვა მაქსველმა, - უკვე გითხარი დაფების შესახებ. ინფორმაციის მატარებელი ლითონის ფირფიტები. ისინი მესაუბრებოდნენ დაფების მეშვეობით და მეც ანალოგიური გზით ველაპარაკებოდი.“

„მაგრამ, როგორ კითხულობდი...?“

„მათ მომცეს რაღაც აღჭურვილობა, სათვალის მსგავსი, მართლა, ზომით მასზე დიდი არა, მაგრამ ცოტა მძიმე კი იქნებოდა. ვფიქრობ, შიგ ბევრი მექანიზმი იყო ჩადებული. იმას გავიკეთებდი ხოლმე და დაფების კითხვა უპრობლემოდ შემეძლო. დამწერლობა კი არა, უბრალოდ, პატარა შტრიხებია ლითონის ფირფიტაზე. ძნელია ასახსნელად. მაგრამ ამ აღჭურვილობით შეხედავდი თუ არა მათ, მაშინვე ხვდებოდი, რა ეწერა ამ შტრიხებში. სათვალე გამოსაყენებლად საკმაოდ მოსახერხებელი იყო, შეგეძლო, ისე დაგეფოკუსირებინა, რომ სხვადასხვა ატომური შრე წაგეკითხა. მაგრამ დასაწყისში ისინი მხოლოდ მესიჯებს მწერდნენ, თუ ამას წერა შეიძლება დავარქვა. ბავშვებივით დაფაზე ხან აქ დაწერდნენ, ხან - იქ. მე ვპასუხობდი იმ სათვალის დახმარებით, მხოლოდ გაფიქრებაც საკმარისი იყო.“

„თარჯიმანი,“ - თქვა უფსმა.

„მეც ეგრე მგონია. ორმხრივი თარჯიმანი.“

„ჩვენ ვცადეთ, მსგავსი რამ შეგვექმნა, - აღნიშნა უფსმა, -

„ჩვენ“ რომ ვამბობ, არა მარტო დედამიწის, არამედ მთელი ნაცნობი სამყაროს საუკეთესო ინჟინრებს ვგულისხმობ.“

„კი, ვიცი,“ - თქვა მაქსველმა.

„და მაგათ კი უკვე აქვთ ეგეთი რამ. შენ მოჩვენებები უძახე და...“

„მათ კიდევ ბევრი რამე აქვთ, - მიუგო მაქსველმა, - მე მემილიონედიც არ მინახავს. ზოგიერთი მათგანი მე თვითონ გამოვცადე. ბრმად ვირჩევდი. მხოლოდ იმიტომ, რომ დავრწმუნებულიყავი, მართლა ჰქონდათ თუ არა ის, რასაც ამტკიცებდნენ.“

„ერთი რაღაცა ჯერ ისევ მაწუხებს, - თქვა უფსმა, - შენ სულ პლანეტას ახსენებ. მათი ვარსკვლავის შესახებ რას იტყვი?“

„პლანეტა ხელოვნურ გარსშია ჩასმული. იქ იყო ვარსკვლავი, მაგრამ მისი დანახვა ზედაპირიდან გამიჭირდა. საქმე იმაშია, მათ იქნებ ვარსკვლავი არც კი სჭირდებათ. შენ, მგონი, იცნობ პულსირებადი სამყაროს კონცეფციას, არა?“

„კი, ვიცნობ, - თქვა უფსმა, - სამყარო, რომელიც ფეთქდება და რაღაც დროის შემდეგ წერტილამდე იკუმშება, მერე ისევ ფეთქდება და იკუმშება და ფეთქდება და ფეთქდება..“

„მართალი ხარ, - უპასუხა მაქსველმა, - სამაგიეროდ, ამაზე ფიქრით თავს აღარ შევიწუხებ. როგორც ჩანს, ეს სიმართლეს შეეფერება. კრისტალური პლანეტა მოდის იმ სამყაროდან, იმ ძველი სამყაროს ნაწილია, რომელიც ჩვენი სამყაროს გაჩენამდე არსებობდა. ხედავ, მათ ეს წინასწარ გათვალეს. მათ იცოდნენ, რომ დადგებოდა დრო, როცა ენერგია სრულიად გაქრებოდა, მთელი ეს მკვდარი მასა ნელ-ნელა შეკუმშვას დაიწყებდა და მის ადგილას ახალი კოსმოსური კვერცხი წარმოიქმნებოდა, რომ ეს კვერცხი ისევ აფეთქდებოდა და კვლავ ახალი სამყარო გამოიჩეკებოდა. მათ იცოდნენ, რომ მათი სამყარო აღსასრულს უახლოვდებოდა და ვეღარაფერს შეცვლიდნენ. ეს მათი აღსასრულიც იქნებოდა და ამიტომ ახალი პროექტი წამოიწყეს. პლანეტარული პროექტი. მათ შეისრუტეს ენერგია, ენერგიის უზარმაზარი მარაგები შექმნეს და შეინახეს - არ მკითხო, საიდან შეისრუტეს ან როგორ შეინახეს. როგორღაც შეინახეს თვით პლანეტის მატერიაში. ასე რომ, როცა სამყაროს დანარჩენი ნაწილი ენერგიისგან დაიცალა, გაშავდა და დაიღუპა, მათ ისევ ჰქონდათ ენერგიის მარაგი. მათ გადახურეს პლანეტა. მისგან სახლი გააკეთეს. შექმნეს მამოძრავებელი მექანიზმები ისე, რომ შეუძლიათ პლანეტის გადაადგილება, იგი დამოუკიდებელ ციურ სხეულად აქციეს, რომელიც დამოუკიდებლად მოძრაობს კოსმოსში. და ვიდრე სამყაროს მკვდარი მასა ერთ წერტილში მოგროვებას დაიწყებდა, მათ დატოვეს თავიანთი ვარსკვლავი, მკვდარი და დანახშირებული უკვე იმ დროისთვის, და თავისთვის ცალკე გავიდნენ. აი ასეთ არსებობას განაგრძობენ ისინი მას მერე, მოსახლეობა, რომელიც პლანეტა-ხომალდით მოგზაურობს. მათ ნახეს ძველი სამყაროს სიკვდილი, იმისი, რომელიც ამის წინ იყო. ისინი მარტო დარჩნენ კოსმოსში, სამყაროში, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, არანაირი სინათლის შუქი, არანაირი ენერგიის გამოვლინება. შესაძლებელია - არ ვიცი - მათ ახალი კოსმოსური კვერცხის შექმნაც იხილეს. საკმაოდ მოშორებით მყოფებს, მისთვის თვალის დევნებაც შეეძლოთ. და თუ მართლა ნახეს, მის აფეთქებასაც იხილავდნენ, რაც იმ სამყაროს დაბადების მაუწყებელი იქნებოდა, რომელშიც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ, დამაბრმავებელი ნათება, როცა ენერგია ისევ მოაწყდა სამყაროს. მათ იხილეს პირველი ვარსკვლავების გაჩენა, მათ ნახეს გალაქტიკების ფორმირება. და როცა გალაქტიკების ფორმირება მორჩა, ისინი ამ ახალ სამყაროში მოვიდნენ. მათ შეეძლოთ ნებისმიერი გალაქტიკა მოენახულებინათ, მორგებოდნენ ნებისმიერი ვარსკვლავის ორბიტას და როცა მოსწყინდებოდათ, გზა სხვა მიმართულებით გაეგრძელებინათ, სხვა ვარსკვლავისკენ. მათ შეეძლოთ სურვილისამებრ გადაადგილებულიყვნენ. ისინი გალაქტიკათშორისი მაწანწალები იყვნენ. მაგრამ მათი აღსასრული უკვე ახლოვდება. პლანეტა, ვფიქრობ, სრულ წესრიგშია, რადგანაც მექანიზმები, რომლებიც მას ენერგიით უზრუნველყოფენ, წინანდებურად გამართულად მუშაობენ. ალბათ ამ პლანეტასაც აქვს თავისი ზღვარი, მაგრამ იქამდე ჯერ ძალიან შორია. უბრალოდ,

მათმა რასამ, მიუხედავად იმისა, რომ ორი სამყაროს სიბრძნეს ინახავს, სიცოცხლის ხალისი და უნარი დაკარგა.“

„ორმოცდაათი მილიარდი წელი, - თქვა უფსმა, - ცოდნის დაგროვების ორმოცდაათი მილიარდი წელი.“

„ალბათ, დაახლოებით მაგდენი, - მოიგო მაქსველმა, ეს მართლაც რომ სარფიანი გარიგებაა.“

ისინი უსიტყვოდ ისხდნენ კარგა ხანს. ცეცხლი ძლივსღა აღწევდა ბუხრის ყელამდე. შორიდან მოისმოდა კონსერვატორიის საათის ცემა, ის დროს ითვლიდა.

თავი 9

მაქსველს გამოეღვიძა.

უფსი ანჯღრევდა მას: „ვიღაცას შენი ნახვა სურს.“

მაქსველი საბნიდან გამოძვრა, ფეხები იატაკზე ჩამოაცურა, თან ხელის ცეცებით შარვალს ძებნა დაუწყო. უფსმა მიაწოდა.

„ვინ არის?“

„თქვა, რომ მისი სახელია ლონგფელოუ. საზიზღარი, დიდცხვირა ბატონია. ის გარეთ გიცდის. თვითონ ნახავ, მას დასვრის შეეშინდა და ქოხში არ შემობრძანდა.“

„მაშინ ჯანდაბამდე გზა ჰქონია,“ - მიუგო მაქსველმა და ისევ ლოგინში შესაძრომად მოემზადა.

„არა, არა, - შეაჩერა უფსმა, - საერთოდ არ მწყენია. უფრო მაღლა ვდგავარ, ვიდრე ეს შეურაცხყოფა. ამქვეყნად შეურაცხყოფას ვერაფერი მომაყენებს.“ მაქსველმა, დიდი ბრძოლის შედეგად, ძლივს მოახერხა შარვალის ჩაცმა, წაყო ფეხები ფეხსაცმელებში და გასასვლელად მოემზადა.

„იცი, ვინ არის?“

„წარმოდგენა არ მაქვს,“ - უთხრა უფსმა.

მაქსველმა ბორძიკით გაიარა ოთახი და კედელს მიუახლოვდა, პირსაბანში მდგარი ვედროდან წყალი ჩამოისხა და სახეზე შეისხურა.

„რა დროა?“ - იკითხა მან.

„რვის რაღაც წუთებია.“

„ალბათ ბატონ ლონგფელოუს ეჩქარება ჩემი ნახვა.“

„ის გარეთ გელოდება, ბოლთას სცემს, რაღაც მოუთმენლობა ეტყობა.“

ლონგფელოუ მართლაც მოთმინებას კარგავდა. მაქსველი კარში გამოჩნდა თუ არა, მაშინვე მისკენ გამოქანდა და ხელი გაუწოდა.

„პროფესორო მაქსველ, - თქვა მან, - მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს გიპოვეთ. საკმაო ძალისხმევა დამჭირდა. მერე ვიღაცამ მომასწავლა, რომ აქ შეიძლებოდა თქვენი ნახვა, - მან ქოხს შეხედა და დიდი ცხვირი აიბზუა, - ჰოდა, მეც აქეთ გამოვეშურე.“

„უფსი, - თქვა მაქსველმა წყნარად, - ჩემი ძველი და ძვირფასი მეგობარია.“

„მოდით, ცოტა გავისეირნოთ, - შესთავაზა ლონგფელოუმ, - არაჩვეულებრივად სასიამოვნო დილაა. უკვე ისაუზმეთ? არა, არა მგონია, რომ მოგესწროთ.“

„კარგი იქნება, - უთხრა მაქსველმა, - თუკი მეტყვით, ვინ ბრძანდებით.“

„მე ადმინისტრაციიდან ვარ. ჩემი სახელია სტეფან ლონგფელოუ, - პრეზიდენტის თანაშემწე ვარ.“

„მაშინ თქვენ სწორედ ის ადამიანი ხართ, ვისი ნახვაც მე მინდოდა, - თქვა მაქსველმა, - მე პრეზიდენთან მჭირდება შეხვედრა და რაც შეიძლება მალე.“ ლონგფელოუმ თავი გააქნია:

„მე გეტყვით, რომ ეს შეუძლებელია.“

ისინი ბილიკს დაადგნენ, რომელიც ქვემოთ, გზატკეცილისკენ მიუყვებოდა. ზღაპრულად მოელვარე ყვითელი ფოთლები, იქვე ბილიკზე მდგარი კაკლის ხის მსხვილი ტოტებიდან ჩამოცვენილი, ნელა დაფარფატებდნენ ჰაერში. დაბლა, გზატკეცილისკენ ნეკერჩხლის ხე ცეცხლოვანი ალისფერით გამოკვეთილიყო მოცისფრო დილის ცაზე. შორს ამ ცაზე V-ს ფორმად ჩამწკრივებული იხვების გუნდი სამხრეთისკენ მიემართებოდა.

„შეუძლებელია, - თქვა მაქსველმა, - ისე ამბობთ, თითქოს ეს საბოლოო პასუხი იყოს. თითქოს უკვე იფიქრეთ ამაზე და გადაწყვეტილებაც მიიღეთ.“

„თუ თქვენ დოქტორ არნოლდთან საუბრის სურვილი გაქვთ, - უთხრა ლონგფელოუმ მას ცივად, - ამისთვის სხვადასხვა საშუალება არსებობს. უნდა გესმოდეთ, რომ პრეზიდენტი დაკავებული ადამიანია და... „

„ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, - თქვა მაქსველმა, - და ყველაფერი გავიგე, სხვადასხვა საშუალებაში რასაც გულისხმობთ. უთვალავი დაყოვნება, ხელიდან ხელში გადასული თხოვნა და ის ფაქტი, რომ ამ საუბრის შესახებ ეცოდინება უამრავ ადამიანს...“

„პროფესორო მაქსველ, - მიმართა ლონგფელოუმ, აზრი არა აქვს, როგორც ვატყობ, ქარაგმებით ლაპარაკს. თქვენ შეუპოვარი ადამიანი ბრძანდებით და ვფიქრობ, საკმაოდ ჯიუტიც და ასეთი ტიპის ადამიანისთვის ყოველთვის ჯობია, უკვე გაკვალულ გზას გაჰყვეს. პრეზიდენტი არ შეგხვდებათ. ის თავს ვერ მისცემს თქვენი ნახვის უფლებას.“

„იმიტომ, რომ არსებობდა ორი „მე“? იმიტომ, რომ ერთი „მე“ მკვდარია?“

„დღეს დილით პრესა სავსე იქნება ამ ამბით. მყვირალა სათაურებით ადამიანზე, რომელიც მკვდრეთით აღსდგა. რადიოს უსმინეთ, ალბათ, ან ტელევიზორს უყურეთ?“

„არა, - მიუგო მაქსველმა, - ვერ მოვახერხე.“

„იცით, მალე ნახავთ, რომ თქვენი ამბავი უკვე ცირკს დაემსგავსა. არ მერიდება იმის თქმა, რომ ეს შემაძრწუნებელია.“

„თქვენ სკანდალს გულისმობთ?“

„ვფიქრობ, ასეც შეიძლება უწოდოთ. ადმინისტრაციას ისედაც ბევრი პრობლემა აქვს იმის გარდა, თქვენსაში რომ აღარ გაერიოს. თუნდაც შექსპირის ამბავი გაიხსენეთ მაგალითისთვის. ჩვენ არ შეგვიძლია მივაჩუმოთ ის შემთხვევა, მაგრამ თქვენი ამბის მიჩუმებას კი მოვახერხებთ.“

„მაგრამ, რა თქმა უნდა, - თქვა მაქსველმა, - ადმინისტრაცია ისე არ იქნება შეწუხებული შექსპირისა და ჩემი ამბით, როგორც იმ პრობლემებით, რაც მას თავს დაატყდა. დიდი გამოხმაურება აქვს დუელების აღორძინებას ჰეიდელბერგში და კამათს, რომელიც ეხება ზოგიერთი უცხოპლანეტელი სტუდენტის აყვანას ფეხბურთელთა გუნდში და...“

„ნუთუ ვერ ხედავთ, - აწუწუნდა ლონგფელოუ, - რაც ხდება ამ კამპუსში, ყველაფერს მნიშვნელობა აქვს.“

„იმიტომ, რომ ადმინისტრაცია აქ გადმოიტანეს? მაშინ, როცა ოქსფორდი, კალიფორნია, ჰარვარდი და კიდევ ბევრი სხვა...“

„მე თუ მკითხავთ, - განაცხადა ლონგფელოუმ მკვახედ, - ეს სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან არასწორი შეფასების შედეგია. ამან ძალიან გაურთულა საქმე ადმინისტრაციას.“

„რა მოხდება, - იკითხა მაქსველმა, - თუ ავალ იმ გორაკზე, შევალ ადმინისტრაციაში და დავიწყებ მერხებზე ბრახუნს?“

„თქვენც კარგად იცით. გარეთ გამოგისვრიან.“

„მაგრამ, თუ მე თან მოვიყვან გაზეთისა და ტელე ჟურნალისტებს და ისინი გარედან ყველაფერს ადევნებენ თვალყურს?“

„მაშინ, ვფიქრობ, თქვენ გარეთ არ გამოგისვრიან. მაშინ, იქნებ, პრეზიდენტის ნახვაც კი მოახერხოთ. მაგრამ გარწმუნებთ, ასეთ ვითარებაშიც კი ვერ მიიღებთ იმას, რის მიღებასაც ცდილობთ.“

„მაშასადამე, - თქვა მაქსველმა, - მე ყველა შემთხვევაში წაგებული ვარ და მნიშვნელობა არ აქვს, რა გზას დავადგები.“

„ისე, - უთხრა მას ლონგფელოუმ, - ამ დილით მე თქვენთან სავსებით სხვა მისიით მოვედი. სასიხარულო ამბავი მოგიტანეთ.“

„უკვე წარმომიდგენია, რა უნდა იყოს ეს, - თქვა მაქსველმა. - რა სატყუარა გინდათ გადმომიგდოთ, აქედან რომ გავქრე?“

„სატყუარა არა, - თქვა ლონგფელოუმ შეწუხებულმა, დამავალეს, შემოგთავაზოთ დეკანის პოზიცია უნივერსიტეტის საექპერიმენტო კოლეჯში, რომელიც გოტიკა IV-ზე იწყებს ფუნქციონირებას.“

„თქვენ კუდიანებითა და ჯადოქრებით დასახლებულ პლანეტას გულისხმობთ?“

„ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა თქვენი დარგის ადამიანისთვის, - შეეპასუხა ლონგფელოუ, - პლანეტა, სადაც ჯადოქრობა განვითარდა ყოველგვარი სხვა გონიერი არსებების ჩარევის გარეშე, როგორც, მაგალითად, ეს დედამიწაზე მოხდა.“

„ას ორმოცდაათი სინათლის წლის დაშორებით, - თქვა მაქსველმა, - ერთ-ერთი დაშორებული და მოღუშული ადგილი. მაგრამ ალბათ ხელფასი მექნება ძალიან კარგი.“

„მართლაც რომ გადასარევი.“

„არა, გმადლობთ, - უთხრა მაქსველმა, - ჩემი სამსახურით აქაც კმაყოფილი ვარ.“

„სამსახურით?“ - ჰკითხა ლონგფელოუმ.

„დიახ. თუ დაგავიწყდათ, შეგახსენებთ, რომ მე ზებუნებრივი ფაკულტეტის წევრი ვარ.“ ლონგფელოუმ თავი გააქნია.

„უკვე აღარ ხართ, - უთხრა მან, - დაგავიწყდათ? თქვენ გარდაიცვალეთ სამი კვირის წინ. ჩვენ ვერ შევინახავდით თავისუფალ ადგილს ამდენი ხანი.“

„გინდათ მითხრათ, რომ მე შემცვალეს?“

„რა თქმა უნდა, - მიუგო ლონგფელოუმ ვერაგულად, - ამჟამინდელი მდგომარეობა მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ თქვენ უმუშევარი ბრძანდებით.“

თავი 10

მიმტანმა ერბოკვერცხი და ლორი მოიტანა, ყავა ჩამოასხა, შემდეგ წავიდა და მაქსველი მარტო დატოვა მაგიდასთან.

უზარმაზარი ფანჯრის წყალობით მენდოტას ტბა კარგად მოჩანდა. ცისფერი მინის ფირფიტას ჰგავდა, უმოძრაო ზედაპირით. მოცისფრო სიშორეში ტბის ნაპირზე აწოწილი მეწამული კლდეების სილუეტები მკრთალად იკვეთებოდა.

ციყვმა ძარღვიანი მუხის ხე ჩამოირბინა, რომელიც ზუსტად ფანჯრის მეორე მხარეს იდგა და იქვე გაირინდა, თავი დაბლა დახარა და მძივის თვალებით მაგიდასთან მჯდომ კაცს მიაშტერდა. მუხის ყავისფერი და წითელი ფოთლები ტოტებიდან მიწისკენ ტრიალ-ტრიალით მოფრინავდნენ, ჰაერის ნაკადი დროდადრო მათ გზაში აყოვნებდა. კლდოვან სანაპიროზე ბიჭი და გოგო ნელა მისეირნობდნენ ხელიხელჩაკიდებულნი, ტბის სანაპიროს დილის მყუდროებით შებურვილნი.

ის უკვე ცივილიზებული და მოთვინიერებულია, უთხრა მაქსველმა საკუთარ თავს, რომელსაც ლონგფელოუს საუზმეზე მიწვევა მიეღო და ახლა მასთან ერთად მიირთმევდა, მაგრამ იმ დროს, როცა გვერდს პრეზიდენტის თანაშემწე უმშვენებდა, ერთადერთი, რასაც იმ მომენტში ნატრობდა, მარტო ყოფნა იყო, ცოტაოდენი დრო, რომ სიტუაცია კარგად აეწონ-დაეწონა, დაფიქრებულიყო თუმცა ალბათ საფიქრალი დრო არც ჰქონდა.

უფსი მართალი აღმოჩნდა. ახლა უკვე აშკარა იყო, რომ უნივერსიტეტის პრეზიდენტის ნახვა ადვილი არ იქნებოდა, არა მარტო გადატვირთული გრაფიკისა და მისი ქვეშევრდომების ბიუროკრატიული ხვანჯების, არამედ კიდევ სხვა გარემოებების გამო, რაც მისთვისაც გაუგებარი იყო. საქმე ეხებოდა პიტერ მაქსველის ორეულს, რომელსაც უკვე სკანდალის სუნი ასდიოდა და რომელთანაც არნოლდს დაკავშირების არანაირი სურვილი არ ექნებოდა. მაქსველს ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა, თან ფანჯრის მეორე მხარეს მომზირალ ციყვს თვალს არ აშორებდა - ადმინისტრაციის ამგვარი დამოკიდებულება მისდამი რაიმე კავშირში იყო თუ არა ინსპექტორ დრეიტონის მის დაკითხვასთან.

ნუთუ უშიშროების სამსახური არნოლდზეც მიიტანდა იერიშს? ეს დაუჯერებელი ჩანდა, თუმცა, მაქსველი აცნობიერებდა, რომ ეს მოსალოდნელიც იყო. მოსახდენი მოხდებოდა, არნოლდის ნერვიული დამოკიდებულება ამ საქმის მიმართ და პოსტის ნაჩქარევი შეთავაზება გოტიკა IV-ზე ადასტურებდა, რომ ადმინისტრაციას არა მარტო არაფრის გაგება არ სურდა მეორე პიტერ მაქსველის შესახებ, არამედ მათ

დედამიწიდან მისი, რაც შეიძლება, მალე მოცილება უნდოდათ, მისი სამუდამოდ დამარხვა პლანეტაზე, სადაც მოკლე ხანში მას ადვილად დაივიწყებდნენ.

გასაგები იყო, რომ მისი პოზიცია ზებუნებრივებში სხვამ დაიკავა მეორე პიტერ მაქსველის სიკვდილის მერე. რასაკვირველია, ლექციების გაცდენას არავინ დაუშვებდა. ფაკულტეტი არ უნდა ჩამორჩენილიყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაქსველისთვის აქ ადგილის მოძებნა პრობლემას არ წარმოადგენდა. გოტიკა IV-ზე მისთვის ასე სწრაფად სამსახურის გამოძებნის ფაქტი მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებდა და იმის დამადასტურებელი იყო, რომ ვიღაცას მისი დედამიწაზე დარჩენა არ აწყობდა, ხელს უშლიდა.

და მაინც ეს უცნაურად ეჩვენებოდა. ადმინისტრაციას გუშინდელ დღემდე არ შეიძლებოდა ორი პიტერ მაქსველის არსებობის შესახებ სცოდნოდა. ეს პრობლემა არ არსებობდა, არანაირი საფუძელი არ იყო პრობლემისთვის. ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებდა, რომ ვიღაც სწრაფად მოქმედებდა ადმინისტრაციაში - ვიღაც, ვისაც მისი თავიდან მოშორება უნდოდა. ვიღაც, ვისაც ეშინოდა, რომ ის ხელს შეუშლიდა.

მაგრამ ხელს რაში შეუშლიდა? და ამაზე პასუხი ისეთი ნათელი და მარტივი ჩანდა, რომ ის გრძნობდა, ინსტინქტურად გრძნობდა - ეს პასუხი მცდარი უნდა ყოფილიყო. მაგრამ სწორი პასუხის ძებნაში მხოლოდ ერთი რამ მოსდიოდა თავში - ვიღაცამ იცოდა კრისტალური პლანეტის საგანძურის შესახებ და მის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. მხოლოდ ერთი სახელი იყო ცნობილი. კეროლმა ჩერჩილი ახსენა - ჩერჩილი, რომელიც რაღაც კავშირში იყო იმ გარიგებასთან, არტეფაქტის შესახებ, „დროს“ რომ შესთავაზეს. შესაძლებელია, რომ ეს არტეფაქტი ყოფილიყო კრისტალური პლანეტის საფასური მისი ცოდნისთვის? ამაში მთლად დარწმუნებული ვერ იქნებოდა, მაგრამ არც შეუძლებელი ჩანდა, რადგანაც სინამდვილეში არავინ იცოდა, რას წარმოადგენდა არტეფაქტი.

ჩერჩილი რომ ამ გარიგებაზე მუშაობდა, გასაკვირი სულაც არ იყო. ყოველ შემთხვევაში, მას არ გაჰკვირვებია, სხვას კი, იქნებ, გაჰკვირვებოდა კიდეც. სხვას, ვინც ჩერჩილს კარგად არ იცნობდა. სწორედ ასეთი ტიპის გარიგებებში არ ჰყავდა ჩერჩილს ბადალი. ეს კაცი პროფესიონალი შუამავალი იყო და ყველაფერი იცოდა ამ საქმიანობის შესახებ. ამ სფეროში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მას ჰქონდა კავშირები, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროები ბევრ უცნაურ და ძალოვან ორგანიზაციაში.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მიხვდა მაქსველი, მისი მისია ბევრად უფრო გაძნელდებოდა. ის არა მარტო ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რომ ყოველივე ეს ადმინისტრაციის დერეფნებში საჭორაო საგნად არ გადაქცეულიყო, არამედ, ასევე დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ არც ერთი მისი ინფორმაცია არ ჩავარდებოდა ისეთ ხელში, რომელიც მას შემდგომ მის წინააღმდეგვე გამოიყენებდა.

ხიდან ჩამოსული ციყვი ახლა საქმიანი იერით წყალობას ითხოვდა დაბლა ტბისკენ მიმავალ გაზონზე და თან ანცი ხტუნვა-ხტუნვით ჩამოცვენილ ფოთლებში რკოს ეძებდა, რომელიც, შესაძლოა, მანამდე მხედველობიდან გამორჩენოდა. გოგო და ბიჭი უკვე თვალთახედვის არეში ჩაკარგულიყვნენ და ახლა დროდადრო ქარი ნაზ ტალღებში ახვევდა ტბის ზედაპირს.

სულ რამდენიმე ადამიანი საუზმობდა ოთახში; მათ უმეტესობას, რომლებიც მაქსველის შემოსვლამდე უკვე იქ ისხდნენ, დაემთავრებინათ და წასვლას აპირებდნენ. ზემოთა სართულიდან შორი ლაპარაკისა და ფეხის ტყაპუნის ხმა მოდიოდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ სტუდენტთა ყოველდღიური ნაკადი კლუბისაკენ მიემართებოდა, სადაც თავისუფალ დროს ასპირანტები იკრიბებოდნენ.

ეს კამპუსის ერთ-ერთი უძველესი ნაწილია და ყველაზე საუკეთესოც, უთხრა მაქსველმა საკუთარ თავს. რადგანაც უკვე ხუთას წელზე მეტია, რაც ის, თაობიდან თაობამდე, შეხვედრის ადგილს წარმოადგენდა, თავშესაფარს, სასწავლო დარბაზს და ყველა თაობაში მას იოლად და ყველასთვის მისაღები ფორმით დაემკვიდრებინა ისეთი მტკიცე ტრადიცია, რასაც რამდენიმე ათასეული სტუდენტისთვის მეორე სახლი ერქვა. აქ იპოვიდით სასურველ სიწყნარეს მეცადინეობისთვის, კარგი გულითადი საუბრისთვის აუცილებელ მყუდრო კუთხეს, ბილიარდის ან ჭადრაკის სათამაშო ოთახებს, სასადილოებს, შეხვედრების ოთახს, უცნაურ კუთხეებში მოწყობილ სამკითხველო დარბაზებს, უამრავი წიგნის თაროთი.

მაქსველი სკამის საზურგეს მიეყრდნო, ჯდომას განაგრძობდა, რატომღაც ეზარებოდა ადგომა და წასვლა იცოდა, როგორც კი ამ ადგილს დატოვებდა, კვლავ პრობლემებში ჩაეფლობოდა, რომელთა გადასალახად ბრძოლა მოუწევდა. ფანჯრის გარეთ ოქროსფერი შემოდგომის დღე გაწოლილიყო, თბილოდა, რადგან მზე უკვე მაღლა ცაში ამობრწყინებულიყო - ოქროსფერი ფოთოლცვენის დღისთვის, შორეული გორაკების ცისფერი ნისლისთვის, ბაღში კვლებად ჩამწკრივებული საუცხოო ლამაზი ქრიზანთემებისთვის, მინდვრებსა და უკაცრიელ ველებში გოლდენროდებისა და ასტრების უსიტყვო ბრწყინვალებისთვის.

ზურგიდან მას ბევრი ფეხის ტყაპუნის ხმა შემოესმა და როცა სკამზე შემობრუნდა, ამ ფეხების პატრონს მოჰკრა თვალი. ის ოთხკუთხედ წითელ ფილებზე სწრაფად მოიწევდა მისკენ. ის უზარმაზარ, ხმელეთზე მოსიარულე ხამანწკას ჰგავდა, გადაბმული ფეხებით, უცნაურად დაგრეხილი სხეულით, უცნაური საცეცებით - ალბათ გრძნობის ორგანოებით რომლებიც ერთი ციცქნა თავიდან გამოჭიმულიყო, ის არაბუნებრივად თეთრი იყო და მისი სამი მომრგვალებული შავი თვალი გრძელი ანტენების ბოლოებზე ირხეოდა.

ის მოვიდა და მაგიდის გვერდით გაჩერდა, სამი ანტენა დატრიალდა, რომ სამი თვალი პირდაპირ მაქსველისთვის მიეპყრო. საუბარი დაიწყო მაღალი, საყვირისებური ხმით, თავზე ხორხის კანი სწრაფად ირხეოდა,

„შეტყობინება მაქვს, თქვენ ბრძანდებით პიტერ მაქსველი?“

„ინფორმაცია, როგორც ჩანს, სწორად მოგაწოდეს, მიუგო მაქსველმა, - მე გახლავართ პიტერ მაქსველი.“

„მე ქმნილება ვარ სამყაროდან იმ, შუბისთავ ოცდარვას უწოდებთ თქვენ. სახელი მე მქვია არ იყოს საინტერესო თქვენთვის უნდა. მე ვარ თქვენს წინაშე ჩემი დამქირავებლისგან მაქვს დავალება იმიტომ რომ. შესაძლოა კიდეც თქვენ მას იცნობთ, მის ნენსი კლეიტონს.“

„მართლაც რომ ვიცნობ,“ - მიუგო მაქსველმა, ეს მართლაც ნენსი კლეიტონს ჰგავდა, მსტოვრად დაექირავებინა ისეთი არამიწიერი არსება, როგორიც ეს თავფეხიანი იყო.

„სწავლის პარალელურად მე ვმუშაობ, - აუხსნა ხამანწკამ, - ყველა სამუშაოს ვასრულებ, რასაც ვნახავ.“

„ეს სანაქებოა,“ - მიუგო მაქსველმა.

„მე ვსწავლობ დროის მათემატიკას, - განაცხადა ხამანწკამ, - ჩემი კონცენტრაცია მიმართულია სამყაროს ვექტორების კონფიგურაციისკენ. ეს ძალიან მიტაცებს.“ ერთი შეხედვით ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ხამანწკას შეეძლო რაიმე თემაზე გატაცებით ემუშავა.

„რით არის გამოწვეული ეს ინტერესი? - ჰკითხა მაქსველმა, - თქვენი პლანეტის რაიმე თავისებურებით? თუ თქვენი კულტურული მემკვიდრეობიდან?“

„ოჰ, მართლაც ესეა რომ. სავსებით ახალი იდეაა. ჩემს სამყაროში, დროის გაგება არ არსებობს, არანაირი დროის ფასი. მე შოკირებული ვარ ამის შესწავლით და აღტაცებულიც. მაგრამ დიდად დაინტერესებულიც. მაგრამ გადავუხვიე. მე აქ დავალებით ვარ. მის კლეიტონს სურვილი აქვს იცოდეს თუ შეგიძლიათ რომ დაესწროთ საღამოს წვეულებას მის სახლში რვა საათისთვის.“

„ვფიქრობ, რომ შემიძლია, - თქვა მაქსველმა. გადაეცით, რომ ჩემთვის ყოველთვის დიდი პატივია მის წვეულებებზე დასწრება.“

„მოხარული ვარ, - მიუგო ხამანწკამ. - მას ძალიან სურს, რომ თქვენ იქ გიხილოთ. თქვენზე ლაპარაკობენ ბევრს.“

„გასაგებია,“ - უთხრა მაქსველმა.

„ძნელია თქვენი პოვნა. ბევრი და ჩქარა ვირბინე. ბევრ ადგილას მოგიკითხეთ. საბოლოოდ მიზანს მივაღწიე.“

„ვწუხვარ, - უთხრა მაქსველმა, - რომ ამდენი გაწვალეთ.“ მან ჯიბეში ჩაიყო ხელი და ქაღალდის ფული ამოიღო. ხამანწკამ ერთ-ერთი წინა ფეხთაგანი გაშალა, ფული

წყვილი მარწუხით ჩაბღუჯა, მოკეცა, კიდევ გადაკეცა და პატარა ჩანთაში ჩადო, რომელიც მკერდში გაეხსნა.

„თქვენი თავაზიანობა მოსალოდნელზე მეტი იყო, - თქვა მან საყვირისებური ხმით, - კიდევ ერთი ინფორმაცია. წვეულების მიზეზია ბოლო დროს შემენილი ახალი ნახატების ჩვენება. ნახატები დაკარგულად ითვლებოდა დიდი ხნის განმავლობაში. ავტორი ალბერტ ლამბერტია, ესქვაიერი. ეს მის კლეიტონისთვის ტრიუმფია.“

„მზად ვარ დავნაძლევდე, რომ ეგრეა, - უპასუხა მაქსველმა, - მის კლეიტონი ტრიუმფების დიდი სპეციალისტია.“

„ის, როგორც დამქირავებელი, გულუხვია,“ - მიუგო ხამანწკამ საყვედურით.

„მე ამაში დარწმუნებული ვარ,“ - დაუდასტურა მაქსველმა.

არსება სწრაფად დაიძრა და თავქუდმოგლეჯილი გაიჭრა ოთახიდან.

მაქსველს ესმოდა, თუ როგორ ხმაურით ავარდა ქუჩაში გამავალ კიბეზე ხამანწკა. მაქსველი თავადაც წამოდგა და კიბისკენ გაემართა. თუ ის ნახატების გამოფენაზე აპირებდა წასვლას, უთხრა მან საკუთარ თავს, უკეთესი იქნებოდა, მხატვრის შესახებ რაიმე შეეტყო. ეს ზუსტად ის იყო, ჩაიცინა მან, რასაც ნენსის წვეულებაზე მიწვეული ყველა სხვა სტუმარი იქ მისვლამდე გააკეთებდა.

ლამბერტი? სახელი ცოტა არ იყოს ეცნაურა კიდეც. სადღაც რაღაც გაუგია მის შესახებ, ალბათ დიდი ხნის წინ. იქნებ, თავისუფალ დროს სტატიაც კი წაუკითხავს ჟურნალში.

თავი 11

მაქსველმა წიგნი გადაფურცლა.

„ალბერტ ლამბერტი, - ამოიკითხა გადაშლილი გვერდიდან, - დაიბადა ჩიკაგოში, ილინოისში, 11 იანვარს 1973 წელს. ცნობილი გახდა თავისი უბადლო გროტესკული სიმბოლიზმით სავსე ნამუშევრებით, თუმცაღა მისი ადრეული წლები არავითარ წინაპირობას არ იძლეოდა მისი შემდგომი წარმატების შესახებ. თავდაპირველი ნამუშევრები, თუმცა კონკურენტუნარიანობით ხასიათდებოდა, მიუთითებდა მის დახვეწილ ხატვის მანერაზე და მდიდარი იყო თემის სიღრმისეული გადმოცემით, მიუხედავად ამისა, დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობდა.

გროტესკული პერიოდი დაიწყო, როცა მხატვარი ორმოცდაათი წლის შესრულდა და შეიძლება ითქვას, რომ მის შემოქმედებაში შეუდარებელი წინსვლის ხანა დაიწყო. მისმა ფერწერამ ისეთი რადიკალური შემობრუნება განიცადა, თითქოს მხატვარი მთელი ამ დროის მანძილზე ყველასგან ფარულად იხვეწებოდა და ვითარდებოდა,

არავის უზიარებდა იმ პერიოდის ნამუშევრებს იმ დრომდე, ვიდრე ხატვის ახალმა სტილმა საბოლოოდ არ დააკმაყოფილა. საქმე რომ სწორედ ასე წარიმართა, ამის მტკიცებულება არ არსებობს. პირიქით, არსებობს საბაბი, ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი სხვაგვარად იყო.“ მაქსველი კითხვას შეეშვა, ტექსტს გადაახტა და მხატვრის ნამუშევრების ფერად რეპროდუქციებზე გადავიდა. ჩქარა გადაფურცლა ადრეული ნამუშევრები, დიდად არაფერი იყო საინტერესო და უცებ ყველაფერი შეიცვალა – მხატვრის საერთო ხედვა, ფერი, ხატვის მანერაც კი სავსებით განსხვავებული გახდა. თითქოს ნამუშევრები ორ სხვადასხვა მხატვარს ეკუთვნოდა, ადრეული ნახატები უფრო შინაგანი სამყაროს გამოხატვის სურვილისკენ სწრაფვას წარმოადგენდა, მაშინ, როცა გვიანდელ ნამუშევრებში იგრძნობოდა უფრო მძიმე სულიერი განცდებისა და გამოცდილების დაღი, რომლის გადმოცემასაც ის ტილოზე ცდილობდა.

ძლიერი, ბნელი, მრისხანე სილამაზე ჩქეფდა წიგნის ფურცლიდან და სამკითხველო დარბაზის ბნელ მდუმარებაში, მაქსველს მოეჩვენა, რომ მას ყურში ტყავის შავი ფრთების შარაშური ჩაესმოდა. წარმოუდგენელი ქმნილებები დანავარდობდნენ ამაღელვებელი ლანდშაფტის თავზე და მაქსველმა დაასკვნა, რომ არც ლანდშაფტი და არც ეს ქმნილებანი არ იყო უბრალოდ წარმოსახვის, ადამიანის გონების უბრალო ახირების ნაყოფი, არამედ ჩანდა, რომ ეს გახლდათ შედეგი იმ სოლიდური არამიწიერი გეომეტრიული გამოხატულებისა, რომელიც ლოგიკიდან და უცხოპლანეტელების თვალსაწიერიდან იღებდა სათავეს. ფორმა, ფერი, მიდგომა და დამოკიდებულება - ყოველივე ეს არ იყო უბრალოდ ადამიანური ღირებულებებიდან აღებული, პირიქით, აუცილებლად დაგეუფლებოდათ განცდა, რომ ყოველივე ამით იმ სიტუაციის პროზაულ დემონსტრირებას ახდენდა, რომელიც აშკარად სცდებოდა ადამიანური ღირებულებების საზღვრებს.

„გროტესკული სიმბოლიზმი...“, - ასე უწოდებდა ყოველივე ამას წიგნის ავტორი და ასეც შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ეს სიმბოლიზმი მხოლოდ და მხოლოდ რეალური ნატურის გულისხმიერად შესწავლის შედეგი თუ იქნებოდა.

გვერდი გადააბრუნა და კვლავ გამოჩნდა ნახატი, რომელიც ყოველგვარი ადამიანურისგან სრულიად უცხოს წარმოადგენდა - უცხო პეიზაჟი, უცხო არსებები სრულიად უცხო, წარმოუდგენელ ლანდშაფტზე, ნახატი პირველივე შეხედვიდან რეალურობის გრძნობას ტოვებდა, არანაირი ფანტაზია, რომელიც მხატვრის გონებას შეეძლო შეექმნა.

მხატვარს ეს პეიზაჟიც ცოცხლად ჰქონდა ნანახი და ახლა ამ ყველაფერს მეხსიერებიდან და გონებიდან ტილოზე დევნიდა. დევნიდა როგორც ადამიანი, რომელიც ხელების დაბანით, უხეში საპნის წასმითა და აქაფებით და ისევ წასმით, დაუსრულებლად, უიმედოდ ცდილობს, როგორმე მოიშოროს ოდესღაც ფიზიკურად მოცხებული წარმოდგენითი ლაქა.

მხატვარს ნანახი ჰქონდა ეს პეიზაჟი, და არა ადამიანის, არამედ რომელიღაც დიდი ხნის წინ გამქრალი და ყველასთვის უცნობი რასის თვალით, აღქმით იყო ყოველივე დანახული.

მაქსველი მოჯადოებული იჯდა, ცდილობდა, თვალი მოეწყვიტა, მაგრამ - უშედეგოდ, ის მონუსხული, დატყვევებული იყო იმ ზებუნებრივი და კუშტი მშვენიერებით, რომელშიც რაღაც ისეთი ფარული, მისი გონებისთვის მიუწვდომელი აზრი იგრძნობოდა. დრო, როგორც ეს ხამანწკამ უთხრა, იყო რაღაც, რაზეც ხამანწკას რასას არასოდეს უფიქრია, უნივერსალური ფაქტორი, რომლის არსებობასაც მათ კულტურაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია და მსგავსი რამ კაცობრიობისთვის აქ იყო დაჭერილი, ამ ფერად ფურცლებზე, აქ ჩანდა ის, რაც აქამდე ადამიანს არასოდეს მოსვლია აზრად, არც არასოდეს მოლანდებია.

ხელი მოჰკიდა წიგნს და დახურვა დააპირა, მაგრამ ცოტა შეყოყმანდა, თითქოს არსებობდა რაღაც მიზეზი, რის გამოც წიგნი არ უნდა დაეხურა, რაღაც მიზეზი, რაც აიძულებდა, უსასრულოდ ეცქირა ნახატისთვის. გუმანით მიხვდა, ნახატში რაღაც უცნაურობა იყო – თავსატეხი, რომელსაც ის ვერ ხვდებოდა და ეს მოსვენებას არ აძლევდა.

ხელები უკან წაიღო და ფურცელს დააკვირდა, ნელა გადაშალა გვერდები, მესამე ნახატს დააცქერდა, და უცებ მიხვდა, თუ რას აღიქვამდა მისი გონება ქვეშეცნეულად, რა აწუხებდა და წიგნის დახურვის უფლებას არ აძლევდა, ეს იყო ფუნჯით შექმნილი ციალი, ხელოვნის მიერ ოსტატურად გადმოცემული, რომელიც რაღაც მსუბუქი ანარეკლის, მოძრაობის შეგრძნებას ტოვებდა, თითქოს აღარც სუბსტანცია არსებობდა და ციმციმებდა, ხან თვალში გხვდებოდა და ხან იკარგებოდა.

ის იჯდა გაოგნებული და ამ ციმციმს თვალს ვერ აშორებდა – ალბათ ეს უფრო თვალის ოინებია, თვალისა, რომელიც მოიხიბლა ხელოვნის საღებავითა და ფუნჯით.

მაგრამ ეს თვალის ოინი იყო თუ არა, ფაქტი ფაქტად რჩებოდა, ვისაც კი ოდესმე ენახა, ყველა ადვილად ამოიცნობდა ნახატზე გამოსახულ კრისტალური პლანეტის აჩრდილთა რასას.

გამეფებულ სიწყნარეში, ჩაბნელებულ ოთახში, ერთი კითხვა არ აძლევდა მაქსველს მოსვენებას: საიდან შეიძლება ალბერტ ლამბერტს სცოდნოდა კრისტალური პლანეტის ხალხის არსებობის შესახებ?

„მე ყური მოვკარი შენს ამბავს, - უთხრა ალენ პრესტონმა, - და, რა თქმა უნდა, უცნაურად მომეჩვენა. მაგრამ ჩემი ინფორმაციის წყარო არასდროს ცდება და მეც შენთან დაკავშირება გადავწყვიტე. ცოტათი შეწუხებული ვარ ამ სიტუაციით, პიტ. როგორც ადვოკატი, გეტყვი, რომ პრობლემა გაქვს.“ მაქსველი სკამზე ჩამოჯდა პრესტონის მაგიდის წინ.

„ვფიქრობ, რომ ეგრეა, - მიუგო მან, - პირველ რიგში, როგორც ჩანს, მე უკვე დავკარგე სამსახური. არსებობს რამე სამართლებრივი ბერკეტი, ჩემს შემთხვევას რომ ითვალისწინებდეს?“

„შენს შემთხვევას რომ ითვალისწინებდეს? - იკითხა ადვოკატმა, - მაგრამ ჯერ გამაგებინე, რა შემთხვევაა ამისთანა. როგორც ჩანს, არავის ესმის რეალურად, რა ხდება. ყველა საუბრობს ამის შესახებ, მაგრამ არავინ არაფერი იცის. მე, თავად...“

მაქსველმა ცალყბად ჩაიცინა.

„რა თქმა უნდა. სურვილი გაქვს, რომ ყველაფერში გაერკვე. შენც დაბნეული და არეული ხარ და ვერაფერს კეთილგონივრულს აქ ვერ ხედავ. აი ახლაც ზიხარ მანდ და ფიქრობ - ეს მართლა მე ვარ, პიტერ მაქსველი, თუ არა.“

„და შენ ხარ?“ - იკითხა პრესტონმა.

„დარწმუნებული ვარ, რომ მე ვარ. არ გადანაშაულებ, არც შენ და არც სხვა ვინმეს, თუკი ამაში ეჭვი გეპარებათ. არსებობდა ორი ჩვენგანი. რაღაც დაემართა ტალღურ სტრუქტურას. ერთი ჩვენგანი გაემგზავრა კუნსკინის სისტემაზე, მეორე - სადღაც სხვაგან. ის, რომელიც კუნსკინის სისტემაზე გაემგზავრა, დაბრუნდა დედამიწაზე და გარდაიცვალა. მე გუშინ ჩამოვედი.“

„და აღმოაჩინე, რომ თურმე დაიღუპე.“

მაქსველმა თავი დაუქნია.

„ჩემი ბინა გასხვისებულია, მთელი ჩემი ნივთები გადაყრილი, უნივერსიტეტი მეუბნება, რომ ჩემი ადგილი სხვამ დაიკავა და მე ახლა უმუშევარი ვარ. აი, ამიტომაც გკითხე, თუ არსებობს - მეთქი რამე სამართლებრივი ბერკეტი.“

პრესტონი სკამზე გადაიხარა და ჩაფიქრებული სახით მაქსველს შეაცქერდა.

„სამართლებრივად, - თქვა მან, ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტს მყარი საფუძველი გააჩნია. შენ გარდაიცვალე და არავითარი სამართლებრივი უფლება აღარ გაქვს, რომ ეს პოზიცია გეკავოს. ყოველ შემთვევაში, მანამდე მაინც, სანამ შენი რეაბილიტაცია არ მოხდება.“

„და ამას დიდი დრო დასჭირდება სასამართლოში?“

„დიახ, ვფიქრობ, რომ ეგრეა. ვერ მოგატყუებ. ასეთი პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა. კი იყო შემთხვევები, როცა ადამიანი არასწორად ამოიცნეს – როცა პიროვნება გარდაიცვალა და მასში შეცდომით ამოიცნეს სხვა ადამიანი, რომელიც ჯერ ისევ ცოცხალი იყო. მაგრამ შენს შემთხვევაში არანაირი შეცდომა არ არსებობს. კაცი, რომელიც გარდაიცვალა, უტყუარია, რომ პიტერ მაქსველი იყო. ის მკვდარია. აქამდე ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა, რომ გარდაცვლილი პიროვნების იდენტიფიკაცია მომხდარიყოს. ჩვენ მოგვიწევს საკუთარი ძალებით, დიდი გარჯის შედეგად, ჩვენს არგუმენტებზე დაყრდნობით ასეთი პრეცედენტის გატანა კანონის ლაბირინთებში. ამას შეიძლება წლები დასჭირდეს. სიმართლე გითხრა, არ ვიცი, საიდან და როგორ უნდა დავიწყოთ. ამის გატანა შეიძლება, მაგრამ ეს ძალიან ბევრ შრომასა და ძალისხმევას მოითხოვს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჩვენ სამართლებრივად უნდა დავამტკიცოთ, თუ ვინ ხარ შენ.“

„ვინ ვარ მე? ღვთის გულისთვის, ჩვენ ვიცით, ვინ ვარ მე.“

„მაგრამ კანონმა არ იცის. კანონი ისეთს, როგორიც შენ დღეს ხარ, არ მიგიღებს. შენი არსებობა სამართლებრივად არ დასტურდება. არანაირად. ყველა შენი საიდენტიფიკაციო საბუთი არქივშია დაფაილებული ამ დროისთვის...“

„არა, მე მაქვს ჩემი საბუთები, - მიუგო მაქსველმა მშვიდად, - აქვე, ჩემს ჯიბეში.“

პრესტონი მას მიაცქერდა.

„დიახ, მოდი, ამაზეც დავფიქრდეთ, ვფიქრობ, რომ გაქვს. ოჰ, ღმერთო, რა ქაოსია!“ ის ფეხზე წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, დროდადრო თავს იქნევდა ხოლმე. იგი კედელს მიუახლოვდა, შემობრუნდა და უკან წამოვიდა. ისევ მაგიდას მიუჯდა.

„ნება მომეცი, ცოტა დავფიქრდე ამაზე, - უთხრა მან, ცოტა დრო მჭირდება. ვფიქრობ, რომ გამოსავალს ვიპოვი. რაღაც უნდა მოვისაზროთ. ბევრი რამე გვექნება გასაკეთებელი. არსებობდა შენი ანდერძი...“

„ჩემი ანდერძი? სულ გამომრჩა მხედველობიდან. არასოდეს მიფიქრია ამაზე.“

„ის ახლა დამტკიცების პროცესშია. შემიძლია როგორღაც მოვახერხო ამის შეჩერება.“

„მე ყველაფერი ჩემს ძმას ვუანდერძე, ის მკვლევარია. იქნებ მას დავუკავშირდე, თუმცა, ეს არც ისე ადვილი იქნება. ის, ჩვეულებისამებრ, გასულია ხოლმე ფლოტთან ერთად. მაგრამ მთავარია, ამ მხრივ გართულებები არ გვექნება. როგორც კი შეიტყობს, რაც მოხდა...“

„კი, მასთან პრობლემა არ გვექნება, - მიუგო პრესტონმა, - მაგრამ აი სასამართლო კი სულ სხვაა. ყველაფერი მოგვარდება, რა თქმა უნდა, მაგრამ ამას დრო დასჭირდება. სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, შენს მამულზე არანაირი უფლება არ გაქვს. შენ

საკუთრებაში არაფერი გაგაჩნია გარდა იმ ტანსაცმლისა, რაც ახლა ტანთ გაცვია და იმ ნივთებისა, რაც ჯიბეებში გილაგია.“

„უნივერსიტეტმა სამსახური შემომთავაზა გოტიკა IV-ზე.

კვლევითი ქვეგანყოფილების დეკანად. მაგრამ ამ მომენტისთვის არ ვაპირებ ამ წინადადების მიღებას.“

„ფულზე როგორ ხარ?“

„კარგად. ამჟამად არაფერი მიჭირს. უფსმა შემიკედლა და ჯერჯერობით ფულიც მყოფნის. თუ ძალიან გამიჭირდა, რამე სამსახურს მოვძებნი. ჰარლოუ შარპი მომეხმარება, თუ რამე დამჭირდა. შეიძლება დროებით მის საველე კვლევით ჯგუფსაც კი გავყვე, თუ სხვა ვერაფერი ვნახე. ვინ იცის, იქნებ მომეწონოს კიდეც.“

„მაგრამ მაგისთვის „დროს“ რაიმე ხარისხი არ გჭირდება?“

„არა, თუკი ექსპედიციას უბრალო მუშაკად გავყვები. მაგრამ იმისთვის, რომ რაიმე უკეთესი თანამდებობა დავიკავო, მგონი, დამჭირდება.“

„სანამ საქმეს შევუდგებოდე, - უთხრა პრესტონმა, ყველა დეტალი უნდა ვიცოდე. ყველაფერი, რაც შეგემთხვა.“

„წერილობით ჩვენებას გაგიმზადებ. ნოტარიალურადაც დავამოწმოთ. ყველაფერს მიიღებ, რაც დაგჭირდება.“

„როგორც ჩანს, - თქვა პრესტონმა, - ჩვენ სატრანსპორტო კომპანიის წინააღმდეგ შეგვიძლია საქმე აღვძრათ. მათი წყალობით მოხვდი ამ გაუგებრობაში.“

მაქსველი შეყოყმანდა.

„ახლა არა, - მიუგო მან, - ამაზე იქნებ ცოტა მოგვიანებით ვიფიქროთ.“

„შენი ჩვენება ჩამოაყალიბე, - უთხრა მას პრესტონმა, მანამდე მე რამეს მოვიფიქრებ და კანონსაც გადავავლებ თვალს. მერე კი დავიწყოთ. გაზეთებს კითხულობ ან ტელევიზორს უყურებ?“ მაქსველმა თავი გააქნია:

„მაგის დრო არ მქონდა.“

„გაგიჟდნენ, - მიუგო პრესტონმა. - პირდაპირ სასწაულია, რომ ჟურნალისტებმა აქამდე არსად ჩაგავლეს ხელი. ალბათ გეძებენ. ჯერჯერობით, რაც მათ ხელთ აქვთ, ეს ვარაუდებია, გუშინ „გოჭსა და სტვირში“ გნახეს. ძალიან ბევრმა ხალხმა გიცნო, როგორც ჩანს, გასულ ღამეს, ან ფიქრობენ, რომ გიცნო. საერთო სურათი ასეთია, ყველა ფიქრობს, რომ შენ მკვდრეთით აღსდექი. მე რომ შენს ადგილზე ვიყო, მათ მოვერიდებოდი. თუკი სადმე გამოგიჭირეს, არაფერი უთხრა.“

„არც ვაპირებ,“ - მიუგო მაქსველმა.

ისინი ისხდნენ მშვიდ ოფისში და ჩუმად შესცქეროდნენ ერთმანეთს.

„რა ქაოსია! - თქვა პრესტონმა ბოლოს, - ძალიან მიმზიდველი ქაოსი! იცი, პიტ, მგონია, რომ ეს საქმე ძალიან მომეწონება.“

„სხვათაშორის, - უთხრა მაქსველმა, - ნენსი კლეიტონმა მიმიწვია წვეულებაზე ამ საღამოს. ვფიქრობდი, ამასთან რამე კავშირი ხომ არ შეიძლება ჰქონდეს-მეთქი – თუმცა საეჭვოს ვერაფერს ვხედავ. ნენსი დროდადრო მეპატიჟებოდა ხოლმე თავისთან.“

პრესტონი გაიკრიჭა.

„რატომაც არა, შენ ახლა საკმაოდ ცნობილი ფიგურა ხარ. საკმაოდ კარგი ლუკმა ხარ ნენსისთვის.“

„ამაში ასე არ ვარ დარწმუნებული, - მიუგო მაქსველმა, - ალბათ, უბრალოდ, მანაც ყური მოჰკრა ჩემი გამოჩენის ამბავს. და, რა თქმა უნდა, მასაც აწუხებს ცნობისმოყვარეობა.“

„დიახ, - მოკლედ მიუგო პრესტონმა, - დარწმუნებული ვარ, რომ ცნობისმოყვარეობისგან კვდება.

თავი 13

„მაქსველი ელოდა, რომ უფსის ქოხთან რეპორტიორები იქნებოდნენ ჩასაფრებული, მაგრამ ვერავის მოჰკრა თვალი. როგორც ჩანდა, მისი ადგილსამყოფელი ჯერ ბევრისთვის არ იყო ცნობილი. ქოხი გვიანი შუადღის თვლემაში იყო ჩაძირული, შემოდგომის მზის სხივები გამდნარ ოქროდ ეფინებოდნენ უამინდობისგან გალახულ ხის მორებს. რამდენიმე ფუტკარი ზანტად დასტრიალებდა თავს ასტრის ბუჩქებს, კართან ახლოს რომ ჩარიგებულიყვნენ. რამდენიმე ყვითელი პეპელა შორს, შუადღის მხურვალე ლივლივში, გორაკის ფერდზე დაფარფატებდა, გადაჭიმული გზატკეცილის თავზე რომ იყო წამოწოლილი.

მაქსველმა კარი გააღო და შესასვლელშივე გაჩერდა. შიგნით არავინ იყო. უფსი სადღაც გამძვრალიყო და არც მოჩვენება ჩანდა სადმე. ნაკვერჩხალი წითლად გუზგუზებდა ბუხარში.

მაქსველმა კარი მიხურა და ქოხის წინ გაკეთებულ სკამზე ჩამოჯდა.

შორს, დასავლეთით, კამპუსის ოთხი ტბიდან ერთ-ერთი თხელ, ცისფერ ლინზასავით ანათებდა. ხედი ხმელ-ხმელი ილისა და გამხმარი ბალახისგან ყავისფრად და ყვითლად შეღებილიყო. აქა-იქ ხეთა ჯგუფები ფერთა პატარ-პატარა, მიმოფანტულ კუნძულებად ხასხასებდა. თბილი და ფაფუკი, - ფიქრობდა მაქსველი. ადგილი, რომელზეც ადამიანს შეეძლო მხოლოდ ეოცნება. სრულიად არ ჰგავდა იმ ველურ, კუშტ ხედებს, რომელთაც ლამბერტი ხატავდა რამდენიმე ასწლეულის უკან.

ის იჯდა და ფიქრობდა, რატომ იყო, რომ ის პეიზაჟები ასე გულის გამაწვრილებლად ჩაებეჭდა გონებაში. ცნობისმოყვარეობაც არ ასვენებდა, საიდან ეცოდინებოდა მხატვარს, თუ როგორ ციმციმებდა კრისტალური პლანეტის მოჩვენება მოსახლეობა. ეს არ შეიძლება უბრალო დამთხვევა ყოფილიყო; ეს არ იყო რაღაც, რაც უბრალოდ ადამიანის წარმოსახვის ნაყოფი იქნებოდა. ერთადერთი, თუმცა წარმოუდგენელი, შეუძლებელი პასუხი ამისა იყო ის, რომ ლამბერტმა იცოდა ამ აჩრდილთა რასისა და მათი კრისტალური პლანეტის შესახებ, საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი.

და ნეტა ის სხვა დანარჩენი ქმნილებები, ყველა სხვა გროტესკული ურჩხული, რომლებიც ლამბერტს მოეხატა შეშლილი, ველური ფუნჯით მთელ ტილოებზე, საიდან მოვიდნენ? იქნებ ისინი უბრალოდ ავადმყოფური წარმოსახვაა, ნაფლეთად და წვეთ-წვეთად გამონადენი ფანტაზია შეშლილი გონებიდან? არის კი კრისტალური პლანეტის ხალხი ერთადერთი ნამდვილი რეალობა, რაც ლამბერტმა გამოსახა? ეს ნაკლებად სარწმუნო იყო. სადღაც თუ როგორღაც, ლამბერტს ეს სხვა არსებებიც ნანახი უნდა ჰყოლოდა და შეიძლება კი, რომ ხედებიც უბრალო წარმოსახვის ნაყოფი ყოფილიყო, იმ განწყობის გასამაგრებლად შექმნილი, რასაც ეს ქმნილებები ტოვებდნენ, თუ ეს კრისტალური პლანეტის რეალური ლანდშაფტი იყო, სხვა რომელიმე დროში, მანამდე, სანამ ის საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტებოდა, გარსით დაიმალებოდა მთელი სამყაროსგან? მაგრამ ეს წამოუდგენელი გახლდათ, რადგანაც პლანეტა მანამდე ჩაიკეტა საკუთარ თავში, სანამ ამჟამინდელი სამყარო გაჩნდებოდა. სულ ცოტა ათი მილიარდი წლის უკან, თუ მთელი ორმოცდაათი მილიარდის არა.

მაქსველი უხერხულად შეიშმუშნა. ყველაფერი რაღაც უაზრობად ეჩვენებოდა. მას საკუთარი პრობლემებიც თავზე საყრელად ჰქონდა, ახლა ლამბერტის ნახატებზე რომ არ ემტვრია თავი. დაკარგა სამსახური, მის ქონებაზე ყადაღა იყო დადებული ანდერძის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, თვით მას არანაირი იურიდიული უფლება არ ჰქონდა, როგორც ადამიანს.

მაგრამ ყველაფერს ამას რატომღაც არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ყოველ შემთხვევაში - ამ მომენტისთვის. პირველ რიგში, რაც მოსვენებას უკარგავდა, ეს კრისტალურ პლანეტაზე დაგროვილი ცოდნა იყო. ის ცოდნა, რომელიც აუცილებლად უნივერსიტეტის განკარგულებაში უნდა გადაეცა - ცოდნის ხურჯინი, რომელშიც უეჭველად ბევრად მეტი ინფორმაცია და ცოდნა იდო, ვიდრე გალაქტიკის თანამეგობრობას შეეკრიბა. რა თქმა უნდა, ზოგი რამ იმის გამეორება იქნებოდა, რაც

fb.com/groups/elib

უკვე მათთვისაც კარგად იყო ცნობილი, მაგრამ ის დარწმუნებული გახლდათ, რომ იქ ბევრი სხვა ისეთი რაღაც იქნებოდა, რაც მათ ჯერ აზრადაც არ მოსვლიათ. ის მცირედიც კი, რისი ნახვაც მოასწრო, ამ რწმენას უმყარებდა.

მოეჩვენა, რომ ისევ ჩამუხლული იყო პატარა მაგიდის წინ, რომელიც ფორმით ყავის მაგიდას ჰგავდა და რომელზეც თაროებიდან ჩამოღებული ლითონის ფირფიტები დაეხვავებინათ. თვალებზე დამხმარე ხელსაწყო ეკეთა, რომლის საშუალებითაც ლითონის ფირფიტებში ჩაწერილი ინფორმაციის კითხვა და თარგმნა ხერხდებოდა.

ერთი მეტალის ფირფიტა ცნობიერებაზე, არა როგორც მეტაფიზიკურ ან ფილოსოფიურ საგანზე, მსჯელობდა, არამედ როგორც რაღაც მექანიზმზე. მას ტერმინებთან ბრძოლა უწევდა, ტვინს სრულიად ახალი, განსხვავებული მცნებების აღქმა ეძნელებოდა. მიხვდა, რომ ნაშრომი, რომელსაც იგი ათვალიერებდა, ცნობიერების ჯერ კიდევ უცნობ, აღმოუჩენელ სფეროს ეხებოდა, ცოტა ხნის მერე ფირფიტა გვერდზე გადადო, რადგანაც შინაარსის გაცნობიერება მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. იქვე იყო სხვა ლითონის ფირფიტა, მეორე ფირფიტა, რომელიც, როგორც ჩანდა, რაღაც კონკრეტული საზოგადოებრივი მეცნიერებების მათემატიკური პრინციპების საფუძვლებს წარმოადგენდა, თუმცა მას ხშირად მხოლოდ ვარაუდი შეეძლო ზოგიერთი მეცნიერების არსზე, მათ კონცეფციაში მისი გარკვევის მცდელობა უსინათლო ადამიანის მიერ მოფარფატე პეპლებზე ნადირობას ჰგავდა. მას გაახსენდა, რომ იქ სამყაროს ისტორიაც იყო მოცემული, და არა მარტო ერთის, არამედ ორის. ნახავდით ისტორიულ ბიოლოგიასაც, რომელიც მოგვითხრობდა უამრავ არაჩვეულებრივ სიცოცხლის ფორმასა და მათი ორგანიზმის დაუჯერებელ ფუნქციებზე. აქვე იდო ძალიან თხელი ლითონის ფირფიტა, ისეთი თხელი, რომ სულ ადვილად იღუნებოდა და იხვეოდა ქაღალდივით ხელში.

ფირფიტის შინაარსიც იმდენად მიუწვდომელი იყო მისთვის, რომ ბოლომდე ვერც კი მიხვდა, რის შესახებ მოგვითხრობდა ის. სხვა, ბევრად უფრო სქელი ლითონის ფირფიტით, იგი სხვადასხვა, აწ უკვე მტვრად ქცეული არსებებისა და კულტურების ნაარეევსა და ფილოსოფიას გაეცნო და უსაზღვრო ძრწოლას, შიშსა და ზიზღთან ერთად გაოცების გრძნობაც დაეუფლა, იმდენად შორს იყო ეს ყველაფერი ადამიანურისგან.

ყოველივე ეს და ბევრი სხვა რამ, ტრილიონჯერ მეტი, კრისტალურ პლანეტაზე ელოდებოდა კაცობრიობას. იგი ვალდებულია, შეახსენა მან საკუთარ თავს, რომ შეასრულოს მასზე დაკისრებული მისია. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ კრისტალური პლანეტის ბიბლიოთეკა დედამიწას მოეპოვებინა და თუმცა არანაირი დროში შეზღუდვა არ დაუწესებიათ მისთვის, მაინც, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა მოეგვარებინა ეს. თუ ის დამარცხდებოდა, დარწმუნებული იყო, რომ კრისტალური პლანეტა სადმე სხვაგან მოძებნიდა მუშტარს, სხვას შესთავაზებდა იმას, რაც ჰქონდა,

გალაქტიკის საერთოდ სხვა სექტორს, შესაძლოა ვინმეს, საერთოდ, გალაქტიკის გარეთაც.

არტეფაქტი, - უთხრა საკუთარ თავს, - იქნებ, ამ ყოველივეს ფასია, თუმცა ბოლომდე დარწმუნებული არ იყო. ის ფაქტი, რომ მისი შეძენის სურვილი ვიღაცამ გამოთქვა და რომ ჩერჩილი როგორღაც ამაში აღმოჩნდა ჩართული, მის ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებდა. მაგრამ ამ კონკრეტული მომენტისთვის მას ჯერ კიდევ ეჭვი ეპარებოდა ამაში.

სულაც, შესაძლოა, არტეფაქტი საერთოდ სხვას უნდოდა სრულიად სხვა მიზნებისთვის, ან სხვა ვინმეს, ვინც ბოლოს და ბოლოს გამოიცნო, თუ რას წარმოადგენდა იგი. ის შეეცადა მიმხვდარიყო, ზუსტად რა შეიძლება მათ აღმოეჩინათ, მაგრამ არანაირი ფაქტი არ მოეპოვებოდა და მალევე შეწყვიტა ამაზე ფიქრი.

შაშვების გუნდმა ცაზე გადაიშხუილა, ზუსტად ქოხის სახურავს გადაუარეს თავზე, გზატკეცილს გასცდნენ. მაქსველმა თვალი გააყოლა, ისინი პატარა ჭაობის მომაკვდავ სიმწვანეზე დაეშვნენ, ალბათ ერთი საათს ან ცოტა მეტს მოანდომებდნენ ვახშმის ძებნას, ვიდრე გასწევდნენ იმ განცალკევებული ტყიანი ადგილისკენ, რომელიც მათ დროებით საცხოვრებლად ამოერჩიათ სამხრეთში მიგრაციის დროს.

მაქსველი ფეხზე წამოდგა და გაიზმორა. მოოქროვილ შუადღის სიმშვიდესა და სიწყნარეს მის სხეულშიც შეეღწია და გაჟღენთილიყო. გაიფიქრა, კარგი იქნებოდა, თუ წათვლემდა. გარკვეული დროის მერე უფსიც დაბრუნდებოდა, გააღვიძებდა, რამეს შეჭამდნენ და ცოტას ისაუბრებდნენ კიდეც, სანამ ის ნენსის წვეულებაზე წავიდოდა.

მან კარი გააღო და ქოხში შევიდა, იატაკი გადაჭრა და საწოლის ნაპირზე ჩამოჯდა. იქნებ, - ფიქრობდა იგი, ჯობდა შეემოწმებინა, კიდევ ხომ არ ჰქონდა დარჩენილი სუფთა პერანგი ან სხვა წყვილი წინდა, რომ წვეულებაზე წასვლამდე თავი მოეწესრიგებინა. ჩანთას დასწვდა და ახლოს მოსწია, საწოლზე დადო. საკეტები გახსნა და შარვალი ამოიღო, რომ მის ქვემოთ ჩაკეცილ პერანგამდე მიეღწია. პერანგი ადგილზე დახვდა და კიდევ რაღაც, ხელსაწყო, თავზე დასამაგრებელი ქამრითა და ზედ ორი მოკეცილი სათვალისმაგვარი ჩარჩოთი.

ხელსაწყოს ცნობისმოყვარეობით დააცქერდა, იმ წამსვე იცნო. ავტომატური თარჯიმანი იყო, რომელსაც კრისტალურ პლანეტაზე იყენებდა ლითონის ფირფიტების წასაკითხად.

ჩანთიდან ამოაცურა და ხელში აათამაშა. მას ჯერ ისევ ზედ ეკეთა თავზე მოსაჭერი ქამარი, ენერგიის გენერატორიც უკან ჰქონდა მიმაგრებული და ორი თვალსაჭვრეტი, რომლებიც აპარატის თავზე გაკეთების შემთხვევაში თვალებზე უნდა ჩამოგეწია.

ალბათ შემთხვევით ჩადო ის თავის ჩანთაში, თუმცა ვერაფრით გაიხსენა - როდის. მაგრამ ფაქტია, რომ ის აქ იდო და ამით არაფერი დაშავებულა. პირიქით, ის შესაძლოა სასარგებლოც კი ყოფილიყო მომავალში, როგორც მტკიცებულება იმის დამადასტურებლად, რომ ის მართლა მოხვდა კრისტალურ პლანეტაზე. თუმცა იმასაც ხვდებოდა, რომ მთლად კარგ მტკიცებულებად ვერ გამოადგებოდა. ეს მხოლოდ ხელსაწყო იყო, რომელსაც სულ უბრალო შესახედაობა ჰქონდა. თუმცა უბრალო სულაც არ ეთქმოდა, თუკი ვინმე მის მექანიზმში ჩაიხედავდა.

მსუბუქი კაკუნის ხმა შემოესმა საიდანღაც და მაქსველი გაშეშდა, მიაყურადა. შესაძლოა ქარისაგან მოტეხილი ხის ტოტი იყო, გაიფიქრა მან, რომელიც სახურავზე გაგორდა, თუმცა ეს ბევრად უფრო სხვანაირი ხმა იყო, ვიდრე სახურავზე დაგორებული ტოტი.

კაკუნი შეწყდა და მერე ისევ გაისმა, ამჯერად არათანაბარი სიხშირით, რაც კოდირებულ კაკუნს უფრო მოგაგონებდათ. სამი სწრაფი კაკუნი, შემდეგ პაუზა, რომელსაც მოჰყვა ორი სწრაფი კაკუნი და შემდეგ ისევ პაუზა, მსგავსი კაკუნის კომბინაცია ერთხელ კიდევ განმეორდა.

ვიღაც კარზე აკაკუნებდა.

მაქსველი წამოხტა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა.

შესაძლოა, ვინმე რეპორტიორი ყოფილიყო, რომელმაც ბოლოს და ბოლოს მის კვალს მიაგნო ან თუ მართლა მის კვალს მიაგნეს, მაშინ უკეთესი იქნებოდა, თუკი ის კაკუნს უპასუხოდ დატოვებდა. მაგრამ როგორც მას მოეჩვენა, კარზე კაკუნი მაინცდამაინც არ იყო საკმარისად ხმაურიანი, ის ნაკლებად მომთხოვნიც კი იყო რეპორტიორისთვის, ან რამდენიმე რეპორტიორისთვის, რომელთაც ბოლოს და ბოლოს მის კვალს მიაგნეს და მიიმწყვდიეს ის თავს ბუნაგში.

კაკუნი უფრო ნაზი იყო, ორჭოფული, ეს კაკუნი იმაზე მიანიშნებდა, რომ ვიღაცას არ უნდოდა თავისი იქ ყოფნის რეკლამირება, ან რაღაცა მიზეზის გამო, მაინცდამაინც არ იყო დარწმუნებული თავის მისიაში. თუ რეპორტიორს არ შემოუშვებდა, უარესი იქნებოდა, რადგან ცოტა ხანში ისინი კარს მოაწვებოდნენ, ნახავდნენ, რომ ის დაკეტილი არ იყო და ოთახში დაუპატიჟებლად შემოვიდოდნენ. კაკუნი, რომელიც ცოტა ხნით შეწყდა, კვლავ განმეორდა.

მაქსველი კართან მივიდა და გამოაღო. გარეთ ხამანწკა იდგა, მოჩვენებასავით, მოელვარედ თეთრი, მზის შუქზე გაბადრული. თავის კიდურებში, რომლებიც ახლა მკლავების ფუნქციას უფრო ასრულებდნენ, ვიდრე ფეხების, რაღაც ქაღალდში გახვეული ფუთა ეჭირა და სხეულზე მჭიდროდ მიეხუტებინა.

„ღვთის გულისთვის, ჩქარა შემოდით, - უთხრა მაქსველმა მკაცრად, - სანამ ვინმე თვალს მოგკრავდეთ.“ ხამანწკა შევიდა და მაქსველმაც კარი მიხურა, გაუკვირდა, თუ რამ აიძულა, ეს არსება სახლში შემოეყვანა.

„ნუ დარდობთ, - მიუგო ხამანწკამ, - ახალი ამბების მონადირეებზე. მე ვფრთხილობდი და დავრწმუნდი, რომ არავინ მომყვებოდა. მე ისეთი სულელური გარეგნობის ქმნილება ვარ, თავში არავის მოუვა ჩემი გამოყოლა აზრად. აქამდე, ყოველ შემთხვევაში, მიზეზი საამისო არ ჰქონიათ.“

„ძალიან გამოსადეგი თავისებურება გქონიათ, - მიუგო მაქსველმა, - ვფიქრობ, ამას დამცავი შეფერილობა ჰქვია.“

„მე კვლავ გეახელით, - დაიწყო ხამანწკამ, - როგორც მის ნენსი კლეიტონის ნდობით აღჭურვილი პირი. მან იფიქრა, რომ რადგანაც სამოგზაუროდ ბრძანდებოდით და შესაძლოა საკმარისი სამოსი თან არ გაქვთ და არც იმის შესაძლებლობა გექნებოდათ, რომ სამრეცხაოში ან მაღაზიაში შეგევლოთ, უხეშობაში ნუ ჩამომართმევთ, ეს მხოლოდ კეთილი განზრახვით გითხარით, ამიტომაც მან შესაფერისი სამოსი გამოგიგზავნათ წვეულებაზე ჩასაცმელად.“ მან მკლავიდან ფუთა გამოაძვრინა და მაქსველს გაუწოდა.

„ნენსი ძალიან ყურადღებიანია.“

„ის ჭკვიანი პიროვნებაა. მან დამავალა კიდევ რაღაც გადმომეცა.“

„გისმენთ,“ - უთხრა მაქსველმა.

„ბორბლებიანი ტრანსპორტი მოგაკითხავთ მის სახლში წასაყვანად.“

„ამის საჭიროებას ვერ ვხედავ, - მიუგო მაქსველმა, გზატკეცილი ხომ ზუსტად მის სახლთან გადის.“

„კიდევ ერთხელ დიდ ბოდიშს გიხდით, - შეაწყვეტინა ხამანწკამ, ცოტა არ იყოს მკაცრი ტონით, - მაგრამ ის ფიქრობს, რომ ასე უკეთესია. აქა-იქ შესაძლოა უამრავი ტიპის ქმნილება იყოს ჩასაფრებული, ვისაც თქვენი ადგილსამყოფელის გაგება სურს.“

„იქნებ მითხრათ, - იკითხა მაქსველმა, - თავად მის კლეიტონმა საიდან შეიტყო ჩემი ადგილსამყოფელი?“

„ეს ჩემთვის უცნობია.“ ¬- მიუგო ხამანწკამ.

„კარგი მაშინ. გადასცემთ ჩემგან მის კლეიტონს მადლობას?“

„სიამოვნებით,“ - უპასუხა ხამანწკამ.

თავი 14

„უკანა მხრიდან მიგიყვანთ, - თქვა მძღოლმა, - მთავარ შესასვლელთან უამრავი რეპორტიორი ირევა. მოგვიანებით გაიკრიფებიან, მაგრამ ახლა იქ მთელი ხროვაა. მის კლეიტონმა იფიქრა, რომ თქვენ მათთან შეხვედრა არ გესიამოვნებოდათ.“

„გმადლობთ, - მიუგო მაქსველმა, - ძალიან გულისხმიერი ბრძანდებით.“ ნენსიმ, გაიფიქრა მან, როგორც ყოველთვის, საკუთარ თავზე აიღო, როგორც მისი პროგრამატივა, სხვისი ცხოვრების განკარგვა.

მისი სახლი დაბალ კლდეზე იდგა, დასავლეთიდან ტბით შემორაგული. მწუხრის დადგომასთან ერთად წყალი ნაზად ციალებდა. სახლის წინა მხარე სინათლის შუქში თვალისმომჭრელად კაშკაშებდა, სამაგიეროდ, უკანა მხარე სულ ჩაბნელებული იყო.

მანქანამ გზიდან გადაუხვია და ნელა შეუყვა ვიწრო გზას, რომელიც უზარმაზარ მუხის ხეებს შორის გაწოლილიყო.

შეშინებული ფრინველები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, კიოდნენ, მთელი გზის გაყოლებაზე, განწირული ფრთების ქნევისგან ქარმაც კი დაქროლა ერთი წუთით და ეს ყველაფერი მანქანის სინათლეების უცაბედმა გამოჩენამ გამოიწვია. წყვილი ძაღლი მანქანისკენ გამოექანა, განაწილდნენ და მანქანას აქეთ-იქიდან დაეძგერნენ.

მძღოლმა ჩაიხითხითა:

„ფეხით რომ იყოთ, ცოცხლად შეგჭამდნენ.“

„კი მაგრამ, რატომ? - იკითხა მაქსველმა, - ასე მოულოდნელად რატომ გადაწყვიტა ნენსიმ, ძაღლების ხროვა გამოიყენოს დაცვის საშუალებად?“

„ეს მის კლეიტონისთვის არაა, - მიუგო მძღოლმა. - არის კიდევ ვიღაც.“

მაქსველს ენაზე კითხვა მოადგა, მაგრამ უთქმელად გადაყლაპა.

მძღოლმა მანქანა შეუყენა ხვეულ გზას, რომელიც ღია პარკის ქვეშ გადიოდა და მანქანა დაამუხრუჭა.

„უკანა კარზე დაკაკუნება საჭირო არ არის, - უთხრა მძღოლმა, - მიყევით ჰოლს, გაიარეთ ხვეული კიბე და ზუსტად წვეულებაზე აღმოჩნდებით.“ მაქსველმა მანქანის კარი გააღო, მაგრამ გადასვლა ვერ გადაეწყვიტა.

„ძაღლების ნუ გეშინიათ, - დაამშვიდა მძღოლმა. - ისინი მანქანას ცნობენ. ნებისმიერი, ვინც ამ მანქანიდან გადმოვა, მათთვის შინაურია.“

მართლაც, ძაღლები არსად ჩანდნენ და მაქსველმა სამი საფეხური სწრაფად აიარა, უკანა კარი გამოაღო და ჰოლში შეაბიჯა.

ჰოლი ჩაბნელებული იყო, მბჟუტავი სინათლე მხოლოდ ხვეულ კიბეზე მოჩანდა - როგორც ეტყობოდა, ვიღაცას მეორე სართულზე დაეტოვებინა სინათლე ანთებული. მაგრამ სულ ეს იყო; მეტი განათება აღარსად ჩანდა. საიდანღაც, სახლის წინა მხრიდან, წვეულების ხმა ყრუდ მოისმოდა.

ის ცოტა ხანს გაუნძრევლად იდგა და როცა თვალი სიბნელეს შეაჩვია, გაარჩია, რომ ჰოლი საკმაოდ დიდი იყო, თითქმის სახლის შუაგულამდე, შემდეგ ხვეული კიბე იყო გასავლელი და მერე ისევ იყო სასიარულო. შემდეგ კარი მოჩანდა ან შესაძლოა, ჰოლის ბრმა მოსახვევი, რომელიც ალბათ მას წვეულებაზე მიიყვანდა.

უცნაურია, ფიქრობდა ის თავისთვის. თუკი ნენსიმ მითითება მისცა მძღოლს, ის უკანა კართან მიეყვანა, მაშინ ვინმეც უნდა დაეყენებინა აქ მის შესახვედრად ან, ყოველ შემთხვევაში, იმაზე მაინც უნდა ეზრუნა, რომ ჰოლი განათებული ყოფილიყო რათა ადვილად გაეგნო გზა.

უცნაური და უხერხული იყო მისი ასეთი სტუმრობა, ხელების ფათურით უნდა გაეკვლია გზა ჰოლში სხვა დანარჩენების მოსაძებნად. რაღაც მომენტში გადაწყვიტა შემობრუნება და წასვლა, უკან დაბრუნება უფსის სახლში.

მაგრამ ძაღლები გაახსენდა. ისინი ალბათ ისევ იქ იყვნენ, გარეთ, და იცდიდნენ. ძაღლები დაუნდობელ მხეცებს უფრო მოგაგონებდნენ.

მთელი ეს ჩანაფიქრი, გამოუტყდა ის საკუთარ თავს, ნენსისას სულაც არ ჰგავდა. ნენსი ასეთ რაღაცას არ მოიმოქმედებდა. აქ რაღაც ვერ იყო რიგზე და ეს არ მოსწონდა...

ფრთხილად მოძრაობდა ჰოლში, იმის შიშით, რომ შესაძლოა, სადმე, გზად, სკამს ან მაგიდას დასჯახებოდა.

ახლა ბევრად უკეთესად ხედავდა, მაგრამ ჰოლი მისთვის ისევ გვირაბს წარმოადგენდა, ყოველგვარი დეტალების გარეშე.

მან კიბეს ჩაუარა, მის საფუძველს შემოუარა და ახლა, როცა კიბიდან მომდინარე სინათლე შესუსტდა, ჰოლი კიდევ უფრო ჩაბნელდა, ვიდრე უწინ.

ხმა გაისმა:

„პროფესორი მაქსველი? პროფესორო, ეს თქვენ ბრძანდებით?“

მაქსველი ადგილზე გაქვავდა, ერთი ფეხი ჰაერში გაუშეშდა, შემდეგ ნელა აამოძრავა, იატაკზე დაუშვა და გაუნძრევლად დადგა, მთელ ტანზე ბუსუსებმა დააყარა.

„პროფესორო მაქსველ, - თქვა ხმამ, - მე ვიცი, რომ სადღაც მანდ ხართ.“

ეს სინამდვილეში ჩვეულებრივ ხმას სულაც არ გავდა და არც იყო კიდეც. მაქსველს შეეძლო დაეფიცა, რომ ბგერა არსაიდან მოდიოდა და მაინც მას ესმოდა სიტყვები, უფრო არა ყურიდან, არამედ სადღაც გონებიდან.

მაქსველი ძრწოლამ შეიპყრო, მის დაძლევას ცდილობდა, მაგრამ ბოლომდე ვერ ერეოდა. შიში იქვე დარჩა, სადღაც სიბნელეში მიიყუჟა და იერიშისთვის მოემზადა.

სამაგიეროდ ის - სხვა განაგრძობდა ლაპარაკს:

„აქ გელოდებოდით, პროფესორო. თქვენთან საუბარი მსურს. ეს ორივეს ინტერესებშია.“

„სად ხართ?“ - იკითხა მაქსველმა.

„კარს იქით, ზუსტად თქვენს ხელმარცხნივ.“

„მე კარს ვერ ვხედავ.“ საღი აზრი ჩაქუჩივით სცემდა მაქსველს. გაიქეცი, - ეუბნეოდა ის, - რაც შეგიძლია სწრაფად დატოვე აქაურობა, გაიქეცი! მაგრამ გაქცევა არ შეეძლო, საკუთარ თავს ვერ აიძულა. თუნდაც გაქცეულიყო, რომელ მხარეს წავიდოდა? უკან, კარისკენ, წარმოუდგენელი იყო, გარეთ ძაღლები იცდიდნენ. უჩუმრადაც ვერ გაივლიდა ჩაბნელებულ ჰოლს, ადვილი შესაძლებელი იყო, რამეს დასჯახებოდა და საშინელი ხმაური გამოეწვია, რაც იქით, წინ, სტუმრებს შეაშინებდა. ადვილად იპოვიდნენ - შიშისგან ოფლში გაწურულს, გაბურძგნილსა და დალურჯებულს. მან იცოდა - თუ გაიქცეოდა, შიში აუცილებლად დარევდა ხელს და საბოლოოდ დაჯაბნიდა.

არავითარ შემთხვევაში! ისიც საკმარისი იყო, წვეულებაზე უხმაუროდ შესვლა რომ დააპირა, უკანა კარიდან, ქურდულად. ეს რომ მხოლოდ ხმა ყოფილიყო, ნებისმიერი ხმა, იმდენად შიშისმომგვრელი არ იქნებიდა, მაგრამ ეს უცნაური ხმა იყო - არანაირი ინტონაცია არ ჰქონდა, შესამჩნევად უხეში, მექანიკური და დაუმუშავებელი ტემბრით ელაპარაკებოდა.

ეს არ არის ადამიანის ხმა, - გამოუტყდა მაქსველი საკუთარ თავს. ოთახში უცხოპლანეტელი იყო.

„კარი მანდვეა, - ტკეპნილი და უხეში ხმით უთხრა ხმამ, - ნელა გადმოდგით ნაბიჯი მარცხნივ და მიაწექით.“ ყველაფერი უკვე ცინიზმში გადადის, - გაიფიქრა მაქველმა. ის ან კარს უნდა მისწოლოდა, ან გაქცეულიყო.

უბრალოდ გზის გაგრძელებაც შეიძლებოდა, მაგრამ იცოდა, რომ იმ წუთში, როგორც კი დაფარულ კარს ზურგს შეაქცევდა, მაშინვე უკანმოუხედავად მოჰკურცხლავდა – არა იმიტომ, რომ ეს სურდა, არამედ იმიტომ, რომ შიშით შეპყრობილს ამის გაკეთება უთუოდ მოუწევდა, თუკი ამ უცნობისგან პირს იბრუნებდა.

მაქსველმა ნაბიჯი მარცხნივ გადადგა და კარს მიაწვა.

ოთახში ბნელოდა, მაგრამ სადღაც გარეთ ანთებული ლამპიონის წყალობით შუქი სუსტად, მაგრამ მაინც აღწევდა ფანჯრებში და ლოტოს კოჭივით ჩამრგვალებულ ქმნილებას ეცემოდა, რომელიც ოთახის შუაგულში იდგა. მისი მსუქანი მუცელი მკრთალად კიაფობდა შიგ მოფუთფუთე არსებების ურთიერთშეჯახების წყალობით, თითქოს ზღვის მოციმციმე ბინადრებს აკვარიუმში მოუყრიათ თავიო.

„დიახ, - თქვა ქმნილებამ, - თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით. მე ერთი იმ არსებათაგანი ვარ, თქვენ რომ ვილერებს ეძახით. ჩემს აქ ყოფნას მიზანი გააჩნია და ის თქვენც გეხებათ. შეგიძლიათ ბატონი მარმადუკი დამიძახოთ, უფრო მოხერხებულია, ვფიქრობ, ხვდებით, რომ ეს ჩემი ნამდვილი სახელი არ არის. სინამდვილეში არც ერთ ჩვენგანს სახელი არა აქვს. ეს, უბრალოდ, ზედმეტია, საჭიროც არ არის. ჩვენთან პიროვნების იდენტიფიკაცია სხვა საშუალებებით ხდება.“

„მოხარული ვარ, რომ შეგხვდით, ბატონო მარმადუკ,“ მიუგო მაქსველმა, ის ნელა საუბრობდა, სხვანაირად არც შეეძლო, რადგან ტუჩები, ისევე, როგორც მთელი სხეული, დაჭიმული და გაყინული ჰქონდა.

„მე თქვენ კარგად გიცნობთ, პროფესორო.“

„საიდან მიხვდით, რომ ეს მე ვიყავი? - ჰკითხა მაქსველმა. - მეჩვენება, რომ ოდნავადაც არ შეგპარვიათ ეჭვი. რა თქმა უნდა, თქვენ იცოდით, რომ მე მოვდიოდი ამ ჰოლში.“

„რა თქმა უნდა,“ - მიუგო ვილერმა.

ახლა უკვე ამ ქმნილებას უკეთესად არჩევდა - გასიებული სხეული ორ ბორბალზე ეკიდა, სხეულის ქვედა ნაწილი კიაფობდა და ქანაობდა, როგორც მატლებით სავსე ვარცლი.

„თქვენ ნენსის სტუმარი ხართ?“ - ჰკითხა მან.

„დიახ, - უპასუხა ბატონმა მარმადუკმა, - რა თქმა უნდა, ვარ. საპატიო სტუმარი, და ვფიქრობ, მთელი ამ თავშეყრის მიზეზი.“

„მაშინ, ალბათ, თქვენც სხვა დანარჩენ სტუმრებთან უნდა იყოთ.“

„დაღლა მოვიმიზეზე, - მიუგო ბ-ნმა მარმადუკმა, მსუბუქად ვიცრუე, უნდა გამოგიტყდეთ, არასოდეს ვგრძნობ დაღლას, ისინი კი, ცოტა ხნით, დასვენების საბაბით დავტოვე...“

„და სინამდვილეში მე მიცდიდით?“

„სწორედაც,“ - თქვა ბ-ნმა მარმადუკმა.

ნენსი, - გაიფიქრა მაქსველმა. არა, მას ღრმად სწამდა, რომ ნენსი აქ არაფერ შუაში არ იქნებოდა. ერთადერთი, რაც ამ ქარაფშუტა ქალს აინტერესებდა, მხოლოდ დაუსრულებელი წვეულებები იყო. ინტრიგის ინჩიბინჩი არ გაეგებოდა.

„არის რაღაც, რაზეც ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ, უთხრა ბ-ნმა მარმადუკმა, - და რაც ორივეს ხეირს მოგვიტანს, დარწმუნებული ვარ. თქვენ, როგორც ვიცი, საკმაოდ დიდი ქონების მყიდველს ეძებთ. მე კი გარკვეული ინტერესი მაქვს ამ ქონების მიმართ.“

მაქსველმა ერთი ნაბიჯი გადადგა უკან და შეეცადა, პასუხი მოეძებნა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა.

„არაფერს მეუბნებით, - თქვა მარმადუკმა, - არ შეიძლება, ვცდებოდე. ეჭვგარეშეა, რომ თქვენ გაყიდვის აგენტი ხართ.“

„დიახ, - მიუგო მაქსველმა, - დიახ, აგენტი გახლავართ.“ აზრი არ ჰქონდა ყველაფრის უარყოფას, მან ეს იცოდა. ამ ქმნილებამ, ოთახში რომ იმყოფებოდა, საიდანღაც იცოდა კრისტალური პლანეტისა და იქ არსებული უზარმაზარი ცოდნის საცავის შესახებ. შესაძლებელი იყო, რომ ფასიც სცოდნოდა. იქნებ, - ფიქრობდა იგი, არტეფაქტის ყიდვას სწორედ ეს ვილერი ცდილობდა.“

„მაშ ასე, - თქვა მარმადუკმა, - მოდით, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ და პირობები განვიხილოთ. არ დაგვავიწყდეთ, როგორც გარიგების აუცილებელი ნაწილი, თქვენი საკომისიოც განვიხილოთ, რაც ამ საქმიდან გერგებათ.“

„ვშიშობ, - უპასუხა მაქსველმა, - ამ ჯერზე შეუძლებელია. პირობები არ ვიცი. საქმე იმაშია, რომ ჯერ პოტენციური მყიდველი უნდა მომეძებნა და შემდეგ...“

„პრობლემა არ არის, - თქვა ბ-ნმა მარმადუკმა, რადგანაც ჩემთვის კარგად ცნობილია ის, რაც თქვენთვის უცნობია. მე ვიცნობ პირობებს.“

„და მზად ხართ, ფასი გადაიხადოთ?“

„ოჰ, უყოყმანოდ, - მიუგო ვილერმა, - მხოლოდ ცოტა დრო დამჭირდება. გარკვეული მოლაპარაკებებია დასასრულებელი. როცა ეს ყველაფერი მოგვარდება, მე და თქვენ შევძლებთ, დავამთავროთ ეს საქმე და საკითხიც დავხუროთ ყოველგვარი შემდგომი გართულებების გარეშე. ერთადერთი, რის განსაზღვრაც ჩვენ დაგვჭირდება, ეს თქვენი საკომისიოა, რომელიც ასე უხვად დაიმსახურეთ.“

„შემიძლია წარმოვიდგინო, - თქვა მაქსველმა, - მგონი, საკომისიო უხვად მერგება.“

„ჩვენ ვფიქრობდით, - აღნიშნა ბ-ნმა მარმადუკმა, თქვენთვის იმ ქონების ბიბლიოთეკარობა გვებოძებინა, რის შეძენასაც ვაპირებთ. ბევრი საქმე იქნება გასაკეთებელი, მათ შორის, ამ ქონების აღრიცხვა. ამ ტიპის სამუშაოსთვის ისეთი პიროვნება გვჭირდება, როგორიც თქვენ ხართ და წარმომიდგენია, ამ სახის სამსახურით როგორ ძალიან დაინტერესდებით. ანაზღაურება - პროფესორო მაქსველ, თქვენ გვითხარით, რას ელით ანაზღაურებად და დასაქმების პირობებში რას ითხოვთ.“

„ამაზე უნდა დავფიქრდე.“

„აუცილებლად, - დაეთანხმა ბ-ნი მარმადუკი, - ასეთი პროცედურული მსვლელობის დროს დაფიქრება აუცილებელია. ნახავთ, რომ მეტისმეტად გულუხვებიც კი ვართ ასეთ საკითხში.“

„ამას არ ვგულისხმობდი, - თქვა მაქსველმა, - კარგად უნდა დავფიქრდე - ღირს თუ არა თქვენთან ამ გაყიდვის თაობაზე გარიგების დადება.“

„თქვენ ალბათ ის გაეჭვებთ, რამდენად ვიმსახურებთ ამ საქონლის შეძენის უფლებას?“

„შესაძლებელია, ესეც იყოს,“ - მიუგო მაქსველმა.

„პროფესორო მაქსველ, - უთხრა ვილერმა, თქვენთვისვე უკეთესი იქნება, თუ ეჭვებს გვერდით გადადებთ. ყველაზე კარგი გამოსავალია, თუ საერთოდ არანაირი ეჭვი არ გექნებათ ჩვენ მიმართ. მეტისმეტად დაინტერესებული ვართ იმის შეძენით, რაც თქვენ გაქვთ გასაყიდად. ასე რომ, ყველაზე უკეთესი გამოსავალია, თუ ჩვენთან ითანამშრომლებთ.“

„მინდა ეს თუ არა?“ - იკითხა მაქსველმა.

„მე, - უთხრა ბ-ნმა მარმადუკმა, - ასე მკაცრად არ დავსვამდი ამ კითხვას. თუმცა თქვენ საკმაოდ ზუსტად გამოხატეთ აზრი.“

„ნამდვილად არ ხართ იმ მდგომარეობაში, - მიმართა მას მაქსველმა, - რომ ასეთი ტონით მელაპარაკოთ.“

„თქვენ ჯერ არაფერი იცით იმ პოზიციის შესახებ, ჩვენ რომ გვიკავია, - მიუგო ვილერმა, - თქვენი ცოდნა მხოლოდ კოსმოსის ერთ კონკრეტულ, თქვენთვის ცნობილ სეგმენტს უკავშირდება და არ იცით, რა ხდება მის საზღვრებს იქით.“

იყო რაღაც მის სიტყვებში, რაღაც ამ სიტყვების წარმოთქმის მანერაში, რამაც ჟრუანტელი მოჰგვარა მაქსველს, თითქოს სამყაროს რომელიღაც უცნობი ნაწილიდან მწველმა, გამყინავმა ჰაერის ნაკადმა ჩამოიქროლა ოთახში.

თქვენი ცოდნა მხოლოდ კოსმოსის ერთ კონკრეტულ ნაწილს უკავშირდებაო, ასე თქვა ბ-ნმა მარმადუკმა და რა იყო ამ ზღვარს იქით? არავინ იცოდა, რა ხდებოდა იმ უცნობ სივრცეში, სადაც ვილერებს თავიანთი უსაზღვრო იმპერია გადაეჭიმათ და სადაც, ზოგიერთი სასაზღვრო უბნის გარდა, მზვერავებს ცხვირის შეყოფაც ვერ მოეხერხებინათ. დროდადრო საზღვრებს შემაძრწუნებელი ამბები გადმოკვეთავდა ხოლმე, ისეთი ისტორიები, რომლებიც მხოლოდ უცხო, აუთვისებელი ადგილების მიჯნაზე ხდება ხოლმე და ადამიანში ახლოს მყოფის, მაგრამ მაინც მიუწვდომელის ამოცნობის დაუოკებელ სურვილს აღძრავენ.

ვილერებს ძალიან იშვიათი ხვდებოდნენ და მათზე თითქმის არაფერი იცოდნენ – და ეს თავისთავად ძალიან ცუდი იყო. არ არსებობდა არანაირი კეთილი ნების გამოხატვა

არც ვილერების და არც ადამიანების, არც მათი მეგობრებისა და მოკავშირეების მხრიდან. ზღვარი იყო გადებული კოსმოსის ერთ უდიდეს სექტორში, უხმო, პირქუში ხაზი, რომელსაც არც ერთ მხარე არ კვეთდა.

„უფრო ადვილად მივიღებდი გადაწყვეტილებას, - თქვა მაქსველმა, - უფრო მეტი რომ მცოდნოდა თქვენზე. უკეთესი იქნება, ბევრი რამ გავიგო თქვენს უცნაურ სამყაროზე.“

„თქვენ იცით, რომ ჩვენ ხოჭოები ვართ, ტარაკნებს გვეძახით, - საკმაო ზიზღით წარმოთქვა ეს სიტყვები ბ-ნმა მარმადუკმა, - თქვენ არატოლერანტები ხართ.“

„არ ვართ არატოლერანტები, - მიუგო მაქსველმა გაბრაზებით, - არ ვფიქრობთ თქვენზე, როგორც ტარაკნებზე. კარგად ვიცით, რომ თქვენ იმგვარი ქმნილებები ხართ, რომელთაც ჩვენ სკის მექანიზმს ვუწოდებთ. ვიცით, რომ ყველა თქვენგანი ისეთი არსებების კოლონიას წარმოადგენს, რომელთა სიცოცხლის ფორმაც აქ, დედამიწაზე, გავრცელებულ მწერების ფორმას ჰგავს და ეს განგვასხვავებს თქვენგან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს განსხვავება სხვა რომელიმე ქმნილებისგან განსხვავებაზე უფრო მნიშვნელოვანი არ არის, სხვა რომელიმე ვარსკვლავისგანაც განსაკუთრებით არ განსხვავდებით. არ მომწონს სიტყვა „არატოლერანტული“, ბ-ნო მარმადუკ, იმიტომ, რომ ის ურთიერთზიზღს გულისხმობს და ეს ყველაფერი შეურაცხმყოფელია როგორც ჩვენთვის, ისე თქვენთვისაც.“

ის მიხვდა, რომ სიბრაზისგან ცახცახებდა და თავადვე გაუკვირდა, ასე მოულოდნელად როგორ გამოიყვანა მდგომარეობიდან ერთმა სიტყვამ. სიმშვიდე შეინარჩუნა, როცა შეიტყო, რომ ვილერი კრისტალური პლანეტის ცოდნის შეძენას აპირებდა და შემდეგ, უცბად, სიბრაზისგან აფეთქდა ერთ კონკრეტულ სიტყვაზე. ალბათ იმიტომ, - გამოუტყდა საკუთარ თავს, - რომ ერთად მცხოვრები ამდენი სხვადასხვა ჯურის რასისთვის, ორივე სიტყვა, ტოლერანტულიც და არატოლერანტულიც, მიუღებელი იყო.

„კარგად მსჯელობთ და არგუმენტირებულადაც, - მიუგო ბ-ნმა მარმადუკმა, - და შესაძლოა, თქვენ სულაც არ იყოთ არატოლერანტული...“

„არატოლერანტობა - ასეთი რამ რომც არსებობდეს, მიუგო მაქსველმა, - არ მესმის, ასე რატომ გაღიზიანებთ. გასაკიცხია ის, ვინც ასეთ რამეს ავლენს, და არა ის, ვის მიმართაც ასეთ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ამით ჩრდილი პიროვნების არა მარტო კარგ მანერებს, არამედ საერთო ინტელექტსაც ადგება. ჩვენს დროში არატოლერანტობაზე სიბრიყვე არაფერია.“

„მაშინ, თუ ეს არატოლერანტობა არ არის, - იკითხა ვილერმა, - რატომ ყოყმანობთ?“

„უნდა ვიცოდე, როგორ აპირებთ საქონლის გამოყენებას, თქვენი მიზანი უნდა ვიცოდე. ბევრად მეტი რამ უნდა შევიტყო თქვენ შესახებ.“

„რომ შემდეგ გადაწყვეტილება მიიღოთ?“

„არ ვიცი, - მიუგო მაქსველმა, - როგორ შეიძლება გადაწყვეტილების მიღება ისეთ სიტუაციაში, როგორშიც ახლა ვართ?“

„ძალიან ბევრს ვსაუბრობთ, - თქვა ბ-ნმა მარმადუკმა, და ამ საუბარს არსად მივყავართ. ერთ ადგილს ვტკეპნით.

გატყობთ, რომ ჩვენთან თანამშრომლობას არ აპირებთ.“

„მოცემულ მომენტში, - მიუგო მაქსველმა, - უნდა ვაღიარო, მართალი ბრძანდებით.“

„თუ ასეა, - უპასუხა ბ-ნმა მარმადუკმა, - სხვა გამოსავლის პოვნა მოგვიწევს. ამას თქვენ გვაიძულებთ თქვენი უარით, ის ბევრ დროს დაგვაკარგვინებს და ბევრი პრობლემების წინაშეც დაგვაყენებს, რისთვისაც თქვენი მადლობელი ნამდვილად არ ვიქნებით.“

„ისეთი გრძნობა მაქვს, - მიუგო მაქსველმა, - რომ თქვენი არაკეთილგანწყობის ატანას როგორმე შევძლებ.“

„არის რაღაც უპირატესობა იმაში, ბატონო, გააფრთხილა ბ-ნმა მარმადუკმა, - რომ გამარჯვებულის მხარეს იყოთ.“ რაღაც დიდმა და სწრაფად მოძრავმა ჩაუქროლა მაქსველს, თვალის კუთხით მოელვარე კბილების უცაბედი გაელვება და ხაკისფერი სხეული დალანდა.

„არა სილვესტერ! - დაიყვირა მაქსველმა, - თავი დაანებე, სილვესტერ!“ ბ-ნი მარმადუკი არ დაიბნა, მისი ბორბლები საშინელი სიჩქარით დაბზრიალდა, გვერდი აუარა ნახტომში მყოფ სილვესტერს და კარისკენ გაქანდა. სილვესტერის კლანჭებმა გაიკრაჭუნეს და იატაკზე ღრმა ნაკაწრები დატოვეს.

მაქსველმა დაინახა, რომ ვილერი სიბნელეში გზის გაკვლევას ცდილობდა და მისკენ მოქროდა, გზის დათმობა სცადა, მაგრამ ვილერის ბორბალმა მხარზე გაჰკრა და გვერდზე მიაგდო. ბ-ნი მარმადუკი ელვისებურად გაიჭრა ოთახიდან, უკან სილვესტერი მიჰყვა, გრძელი და მოქნილი, ბუნდოვნად მოჩანდა, მაგრამ მაინც გაარჩევდით, როგორ ლაღად მიაპობდა ჰაერს.

„არა, სილვესტერ! - დაუყვირა მაქსველმა, კარში გაიჭრა, სწრაფად შემოუხვია ჰოლში და წონასწორობა ძლივს შეინარჩუნა.

წინ ვილერი დაინახა, რომელიც სწრაფად მიგორავდა ჰოლში, სილვესტერი ცოტაც და დაეწეოდა. მაქსველი უკვე აღარ კარგავდა დროს სილვესტერის ძახილში - რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მისდევდა.

ჰოლის ბოლოში ბ-ნმა მარმადუკმა შეუფერხებლად ისკუპა მარცხნივ და სილვესტერმა, რომელიც უკვე კლანჭებით ჩასაფრენად ემზადებოდა, რამდენიმე ძვირფასი წამი დაკარგა გეზის სწრაფად შეცვალში. მაქსველმა, რომელმაც უკვე იცოდა ჰოლში მოსახვევის არსებობა, უპრობლემოდ გადალახა იგი და თვალწინ

გადაეშალა განათებული დერეფანი, რომელიც პატარა მარმარილოს კიბისკენ მიდიოდა. ამ კიბის იქით კი ბლომად ხალხს მოჰკრა თვალი, რომლებიც ჭიქებით ხელში პატარ-პატარა ჯგუფებად იდგნენ.

ბ-ნი მარმადუკი უკვე ამ კიბისკენ მიიწევდა და საკმაოდ სწრაფადაც. სილვესტერი ერთი ნახტომით უსწრებდა მაქსველს და სამი ნახტომით ჩამორჩებოდა ვილერს.

მაქსველი შეეცადა, დაეყვირა გაფრთხილების ნიშნად, მაგრამ სუნთქვა აღარ ყოფნიდა, მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდებოდა.

ვილერი კიბის პირველ საფეხურზე ახტა და მაქსველმაც ჰაერში ისკუპა, მახვილკბილას ზურგზე დაეცა და მკლავები მის კისერს შემოაჭდო. ორივენი იატაკზე დაცვივდნენ და სანამ ის და სილვესტერი ჩახუტებული მიგორავდნენ, მაქსველმა დაინახა, თუ როგორ შეხტა მაღლა, მეორე საფეხურზე, ვილერი, მაგრამ წონასწორობა ვერ შეინარჩუნა და უკან გადმოყირავდა.

ქალის კივილი გაისმა, რასაც გულგახეთქილი კაცების ყვირილი და ჭიქების მსხვრევის ხმა მოჰყვა. ამჯერად, გაიფიქრა მაქსველმა, - ნენსი მართლაც უფრო დიდ სენსაციასა და რეზონანსს მიიღებს, ვიდრე ელოდა და იმედი ჰქონდა.

ის კედელთან იწვა, კიბის კარგად მოშორებით, სილვესტერი ზემოდან აწვა და სიყვარულით მის სახეს ეპოტინებოდა ნაზად ასალოკად.

„სილვესტერ, - თქვა მან, - ამჯერად მაგრად იყოჩაღე. ორივე კარგ ხათაბალაში გაგვხვიე.“ სილვესტერი ლოკვას განაგრძობდა და თან ჩუმად კრუტუნებდა.

მაქსველმა კატა გვერდით გასწია და კედელზე მიყრდნობით წამოჯდა.

ოთახის იატაკზე, კიბის მეორე მხარეს, ბ-ნი მარმადუკი გვერდულად იწვა, მისი ბორბლები ჰაერში გამალებით ტრიალებდნენ. ბორბლის კიდე იატაკს ეხახუნებოდა და ბ-ნ მარმადუკს ციბრუტივით ატრიალებდა.

კეროლმა სირბილით ამოიარა კიბე და შეჩერდა, კოპებშეკრული ხან მაქსველს შეხედავდა, ხან - კატას.

„ისევ თქვენ ორნი!“ - დაიძახა მან და სიბრაზისგან სული შეეხუთა.

„ვწუხვართ, სპეციალურად არ გაგვიკეთებია,“ - თქვა მაქსველმა.

„საპატიო სტუმარი, - თითქმის ტირილით ტუქსავდა მათ კეროლი, - ის საპატიო სტუმარია და თქვენ ორმა კი მასზე ნადირობა გამართეთ ჰოლში, გეგონება, თაგვი ყოფილიყო.“

„ხომ ხედავ, ძალიან არ დაშავებულა, - მიუგო მაქსველმა, - საღ-სალამათია. თუმცა არც ის გამიკვირდებოდა, მუცელი რომ გასკდომოდა და მთელი მისი ჭიაღუებით აქაურობა მოფენილიყო.“

„რას იფიქრებს ნენსი?“ - აღშფოთდა კეროლი.

„წარმომიდგენია, - უპასუხა მაქსველმა, - როგორ გაუხარდება. ასეთი მხიარულება არც ერთ მის წვეულებაზე არ ყოფილა მას შემდეგ, რაც ცეცხლისმფრქვეველმა ამფიბიებმა ნეტლის სისტემიდან საახალწლო ნაძვის ხეს ცეცხლი წაუკიდეს.“

„შენ ყველაფერს იგონებ, - მიუგო კეროლმა, - არ მჯერა, ასეთი რამ არ მოხდებოდა.“

„სიმართლეს მოგახსენებ, - უთხრა მაქსველმა, - აქ ვიყავი და ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე. ცეცხლის ჩაქრობაშიც კი ვიღებდი მონაწილეობას.“ ზოგიერთი სტუმარი ბ-ნ მარმადუკს წამოდგომაში ეხმარებოდა. პატარა მომსახურე რობოტები გარშემო დაფუსფუსებდნენ, გატეხილი მინის ნამსხვრევებს კრეფდნენ და იატაკზე დაღვრილ სასმელს წმენდნენ.

მაქსველი ფეხზე წამოდგა, სილვესტერიც შეინძრა მის გვერდით, თან ფეხზე ელაქუცებოდა და კრუტუნებდა.

საიდანღაც ნენსიც გამოჩენილიყო და ბ-ნ მარმადუკს ესაუბრებოდა, სტუმრებს მათთვის წრე შემოერტყათ და ყურს უგდებდნენ.

„თქვენს ადგილზე რომ ვიყო, - შესთავაზა კეროლმა, აქედან ჩუმად გავიპარებოდი. არ მგონია, რომ აქ გულთბილად მიგიღონ.“

„პირიქით, - მიუგო მას მაქსველმა, - მე აქ ყოველთვის გულთბილად მელიან.“ ის ნელა ავიდა კიბეზე, გვერდით სილვესტერი მიჰყვებოდა. ნენსი შემობრუნდა და მაქსველს თვალი მოჰკრა თუ არა, შემორტყმული სტუმრების წრე გაარღვია და შემოეგება.

„პიტ, - შესძახა მან, - ნუთუ ეს მართლა შენ ხარ. მიხარია, რომ უკან დაბრუნდი.“

„რა თქმა უნდა,“ - შეაგება მაქსველმა.

„გაზეთებში თვალი მოვკარი, მაგრამ არ დავიჯერე.ვფიქრე, ალბათ, ერთგვარი ხრიკი ან ინტრიგაა-მეთქი.“

„მაგრამ შენ აქ მაინც მომიწვიე,“ - უთხრა მაქსველმა.

„მოგიწვიე?“

მაქსველმა იგრძნო, რომ ნენსი არ ხუმრობდა.

„გინდა თქვა, რომ ხამანწკა შენი გამოგზავნილი არ იყო...“

„ხამანწკა?“

„ჰო, არსება, გადაბერებულ ხამანწკას რომ ჩამოჰგავდა.“

ნენსიმ თავი გააქნია და, მისი სახის შემყურემ, მაქსველმა შენიშნა, ნენსისთვის სიბერეს დაერია ხელი, რამაც ძლიერ გააოცა. თვალების ირგვლივ ბევრი პატარ-პატარა ნაოჭი გასჩენოდა, მაკიაჟიც რომ ვეღარ ფარავდა.

„ხამანწკას მსგავსმა ქმნილებამ, - მიუგო მან, - მითხრა, რომ შენს დავალებას ასრულებდა. წვეულებაზე მოწვევა გადმომცა, თან მანქანის გამოგზავნას დამპირდა. შესაფერისი სამოსიც კი მომიტანა და მითხრა რომ...“

„პიტ, - შეაწყვეტინა ნენსიმ, - გთხოვ, დამიჯერე. მსგავსი არაფერი გამიკეთებია. წვეულებაზე არ მომიწვევიხარ, მაგრამ მიხარია, რომ აქ ხარ.“ მიუახლოვდა და მკლავზე ხელი დაადო. ეტყობოდა, რომ თავს ძლივს იკავებდა სიცილისაგან:

„მინდა გავიგო, რა მოხდა შენსა და ბ-ნ მარმადუკს შორის.“

„გთხოვ, მომიტევო,“ - მიუგო მაქსველმა.

„არ არის საჭირო. ის, რა თქმა უნდა, ჩემი სტუმარია და საკადრის მოპყრობასაც იმსახურებს, მაგრამ საშინელი პიროვნებაა. პიტ, სინამდვილეში ის ძალიან მოსაბეზრებელი, სნობი და...“

„ახლა არ გვინდა ამაზე საუბარი,“ - თავაზიანად შეაწყვეტინა მაქსველმა.

ბ-ნ მარმადუკს სტუმრების წრე გაერღვია და მათი მიმართულებით მოგორავდა. ნენსი მისკენ შემობრუნდა.

„კარგად ხართ? - იკითხა მან, - ხომ მართლა კარგად ხართ?“

„ძალიან კარგად,“ - მიუგო ბ-ნმა მარმადუკმა.

ვილერი ახლოს მიგორდა მაქსველთან, მკლავი გამოყო ლოტოს კოჭის მსგავსი სხეულის ზედა ნაწილიდან - ბაწრის მაგვარი, ელასტიკური მკლავი, რომელიც უფრო საცეცებს მოგაგონებდათ, ვიდრე მკლავს და რომელიც სამი, კლანჭის მსგავსი, თითით ბოლოვდებოდა. ამ მკლავით მაქსველს დასწვდა და მხრებზე შემოაჭდო. ასეთი ზეწოლით შეწუხებულ მაქსველს მისგან თავის დაეღწევის სურვილი გაუჩნდა, მაგრამ უკვე ნაცადი ალღო კარნახობდა, უმჯობესი იქნებოდა, თუ არ გაინძრეოდა.

„მადლობას მოგახსენებთ, ბატონო, - მიმართა ბ-ნმა მარმადუკმა, - თქვენი დიდად მადლობელი ვარ. სიკვდილს გადამარჩინეთ. როცა ვეცემოდი, თვალი შევასწარი, მხეცს როგორ ჩააფრინდით. ეს ძალიან გმირული საქციელი იყო თქვენი მხრიდან.“ მაქსველის გვერდს მიხუტებულმა სილვესტერმა თავი ასწია, ქვედა ყბა დაბლა ჩამოაგდო, ეშვები გამოაჩინა და ჩუმ ღრენას მოჰყვა.

„ის არაფერს დაგიშავებდათ, ბატონო, - უთხრა კეროლმა, - კნუტივით უწყინარია. რომ არ გაქცეულიყავით, არ გამოგიდგებოდათ. იფიქრა, ეთამაშებოდით. სილვესტერს

ძალიან უყვარს თამაში.“ სილვესტერმა დაამთქნარა და ყველა კბილი სააშკარაოზე გამოიტანა.

„ამ თამაშს, - მიუგო ბ-ნმა მარმადუკმა, - ჩემთვის სიამოვნება არ მოუნიჭებია.“

„როცა თვალი მოვკარი, როგორ დაეცით, - უთხრა მაქსველმა, - ძალიან შემეშინდა. ერთ მომენტში ისიც კი გავიფიქრე, რომ შუაზე გასკდებოდით.“

„ჩემზე ნუ სწუხართ, - მიუგო ბ-ნმა მარმადუკმა, - საკმაოდ ელასტიკური ვარ. სხეული საუცხოო მასალისგან მაქვს შექმნილი. ის გამძლეა და ბურთივით ხტომაც შეუძლია.“ მაქსველს მხრებიდან გაზეთილი ბაწრის მსგავსი მკლავი მოშორდა. ჰაერში დაიკლაკნა და კვლავ სხეულში შესრიალდა. მაქსველმა შეამჩნია, რომ ლოტოს კოჭს გარეგნულად არაფერი ეტყობოდა, ვერაფრით მიხვდებოდით, სად შეიმალა.

„უნდა დაგტოვოთ, მომიტევეთ, - თქვა ბ-ნმა მარმადუკმა, - ერთი პიროვნება მყავს სანახავი.“ ვილერი შემოტრიალდა და ნაჩქარევად გაგორდა.

ნენსის შეაჟრჟოლა.

„მისი შემყურე ჟრუანტელი მივლის, - უთხრა მაქსველს, - თუმცა უნდა ვაღიარო, ის ძალიან კარგი თვალსაჩინოებაა. ყველა ვერ მოახერხებს ვილერის მასპინძლობას. შენ გამოგიტყდები, პიტ, რომ ბევრი კავშირის გამოყენება დამჭირდა იმისათვის, რომ ჩემთან მომეწვია და ახლა ვნანობ. მაჟრიალებს, მას რომ ვხედავ.“

„იცი, რატომ არის ის აქ, - დედამიწაზე, ამას ვგულისხმობ?“

„არა, არ ვიცი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ, უბრალოდ, ტურისტია. თუმცა ვერ წარმომიდგენია, ასეთი არსება ჩვეულებრივი ტურისტი იყოს.“

„ვფიქრობ, რომ მართალი ხარ,“ - მიუგო მაქსველმა.

„პიტ, - მიმართა ქალმა, - შენზე მომიყევი. გაზეთები იუწყებიან, რომ...“

„ვიცი. ისინი წერენ, თითქოს მკვდრეთით აღვსდექი,“ ჩაიცინა მაქსველმა.

„მაგრამ ეს ასე არ არის. ვიცი, რომ ეს შეუძლებელია. ვინ იყო ის, ვინც ჩვენ დავკრძალეთ? ყველა, უნდა გაგვიგო, უბრალოდ, ყველანი მივედით დაკრძალვაზე და დარწმუნებულიები ვიყავით, რომ სამუდამოდ გამოგეთხოვეთ. მაგრამ ის შენ ვერ იქნებოდი. იქნებ, ეს...“

„ნენსი, - უთხრა მაქსველმა, - მე მხოლოდ გუშინ დავბრუნდი უკან. აღმოჩნდა, რომ თურმე გარდავიცვალე, რომ ჩემი ბინა გაასხვისეს, სამუშაოც დავკარგე და...“

„დაუჯერებელია, - თქვა ნენსიმ, - ასეთი რამეები არ ხდება. ვერ ვხვდები, მსგავსი რამ როგორ უნდა მომხდარიყო.“

„ბოლომდე მეც ვერაფერი გავიგე, - უთხრა მაქსველმა, ალბათ, მოგვიანებით, უფრო ბევრ რამეში გავერკვევი.“

„ყველაფრის მიუხედავად, - თქვა ნენსიმ, - შენ აქ ხარ და ყველაფერი რიგზეა და თუ ამაზე არ გსურს საუბარი, გავცემ განკარგულებას, რომ არავინ შეგაწუხოს.“

„რა გულისხმიერი ხარ, - უთხრა მაქსველმა, - მაგრამ, არა მგონია, ამან გაჭრას.“

„რეპორტიორებზე შეგიძლია არ ინერვიულო, - უთხრა ნენსიმ, - არც ერთი მათგანი აქ არ იმყოფება. ადრე ამის უფლებას ვაძლევდი ხოლმე, ისიც მხოლოდ რჩეულებს. ერთ დროს ვფიქრობდი, რომ მათი ნდობა შემეძლო. მაგრამ არც ერთის ნდობა არ შეიძლება. საკუთარ თავზე ვიწვნიე. ასე რომ, შენ აქ არავინ მოგაბეზრებს თავს.“

„როგორც გავიგე, რაღაც ფერწერული ტილოები გაქვს...“

„მაშასადამე, ტილოებზეც იცი. წამოდი, წავიდეთ და ვნახოთ. ეს ყველაზე საამაყო რამაა, რაც გამაჩნია. წარმოგიდგენია, თავად ლამბერტი! და ისეთი ნახატები, რომლებიც აქამდე უცნობი იყო. მოგვიანებით მოგიყვები, როგორ ვიშოვე ისინი, მაგრამ არ გეტყვი, რამდენი გადავიხადე. ამას არავის ვეტყვი. მრცხვენია იმის აღიარება, რამდენი გადავიხადე.“

„ეს ბევრია თუ ცოტა?“

„ბევრი, - თქვა ნენსიმ, - ძალიან ფრთხილად უნდა იყო მათი შეძენისას. ისე ადვილად შეიძლება ნახატების გაყალბება. არაფრით არ ვიყიდე, სანამ ექსპერტს არ გავასინჯე. უფრო სწორად, ორ ექსპერტს. ორივეს ცალ-ცალკე შევამოწმებინე, თუმცა ამის საჭიროება, ალბათ, არც იყო.“

„ესე იგი ეჭვი არაა, რომ ისინი ლამბერტს ეკუთვნის?“

„არავითარი ეჭვი. სავსებით დარწმუნებული ვარ. არავის არასოდეს უხატია ისე, როგორც ლამბერტს. მაგრამ, შესაძლებელია, მისი ასლები გადაეღოთ და დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი.“

„ლამბერტის შესახებ შენთვის რა არის ცნობილი? ჰკითხა მაქსველმა, - იმაზე მეტი, რაც დანარჩენებმა ვიცით? რაღაც, რაც არ არის წიგნებში ნახსენები?“

„არა, არც ისე ბევრი რამ. თვითონ პიროვნებაზე არაფერი. რატომ მეკითხები?“

„იმიტომ, რომ მისით ძალიან აღფრთოვანებული ხარ.“

„კი, ნამდვილად ასეა! ვფიქრობ, ლამბერტის აქამდე უცნობი ნამუშევრის აღმოჩენა ამისთვის სავსებით საკმარისია! მისი ორი სხვა ნახატიც მაქვს, მაგრამ ეს უკანასკნელი განსაკუთრებულია იმიტომ, რომ ის დიდი ხანი დაკარგულად ითვლებოდა. არ ვიცი, სიტყვა „დაკარგული“ თუ სწორად ვიხმარე ამ ნამუშევარზე. ყველასთვის უცნობი, - ალბათ ეს უფრო სწორი იქნება. არანაირი ჩანაწერი ამ ნახატის შესახებ არ არსებობდა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ ჩანაწერში ნახსენები არ იყო და ამ დროს ის ერთ-ერთ იმ ქმნილებათაგანს წარმოადგენს, ეგრეთ წოდებულ გროტესკულს რომ ვუწოდებთ. ძნელი დასაჯერებელია, რომელიმე მათგანი დაკარგული, გადანახული ან რამე მსგავსი ყოფილიყო. ნახატი მისი ადრეული ნამუშევრების ერთ-ერთი ჯგუფს ეკუთვნის, რომლის არსსაც ძლივს ჩავწვდით.“

დარბაზი გადაჭრეს და იქით გაემართნენ, სადაც, ერთ კედელთან სტუმრები შეჯგუფულიყვნენ.

„აგერ ისიც,“ - თქვა ნენსიმ.

შეჯგუფული ხალხი გაარღვიეს, ნახატი ამ კედელზე ეკიდა. მაქსველმა თავი გვერდზე გადახარა, რომ სურათი უკეთ აღექვა.

ეს ნამუშევარი ძლიერ განსხვავდებოდა იმ ფერადი ნახატებისგან, რომლებიც მან ამ დილით ბიბლიოთეკაში ნახა. იქნებ, ასე ეჩვენებოდა ტილოს დიდი ზომის, ფერთა ბრწყინვალებისა და სიმკვეთრის გამო, რაც წიგნის ფურცლებზე იკარგებოდა. მაგრამ ის აცნობიერებდა, რომ კიდევ იყო რაღაც... პეიზაჟიც და ზედ გამოსახული ქმნილებანიც განსხვავებულები იყვნენ. უფრო დედამიწის პეიზაჟს ჩამოჰგავდა - გადაჭიმული ნაცრისფერი გორაკები და მოყავისფრო ბუჩქნარი, რომელიც მთელ მიწაზე მოფენილიყო, ჯიჯგვი გვიმრის მსგავსი ხეები. მთელი რაზმი ქმნილებებისა, რომლებიც უფრო ჯუჯებს მოგაგონებდათ, მოშორებული გორაკისკენ მიმავალ გზას ადგა; გობლინის მსგავსი ქმნილება ხის ძირში ჩამომჯდარიყო, ჯირკს მიყრდნობოდა, ქუდის მსგავსი თავსაბური ცალ თვალზე ჩამოეფხატა და თვლემდა.

პირველ პლანზე კი საშინელი, დაღრეჭილი ქმნილებანი იყვნენ გამოსახული, სისხლის გამყინავი უსახური ტანითა და სახეებით. მოშორებით, ბრტყელთავიანი გორაკის თავზე, რომლის ძირში სხვადასხვა სახის უამრავი ქმნილება შეკრებილიყო, რაღაც პატარა და შავი იკვეთებოდა ნაცრისფერი ცის ფონზე.

მაქსველს სული შეეკრა მღელვარებისგან, სწრაფად გადადგა ერთი ნაბიჯი, რომ უფრო ახლოს მისულიყო, შემდეგ შეჩერდა, ადგილზე გაშეშდა, უფრო მიახლოებას ვეღარ ბედავდა. შეუძლებლად ეჩვენებოდა, რომ აქამდე ვერავინ შეამჩნია ეს. იქნებ, შეამჩნია კიდეც ვინმემ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია ან დარწმუნებული არ იყო და ამიტომაც თავი აარიდა ამაზე ლაპარაკს. მაგრამ მაქსველს ეჭვი არ ეპარებოდა. ის დარწმუნებული გახლდათ იმაში, რასაც ხედავდა. ეს პატარა შავი კუბი გორაკის თხემზე - არტეფაქტი იყო!

მაქსველმა მყუდრო კუთხე მოძებნა, რამდენიმე სკამს უზარმაზარი ოთახის მცენარე ეფარებოდა, რომელიც მარმარილოს ქოთანში ჩაერგოთ, მისი გაბარიტების გათვალისწინებით. ირგვლივ არავინ ჩანდა და ისიც ჩამოჯდა.

კუთხიდან მოშორებით იჯდა, საიდანაც ხედავდა, რომ წვეულება დასასრულს უახლოვდებოდა. ბევრი სტუმარი უკვე წასულიყო, ისინი კი, ვინც ჯერ კიდევ შემორჩენილიყვნენ, ნაკლებად ხმაურიანები ჩანდნენ.

მაქსველის აზრით, თუნდაც კიდევ ერთს რომ ეკითხა მისთვის, რა შეგემთხვაო, ალბათ ყბაში შემოსცხებდა.

მოვუთხრობ, ასე უპასუხა კეროლს წინა ღამეს, როცა შეეკითხა, - ისევ და ისევ ყველას გავუმეორებ. და ზუსტად ასეც მოიქცა, თუმცა ბოლომდე გულწრფელი არ ყოფილა და არც არავინ დაუჯერა ნათქვამი. ყველა უემოციო თვალებით შესცქეროდა და ფიქრობდა, რომ ის ან მთვრალი იყო ან, უბრალოდ, მათ ასულელებდა.

სინამდვილეში კი აცნობიერებდა, - თუ ვინმე გაასულელეს, ეს თავად იყო. ის მიიწვიეს წვეულებაზე, მაგრამ არა ნენსი კლეიტონმა. ნენსის არ გაუგზავნია მისთვის ტანისამოსი და მანქანა, რომელმაც იგი უკანა კართან ჩამოსვა, რათა ფეხით გაევლო ჰოლი და გვერდი ჩაევლო იმ კარისთვის, სადაც ვილერი უცდიდა. ათიდან ერთი შანსი იყო იმისა, რომ ძაღლებიც ნენსის ყოფილიყო, თავის დროზე არ გაახსენდა, მისთვის რომ ეკითხა.

ვიღაცამ, ფიქრობდა ის, ძალიან ბევრი შრომა გასწია იმისთვის, რომ ვილერს მასთან საუბრის შესაძლებლობა მისცემოდა. ყველაფერი ისე მელოდრამატული იყო, ვერაგულად გათვლილი და საიდუმლოებით მოცული, რომ სასაცილოდაც კი მოგეჩვენებოდათ, მაგრამ მას რატომღაც ამაზე არ ეცინებოდა.

თავისი სასმისი ორივე ხელით ჩაბღუჯა და დასასრულს მიახლოებული წვეულების ხმაურს მიაყურადა.

ქოთანზე შემოსკუპული მცენარის სიმწვანეში თავი გაყო და ირგვლივ მიმოიხედა, ვილერს თვალი ვერსად მოჰკრა, თუმცა საღამოს უმეტეს ნაწილს იგი სტუმრებს შორის ტრიალებდა.

სასმისი ერთი ხელიდან მეორეში ინსტინქტურად გადაიტანა, გრძნობდა, რომ აღარ უნდოდა, ძალიან ბევრი მოუვიდა, შესაძლოა, არც ისე ბევრი, მაგრამ მაინც ბევრი ისეთი ადგილისთვის, სადაც ნაკლებად იყო თბილი, მჭიდრო, მეგობრული წრე და მეგობრული გარემო. პირიქით, აქ ბევრ ისეთ ადამიანს ხედავდა, რომელიც ან სრულიად უცხო იყო მისთვის ან შორიდან ნაცნობი და ყველას თავი მოეყარა ძალიან დიდ და ცივ ოთახში. ძლიერ დაღლასა და მოთენთილობას გრძნობდა, არც კი ახსოვდა, ოდესმე ასეთი განცდა ჰქონდა თუ არა. ცოტა ხანში ის ფეხზე წამოდგებოდა

და ნენსის დაემშვიდობებოდა, თუკი სადმე თვალს მოჰკრავდა და უფსის ქოხმახისკენ გასწევდა ბორძიკით, ეს საუკეთესო იყო, რის გაკეთებაც მას შეეძლო.

და ხვალ? - ჰკითხა მან საკუთარ თავს. ხვალ კი ელოდა საქმეები, რომლებიც უნდა მოეგვარებინა. მაგრამ ამაზე ფიქრს ამ საღამოს არ აპირებდა. ხვალამდე დაიცდიდა.

სასმისს დასწვდა, რომელიც მარმარილოს ქოთნის კიდეზე დაედგა, და ყვავილს დაუსხა.

„გაგვიმარჯოს," - უთხრა მან მცენარეს.

ფრთხილად მოიხარა, ისე, რომ წონასწორობა არ დაუკარგავს და სასმისი იატაკზე დადგა.

„სილვესტერ, - გაისმა ხმა, - ხედავ, აქ ვინ არის?" იგი შემოტრიალდა და ყვავილის საპირისპირო მხარეს მდგარი კეროლი დაინახა, სილვესტერი მის გვერდით ატუზულიყო.

„მობრძანდით, - მიიწვია ისინი, - ეს სამალავი მე აღმოვაჩინე. თუ ორივე თქვენგანი წყნარად იქნება..."

„მთელი საღამო ვცდილობდი, დამემარტოხელებინე, უთხრა მას კეროლმა, - მაგრამ ვერ შევძელი. მაინტერესებდა, რა მოხდა, შენ და სილვესტერმა ვილერზე ნადირობა რატომ გამართეთ?"

იგი კუთხეში შეიყუჟა და პასუხის მოლოდინში გაიყურსა.

„მეც ისევე გაოცებული ვიყავი, როგორც თქვენ ხართ, მიუგო მან, - სილვესტერის გამოჩენამ მართლაც რომ გამაოგნა. წარმოდგენა არ მქონდა..."

„მე ხშირად მეპატიჟებიან ასეთ წვეულებებზე, - უთხრა კეროლმა ცივად, - არა პირადად მე, რა თქმა უნდა, არამედ უფრო სილვესტერის გამო. ის კარგი სასაუბრო თემაა."

„მით უკეთესი თქვენთვის, - უთხრა მაქსველმა, თქვენც ჩემნაირ მდგომარეობაში ხართ. მეც არ ვიყავი მოწვეული."

„მაგრამ თქვენ მაინც აქ ხართ."

„მაგრამ არ მკითხოთ - როგორ. ალბათ მხოლოდ იძულების წესით თუ გამომტყუებთ ახსნა-განმარტებას."

„სილვესტერი ყოველთვის წესიერი კატაა, - თქვა გოგონამ ბრალდების კილოთი, - მართალია, ზოგჯერ ხარბი, მაგრამ ჯენტლმენი."

„კი, ვიცი, - მიუგო მაქსველმა, - მე ყველაზე ცუდ გავლენას ვახდენ."

კეროლმა მცენარეს შემოუარა და სკამის მეორე ბოლოს ჩამოჯდა.

„ჩემს კითხვაზე პასუხის გაცემას აპირებთ?“ მან უარის ნიშნად თავი გაიქნია:

„არც კი ვიცი, თუ შევძლებ. რაღაც თავგზააბნეული ვარ.“

„არასდროს შევხვედრივარ ადამიანების წონასწორობიდან გამოყვანის თქვენზე მეტი უნარის მქონე ადამიანს. არა მგონია, რომ ეს პატიოსანი საქციელი იყოს,“ - თქვა გოგონამ.

„ჰო, მართლა, - თქვა მაქსველმა, - ნახეთ ფერწერული ტილო, არა?“

„რა თქმა უნდა, ვნახე. ეს წვეულება ხომ ამ ტილოს მიეძღვნა. ეს ფერწერული ტილო და სასაცილო ვილერი არიან დღევანდელი თავშეყრის მიზეზი.“

„რამე უჩვეულო თუ შეამჩნიეთ?“

„უჩვეულო?“

„კი, ტილოზე.“

„არა მგონია, არაფერი შემინიშნავს.“

„მაღლა, გორაკზე მოჩანდა პატარა კუბი, გორაკზე წამოსკუპული შავი მასა. ის ძალიან ჩამოჰგავდა არტეფაქტს.“

„არ შემიმჩნევია. ასე ახლოდან არ შემიხედავს მისთვის.“

„ვფიქრობ, გნომებს მოჰკარით თვალი.“

„დიახ, შევნიშნე ისინი. გნომებს ჰგავდნენ, ყოველ შემთხვევაში.“

„და სხვა დანარჩენი ქმნილებები, - უთხრა მაქსველმა, ისინი რაღაც განსხვავებულად გამოიყურებოდნენ.“

„რისგან განსხვავებულად?“

„სხვა დანარჩენი ქმნილებებისგან განსხვავებულად, რასაც ლამბერტი ჩვეულებრივ ხატავდა.“

„არ ვიცოდი, - თქვა მან, - რომ თქვენ ლამბერტის ექსპერტი იყავით.“

„არც ვარ, - მიუგო მან, - მას მერე რაც ამ წვეულებისა და ნენსის ტილოების შესახებ შევიტყვე, ამ დილით ბიბლიოთეკაში წავედი და მოვითხოვე ლამბერტის ნახატებიანი წიგნი.“

„და რა მერე მაგით, თუნდაც განსხვავებულად რომ გამოიყურებოდნენ? - იკითხა კეროლმა, - ფერმწერს ყველაფრის დახატვის უფლება აქვს, რასაც მოისურვებს.“

„რა თქმა უნდა, აქვს, - უპასუხა მაქსველმა, - ეს უდავოა. მაგრამ ამ ტილოზე დედამიწა იყო გამოსახული, ან, ყოველ შემთხვევაში თუ ის არტეფაქტი იყო და ვფიქრობ, რომ ასეა, მაშინ ტილოზეც დედამიწაა გამოსახული. მაგრამ არა ეს დედამიწა, დედამიწა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. უფრო იურული პერიოდის დედამიწა.“

„და თქვენ ფიქრობთ, რომ მის დანარჩენ ტილოებზე დედამიწა არ არის გამოსახული? ნამდვილად დედამიწაა. როცა ლამბერტი ცხოვრობდა, სხვა ადგილს, უბრალოდ, არც იცნობდნენ, მისი დახატვა რომ შეძლებოდა. არავინ მოგზაურობდა კოსმოსში - მე ნამდვილ კოსმოსურ მოგზაურობას ვგულისხმობ და არა მთვარესა ან მარსზე გასვლას.“

„მაგრამ იმ დროს არსებობდა კოსმოსში წარმოსახვით მოგზაურობდა, - მიუგო მას მაქსველმა, - კოსმოსსა და დროში მოგზაურობა გონებით. არც ერთი ფერმწერი არ ყოფილა ამ მხრივ ოდესმე შეზღუდული არც მაშინ და არც ახლა. ასე ფიქრობდა ყველა, რა თქმა უნდა, რომ ლამბერტი თავისი წარმოსახვის ნაყოფს ხატავდა. მაგრამ ამ საღამოს მერე მე წარმოდგენა შემეცვალა და ცნობისმოყვარეობა მაწვალებს, ნეტავ, ხომ არ ხატავდა ლამბერტი სცენებს რეალური ცხოვრებიდან და რეალურ ქმნილებებს - ადგილებს, სადაც მას ფეხი დაუდგამს.“

„იქნებ, მართალიც ხარ, - მიუგო კეროლმა, - მაგრამ ის იქ როგორ უნდა მოხვედრილიყო? არტეფაქტთან დაკავშირებული შენი აღმოჩენა ძალიან საინტერესოა, რა თქმა უნდა, მაგრამ...“

„ეს არის ზუსტად ის, რაზეც უფსი განუწყვეტლივ ლაპარაკობს, - აუხსნა მან, - მას ახსოვს გობლინები და ტროლები და სხვა დანარჩენი პატარა რასის წარმომადგენლები ჯერ კიდევ ნეანდერტალელობის დროიდან. მაგრამ ის ასევე ამბობს, რომ იყვნენ კიდევ სხვებიც. სხვები, ბევრად უფრო საზარლები. ისინი ბევრად უფრო ბოროტები და მავნებლები იყვნენ და ნეანდერტალელებს სიკვდილივით ეშინოდათ მათი.“

„და შენ გგონია, რომ ზოგიერთ ტილოზე გამოსახული ქმნილება სწორედ ის არსებებია, რომლებიც უფსს ახსოვს?“

„მეც ამას ვფიქრობ, - აღიარა მან, - ნეტავ, ნენსი წინააღმდეგი ხომ არ იქნება, ხვალ უფსი აქ რომ მოვიყვანო და ეს ტილო ვაჩვენო?“

„არა მგონია, რომ წინააღმდეგი წავიდეს, - მიუგო კეროლმა, - მაგრამ, ვფიქრობ ეს აუცილებელი არ არის. მე სურათი გადავუღე ტილოს.“

„მაგრამ შენ...“

„ვიცი, რა თქმა უნდა, - მიუგო მან, - ეს სწორი საქციელი არ არის. მაგრამ ნენსისგან ნებართვა ავიღე და ისიც დამთანხმდა. უარი რატომ უნდა ეთქვა? მე ხომ სურათი იმიტომ არ გადავუღე, რომ გავყიდო ან სხვა მიზეზით გამოვიყენო. უბრალოდ,

ჩემთვის გადავიღე სურათი, საკუთარი სიამოვნებისთვის. ერთგვარი საფასურია, სილვესტერის აქ მოყვანისთვის, რათა ხალხს მისი ნახვის საშუალება ჰქონოდა. ნენსიმ იცის ამისი ფასი და ამიტომაც წინააღმდეგობა არ გაუწევია, როცა სურათის გადაღება ვთხოვე. თუ შენ გინდა, რომ უფსმა ეს სურათი ნახოს...“

„შენ აჩვენებ?“ - ჰკითხა მან.

„რა თქმა უნდა, ვაჩვენებ და გთხოვ, სურათის გადაღებისთვის ნუ მადანაშაულებ. ბარიბარში ვართ.“

„ბარიბარში? ნენსისთან?“

„არა მხოლოდ ნენსისთან, მასთან ნაწილობრივ, არამედ ყველა დანარჩენთან, ვინც წვეულებებზე მეპატიჟება. ყველასთან, ვინც ასე მექცევა. რადგანაც სინამდვილეში მათ არ ვჭირდები. ეს სილვესტერია, ვისაც ისინი ეპატიჟებიან. თითქოს გაწვრთნილი დათვი იყოს. რა თქმა უნდა, წვეულებებზე თუ მისი ხილვა სურთ, იძულებული არიან, მეც მიმიწვიონ. თუმცა ვიცი, რისთვისაც მეპატიჟებიან და მათაც იციან, რომ მე ვიცი და ისევ მეპატიჟებიან.“

„ვფიქრობ, გავიგე,“ - მიუგო მაქსველმა.

„მე ვფიქრობ, - უთხრა გოგონამ, - ეს მეტისმეტი ქედმაღლობაა მათი მხრიდან.“

„მეც ასე მგონია,“ - მიუგო მან.

„თუ გვინდა, რომ უფსს სურათები ვაჩვენოთ, - თქვა მან, - უმჯობესი იქნება, დროზე გავეცალოთ აქაურობას. ეს წვეულება უკვე ზეზეურად კვდება. თან შენც არ გინდა მომიყვე, რა მოხდა ვილერთან.“

„მოგვიანებით, - მიუგო მან, - ახლა არა, მოგვიანებით.“

მათ მცენარის უკან არსებული სამალავი დატოვეს და ოთახი გადაჭრეს, პირდაპირ კარისკენ გაემართნენ.

„ჩვენ ნენსი უნდა მოვძებნოთ, - შესთავაზა კეროლმა, და დავემშვიდობოთ.“

„სხვა დროს იყოს, - მიუგო მაქსველმა, - შეგვიძლია, ბარათი დავუტოვოთ ან მოგვიანებით დავურეკოთ და ვუთხრათ, რომ ვერ ვიპოვეთ და რომ დიდი მადლობელი ვართ შესანიშნავი საღამოსთვის, როგორ ვისიამოვნეთ და, როგორც ყოველთვის, ვცდილობდით, არ გამოგვეტოვებინა მისი წვეულებები, თუ როგორ ძალიან მოგვეწონა მისი ახალი ფერწერული ტილოები და რა კარგად მოიქცა, რომ ხელიდან არ გაუშვა ასეთი შესაძლებლობა და... „

„შეწყვიტე ტაკიმასხარაობა, - სთხოვა კეროლმა, - უკვე მეტისმეტი მოგდის. თან არც ისე კარგად გამოგდის.“

„ვიცი, - უთხრა მაქსველმა, - მაგრამ ყოველთვის ვცდილობ.“ ისინი კარს მიუახლოვდნენ და გრძელ, ფართოდ გადაშლილ, ქვისგან გამოთლილ კიბეს დაუყვნენ, რომელიც გზატკეცილისკენ ეშვებოდა.

„პროფესორო მაქსველ!“ - გაისმა ხმა.

მაქსველი შემობრუნდა. კიბეზე ჩერჩილი ჩამოდიოდა.

„სულ ერთი წუთით დაგაყოვნებთ, მაქსველ, თუ შეიძლება,“ - დაუძახა მან.

„დიახ, რაშია საქმე, ჩერჩილ?“

„თქვენთან ცალკე საუბარი მსურს, თუ, რა თქმა უნდა, ქალბატონი წინააღმდეგი არ იქნება.“

„გზატკეცილთან დაგელოდები,“ - უთხრა კეროლმა მაქსველს.

„არ შეწუხდე, - მიუგო მაქსველმა, - მასთან ძალიან მალე მოვაგვარებ საქმეს.“

„არა, - უთხრა კეროლმა, - დაგიცდი. გართულებები საჭირო არ არის.“ მაქსველი უცდიდა, სანამ ჩერჩილი სწრაფად ჩამოირბენდა კიბეს. ეს კაცი ძლივს ითქვამდა სულს და როცა მაქსველს მიუახლოვდა, ხელი გაშალა, რათა მკლავზე დაყრდნობოდა.

„მთელი საღამო ვცდილობდი თქვენთან მოახლოებას, თქვა მან, - მაგრამ ყოველთვის ხალხით იყავით გარემოცული.“

„რა გნებავთ?“- მკვახედ ჰკითხა მაქსველმა.

„ვილერს, - მიუგო ჩერჩილმა, - ყურადღებას ნუ მიაქცევთ. მან არაფერი იცის აქაურ წესებზე. არაფერი ვიცოდი, რის გაკეთებას აპირებდა. ფაქტია, მე მას ვუთხარი, არ...“

„იმის თქმა გინდათ, რომ თქვენთვის ცნობილი იყო, ვილერი ჩასაფრებული რომ მელოდა?“

„მე მას ვუთხარი, რომ ასეთი რამ არ გაეკეთებინა, შეეწინააღმდეგა ჩერჩილი, - ავუხსენი, რომ თქვენთვის თავი დაენებებინა. ვწუხვარ, პროფესორო მაქსველ. დამიჯერეთ, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე.“

მაქსველმა ხელი სტაცა ჩერჩილს მკერდზე და მაგრად ჩაბღუჯა მისი პერანგი, ქსოვილი მუშტში ჩაიხვია და ეს კაცი თავისთან ახლოს მიიზიდა.

„ესე იგი შენ ხარ ვილერის შუამავალი? - დაიყვირა მან, შენ აგვარებ მისთვის საქმეებს. ეს შენ წარმოადგინე არტეფაქტზე შესყიდვის წინადადება და ეს შენ ვილერისთვის გააკეთე.“

„მე რაც გავაკეთე, - გულმოსულმა განაცხადა ჩერჩილმა, - ჩემი პირადი საქმეა მხოლოდ. ჩემი შემოსავალიც ეგ არის, რომ ხალხის ინტერესები დავიცვა.“

„ვილერი ხალხი არ არის, - მიუგო მაქსველმა, - მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა არის ვილერი სინამდვილეში. მწერებით სავსე სკა, მორჩა. დანარჩენი ჩვენთვის უცნობია.“

„მასაც აქვს თავის უფლებები, - თქვა ჩერჩილმა, - მასაც აქვს უფლებამოსილება - საქმეები აწარმოოს.“

„და შენ უფლებამოსილი ხარ, მას დაეხმარო, - მიუგო მაქსველმა, - უფლებამოსილი ხარ, მისგან აიღო გასამჯელო. მაგრამ ფრთხილად იყავი, რის ფასად იღებ ამ გასამრჯელოს. შეეცადე, გზად არსად გადამეყარო.“ მან მკლავი გაშალა და ჩერჩილი მოიშორა. კაცი წაბორძიკდა, წონასწორობა დაკარგა, დაეცა და კიბის რამდენიმე საფეხურზე ჩაგორდა, სანამ შეჩერებას მოახერხებდა. ის იქ იწვა, გაშხლართული, ადგომა არც კი უცდია.

„წესით, - უთხრა მაქსველმა, - კიბეზე უნდა დამეგორებინე და შენთვის ბინძური კისერი მომეტეხა.“ მან სახლისკენ მიიხედა და დაინახა, რომ ხალხის პატარა ჯგუფი კართან შეკრებილიყო, ყველა მათ მისჩერებოდა და თან რაღაცას ერთმანეთში ჩურჩულებდნენ.

ის ქუსლებზე შემოტრიალდა და კიბე სწრაფად ჩაირბინა.

კიბის ბოლოს კეროლი სასოწარკვეთილი სახით ჩაკვროდა გააფთრებულ კატას.

„მეგონა, რომ ხელიდან გამისხლტდებოდა, მაღლა ამოვიდოდა და ნაკუწებად აქცევდა იმ კაცს,“ - სული ძლივს მოითქვა გოგონამ.

ის მაქსველს შესცქეროდა, სახეზე უკმაყოფილება ეწერა.

„ვინმესთან მაინც თუ შეგიძლიათ მშვიდობიანად ურთიერთობა?“ - ჰკითხა მან.

თავი 16

მაქსველი იმ ადგილას გადმოვიდა გზატკეცილიდან, სადაც მეძებარი ძაღლების გამოქვაბულები იწყებოდა და ცოტა ხნით შეჩერდა, კლდოვან მთებსა და მოტიტვლებული კონცხების შემოდგომისეულ ციცაბო კლდეებს გადაავლო თვალი. მოკლე მანძილში გამოქვაბულამდე, წითელყვითლად შეფერილ ფოთლებს შორის, თვალი მოჰკრა კეთ დენ პოინტის პიტალო კლდეს და მან იცოდა, რომ იქვე, ზემოთ, მაღლა ცაში, გადმოკიდული კონცხის უკან, გობლინების ციხესიმაგრეს იპოვიდა, ო’ტულის საცხოვრებელს.

სადღაც ტყეში კი ხავსმოკიდებული ხიდი ეგულებოდა, ტროლების საცხოვრებელ ბუნაგად გადაქცეული.

ჯერ ისევ ადრეული დილა იყო, ალიონს დაასწრო, როცა აქეთ გამოემართა. დილის ცვარი მინდორზე თვლემდა და ბალახის ღეროზე ნაზად ციმციმებდა, სანამ მას მზე მიაგნებდა. ჰაერი ქარის სურნელს გაეჯერებინა და ცა ისეთი ფერმკრთალი და ნაზი ცისფერი იყო, გეგონებოდათ, საერთოდ ფერი არა აქვსო და ყოველივეს, მთელ ლანდშაფტს, უცნაური მოლოდინის შეგრძნება დაუფლებოდა.

მაქსველმა მაღალთაღიანი ხიდი გადაკვეთა, რომელიც გზატკეცილს თავზე უვლიდა, და მის მეორე მხარეს ბილიკს დაადგა, პირდაპირ გამოქვაბულისკენ მიმავალს.

ხეებით გარშემორტყმული, სუნთქვაშეკრული მიუყვებოდა ის ამ ზღაპრულ მიწას. მიხვდა, ნელა მიდიოდა და საკმაოდ ფრთხილადაც, არავითარი სწრაფი მოძრაობა და ხმაური, რომ ტყის მყუდროება არ დაერღვია. ფოთლები მიზანსწრაფულად მოფრინავდნენ კანოპედან, ფერთა გამისგან ფრთაშესხმული ნაზად მოფარფატებდნენ დედამიწისკენ. წინ თაგვმა გადაურბინა, სიჩქარისგან მოკუნტული გარბოდა, გზას ჩამოცვენილ ფოთლებში მიიკვლევდა, სწორედ ამ სიჩქარის გამო შიშისმომგვრელი შრიალის ხმას გამოსცემდა.

შორს, გამოქვაბულთან ჩხიკვის ხმა ისმოდა, მაგრამ ხეებს შორის ძნელად აღწევდა და მისთვის დამახასიათებელი სიმკვეთრე ეკარგებოდა.

ბილიკი ორად გაიყო, მარცხენა მხარის განშტოება მაღლა, გამოქვაბულისკენ, მიუყვებოდა, მაშინ, როცა მარჯვენა ციცაბო კლდისკენ უხვევდა.

მაქსველი მარჯვენა განშტოებას გაჰყვა. მის წინ გრძელი და საფორთხიალო გზა გამოჩნდა, მაგრამ ამას მშვიდად შეხვდა, რადგან, თუ საჭირო გახდებოდა, ხშირად შეისვენებდა. სირცხვილიც კი იქნებაო, გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ ასეთ დღეს, რაც შეიძლება ხშირად არ შეჩერებულიყო დასასვენებლად, არ დახარბებოდა დროს, რომელიც თანდათანობით ამ ფერთა სამეფოდან და სიმშვიდიდან გააძევებდა.

ციცაბო და დამრეცი ბილიკი, უამრავი შესახვევით, გვერდს უვლიდა მასიურ ქვებს, რომლებიც მიწაზე ზემოდან ჩამოცვენილიყო, ნიადაგში ფეხი მოეკიდა და უკვე ბებერი ხავსითაც შემოსილიყო. აქ ხეები კიდევ უფრო ახლო იდგნენ ერთმანეთთან, უხეში, ჩამუქებული და სქელკანიანი უძველესი მუხები, სატინასავით თეთრი არყის ხეები, რომელთაც ლაქასავით მსუბუქად მოჰკიდებოდათ მზე იმ ადგილებში, სადაც თხელი კანი შემოსძარცვოდათ, ჯერ კიდევ შემორჩენილი კი ქარში ფრიალებდა. ზედაპირზე შექმნილ ამ საერთო ქაოსში წითელი მსხვილი არიზემის ნაყოფის პირამიდა ამოწვერილიყო, მას შეკუმშული ქუდი ისე შემოჭკნობოდა, როგორც მეწამული ფერის ძველი მანტია.

მაქსველი ნელა მიიწევდა მაღლა, ძალებს ზოგავდა, ხშირად ჩერდებოდა და გარემოს თვალს გადაავლებდა ხოლმე, რათა შემოდგომის არსს ჩაწვდომოდა, რომელიც ირგვლივ ყველაფრის ბატონ-პატრობი გამხდარიყო. ბოლოს და ბოლოს მან ზღაპრულ სიმწვანეს მიაღწია, სადაც ჩერჩილის ფლაიერი ავარიულად დაეშვა, ტროლების

fb.com/groups/elib

მაგიური შელოცვის წყალობით. აქედან პირდაპირ, გორაკზე, გზა გობლინების ციხე-კოშკისკენ მიემართებოდა.

ის ცოტა ხნით შეჩერდა მწვანეზე, დაისვენა, შემდეგ აღმართზე სვლა კვლავ განაგრძო. დობინი, ან რომელიღაცა სხვა მისი მსგავსი ცხენი, გაქუცულ ბალახს ძოვდა, რომელიც ბოძებით შემორაგვულ საძოვარზე ამოსულიყო. რამდენიმე მტრედი ციხესიმაგრის კოშკურებს თავს დასტრიალებდა, სხვა სიცოხლის ნიშანწყალი არსად ჩანდა.

უცაბედმა ყვირილმა შეძრა ამ საუცხოო დილის სიმშვიდე და ციხესიმაგრის ღია ჭიშკარში ტროლების ბრბო გამოჩნდა, რომელიც სწრაფად სამ მწკრივად მოძრაობდა და თითოეული მწკრივი მხრებით თოკს ექაჩებოდა, ძველი ნახატის მსგავსად, როგორც ვოლგის ბურლაკები. ისინი ციხე-კოშკის ასაწევ ხიდზე გამოვარდნენ და მაქსველმა მხოლოდ ახლა შენიშნა - ამ სამ თოკზე გამოთლილი ქვის ლოდი იყო გამობმული, რომელიც ხტუნვა-ხტუნვითა და ზრიალით მოჰყვებოდა მათ.

ბებერი დობინი დამფრთხალი აჭიხვინდა, ტლინკები გაყარა და შემოღობილი ფართობის შიგნით გაშმაგებულმა სირბილი დაიწყო.

ტროლები, დანაოჭებულ, მახინჯ სახეებზე ყავისფრად მოელვარე ეშვებით, - ეტყობოდა - ჯაგარზე ბევრად უფრო უხეში, გაბურძგნილი თმით, ბრაგაბრუგით მოუყვებოდნენ ბილიკს და თან უზარმაზარ ქვას მიაგორებდნენ, რომელიც ხტუნვა-ხტუნვით მოჰყვებოდა მათ, თან მტვრის ბუღს აყენებდა მიწაზე ხათქუნით.

მათ უკან მტვრის ღრუბელი გამოჩნდა. ეს გობლინები მოიჩქაროდნენ კეტებით, ორთითებით, თოხებით შეჭურვილი, აშკარა იყო, რომ შეიარაღებულიყვნენ ყველაფრით, რაზეც კი ხელი მიუწვდათ. დაინახა რა, რომ ტროლები მისკენ მოემართებოდნენ, მაქსველმა ბილიკიდან გადაუხვია. ისინი უსიტყვოდ მოძუნძულებდნენ და საკმაოდ შეუპოვრადაც, თუმცა სიმძიმისგან წელში მოხრილიყვნენ.

გობლინების ბანდა მათ კვალდაკვალ მოსდევდა, ველური საომარი ყიჟინითა და შეძახილებით. გობლინების რაზმის მოწინავე ხაზს ბ-ნი ო’ტული მიუძღოდა მძიმე ძუნძულით, მისი სახე და კისერი სიბრაზისგან გაიისფერებულიყო და ხელში უზარმაზარი კომბალი ჩაებღუჯა.

იმ ადგილას, სადაც მაქსველი გზიდან გადავიდა, ბილიკი ფერდობზე ეშვებოდა, სრიალით მიექანებოდა დაბლა კლდოვან დაღმართზე, ფერიების მდელოსაკენ. ამ დაქანების თავზე, ქვის ლოდი საგრძნობლად შეხტა, რადგანაც მისი კიდე კლდოვან წანაზარდს წამოედო. თოკები მოეშვა, ლოდი დაბლა წამოვიდა, შეხტა და შემდეგ, ჰაერში გაბნეული თოკებით, კოტრიალით დაეშვა ფერდობზე.

ერთ-ერთმა ტროლმა უკან მოიხედა და განწირული შეძახილით სხვების გაფრთხილება სცადა. ტროლებმა თოკებს ხელი უშვეს და მიმოიფანტნენ. ქვის ლოდი ფერდობზე მიგორავდა და ყველაფერს თელავდა, ყოველ ბრუნთან ერთად სიჩქარე უფრო და უფრო ემატებოდა. ის ფერიების მდელოზე დაეცა და უზარმაზარი ორმო წარმოქმნა, საბოლოოდ, ერთხელ კიდევ შეხტა ჰაერში, ბალახზე დაენარცხა და გაგორდა, ფერიების საცეკვაო მოედანზე კი საშინელი კვალი დაამჩნია, შემდეგ მწვანე მდელოს შორეულ განაპირას უშველებელ თეთრი მუხის ხეს დაეჯახა და, როგორც იქნა, დაისვენა.

გობლინები ღრიალით მოემართებოდნენ ფერდობზე, ხეებს შორის მიმოფანტული ტროლების კვალდაკვალ, ცდილობდნენ, როგორმე ქვის ქურდებს დასწეოდნენ.

შეშინებული ყვირილი და კივილი ისმოდა მთელ გორაკზე, რომელსაც დაგორებულებისა და ბუჩქებში გადაჩეხილების ხმა უერთდებოდა.

მაქსველმა ბილიკი გადაკვეთა და ღობესთან ჩარჭობილ ბოძს მიუახლოვდა. ბებერი დობინი უკვე დამშვიდებულიყო და წყნარად იდგა, ცხოველს პირი დაეღო და ქვედა ყბა ბოძის თავზე დაებჯინა, თითქოს ეს საყრდენი მას აუცილებლად სჭირდებოდა თავის შესაკავებლად. თან დაბლა, ფერდობისკენ იყურებოდა.

მაქსველმა ხელი გაშალა და დობინს კისერზე დაუტყაპუნა, მერე ერთი ყური ნელა მოსწია. დობინმა ნაზად დახარა თვალები და მას შეაცქერდა. ზედა ტუჩი ასწია და დაიფრუტუნა.

„იმედი მაქვს, - უთხრა მას მაქსველმა, - თავში აზრად არ მოუვათ, ის დაგორებული ქვა უკან შენ ამოგათრევინონ. უსაშველოდ დიდხანს მოუნდები და მთელი ძალ-ღონეც დაგჭირდება.“ დობინმა ერთი ყური უხალისოდ შეათამაშა.

„თუ მე ო’ტულს კარგად ვიცნობ, - თქვა მაქსველმა, - არ მგონია, რომ ამის გაკეთება მოგიწიოს. თუ მან ტროლებს თავი მოუყარა, სწორედ მათ აიძულებს მის თრევას.“ გორაკიდან მომავალი ღრიანცელის ხმა მიყუჩდა და ცოტა ხანში ბილიკზე ქოშინით ამომავალი ო’ტული გამოჩნდა. მას მხარზე კომბალი გაედო და ისე მოემართებოდა. სახეზე ჯერ ისევ ალმური ასდიოდა, მაგრამ ამჯერად უფრო დაღლილობისგან, ვიდრე სიბრაზისგან. ბილიკიდან პირდაპირ ღობისკენ გამოემართა, მაქსველი მის შესაგებებლად გაემართა.

„დიდ ბოდიშს გიხდით, - თქვა ო’ტულმა ქოშინით, თვალი მოგკარით და გამიხარდა თქვენი აქ ყოფნა, მაგრამ გადაუდებელი საქმით ვიყავი დაკავებული და დროული ყურადღება ვერ მოგაქციეთ. თქვენ ფრიად საზიზღარი ფაქტის მოწმე გახდით.“

მაქსველმა თავი დაუქნია.

„მათ ჩემი ასასვლელი ქვა მოიპარეს, - გააფთრებულმა წარმოთქვა ბ-ნმა ო’ტულმა, - იმ მდაბალი განზრახვით, რომ მე ფეხზე დავეტოვებინე.“

„ფეხზე დაეტოვებინეთ?“ - იკითხა მაქსველმა.

„ვერ მიმიხვდით, როგორც ვხედავ. ჩემი ასასვლელი ქვა, რომელზეც მე უნდა ავიდე, რომ მერე შევჯდე ბებერ დობინზე. ამ ასასვლელი ქვის გარეშე ცხენით სიარული არ გამომივა და მე გაუბედურებულს, ტკივილით შეპყრობილსა და აქოშინებულს მომიწევდა ფეხით სიარული.“

„გასაგებია, - მიუგო მაქსველმა. - როგორც შენიშნეთ, მე პირველად მართლა ვერ მიგიხვდით, რას გულისხმობდით.“

„ბინძური ტროლები, - თქვა ბ-ნმა ო’ტულმა და მრისხანებისგან კბილები გააკრაჭუნა. - არაფერზე უკან არ იხევენ. ასასვლელი ქვის მერე ალბათ ციხესიმაგრეს მოინდომებდნენ, ნაკუწ-ნაკუწ, ქვა-ქვა გაზიდავდნენ, სანამ შიშველ კლდეს არ დატოვებდნენ, რომელზეც ის არის აღმართული. ასეთ შემთხვევაში, მიზანდასახულად და სწრაფად მოქმედებაა აუცილებელი.“ მაქსველმა თავი მოატრიალა და დაბლა, ფერდობისკენ გაიხედა.

„და როგორ დამთავრდა ეს ყველაფრი?“

„ფესვებიანად ამოვძირკვეთ, - თქვა გობლინმა ერთგვარი კმაყოფილებით, - მწყერებივით დაიფანტნენ. ახლა ერთბაშად გამოვდევნით კლდეებიდან და შეუვალი სამალავებიდან, შემდეგ ჯორებივით გავკოჭავთ, მართლაც რომ გასაოცარი მსგავსებაა მათ შორის და ვაიძულებთ, ასასვლელი ქვა ათრიონ, უკან, იმ ადგილამდე, სადაც ის იპოვეს. ვფიქრობ, ეს საკმაოდ მძიმე იქნება“

„თავიანთი ხიდის დანგრევას არ გპატიობენ, შურისძიება უნდათ,“ - უთხრა მაქსველმა.

ბ-ნი ო’ტული აღშფოთებისგან შეხტა.

„შენ ცდები! დაიყვირა მან, - უსაზღვრო და უადგილო გულმოწყალებიდან გამომდინარე, ჩვენ კიდევ თავი შევიკავეთ მკაცრი მოპყრობისგან. მხოლოდ ორი პატარა ქვა ვიკმარეთ, სულ ეს არის – ორი ციცქნა ქვა და დიდი ხმაური. სამაგიეროდ, მათ მოხსნეს შელოცვა ვარცლიდან და ტკბილი ოქტომბრის ლუდიდან და რადგანაც კეთილი ბუნების ხალხი ვართ, ჩვენც ამით დავკმაყოფილდით, სხვა ყველაფერი ვაპატიეთ.“

„მათ შელოცვა მოხსნეს ლუდს? მეგონა, ეს შეუძლებელი იყო, რადგან, თუ ერთხელ მისი ქიმიური შემადგენლობა შეიცვლებოდა...“

ბ-ნმა ო’ტულმა მაქსველს ზიზღით შეხედა.

„თქვენ ბოდავთ, - უთხრა მან, - რაღაც მეცნიერულ სისულელეებს. თქვენ ვერ შეძელით ჩაწვდომოდით ჩვენი ცოდნის სიღრმეებს, თუმცა მაგიის სწავლის სურვილი გაქვთ. აქვე უნდა ვაღიარო, რომ ლუდზე შელოცვის მოხსნამ მას რაღაც

დაუტოვა. მსუბუქად ობის გემო გადაკრავს, როცა მას მიირთმევ. და მაინც, - თქვა მან, - ასეთი ლუდის ქონა ბევრად უკეთესია, ვიდრე სულ არქონა. თუ შემომიერთდებით, შეგვიძლია, ერთად დავაგემოვნოთ.“

„მთელი დღე სხვა საქმე მაინც არაფერი მაქვს, - მიუგო მაქსველმა, - ეს წინადადება კი საკმაოდ მაცდუნებლად ჟღერს.“

„თუ ესეა, ახლავე დავიძრათ, - დაიძახა ბ-ნმა ო’ტულმა, - მოღიავებული დარბაზებისკენ, რომლებიც ასე უგულისყუროდ ააგეთ ბრიყვმა ადამიანებმა, ალბათ, ფიქრობდით, რომ ჩვენ უსაზღვროდ ვიყავით შეყვარებულები ნანგრევებზე. წავიდეთ, ისედაც კარგად ვიმხიარულებდით ქაფმოდებული სავსე კათხებით.“ უზარმაზარ, ორპირქარებიან ციხესიმაგრის დარბაზში, ბნმა ო’ტულმა კასრიდან ქაფიანი ლუდი კათხებში ჩამოასხა, ხარაჩოზე დაალაგა და გამოჩორკნილი მაგიდისკენ წამოიღო, რომელიც უზარმაზარი ბუხრის წინ დაედგათ და სადაც ცეცხლი ძლივს ბჯუტავდა და უხეიროდ ხრჩოლავდა.

„და ღვთისგმობა ამაში ისაა, - უთხრა ბ-ნმა ო’ტულმა და კათხას დასწვდა, - რომ ეს მათი გამოხტომა ასასვლელ ქვასთან დაკავშირებით ზუსტად მაშინ მოხდა, როცა ჩვენ, გობლინები, გლოვისთვის ვემზადებოდით.“

„ვწუხვარ, - უთხრა მაქსველმა, - გლოვა ახსენეთ, არ ვიცოდი...“

„არა, ჩვენ არა, - მიუგო ბ-ნმა ო’ტულმა სასწრაფოდ, ჩემი შესაძლო გამოკლებით, შესაშური ჯანმრთელობა სუფევს გობლინების მთელ ტომში. ჩვენ ამ რიტუალის დაცვას ბანშისთვის ვამზადებდით.“

„მაგრამ ბანში ხომ არ მომკვდარა.“

„არ მომკვდარა, - მიუგო ბ-ნმა ო’ტულმა, - მაგრამ კვდება. რაც ძალზე სამწუხაროა. მთელ რეზერვაციაში ის უკანასკნელია თავისი დიდებული და კეთილშობილური რასიდან და ალბათ, სულ თითზე ჩამოსათვლელი თუ დარჩა ასეთი არსება მთელ მსოფლიოში.“ ის კათხას დასწვდა და დრუნჩი ჩარგო შიგ, ნელ-ნელა და სიამოვნებით ხვრეპდა. როცა კათხა მაგიდაზე დადგა, ლუდის ქაფით ჰქონდა ბაკენბარდები მოთხვრილი, მაგრამ თავი არ შეუწუხებია მის მოსაწმენდად.

„ჩვენი სიკვდილი მეტად თვალში საცემია, - თქვა მან ნაღვლიანი ხმით. - პლანეტა საგრძნობლად შეიცვალა. ყველა ჩვენგანი, პატარა რასა და კიდევ სხვებიც, არა პატარები, დაბლა ვაკეებზე მობინადრენი, სადაც ჩრდილები ასე უხვად მოფენილა, ვქრებით ყველა ცოცხალი არსების ცნობიერებიდან და ეს ჩვენი აღსასრულია. სათაკილო ისაა, რომ თრთოლვა გიპყრობს, როცა ამაზე ფიქრობ, რადგანაც ნამდვილად სასარგებლონი ვიყავით, ჩვენი ბევრი ნაკლის მიუხედავად. ტროლებიც კი, დეგრადაციამდე, შეუბღალავი ღირსების გრძნობით გამოირჩეოდნენ, თუმცა უნდა განვაცხადო, რომ ისინი ამჟამად ყოველგვარ ღირსებას მოკლებულნი არიან.

ასასვლელი ქვის ქურდობა - ეს ყველაზე მდაბალი საქციელია და ისინი, ვინც ამას კადრულობენ, ყოველგვარ კეთილშობილებას მოკლებულნი არიან.“

მან კათხა ისევ პირთან მიიტანა და რამდენიმე დიდი ყლუპით გამოცალა. მაგიდაზე დაახეთქა და მაქსველის კათხას შეხედა, რომელიც ჯერ ისევ სავსე იდგა.

„დაცალე, - შეაგულიანა მან, - ბოლომდე დალიე, მე ისევ შეგივსებ, რომ ულვაშები ისევ დავისველოთ.“

„შენ მიდი, განაგრძე, - უთხრა მაქსველმა, - სირცხვილია, ლუდის ისე დალევა, როგორც შენ შეექცევი. ნელა უნდა მიირთვა და დააგემოვნო.“

ბ-ნმა ო’ტულმა მხრები აიჩეჩა.

„ხარბი ღორი ვარ, ეჭვგარეშეა. მაგრამ ეს შელოცვამოხსნილი ლუდია და არა ის, რომელზეც ამდენი დროს დაკარგვა ღირს.“ ის ფეხზე წამოდგა და კათხის შესავსებად კასრისკენ წაბარბაცდა. მაქსველი თავის კათხას დასწვდა და მოსვა.

სიძველის გემო დაჰკრავდა, როგორც ეს ბ-ნმა ო’ტულმა თქვა, ლუდის არომატს - განსაკუთრებული გემო, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ფოთოლების კვამლის სურნელებას.

„როგორია?“ - იკითხა გობლინმა.

„მას უცნაური გემო აქვს, მაგრამ სასიამოვნო.“

„ერთ დღეს, ამ ტროლების ხიდს მართლა ბოლოს მოვუღებ, - ბ-ნმა ო’ტულმა მოულოდნელად მრისხანება ამოაფრქვია, - ქვას ქვაზე არ დავტოვებ, ხავსს გულდაგულ შემოვაცლი და ისე მოვიპარავ ჯადოსნურ ქვებს, ჩაქუჩით დავფშვნი პატარა ნატეხებად, წავიღებ სადმე მაღალ კლდეზე და იქიდან გადავყრი და მიმოვაბნევ ირგვლივ, ისე, რომ მათი ერთად შეგროვება ვერავინ შეძლოს. თუმცა, - თქვა მან და მხრები დაბლა ჩამოყარა, - ეს უსაშველოდ ძნელი საქმე იქნება. მაგრამ ცდუნება დიდია. ერთ დროს ეს ყველაზე კარგი და ტკბილი ლუდი იყო, რაც კი ოდესმე მოგვიხარშავს და ახლა შეხედეთ - ღორსაც არ შეეფერება. მაგრამ მიუტევებელი ცოდვა იქნება მისი გადაქცევა, თუნდაც ასეთი მყრალის, რადგანაც მაინც ლუდია.“

იგი კათხას დასწვდა და ნაძალადევად მიიტანა პირთან. ხორხი აუდიოდ-ჩაუდიოდა და სანამ მთელი ლუდი არ გამოცალა, მანამ არ ჩამოუღია.

„და თუ მე მართლა მნიშვნელოვან ზიანს მივაყენებ ამ ყველაზე საზიზღარ ხიდს, - თქვა მან, - ეს მხდალი ტროლები ადმინისტრაციას საჩივრით მიადგებიან, თქვენ, ადამიანები, ახსნა-განმარტებას მომთხოვთ. ასეთი დამოკიდებულება კი სწორი არ არის. არა მგონია, ღირსებად ითვლებოდეს, ცხოვრობდე მხოლოდ წესების დაცვით

და ასეთი ცხოვრება სიამოვნებას არ განიჭებდეს, დაწყევლილი დღე იყო, როცა ადამიანთა რასა გაჩნდა ამ ქვეყანაზე.“

„ჩემო მეგობარო, - მიმართა შეძრწუნებულმა მაქსველმა, - შენ არასოდეს გითქვამს ასეთი რამ ჩემთვის უწინ.“

„არც სხვა რომელიმე ადამიანისთვის, - თქვა გობლინმა, - და არც ერთი ადამიანისთვის მთელ ქვეყანაზე, მხოლოდ შენთან შემიძლია გრძნობების გამომჟღავნება. ახლა ცოტა ბევრი მომივიდა, მეტისმეტად მოვაღე პირი.“

„შენ კარგად იცი, - მიუგო მაქსველმა, - სიტყვას არავისთან დავძრავ ამის შესახებ.“

„რა თქმა უნდა, ვიცი, - დაეთანხმა ბ-ნი ო’ტული. - ამაზე სულაც არ ვნერვიულობ. შენ, თითქმის, ერთი ჩვენგანი ხარ. შენ ყველაზე ახლობელი ხარ გობლინებისთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ადამიანი.“

„ეს ჩემთვის დიდი პატივია,“ - უთხრა მაქსველმა.

„ჩვენ უძველესნი ვართ, - თქვა ბ-ნმა ო’ტულმა, - იმაზე უფრო ძველი, მგონია, ვიდრე ადამიანის გონებას შეუძლია წარმოიდგინოს. დარწმუნებული ხარ, რომ არ გინდა ბოლომდე დალიო ეგ საზიზღარი და საშინელი სასმელი და ახალი კათხა შეივსო?“

მაქსველმა თავი გააქნია:

„შენ განაგრძე და ისევ შეივსე კათხა. მე აქ ვიჯდები და ნელ-ნელა მოვწრუპავ იმას, რაც მაქვს, და დავტკბები, შენსავით სულმოუთქმელად კი არ შევხვრიპავ.“ ბ-ნმა ო’ტულმა კიდევ ერთხელ გაისეირნა კასრისკენ და უკან გალიპლიპებული კათხით დაბრუნდა, მაგიდაზე დაახეთქა და თავადაც ერთობ გულმოდგინედ და მოხერხებულად მოეწყო.

„მრავალი წელი გავიდა, - წარმოთქვა მან და მწუხარებისგან თავი გააქნია, - გასაოცრად დიდი დრო, შემდეგ პატარა ბინძური პრიმატები მოვიდნენ და ყველაფერი წაახდინეს.“

„დიდი დრო, - დაუდასტურა მაქსველმა, - ეს როდის იყო, იურულ პერიოდში?“

„შენ თავსატეხებით საუბრობ. მე ვერ ვგებულობ ტერმინებს. მაგრამ გეტყვი, რომ მაშინ ჩვენ ბევრნი ვიყავით და სულ სხვადასხვა გვარის, დღეისთვის მხოლოდ რამდენიმე თუ შემოვრჩით და მხოლოდ ზოგიერთი სახეობა. ნელა, მაგრამ მაინც უმოწყალოდ ვიხოცებით. დადგება დღე, როცა ვერც ერთ ჩვენგანს ველარ იპოვით. ამის მერე კი, ადამიანებო, ყველაფერი თქვენ დაგრჩებათ.“

„შენ გაღიზიანებული ხარ, - გააფრთხილა მაქსველმა, კარგად იცი, რომ ეგ არ არის ის, რაც ჩვენ გვინდა. ჩვენ მეტისმეტი ძალისხმევა ჩავდეთ რომ...“

„კეთილშობილური ძალისხმევა?“ - იკითხა გობლინმა.

„დიახ, მე ვიტყოდი, სიყვარულით სავსე ძალისხმევა.“ გობლინს ლოყებზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოუგორდა და ბანჯგვლიანი, დაკოჟრილი ხელი ასწია მათ შესამშრალებლად.

„ყურადღებას ნუ მომაქცევ, - უთხრა მაქსველს, ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ. ეს ბანშის ბრალია.“

„ბანში შენი მეგობარია?“ - ცოტა არ იყოს, გაკვირვებით ჰკითხა მაქსველმა.

„ჩემი მეგობარი არ არის, - მიუგო ო’ტულმა, - ის საზღვრის ერთ მხარეს დგას, მე კი - მეორე მხარეს, უძველესი მტერი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი ჩვენგანი. ერთერთი მართლაც რომ უძველეს არსებათაგანი. ის უფრო მედგრად იდგა, ვიდრე სხვები. ის უფრო ჯიუტად კვდება. სხვები კი უკვე დიდი ხნის მკვდრები არიან. და ასეთ დღეებში, ის ძველი განსხვავება სწრაფად გავიწყდება. ჩვენ შეგვეძლო ის არც გვეგლოვა და სინდისიც არ შეგვაწუხებდა, მაგრამ ეს ყველაფერი გვერდზე გადავდეთ და მის საპატივცემულოდ გლოვას მივეცემით. ასეთ დროს კი ეს მდაბალი ქვეწარმავლები, ყოველგვარ ღირსებას მოკლებულები...“

„შენ იმის თქმა გინდა, რომ არავის, არც ერთ სულიერს ნაკრძალში არ შეუძლია მის გვერდით ჯდომა მისი სიკვდილის ჟამს?“ ბ-ნმა ო’ტულმა მძიმედ გააქნია თავი.

„არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია. პირიქით, კანონია ასეთი და ძველი ტრადიციის დარღვევა იქნება. ამას ვერ აგიხსნი - ის ზღვარს მიღმაა.“

„მაგრამ ის ხომ სულ მარტოა?!“

„ეკლიან ჩირგვნარში, - თქვა გობლინმა, - იმ ქოხთან ახლოს, სადაც ცხოვრობდა.“

„ეკლიან ჩირგვნარში?“

„ეკლებში, - დაუდასტურა გობლინმა, - საუცხოო საცხოვრებელია, თავად ხეში...“ მას ხველა აუტყდა, სასწრაფოდ დასწვდა კათხას და პირთან მიიტანა. მისი ხორხი კვლავ ამოძრავდა.

მაქსველმა ჟაკეტის ჯიბეში ჩაიყო ხელი და ლამბერტის დაკარგული ტილოს სურათი ამოიღო, რომელიც ნენსი კლეიტონის კედელზე ეკიდა.

„ბ-ნო ო’ტულ, - თქვა მან, - არის რაღაც, რაც მინდა გაჩვენოთ.“ გობლინმა კათხა დაბლა დადგა.

„თუ ასეა, მაჩვენეთ, - მიუგო მან, - ამდენი აბდაუბდა რად მალაპარაკეთ, თუ საქმე გქონდათ ჩემთან.“ ის დასწვდა სურათს, თავი ოდნავ დახარა და დააკვირდა.

„ტროლები, - თქვა მან, - რა თქმა უნდა. მაგრამ სხვებს ვერა ვცნობ. შესაძლოა, უნდა მახსოვდნენ, მაგრამ ვერ ვიხსენებ. არის თქმულებები, ძველი, ძალიან ძველ თქმულებები...“

„უფსსაც ვაჩვენე სურათი. თქვენ იცნობთ უფსს, რა თქმა უნდა.“

„ის მოსული ბარბაროსი, რომელსაც პრეტენზია აქვს თქვენს მეგობრობაზე.“

„ის ჩემი მეგობარია, - მიუგო მაქსველმა. - და უფსმა გაიხსენა ისინი. უძველესი არსებები უძველესი ხანიდან.“

„კი, მაგრამ, ეს არსებები სურათზე როგორ აღმოჩდნენ?“

„აი, ეს კი არ ვიცი. სურათი ფერწერულ ტილოს გადავუღეთ, რომელიც ერთმა ადამიანმა დიდი, დიდი ხნის წინ დახატა.“

„ეს როგორ მოხდა...“

„არ ვიცი, - მიუგო მაქსველმა, - ჩემი ვარაუდით, ის იქ ნამყოფი იყო.“

ბ-ნი ო’ტული კათხას დასწვდა, მაგრამ დაინახა, რომ ცარიელი იყო, ტორტმანით მივიდა კასრთან და შეავსო. უკან სასმელით დაბრუნდა და კვლავ დასწვდა ფოტოს, ყურადღებით დააკვირდა, თუმცა, ცოტა არ იყოს, თვალებდაბინდული.

„არ ვიცი, - თქვა მან ბოლოს., - იყვნენ კიდევ სხვები ჩვენ გარდა, ბევრი სხვაგვარი არსება, რომლებიც დღეს აღარ არიან. ჩვენღა დავრჩით უკანასკნელნი მთელი იმ მრავალრიცხოვანი მოსახლეობიდან.“ კვლავ მაგიდაზე დადო ფოტო.

„იქნებ, ბანში სცადოთ, - შესთავაზა გობლინმა, - ბანშის ასაკი ყველას აღემატება.“

„მაგრამ ბანში ხომ კვდება.“

„კი, ასეა, - მიუგო ბ-ნმა ო’ტულმა, - და სამწუხარო დღეა მისთვის და სევდიანი, იმიტომ, რომ სულ მარტოა, მასთან არავინაა.“ ის კათხას დასწვდა და მოიყუდა.

„დალიე, - თქვა მან, ერთი კათხა მაინც დალიე. არც ისეთი ცუდია.“

თავი 17

მაქსველმა გადაყირავებულ ქოხმახს შემოუარა და ერთ მხარეს ეკლიანი ჩირგვი დაინახა. რაღაც უცნაურობა სჭირდა ხეს. ისე ჩანდა, თითქოს შავი ღრუბელი შემოხვეოდა, მსხვილი ღერო მოუჩანდა, საიდანაც მოკლე და თლილი, ეკლიანი ტოტები ამოზრდილიყო. და თუ ო’ტულმა სიმართლე თქვა, ეს შავი, ტოტებში გახლართული ღრუბელი მომაკვდავი ბანში უნდა ყოფილიყო. მან ნელა და სიფრთხილით გადაკვეთა სივრცე და ხიდან რამდენიმე ფუტის მოშორებით შეჩერდა. შავი ღრუბელი მოუსვენრად მოძრაობდა, როგორც ღრუბელი, რომელიც ნელა იწყებს აორთქლებას.

„შენ ბანში ხარ?“ - ჰკითხა ხეს მაქსველმა.

„შენ დააგვიანე, თუ სასაუბროდ მოხვედი.“ - მიუგო ბანშმა.

„მე სასაუბროდ არ მოვსულვარ, - უთხრა მაქსველმა, მოვედი, რომ შენს გვერდით ვიჯდე ასეთ დროს.“

„ჩამოჯექი მაშინ, - უთხრა ბანშმა, - ეს დიდი ხანი არ გაგრძელდება.“ მაქსველი მიწაზე დაჯდა და ფეხები მოხარა, ისე, რომ მკერდთან ახლოს მიიტანა. ხელები დაბლა დაუშვა და გაშლილი ხელისგულებით მიწას დაეყრდნო, რომელიც ყავისფერი და გამხმარი ბალახისგან გაკეთებულ ჭილობს მოგაგონებდათ. მის ქვემოთ შემოდგომის ფერებით მოხატული ხეობა გადაჭიმულიყო შორეულ ჰორიზონტამდე, სადაც მდინარის ჩრდილოეთით უკვე მთები იწყებოდა - სამხრეთის სანაპიროს მთებისგან განსხვავებით, იქურობა უფრო მშვიდი მოჩანდა, ტერასებიანი გორაკები, ოდნავ გადახრილი, როგორც ასასვლელი კიბე, ცისკენ მიემართებოდა.

მის უკან ფრინველთა გუნდმა გადაიქროლა მთათა ჯაჭვზე, შავი შაშვები სწრაფად მიაპობდნენ ცისფერ ნისლს, რომელიც ციცაბო ხეობაზე ეკიდა და დაბლა ეშვებოდა მთათა სისტემიდან. მაგრამ ფრინველთა ფრთების ხმის გარდა, რომელიც ჰაერში ისმოდა, ირგვლივ ნაზი და მშვიდი სიწყნარე სუფევდა, არანაირი ძალადობის კვალი და საფრთხე, არამედ საოცნებო სიმშვიდე, რომელშიც თავად მთებიც კი გარინდულიყვნენ.

„სხვები არ მოვიდნენ, - თქვა ბანშმა, - მეგონა, თავიდან, რომ ეს შესაძლებელი იყო. რაღაც მომენტში, ვიფიქრე, იქნებ დაივიწყონ და მოვიდნენ. ჩვენ შორის ასეთ დროს არანაირი განსხვავება არ უნდა არსებობდეს. ჩვენ უნდა ვიდგეთ როგორც ერთი, ყველა ჩვენგანი ერთ ნავში ზის. თუმცა ძველი დროის ტრადიციები ჯერ ისევ ძალაშია.“

„მე ველაპარაკე გობლინებს, - უთხრა მას მაქსველმა, ისინი შენზე იგლოვებენ. ო’ტული ძალიან წუხს და მოზღვავებული ნაღველის გასაქარვებლად გაფუჭებული ლუდით თვრება.“

„შენ ჩემს ხალხს არ ეკუთვნი, - უთხრა ბანშმა, - შენ ჩემთან დაუპატიჟებლად შემოიჭერი. თან მეუბნები, რომ ჩემთან ჯდომა გინდა. რატომ აკეთებ ამას?“ მაქსველმა იცრუა. სხვა გზა არ ჰქონდა. მან ვერ გაბედა მომაკვდავისთვის ეთქვა, რომ მხოლოდ გარკვეული ინფორმაციის მისაღებად მივიდა მასთან.

„შენს ხალხთან ვმუშაობდი, - მიუგო მან, - და ბევრ მათგანთან მქონია ურთიერთობა.“

„შენ მაქსველი ხარ? - უთხრა ბანშმა, - მსმენია შენზე.“

„თავს როგორ გრძნობ? - ჰკითხა მაქსველმა, - რამე შემიძლია შენთვის გავაკეთო? გჭირდება რამე?“

„არა, - მიუგო ბანშმა. - უკვე აღარაფერი მჭირდება.

თითქმის ვეღარაფერს ვგრძნობ. სწორედ ეს არის უბედურება, რომ ვეღარაფერს ვგრძნობ. ჩემი სიკვდილი და თქვენი გარდაცვალება სხვადასხვა რამეა. ეს ნაკლებად ფიზიკურია. ენერგია გაედინება ჩემგან და საბოლოოდ აღარაფერი ვრჩები. უფრო სინათლის ციმციმს ჰგავს, რომელიც ბოლოს ქრება.

„ვწუხვარ, - თქვა მაქსველმა, - თუკი ჩემთან საუბარი აჩქარებს...“

„საუბარმა შეიძლება ეს ცოტა დააჩქაროს, მაგრამ ჩემთვის ეს უკვე სულერთია. და არც ვდარდობ. არც სინანული მაწუხებს. თითქმის უკანასკნელი ვარ ჩემს ხალხს შორის.

კიდევ სამი დარჩა, თუკი ამ რიცხვს მეც მიმათვლი, მე კი მითვლის ღირსი აღარ ვარ. ათასობით ჩვენგანიდან, მხოლოდ ორი დარჩა.“

„მაგრამ ჯერ ისევ არიან გობლინები, ტროლები და ფერიები...“

„შენ ვერაფერს მიხვდი, - თქვა ბანშმა, - შენთვის არასდროს არავის არაფერი უთქვამს და შენც არასდროს გიფიქრია, რომ გეკითხა. ისინი, ვინც შენ ჩამოთვალე, უფრო გვიან მოვიდნენ, ჩვენ მერე, როცა პლანეტა უკვე ახალგაზრდა აღარ იყო. ჩვენ ვიყავით კოლონისტები, ეს კი უეჭველად უნდა იცოდე.“

„ასეც ვიფიქრე, - მიუგო მაქსველმა. - ამ ბოლოს მომივიდა ეგ აზრი.“

„ეს აუცილებლად უნდა გცოდნოდა, - თქვა ბანშმა, - შენ ხომ ძველ პლანეტაზე ხარ ნამყოფი.“ მაქსველს სუნთქვა შეეკრა:

„საიდან იცი ეს?“

„შენ საიდან სუნთქავ ჰაერს? - ჰკითხა ბანშმა, - როგორ ხედავ? ჩემთანაც ასეა, იმ უძველეს პლანეტასთან კავშირი ისევე ბუნებრივია ჩემთვის, როგორც სუნთქვა და დანახვა შენთვის. ჩემთვის არაფერი უთქვამთ; უბრალოდ, ვიცი.“ მაშასადამე ის იყო, - გაიფიქრა მაქსველმა, - ბანში იყო ვილერის საინფორმაციო წყარო და ალბათ ჩერჩილმა აცნობა ვილერს ის ფაქტი, რომ ბანშს ჰქონდა ინფორმაცია, ვინ წარმოიდგენდა, რომ ბანშმა იცოდა, ამას ვერავინ იფიქრებდა.

„და სხვები - ტროლები და ...“

„არა, - თქვა ბანშმა, - ბანშები იყვნენ ერთადერთი არსებები, ვისთვისაც ეს გზა ხსნილი იყო. ეს ჩვენი სამუშაო, ჩვენი ერთადერთი დანიშნულება იყო. ჩვენ ვიყავით მაკავშირებელი რგოლი ძველ პლანეტასა და დედამიწას შორის. ჩვენ ვიყავით კომუნიკატორები. როცა ძველმა პლანეტამ კოლონიების დაფუძნება დაიწყო, აუცილებელი გახდა კომუნიკაციის გარკვეული ფორმის დამყარება. ჩვენ ყველანი სპეციალისტები ვიყავით, თუმცა სპეციალისტი დღეს არაფრის მთქმელია და თითქმის ყველა სპეციალისტი მოკვდა. აი პირველები კი, ყველანი სპეციალისტები

იყვნენ. ისინი კი, ვინც მოგვიანებით მოვიდა, მათი დანიშნულება უფრო მარტივი იყო - უბრალოდ, მიწაზე დასახლება.“

„შენ ტროლებსა და გობლინებს გულისხმობ?“

„ტროლები, გობლინები და სხვა დანარჩენიც. მათ ჰქონდათ რაღაც შესაძლებლობები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო სპეციალისტი. ჩვენ ვიყავით ინჟინრები, ისინი კი - მუშები. ჩვენ შორის დიდი უფსკრული იყო. აი რატომ არ მოვლენ ისინი და ვერ დაჯდებიან ჩემთან. ის ძველი უფსკრული ჯერ ისევ არსებობს.“

„შენ ასე დაიღლები, - უთხრა მაქსველმა, - უმჯობესია, ძალები შემოინახო.“

„მაგას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. ჩემგან ენერგია უკვე გაედინება და როცა ენერგია სულ გაქრება, სიცოცხლეც დასრულდება. ასეთი სახის გარდაცვალებას არაფერი აქვს საერთო სხეულთან, რადგანაც სხეული არასოდეს მქონია. მე მთლიანად ენერგია ვიყავი. და მაგას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან ის ძველი პლანეტაც უკვე კვდება; შენ ნახე ჩემი პლანეტა და იცი ეს.“

„დიახ, ვიცი,“ - მიუგო მაქსველმა.

„ისეთი სხვანაირი იქნებოდა აქ ყველაფერი, ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ. როცა პირველად მოვედით, აქ ძუძუმწოვრებსაც კი ძნელად თუ შეხვდებოდით, პრიმატებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ჩვენ შეგვეძლო ამისთვის ხელი შეგვეშალა – პრიმატების გამოჩენისთვის. შეგვეძლო ისინი ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში გაგვენადგურებინა. გარკვეული მსჯელობაც კი გაიმართა ამის შესახებ, რადგანაც ამ პლანეტას გარკვეული პერსპექტივა ჰქონდა და ჩვენ კი, ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ, ვირწმუნებდით თავს, რომ აქაურ ძუძუმწოვრებს არაფერი გამოუვიდოდათ. მაგრამ არსებობდა უძველესი წესი. იშვიათად თუ შეხვდებით ინტელექტს და თუ შეხვდით, ის ხელშეუხებელია, მის განვითარებაში ჩარევა და მით უმეტეს ხელის შეშლა დაუშვებელია. ის ძვირფასი რამეა - ამას მაშინაც კი ვაღიარებდით, ასევე ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ, მაგრამ მაინც გზიდან ჩამოვშორდით. მაინც ვაღიარებდით, რომ იგი ყველაზე ძვირფასი რამ იყო.“

„მაგრამ თქვენ დარჩით, - მიუგო მაქსველმა, - შეიძლება განზე გადექით, მაგრამ მაინც დარჩით.“

„უკვე გვიანი იყო, - მიუგო მას ბანშმა. - ჩვენ უკვე წასასვლელი აღარ გვქონდა. იმ დროისთვის ძველი პლანეტა უკვე იღუპებოდა. აზრი არ ჰქონდა უკან წასვლას. და ეს პლანეტა, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ჩვენი სახლი გახდა.“

„შენ ალბათ გძულვართ ჩვენ, ადამიანები.“

„ერთ დროს, ასეც იყო. ვფიქრობ, კიდევ შემომრჩა ეს სიძულვილი. მაგრამ დროთა განმავლობაში სიძულვილის გრძნობა იფერფლება. ნელა იფერფლება, მაგრამ

საბოლოოდ არასოდეს ქრება. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ, ჩვენი სიძულვილის მიუხედავად, გარკვეულ წილად ვამაყობდით თქვენით. ასე რომ არ იყოს, რატომ შემოგთავაზებდათ უფროსი პლანეტა თავის ცოდნას?“

„მაგრამ თქვენ ის ვილერსაც შესთავაზეთ.“

„ვილერს - ოჰ, დიახ, ვიცი, ვისაც გულისხმობთ. მაგრამ სინამდვილეში ჩვენ მათთვის არაფერი შეგვითავაზებია. ვილერმა ყური მოჰკრა ამბავს ძველი პლანეტის შესახებ და რომ პლანეტას აქვს რაღაც, რისი გაყიდვის სურვილიც აქვს. ის მოვიდა ჩემთან და დამისვა მხოლოდ ერთი კითხვა - რა იყო ამ გასაყიდი საქონლის ფასი. არ მგონია, რომ მან იცოდა, რა იყო გასაყიდი. ის მხოლოდ საქონელს ახსენებდა.“

„და თქვენ უთხარით, რომ მისი ფასი არტეფაქტი იყო.“

„რა თქმა უნდა, ვუთხარი. მაშინ თქვენ შესახებ არაფერი ვიცოდი. მხოლოდ მოგვიანებით გადმომცეს, რომ მე, გარკვეული დროის მერე, ფასი თქვენთვის უნდა გამემჟღავნებინა.“

„და, - ჰკითხა მაქსველმა, - თქვენ ამის გაკეთებას აპირებდით?“

„დიახ, - მიუგო ბანშმა, - მე ვაპირებდი ამის გაკეთებას. და აი ახლა ეს გავაკეთე კიდეც. ასე რომ, საკითხიც დახურულია.“

„თქვენ შეგიძლიათ ერთი რამ კიდევ მითხრათ. რა არის არტეფაქტი?“

„ამის გაკეთება, - უპასუხა ბანშმა, - არ შემიძლია.“

„არ შეგიძლიათ, თუ არ გინდათ?“

„არ მინდა,“ - მიუგო ბანშმა.

გაყიდულია, - უთხრა მაქსველმა საკუთარ თავს. ადამიანების რასა გაყიდა ამ მომაკვდავმა არსებამ, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ასე თქვა, არც არასოდეს აპირებდა მისთვის ფასის განდობას. გაყიდა არსებამ, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში ინახავდა სიძულვილს ადამიანების მიმართ და ახლა, როცა ის კვდებოდა, ცინიზმით ყვებოდა, თუ როგორ გაყიდა ადამიანთა რასა, ყვებოდა იმიტომ, რომ ადამიანთა რასას სცოდნოდა, თუ როგორ და რატომ მოხდა ყველაფერი, რა დაკარგეს და რომ საქმის გამოსწორება უკვე შეუძლებელი იყო.

„შენ ვილერს უამბე ჩემ შესახებ, - უთხრა მან, - და ამიტომ იყო, რომ ჩერჩილი მელოდა სადგურზე, როცა მე დავბრუნდი დედამიწაზე. მან მითხრა, რომ მოგზაურობიდან დაბრუნდა, თუმცა არანაირ მოზაურობაში არ ყოფილა წასული.“ მაქსველი გაცეცხლებული წამოხტა ფეხზე.

„და რაღას მეტყვი ჩემს ორეულზე, რომელიც დაიღუპა?“ ის ხესთან მიიჭრა, მაგრამ ხე ცარიელი დახვდა. მის ტანს შემოხვეული მუქი ღრუბელი გამქრალიყო. ტოტები ლაღად და ამაყად ატყორცნილიყვნენ დასავლეთის ცისკენ.

გაქრა, - გაიფიქრა მაქსველმა, - არ მომკვდარა, არამედ გაქრა. ელემენტარული ქმნილების სუბსტანცია უკან დაუბრუნდა ელემენტებს, წარმოუდგენელი ჯაჭვი, რომელიც მას ერთ არსებად კრავდა, სიცოცხლის უცნაურ გამოსახულებად, საბოლოოდ დაკნინდა და უკანასკნელ გზაზე ისე გაიპარა, ჰაერში გაიფანტა და მზის სხივებში ჩაიკარგა, როგორც ერთი ციდა პეშვი მტვრისა.

ცოცხალი ძნელად ასატანი იყო ბანში. მკვდარი - კიდევ უფრო უარესი. ხანმოკლე დროით, მის მიმართ ერთგვარი თანაგრძნობითაც კი განიმსჭვალა, როგორც ეს ადამიანს ემართება ხოლმე ყველას მიმართ, ვინც სიკვდილის პირასაა. მაგრამ იცოდა, რომ ეს თანაგრძნობა, უბრალოდ, ემოციების გაფანტვა იყო, რადგანაც ბანში ისე გარდაიცვალა, რომ გუნებაში მთელ კაცობრიობას დასცინოდა. მხოლოდ ერთი იმედი რჩებოდა, დაერწმუნებინა „დრო“, რომ შეეჩერებინა არტეფაქტის გაყიდვა, რომ მას ჰქონოდა დრო, არნოლდს დაკავშირებოდა და თავისი ამბავი მოეთხრო, როგორღაც დაერწმუნებინა, რომ მისი მონათხრობი სიმართლე იყო.. მაქსველი აცნობიერებდა, რომ მისი ამბავი ახლა კიდევ უფრო დაუჯერებელი ჩანდა, ვიდრე უწინ.

იგი შემობრუნდა და ხევისკენ დაეშვა. სანამ ტყემდე მიაღწევდა, შეჩერდა და ფერდობისკენ მოიხედა. ეკლიანი ხე პირქუშად იდგა ცის ფონზე. მასიურს და ბრგეს, მყარად გაედგა ფესვები ნიადაგში.

როცა გვერდით ჩაუარა ფერიების საცეკვაო მწვანე მდელოს, ტროლების ჯგუფი კოპებშეკრული მუშაობდა, ფოცხავდნენ და ასწორებდნენ მიწას, ახალ ბელტებს აწყობდნენ ძველის სანაცვლოდ, ქვის ლოდის ხტუნაობის შედეგად რომ ამოტრიალებულიყო. თავად ქვა არსად ჩანდა.

თავი 18

მაქსველს უკვე ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი ვისკონსინის კამპუსამდე, როცა მოჩვენება მოევლინა და გვერდით ჩამოუჯდა.

„უფსმა შენთან რაღაც დამაბარა, - თქვა მან ისე, რომ მისალმება არც უფიქრია. - ქოხში ვეღარ დაბრუნდები. როგორც ჩანს, ჟურნალისტებმა შენს კვალს მიაგნეს. როცა ისინი ამბის საკითხავად მოვიდნენ, უფსი ლაპარაკის გარეშე მუშტების ქნევაზე გადავიდა, მაგრამ მაინც იქვე ახლოს ტრიალებენ, მოუთმენლად გელიან.“

„გმადლობთ, - მიუგო მაქსველმა. - დავალებული ვარ, რომ შემატყობინეთ. თუმცა, ახლა ამას რამე დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს.“

„რას გულისხმობ, - იკითხა მოჩვენებამ, - რაღაც ვერ არის რიგზე?“

„საერთოდ არაფერი არ არის რიგზე, - მიუგო მას მაქსველმა. ის შეყოყმანდა, შემდეგ თქვა, - ვფიქრობ, უფსი ყველაფერს გეტყოდა, რაც ხდება.“

„მე და უფსი ერთი ვართ, - მიუგო მოჩვენებამ, - რა თქმა უნდა, მან ყველაფერი მომიყვა. თან ფიქრობდა, რომ ეს შენც გინდოდა, მაგრამ დარწმუნებული შეგიძლია იყო...“

„ეგ არ არის პრობლემა, - მიუგო მაქსველმა, - მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, შენთვის მოსაყოლი მქონდა თუ არა. იცი, ნაკრძალში ვიყავი წასული, მინდოდა, ლამბერტის ნახატის ფოტო მეჩვენებინა.“

„ვიცი, - თქვა მოჩვენებამ, - იმ ერთი მათგანის, ნენსი კლეიტონს რომ აქვს.“

„ისეთი შეგრძნება მაქვს, - უთხრა მას მაქსველმა, იმაზე მეტი გავარკვიე, ვიდრე იმედი მქონდა. ერთი ისეთი რამ გავარკვიე, რომელიც უკვე არაფერში დამეხმარება. ეს ბანში იყო, ვისგანაც ვილერმა კრისტალური პლანეტის მიერ მოთხოვილი ფასის შესახებ შეიტყო. ბანშს ეს ჩემთვის უნდა ეთქვა, მაგრამ ვილერს უამბო. ის მარწმუნებდა, რომ ამის შესახებ ვილერს მანამდე უთხრა, სანამ ჩემ შესახებ შეიტყობდა, მაგრამ არ მჯერა. ბანში უკვე კვდებოდა, ეს რომ მითხრა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მან სიმართლე თქვა. ეგეთ რამეებში ის ყოველთვის არასაიმედოდ მიმაჩნდა.“

„ბანში კვდება?“

„უკვე მოკვდა. მასთან ვიჯექი ბოლო წუთამდე, სანამ გარდაიცვალა. მისთვის არ მიჩვენებია ტილოს ფოტოსურათი. არ მინდოდა, ბოლო მომეტში მომაკვდავისთვის თავი მომებეზრებინა.“

„მაგრამ, ამის მიუხედავად, მან მაინც გითხრა ვილერის შესახებ.“

„მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემთვის ეგრძნობინებინა, როგორ სძულდა ადამიანთა მოდგმა მას მერე, რაც მან თავისი ევოლუციური სვლა იწყო. და რომ ჩემთვის ეჩვენებინა, რომ ბოლოს და ბოლოს ადამიანებთან ანგარიში გაასწორა. მას უნდოდა ეთქვა, რომ გობლინებს და სხვა დანარჩენ პატარა რასის წარმომადგენლებსაც ისევე ვძულვართ, მაგრამ ამის მოტყუება ვეღარ მოახერხა. ალბათ იცოდა, რომ არ დავუჯერებდი. ბ-ნი ო’ტულის ადრე ნათქვამის წყალობით გავაცნობიერე, რომ, შესაძლოა, არსებობდა რაღაც შთამომავლობითი გულისწყრომა. გულისწყრომა, და არა რამე რეალური სიძულვილი. ბანშმა დაადასტურა, რომ არტეფაქტზე გარიგება მართლაც არსებობს და რომ არტეფაქტი არის ის საფასური, რასაც კრისტალური პლანეტა ითხოვს თავისი ცოდნისთვის. თავიდანვე ასეც ვფიქრობდი. იმის მერე, რაც

ვილერმა მითხრა გასულ ღამეს, კიდევ უფრო განმიმტკიცდა ვარაუდი. თუმცა ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, რადგანაც ისე მომეჩვენა, რომ თავად ვილერიც არ იყო სიტუაციაში ბოლომდე გარკვეული. დარწმუნებული რომ ყოფილიყო, რაღაში დასჭირდებოდა ჩემთვის კოჭის გორება და სამსახურის შეთავაზება? ისე მომეჩვენა, თითქოს ის ჩემს მოსყიდვას ცდილობდა, თითქოს რაღაცის ეშინოდა, რომ ამ გარიგებისთვის ხელის შეშლა შემეძლო.“

„ყველაფერი მეტისმეტად უიმედოდ გამოიყურება, თუ ასეა, - დაასკვნა მოჩვენებამ, - ჩემო კარგო მეგობარო, ძალიან ვწუხვარ, რომ ყველაფერი ასე ხდება. რით შეგვიძლია დაგეხმაროთ - უფსმა, მე და, შესაძლოა, იმ გოგონამაც, რომელიც შენთან და უფსთან ერთად ასე შეუპოვრად სვამდა.

აი ის, კატაც რომ ჰყავს.“

„დიახ, ყველაფერი მეტისმეტად უიმედოდ გამოიყურება, - მიუგო მას მაქსველმა, - მაგრამ დარჩა რაღაც, რის გაკეთებაც ჯერ კიდევ შემიძლია, წავიდე ჰარლოუ შარპთან „დროში“ და ვცადო მისი დარწმუნება - შეაჩეროს გარიგება, შემდეგ შევანგრიო ერთი ან ორი კარი ადმინისტრაციაში და არნოლდი კუთხეში მივიმწყვდიო. თუ მოვახერხებ და არნოლდს დაველაპარაკები ორეულის, ვილერის შემოთავაზებისა და ჰარლოუს „დროს“ პროექტების დაფინანსების შესახებ, დარწმუნებული ვარ, ჰარლოუ ვილერთან მოლაპარაკებას გააუქმებს.“

„დარწმუნებული ვარ, რომ შენ კეთილშობილურ მცდელობას არ მოაკლებ, - თქვა მოჩვენებამ, - მაგრამ მე შედეგები მაშინებს. არა ისე ჰარლოუ შარპისგან, რადგანაც ის შენი მეგობარია, უფრო პრეზიდენტ არნოლდისგან. ის არავის მეგობარი არ არის და არავის აპატიებს კარის შემტვრევას.“

„იცი, რა მგონია, - მიუგო მაქსველმა, - ვფიქრობ, რომ შენ მართალი ხარ. მაგრამ ვერაფერს ვიტყვით გადაჭრით, სანამ არ ვცდით. შესაძლებელია, რომ არნოლდმა ერთხელ მაინც გამოიჩინოს ადამიანურობა და გვერდით გადადოს თავისი ცრურწმენა და დრომოჭმული და გამაღიზიანებელი პრინციპები.“

„უნდა გაგაფრთხილო, - უთხრა მოჩვენებამ, - ჰარლოუ შარპს შეიძლება სულ ცოტა დრო ჰქონდეს შენთვის და საერთოდ ყველასთვის. მას თავისი სადარდებელიც ბევრი აქვს. შექსპირი ჩამოვიდა ამ დილით...“

„შექსპირი! - წამოიძახა მაქსველმა. - ღვთის გულისთვის, სულ გადამავიწყდა მისი ჩამოსვლა. მაგრამ ის კი მახსოვს, რომ მას ხვალ საღამოს გამოსვლა აქვს. შესვენებაზე - აი ასეთ დროს უნდა მოვახერხოთ მასთან საუბარი.“

„როგორც მგონია, - თქვა მოჩვენებამ, - უილიამ შექსპირი საკმაოდ რთული პიროვნებაა. მან გარეთ გასვლა და ამ ახალი ეპოქისთვის თვალის შევლება მოისურვა, რომლის შესახებაც ამდენი რამ სმენია. „დროს“ ძალიან გაუჭირდა მისი დაყოლიება,

რომ თავისი ელიზაბეტის ეპოქის დროინდელი სამოსი თანამედროვე ტანსაცმელზე შეეცვალა, „დროც“ დაჟინებით უარს ეუბნეოდა გარეთ გასვლაზე, სანამ სამოსის შეცვლაზე არ დათანხმდა. და ახლა „დროს“ შიშის კანკალი აქვს ატეხილი იმაზე ფიქრში, რომ შექსპირს გარეთ არაფერი დაემართოს. მათ უნდათ, რომ ის ცოტა მოთოკონ, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. დარბაზში დასასწრები ფეხზე დასადგომი ბილეთებიც კი გაყიდეს და ვერ დაუშვენებ, რამე ფათერაკს რომ გადაეყაროს.“

„ყველაფერს ასე ჩქარა საიდან გებულობ? - იკითხა მაქსველმა. - დარწმუნებული ვარ, კამპუსში ცხელ-ცხელი ჭორები პირველად შენამდე აღწევს.“ მოჩვენებამ მოკრძალებით მიუგო:

„მე ბევრს დავდივარ.“

„მთლად კარგი არ არის, - თქვა მაქსველმა, - მაგრამ ამ შესაძლებლობით ალბათ უნდა ვისარგებლო. დრო ჩემთვის ძალიან სწრაფად გარბის. ჰარლოუ თუკი ვინმეს შეხვდება, მე უნდა ვიყო.“

„წარმოუდგენელია, - მიუგო მოჩვენებამ ნაღვლიანად, რომ ასეთი საშინელი გარემოებების გამო შენმა მცდელობამ ამაოდ უნდა ჩაიაროს. ნუთუ ასეთი აშკარა სისულელის წყალობით, უნივერსიტეტი და დედამიწა ორი სამყაროს ცოდნას ვერ დაეპატრონებიან.“

„ეს ვილერის დამსახურებაა, - თქვა მაქსველმა, - მისმა შეთავაზებამ ზეწოლა გააძლიერა და დროში შეგვზღუდა. უფრო მეტი დრო რომ მქონოდა, მაშინ ყველაფერს გამოვასწორებდი. ჰარლოუსთან დალაპარაკებას მოვახერხებდი, არნოლდს ვაიძულებდი, რომ ჩემთვის მოესმინა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ალბათ ჰარლოუს ასეთ გარიგებას შევთავაზებდი, - უნივერსიტეტს თუ არა, „დროს“ მაინც შეეძინა იმ პლანეტის ბიბლიოთეკა. მაგრამ საამისოდ დრო აღარ მრჩება. მოჩვენება, რა იცი ვილერების შესახებ? რამე ისეთი, რაც დანარჩენებისთვის უცნობია?“

„მეეჭვება. მხოლოდ ის, რომ ისინი შეიძლება ჰიპოტეტური მტრები იყვნენ, რომელთაც, ყოველთვის ვფიქრობდით, საბოლოოდ კოსმოსში შევეჯახებოდით. თუ მათი მოქმედებების მიხედვით ვიმსჯელებთ, ისინი, პოტენციურად მაინც, ჩვენი მტრები არიან. მათი მოტივები, მათი სურვილები, მათი ეთიკა, მათი საერთო შეხედულება ცხოვრებაზე ჩვენგან სრულიად განსხვავებულია. მათთან იმაზე ნაკლები საერთო გვაქვს, ვიდრე ადამიანს ობობასთან ან კრაზანასთან. მაგრამ ისინი ძალიან გონიერები არიან - და ეს ყველაზე ცუდია. ჩვენი მსოფლმხედველობა და მანერები ისე შეითვისეს, რომ თავისუფლად შეუძლიათ ადამიანთა საზოგადოებაში იცხოვრონ, ჩვენი საქმიანი პარტნიორები იყვნენ - მათ უკვე გამოამჟღავნეს, თუ რაზე არიან წამსვლელები გარიგების დადების დროს, როგორც ეს არტეფაქტის შემთხვევაში გააკეთეს. ჩემო მეგობარო, ზუსტად მათი ეს გონიერება და

მოხერხებულობაა, რისიც ყველაზე ძალიან მეშინია. მეეჭვება, ადგილები რომ გავცვალოთ, ადამიანმა მსგავსი რამის გაკეთება შეძლოს.“

„მართალი ხარ, ასე მგონია, - მიუგო მაქსველმა, - და სწორედ ამის გამო არ უნდა მივცეთ იმის დაუფლების საშუალება, რასაც კრისტალური პლანეტა გვთავაზობს. ღმერთმა უწყის, რისი წაკითხვა შეიძლება იმ ბიბლიოთეკაში. მე მასთან შეხება მქონდა, მაგრამ ბევრი ვერაფრის გაკეთება მოვახერხე. მხოლოდ მოვსინჯე, მხოლოდ მისი მცირედი ნაწილი ვნახე. და იქ იყო მასალა, რომელიც ჩემი აღქმის საზღვრებს ასობით სინათლის წლით სცილდებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საჭირო დროსა და ძალისხმევის შემდეგ ამ ყველაფერს ვერ გავიგებდით. ვფიქრობ, რომ ადამიანს ეს შეუძლია. ალბათ, ვილერებსაც შეუძლიათ. ეს ცოდნის ახალი ზღვარია, ახალი სფერო, რომლის არსებობა ვერც კი წარმოგვედგინა, ეს ცოდნა გადამწყვეტიც კი აღმოჩნდება, თუკი ადამიანი და ვილერი ოდესმე ერთმანეთს დაუპირისპირდება, კრისტალური პლანეტის ცოდნა ჩვენს დამარცხებას ან გამარჯვებას განაპირობებს. თუკი ვილერებს, ეცოდინებათ, რომ ჩვენ ამ ცოდნას ვფლობთ, მსგავს დაპირისპირებას ვერასოდეს გაბედავენ. ამან შეიძლება ზღვარიც გაავლოს ომსა და მშვიდობას შორის.“

„შენ ელაპარაკე ბანშს, - თქვა მოჩვენებამ, - მისი გარდაცვალების წინ. მან არტეფაქტი ახსენა. რამეთი მაინც არ მიგანიშნა, რას წარმოადგენს? თუკი, რა თქმა უნდა, სინამდვილეში იცოდა...“

„არა, მოჩვენება. ამდენი არ გვისაუბრია, მაგრამ რაღაც წარმოდგენა შემექმნა - არა, ჯობია, ეჭვი დავარქვა. და ეს ეჭვი მაშინვე კი არ გამიჩნდა, არამედ მოგვიანებით. მხოლოდ საოცარი გრძნობა და არავითარი საფუძველი რწმენისთვის. მაგრამ მაინც მგონია, რომ არტეფაქტი სხვა სამყაროდანაა, ამის წინ არსებული სამყაროდან, უწინარესი სამყაროდან, რომლის დროსაც კრისტალური პლანეტა წარმოიშვა. ძალიან ძვირფასი, რაც მთელ ამ უსასრულობის პერიოდში შემოინახა, იმ სხვა სამყაროდან მოყოლებული. და კიდევ სხვები - რაც ბანშს, სხვა უძველეს არსებებსა და რაც უფსს აგონდება - არიან იმ წინა სამყაროს მკვიდრნი, რომლებიც, რაღაცნაირად, კრისტალური პლანეტის ბინადრებს უკავშირდებიან. სიცოცხლის ფორმა, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა და არსებობდა წინა სამყაროში, აქაც მოვიდა და სხვა პლანეტებზეც გავრცელდა ისეთი ახალი ცივილიზაციის დასამკვიდრებლად, რომელიც კრისტალური პლანეტის კვალს გაჰყვებოდა. მაგრამ რაღაც მოხდა. კოლონიზაციის მცდელობები კრახით დამთავრდა. აქ, დედამიწაზე, ადამიანმა მოიკიდა ფეხი. სხვა პლანეტებზეც რაღაც მოხდა და როგორც მგონია, ვიცი, ზოგიერთი ამ მცდელობათაგანი კრახით რატომ დასრულდა. შესაძლოა, ცივილიზაციები უნდა გაქრნენ, სავსებით ბუნებრივად და სხვა მიზეზი არ არის საჭირო გარდა იმისა, რომ ახალს გაუთავისუფლდეს ადგილი. ბუნებრივი კანონი, რომელიც ჩვენ არ გვესმის. ალბათ, ცივილიზაციას მხოლოდ გარკვეული დრო აქვს არსებობისთვის გამოყოფილი. შესაძლოა, ნებისმიერ ცივილიზაციაში, თვით

ყველაზე უძველესშიც კი, სიკვდილია ჩადებული. ალბათ არსებობენ პრინციპები, რომელთა შესახებაც არასოდეს გვსმენია, იმიტომ, რომ - ასე ახალგაზრდები ვართ, შორსაა ბუნებრივი პროცესი, რომელიც გზას ათავისუფლებს ევოლუციისთვის. ალბათ არც ერთ ცივილიზაციას არ შესწევს უნარი - იცოცხლოს სამუდამოდ და ევოლუციას გადაუდგეს წინ.“

„შენ რაც თქვი, საფუძველს მოკლებული არ არის, მიუგო მოჩვენებამ, - ყველა ის კოლონია დაიღუპა. თუნდაც ერთი წარმატებული კოლონია რომ ყოფილიყო სადმე სამყაროში, კრისტალური პლანეტა მას გადასცემდა მემკვიდრეობას იმის ნაცვლად, რომ ჩვენთვის შემოეთავაზებინა ან ვილერებისთვის, - მათ ხომ არანაირი კავშირი არა აქვთ კრისტალურ პლანეტასთან.“

„მე ის მაწუხებს, - თქვა მაქსველმა, - კრისტალური პლანეტის ხალხს, რომელიც ასე ახლოსაა სიკვდილთან და აღარაფერს წარმოადგენს თუ არა აჩრდილებს, რაში დასჭირდა არტეფაქტი. რა შეიძლება მათ მოუტანოს? რა სიკეთეს ელიან მისგან?“

„გავიგებდით, თუკი გვეცოდინებოდა, რას წარმოადგენს, - თქვა მოჩვენებამ, - დარწმუნებული ხარ, რომ ვერ ხვდები, რა შეიძლება იყოს? არაფერი გაგიგია, ან დაგინახავს, ან...“

„არა, - მიუგო მაქსველმა, - მცირედი ეჭვიც კი არ მაქვს, თუ რა შეიძლება იყოს.“

თავი 19

ჰარლოუ შარპს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, მიხვდებოდით, ძალიან ეჩქარებოდა.

„ვწუხვარ, მაგრამ უნდა დამელოდო, - უთხრა მან მაქსველს, - ისედაც გიჟური დღე მაქვს.“

„მე ისიც გამიხარდა, შიგ შემოსვლა მაინც რომ მოვახერხე, - თქვა მაქსველმა, - ის შენი დარაჯი ძაღლი, გარეთ რომ გიყენია, შემოსვლის უფლებას არ მაძლევდა.“

„გელოდებოდი, - მიუგო შარპმა, - ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან გამოჩნდებოდი. უცნაურ ამბებს მოვკარი ყური.“

„და მათი უმეტესობა სიმართლეა, - უპასუხა მაქსველმა, - მაგრამ მე აქ მაგისთვის არ მოვსულვარ. ეს საქმიანი შეხვედრაა და არა სტუმრობა. დიდ დროს არ წაგართმევ.“

„კარგი, მაშინ, - თქვა შარპმა, - რა შემიძლია შენთვის გავაკეთო?“

„შენ არტეფაქტს ყიდი,“ - უთხრა მაქსველმა.

შარპმა თავი დაუქნია.

„ვწუხვარ, პიტ. ვიცი, რომ შენ და კიდევ რამდენიმე სხვასაც გარკვეული ინტერესი გქონდათ მის მიმართ. მაგრამ ის უკვე მუზეუმშია რამდენიმე წელია და გარდა იმისა, რომ ტურისტები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ, მისგან სხვა ვერანაირი ხეირი ვერ მივიღეთ. „დროს“ კი ფული სჭირდება. ეს შენთვისაც კარგადაა ცნობილი. უნივერსიტეტის ხელშია ქისა, რომლისთვისაც თასმები მაგრად აქვს მოჭერილი, სხვა კოლეჯები კი გროშებს გვიყრიან განსაკუთრებული პროგრამებისთვის და...“

„ჰარლოუ, ეს ყველაფერი ჩემთვის ცნობილია. ისიც კარგად ვიცი, რომ შენია და შეგიძლია გაყიდო. მახსენდება, რომ უნივერსიტეტმა, როცა ეს საკითხი წამოჭერი, ამ პროექტში მონაწილეობა არ მიიღო. მისი გადმოტანის ხარჯები შენ დაფარე და...“

„ჩვენ გვიწევს ხელმომჭირნეობა, მათხოვრობა და თხოვნა, - თქვა შარპმა, - პროექტს პროექტზე ვგეგმავთ – სოლიდური პროექტებია, რომლებიც დიდ წვლილს შეიტანენ ცოდნასა და ახალ ცნობიერებაში - და ვაძლევთ მათ უნივერსიტეტს ისე, რომ ფულის გადახდაც კი არ არის საჭირო. აბა წარმოიდგინე! ჩვენ შეგვიძლია მთელი წარსული გადავქექოთ და არავინ არის ამაში დაინტერესებული. შიშობენ, რომ ამან შეიძლება თავდაყირა დააყენოს მათი ნალოლიავები თეორიები, რომლებიც ასე საგულდაგულოდ აქვთ შემუშავებული. მაგრამ როგორღაც უნდა ვიშოვოთ ფული, რომ კვლევა გავაგრძელოთ. როგორ გგონია, მე ძალიან მომწონს ზოგიერთი ჩვენი პროექტი, დამატებითი სახსრების მოსაზიდად? შექსპირის ცირკის მსგავსი, რომელსაც ახლა ვმართავთ - და კიდევ ბევრი სხვა წარმოდგენა. ეს ჩვენთვის კარგი სულაც არ არის, მე შენ გეუბნები. ჩვენს იმიჯსაც კი ამცირებს და უსიამოვნებაც ბევრი მოაქვს - პიტ, ვერ წარმოიდგენ, რამხელა უსიამოვნებაში ვართ გახვეული. თუნდაც ეს შექსპირი ავიღოთ, მაგალითისთვის. ის სადღაც გარეთ დაძრწის, ტურისტივით, მე კი აქ ვზივარ და ფრჩხილებს ვიკვნეტავ ნერვიულობისგან, როცა წარმოვიდგენ, თუ რა შეიძლება მას მოუვიდეს. შეგიძლია წარმოიდგინო ის აჟიოტაჟი, რაც მოჰყვება, თუკი ისეთი კაცი, როგორიც შექსპირია, უკან არ დაბრუნდება თავის კუთვნილ ეპოქაში კაცი, რომელმაც...“

მაქსველმა საუბარი შეაწყვეტინა:

„არ გეკამათები, ჰარლოუ. იმისთვის არ მოვსულვარ, რომ...“

„და შემდეგ, მოულოდნელად, - შეაწყვეტინა სიტყვა შარპმა, - გამოჩნდა არტეფაქტის გაყიდვის შესაძლებლობა. ეს იმაზე მეტი ფულია, ვიდრე ოდესმე მიგვიღია ამ ჯიბესქელი უნივერსიტეტისგან ასეული წლების განმავლობაში. შენ ხვდები ალბათ, რას ნიშნავს ჩვენთვის ეს გარიგება. შესაძლებლობა, გავაკეთოთ ჩვენი საქმე, რომლის საშუალებაც არ გვქონდა არასაკმარისი დაფინანსების გამო. რა თქმა უნდა, ვიცი ვილერების შესახებ. როცა ჩერჩილი მოვიდა და ტვინის ბურღვა დაიწყო, მივხვდი, რომ ვიღაცისთვის ირჯებოდა, ვინც სცენის მიღმა იდგა, მაგრამ უჩინართან საქმის დაჭერა არ მოვინდომე. ჩერჩილს მაგრად მივაწექი და უარი განვაცხადე საქმის წარმოებაზე მანამ, სანამ არ ვათქმევინე, ვისი ინტერესების დამცველად გამოდიოდა,

და როცა მან ეს გამიმჟღავნა, ცოტა შევყოყმანდი, მაგრამ მაინც გავაგრძელე მოლაპარაკება, იმიტომ, რომ ვიცოდი, ეს ჩვენი ერთადერთი შანსი იყო სოლიდური ფინანსების მოსაზიდად. ეშმაკთანაც კი დავდებდი გარიგებას, პიტ, თუკი ასეთ ფულზე იქნებოდა საუბარი.“

„ჰარლოუ, რაც მინდა გთხოვო, - უთხრა მაქსველმა, ისაა, რომ დააყოვნო გარიგება და ამით მეტი დრო მომცე... „

„დრო? დრო რისთვის?“

„არტეფაქტი მჭირდება.“

„შენ არტეფაქტი გჭირდება! კი მაგრამ, რისთვის?“

„რომ ვევაჭრო, - მიუგო მაქსველმა, - პლანეტას, რომელიც დატვირთულია ცოდნით, ცოდნის ჩანაწერებით, და არა მხოლოდ ერთი სამყაროს შესახებ, არამედ ორის. ცოდნა, რომელიც შეიძლება გავზომოთ - როგორც ორმოცდაათი მილიარდი წელი.“

შარპი წინ გადმოიხარა, შემდეგ კვლავ სკამის საზურგეს მიეყრდნო.

„ამას მართალს ამბობ, პიტ? არ მეხუმრები? რაღაც დაუჯერებელი ამბები დადის, რომელსაც ყური მეც მოვკარი. თითქოსდა არსებობდა ორი შენ და ის მეორე მოკლეს. შენ ალბათ ჟურნალისტებს გაურბიხარ და იქნებ - პოლიციასაც. რაღაც გარკვეული სახის უთანხმოებაშიც კი ხარ გახვეული ადმინისტრაციასთან.“

„ჰალროუ, მე შემიძლია ყველაფერი დაწვრილებით მოგიყვე, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის. შესაძლოა, არც კი დამიჯერო. მაგრამ რასაც ვამბობ, ყველაფერი სიმართლეა. მე შემიძლია ვიყიდო პლანეტის...“

„შენ? შენთვის, ამის თქმა გინდა?“

„არა, ჩემთვის არა, უნივერსიტეტისთვის. ამიტომაა, რომ ცოტაოდენი დრო მჭირდება, რათა არნოლდის ნახვა მოვახერხო...“

„და ესაუბრო ამ გაყიდვის თაობაზე? პიტ, შანსი არ გაქვს. შენ ერთგვარი უთანხმოება მოგივიდა ლონგფელოუსთან, ლონგფელოუ კი სააქციო კაპიტალს განაგებს. ლეგიტიმური შეთავაზებაც რომ გქონოდა...“

„ეს ლეგიტიმურია. გეუბნები, რომ ეს კანონიერია. მე ვესაუბრე ხალხს იმ სხვა პლანეტაზე, ვნახე ზოგიერთი მათი ჩანაწერი.“

შარპმა თავი გააქნია.

„ჩვენ მეგობრები ვართ უკვე დიდი ხანია, საკმაოდ დიდი ხანი, - მიუგო მან, - შენთვის თითქმის ყველაფერს გავაკეთებ. მაგრამ ამაზე ვერ დაგთანხმდები. ხელიდან ვერ

გავუშვებ ასეთ შესაძლებლობას „დროსთვის“. გარდა ამისა, ვშიშობ, რომ უკვე ძალიან გვიანია ამაზე ლაპარაკი.“

„ძალიან გვიანი?“

„საფასური ამ შუადღისას უკვე გადაიხადეს. ვილერი არტეფაქტის კანონიერი მფლობელი ხვალ დილიდან გახდება. მას დაუყოვნებლივ სურდა მისი წაღება, მაგრამ რაღაც პრობლემა შეიქნა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით.“

მაქსველი გაჩუმებული იჯდა, გაოგნებული იმით, რაც მოისმინა.

„ვფიქრობ, სულ ეს არის, - თქვა შარპმა, - უკვე ბევრი აღარაფრის გაკეთება შემიძლია.“

მაქსველი ასადგომად წამოიწია, შემდეგ ისევ სკამის საზურგეს მიეყრდნო.

„ჰარლოუ, მე რომ არნოლდის ნახვა მოვახერხო ამ საღამოს, რომ მოველაპარაკო ფასის გაორმაგების შესახებ...“

„სასაცილო ნუ ხარ, - უთხრა შარპმა, - მას ისედაც გული წაუვა, როცა ფასს შეიტყობს.“

„ასე ძალიან დიდია?“

„ასე ძალიან დიდია,“ - მიუგო შარპმა.

მაქსველი ნელა წამოდგა ფეხზე.

„ერთ რამეს მაინც ვიტყვი, ყველაფრის მიუხედავად, მიმართა მას შარპმა, - როგორღაც ვილერების შიში უნდა გადალახო. ჩერჩილი იყო ჩემთან ამ დილით, კატასავით განერვიულებული ჩანდა, პირი აიქაფა, იმდენი ილაპარაკა, რომ გარიგება გაეფორმებინა. ნეტავ ცოტა ადრე გენახე. ერთად რაღაცას მოვახერხებდით, ამ საქმიდან რამე რომ გამოსულიყო, თუმცა, წარმოდგენა არ მაქვს - რა.“

მაქსველი მობრუნებას აპირებდა, მაგრამ შეჩერდა, კვლავ მაგიდისკენ მობრუნდა, რომლის მეორე მხარესაც შარპი იჯდა.

„კიდე ერთი რამ, დროში მოგზაურობის შესახებ. ნენსი კლეიტონს აქვს ლამბერტის ფერწერული ტილო...“

„დიახ, ყური მოვკარი,“ - მიუგო შარპმა.

„მის ფონზე, გამოსახულია გორაკი და გორაკზე კი - ქვა. შემიძლია დავიფიცო, რომ ის ქვა არტეფაქტია. უფსი ამბობს, რომ ტილოზე გამოსახული ქმნილებები ძალიან გვანან იმ არსებებს, რომლებიც მას ახსოვს ნეანდერტალური დღეებიდან. და შენც არტეფაქტი იპოვე სწორედ რომ იურულ პერიოდში, მთაზე. საიდან უნდა სცოდნოდა ლამბერტს მისი ამ გორაკზე არსებობის შესახებ? არტეფაქტი იპოვეთ მისი სიკვდილიდან საუკუნეების შემდეგ. ვფიქრობ, რომ ლამბერტმა ნახა არტეფაქტი, ის

ქმნილებები და დახატა. ვფიქრობ, რომ მან იმოგზაურა მეზოზოურ ხანაში. ჩვენთან ბევრს კამათობენ ადამიანზე, სახელად სიმონსონი, არა?“

„ვხვდები, საით მიგყავს საუბარი, - თქვა შარპმა, - ეს სავსებით შესაძლებელია. სიმონსონი დროის პრობლემაზე მუშაობდა ოცდამეერთე საუკუნეში და ამტკიცებდა, რომ გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ აღიარებდა, რომ კონტროლთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა. არის ლეგენდა, თითქოს მან ერთი თუ ორი მოგზაური დაკარგა გაგზავნა ისინი წარსულში და ვეღარ შეძლო მათი დაბრუნება. მაგრამ ყოველთვის ჩნდებოდა კითხვა - მართლა მიაღწია რაიმე რეალურ წარმატებას? მისი ჩანაწერები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, მაინცდამაინც ბევრისმეტყველი არ არის, და არც არასოდეს გამოგვიქვეყნებია. ის საიდუმლოდ მუშაობდა, რადგანაც ფიქრობდა რომ დროში მოგზაურობა მალე ოქროს საბადო გახდებოდა. იმედი ჰქონდა, რომ სამეცნიერო ორგანიზაციები უზარმაზარ ფულს გადაუხდიდნენ და მისი აღმოჩენით ისარგებლებდნენ, რომ საფარს მოაწყობდა მდიდარი მონადირეებისთვის ჯერ კიდევ ხელუხლებელ და პირველყოფილ სანახებში - და სხვა ამგვარი რაღაცეები, შენც კარგად გახსოვს ერთი-ერთი მისი აკვიატებული იდეა დაბრუნებულიყო წარსულში, სამხრეთ აფრიკაში, და კიმბერლის ალმასის მინდვრები გაესუფთავებინა, სანამ ამას სხვები მოახერხებდნენ. ამას ის საიდუმლოდ ინახავდა; სინამდვილეში არავინ არაფერი იცოდა, მართლა აკეთებდა თუ არა რაიმეს.“

„მაგრამ ეს ყოველივე შესაძლებელი იყო, - დაიჟინა მაქსველმა, - დრო ემთხვევა. სიმონსონი და ლამბერტი თანამედროვენი იყვნენ და აშკარა გარდატეხაა ლამბერტის სტილშიც - თითქოს რაღაც მოხდაო. ეს რაღაც კი, ალბათ დროში მოგზაურობა იყო.“

„რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია, - თქვა შარპმა, მაგრამ ამაზე ფსონს ნამდვილად არ ჩამოვიდოდი.“

თავი 20

როცა მაქსველი „დროს“ შენობიდან გამოვიდა, ვარსკვლავები გამონათებას იწყებდნენ და ღამის ნიავს მსუბუქი სიგრილე დაჰკრავდა. უზარმაზარი თელა უკუნეთ სიბნელეში გახვეულიყო, თან სკვერის მეორე მხარეს მდგარი შენობის ფანჯრებიდან მომავალ სინათლეს შთანთქავდა.

მაქსველს შეაჟრჟოლა და ქურთუკის საყელო ლამის კისრამდე აიწია, სწრაფად ჩაიარა კიბე ტროტუარამდე, რომელიც სკვერს გვერდით მიუყვებოდა. რამდენიმე ადამიანი გარეთ სეირნობდა.

შიმშილი იგრძნო. დილის მერე არაფერი ჩაუდია პირში.

შიმშილზე ფიქრი მაშინ, როცა უკანასკნელი იმედი, რომელსაც აქამდე ებღაუჭებოდა, ნაკუწებად იქცა, სასაცილოდ ეჩვენებოდა. არა მარტო მშიერი, ფიქრობდა ის, უსახლკაროც იყო, რადგანაც, თუ მას სურდა, რომ რეპორტიორებისთვის თავი აერიდებინა, უფსთან არ უნდა დაბრუნდებულიყო.

თუმცა, შეახსენა მან საკუთარ თავს, რომ რეპორტიორებისთვის თავის არიდების მიზეზი უკვე აღარ არსებობდა. თუკი ახლა მთელ ამ ამბავს მოყვებოდა, ამით არც არაფერს დაკარგავდა და არც შეიმატებდა. მაგრამ ამის გაფიქრებაზე შეკრთა. შეკრთა, როცა წარმოიდგინა მათი გაოცებული სახეები, ის კითხვები, რომელთაც ისინი დაუსვამდნენ და შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ყველაფერს თავისებურად გადააკეთებდნენ საგაზეთო ვერსიაში.

ის ტროტუარს მიუახლოვდა და ცოტა ხანი შეჩერდა, ვერ გადაეწყვიტა, რომელ მხარეს წასულიყო. ამაოდ ცდილობდა, გაეხსენებინა, სად შეიძლებოდა ენახა ისეთი კაფე ან რესტორანი, სადაც იშვიათად შედიოდა ფაკულტეტის ხალხი, რომელთაც მისი ცნობა შეეძლოთ. ამ საღამოს, ყველა სხვა საღამოსგან განსხვავებით, ყველაზე ნაკლებად ჰქონდა მათ კითხვებზე პასუხის გაცემის სურვილი.

რაღაცამ გაიშრიალა მაქსველის უკან, ის სწრაფად შემობრუნდა და მოჩვენების პირისპირ აღმოჩნდა.

„ოჰ, ეს შენ ხარ,“ - თქვა მან.

„გელოდებოდი, - მიუგო მოჩვენებამ, - იქ დიდი ხანი დაჰყავი.“

„ლოდინი მომიწია. შემდეგ საუბარს შევყევით.“

„არის რამე შედეგი?“

„არაფერი საერთოდ. არტეფაქტი გაყიდულია და საფასური გადახდილი. ვილერი მას ხვალ წაიღებს. ვშიშობ, რომ ეს ყველაფრის დასასრულია. შემიძლია ვცადო, ავიდე და არნოლდი ვნახო ამ საღამოს, მაგრამ ამის აზრს უკვე ვერ ვხედავ. უაზრობა იქნება.“

„უფსმა მაგიდა შეგვინახა ქვემოთ. ალბათ მშიერი იქნები.“

„კუჭი მიხმება,“ - მიუგო მაქსველმა.

„მაშინ მომყევი.“

მათ სკვერიდან გადაუხვიეს. წინ მოჩვნება მიდიოდა, გზას უკანა ქუჩით მიუყვებოდნენ და სკვერებს კვეთდნენ, მაქსველს კი ეჩვენებოდა, რომ დრო არაჩვეულებრივად ნელა მიიზლაზნებოდა.

„ის ისეთი ადგილია, - უხსნიდა მოჩვენება, - სადაც ვერავინ დაგვინახავს. მაგრამ კერძები გემრიელია და ვისკიც იაფია. უფსის აღმოჩენაა.“ როგორც იქნა, ადგილამდე

მიაღწიეს, ჩაიარეს რკინის კიბე და სარდაფში ჩავიდნენ. მაქსველი კარს მიაწვა გასაღებად.

ინტერიერი სუსტად იყო განათებული. სადღაც სიღრმიდან კერძების სუნი მოდიოდა.

„აქ კერძებს ოჯახური წესით ამზადებენ და გემსახურებიან, - თქვა მოჩვენებამ, - ყველაფერს მაგიდაზე დაგიხვავებენ და შენ გადაიღებ, რაც გინდა. უფსს ძალიან მოსწონს მომსახურების ასეთი ფორმა.“

უფსის მასიური სხეული წარმოიმართა ერთ-ერთი უკანა მაგიდიდან. მათ ხელით ანიშნა. მაქსველმა დაინახა, რომ ექვსიოდე ადამიანი თუ იქნებოდა მთელ დაწესებულებაში.

„აქეთ! - დაიღრიალა უფსმა, - ვიღაცას თქვენი ნახვა სურს.“

მოჩვენება მაქსველს მიჰყვა, ის კი ოთახში გზას მიიკვლევდა. მაგიდასთან კეროლმა თავი მაღლა ასწია და მას შეხედა.

იყო კიდევ სხვაც, წვერიანი, ჩამუქებული სახით – სახე, რომელიც მაქსველს ვიღაცას აგონებდა.

„ამ საღამოს ჩვენი სტუმარია, - თქვა უფსმა, - მწერალი უილიამ შექსპირი.“

შექსპირი ფეხზე წამოდგა და მაქსველს ხელი გაუწოდა. ელვარე თეთრი კბილების თვალისმომჭრელმა ღიმილმა გააპო მისი წვერი.

„ვფიქრობ, გამიმართლა, - აღნიშნა მან, - რომ ასეთ უბრალო და დაუდგრომელ ხალხს შორის აღმოვჩნდი.“

„მგოსანი ჩვენთან დარჩენას ფიქრობს, - წარმოთქვა უფსმა, - ჩვენთან უნდა დასახლება.“

„არა, მგოსანი არა, - თქვა შექსპირმა, - უფლებას არ მოგცემთ, ასე მომმართოთ. მე სხვა არაფერი ვარ, თუ არა პატიოსანი ყასაბი და მატყლით მოვაჭრე.“

„უბრალოდ, ენაზე მომადგა, - დაარწმუნა ის უფსმა, ჩვენ ასე ვართ მიჩვეულები...“

„ვაი, ვაი, ვიცი, - თქვა შექსპირმა, -მაგრამ ხომ გაგიგიათ, რასაც დასთეს, იმას მოიმკიო.“

„დარჩი ჩვენთან, - უთხრა მაქსველმა და სწრაფი მზერა ესროლა უფსს. - ჰარლოუმ იცის, აქ რომ არის?“

„ვფიქრობ, რომ - არა, - მიუგო უფსმა, - ჩვენ კიდეც შევეცადეთ, რომ ეს არ გაეგო.“

„მარყუჟებიდან დავაღწიე თავი, - თქვა შექსპირმა და საკუთარი თავით კმაყოფილმა ჩაიქირქილა, - მაგრამ მხოლოდ გაწეული დახმარების წყალობით, რისიც დიდად მადლობელი ვარ.“

„დახმარება, - აღნიშნა მაქსველმა, - მზად ვარ დავნაძლევდე, რომ ასეც იყო. თქვენ, მასხარებო, ოდესმე შეიტყობთ...“

„პიტ, არ გინდა, ახლა არ დაიწყო, - შეაჩერა კეროლმა, ვფიქრობ, ეს უფსის მხრიდან კეთილშობილური საქციელია. ადამიანი სხვა დროდან მოხვდა აქ, ერთადერთი, რაც სურს, აქაური ხალხის ცხოვრების ნახვაა...“

„მოდი, ჩამოვჯდეთ, - უთხრა მაქსველს მოჩვენებამ, შენ ისეთი კაცის გამომეტყველება გაქვს, კარგად გამოთრობაზეც რომ არ იტყვის უარს.“

მაქსველი შექსპირის გვერდით ჩამოჯდა, მოჩვენებამ მის მეორე მხარეს დაიკავა ადგილი. უფსი ბოთლს დასწვდა და მაგიდის მეორე მხარეს გადმოაწოდა.

„მიდი, - მიმართა მას, - ცერემონიებს ნუ გავმართავთ და მაინცდამაინც ჭიქაზეც თავს ნუ შევიწუხებთ. აქ ყველა უბრალო ხალხი ვართ.“ მაქსველმა ბოთლი მოიყუდა და ყელი ჩაიკოკლოზინა.

შექსპირი მას აღტაცებით შესცქეროდა. როცა ბოთლი დაბლა ჩამოიღო, შექსპირმა თქვა:

„მე ეგრე ვერ შევძლებ, მაგრამ აღტაცებული ვარ თქვენი ვაჟკაცობით. მსგავს სასმელს გემო გავუსინჯე და კინაღამ კრუნჩხვებში ჩამაგდო.“

„რაღაც დროის მერე მიეჩვევი,“ - მიუგო მაქსველმა.

„მაგრამ ეს ლუდი, - თქვა შექსპირმა და თითით დააკაკუნა ლუდის ნახევრად სავსე ბოთლზე, - სწორედ, რომ ყელს ჩაგიკოკლოზინებს და კუჭს ეამება.“

სილვესტერი შექსპირის სკამის უკან შეძვრა, მაქსველის გვერდით მიიყუჟა და თავი მის მუხლზე ჩამოდო. მაქსველი მას ყურებს უკან ნაზად მოეფერა.

„ეს კატა ისევ თავს გაბეზრებთ?“ - იკითხა კეროლმა.

„მე და სილვესტერი მეგობრები ვართ, - მიუგო მაქსველმა, - ამდენი ომი ერთად გადავიტანეთ. გასულ ღამეს ვილერზე მივიტანეთ იერიში, გახსოვს ალბათ, და ვძლიეთ კიდევაც.“

„თქვენ მხიარული გამომეტყველება გაქვთ, - მიმართა შექსპირმა მაქსველს, - ვფიქრობ, რომ საქმე, რომელზეც თქვენ ახლა საუბრობთ და აქამდე გაყოვნებდათ, წარმატებით დაგვირგვინდა.“

„საქმეს ვერაფერი ეშველა, - უპასუხა მაქსველმა, ერთადერთი მიზეზი, რატომაც ვარ ასეთ კარგ გუნებაზე, ის არის, რომ მშვენიერ საზოგადოებაში ვიმყოფები.“

„იმის თქმა გინდა, რომ ჰარლოუმ იმედი გაგიცრუა?! განრისხდა უფსი, - და ერთ ან ორ დღეს არ გადროვებს.“

„მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია, - აუხსნა მაქსველმა, - უკვე გადაუხადეს და ვილერი არტეფაქტს ხვალ წაიღებს.“

„მაგრამ ჩვენ გვაქვს იმის საშუალება, - განაცხადა უფსმა კოპებშეკრულმა, - რომ გადაწყვეტილება შევაცვლევინოთ.“

„შეუძლებელია, - თქვა მაქსველმა, - უკან ვეღარ დაიხევს. გარიგება დადებულია. ფულს უკან არ დააბრუნებს, თავის სიტყვას არ გატეხს. და თუ თავში ის აზრი გიტრიალებს, რაზეც მე ვფიქრობ, ერთადერთი, რისი გაკეთებაც მას მოუწევს, ეს ლექციების გაუქმება და ბილეთების ფულის უკან დააბრუნებაა.“

„ვფიქრობ, რომ მართალი ხარ, - დაეთანხმა უფსი, - ჩვენ არ ვიცოდით, რომ გარიგების საქმე ასე შორს იყო წასული. გვეგონა, გარიგების დასრულებამდე გარკვეულ ძალებს მოვიკრეფდით.“

„შენ ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო, - უთხრა მაქსველმა, - და ამისთვის მადლობელი ვარ.“

„ჩვენ ვანგარიშობდით, - თქვა უფსმა, - ერთი ან ორი დღე მაინც რომ მოგვეგო, მერე ყველანი იერიშით შევიჭრებოდით არნოლდთან და ყველაფერს დეტალურად ავუხსნიდით, რაც ხდება. მაგრამ ახლა ყველაფერი დამთავრდა, ასე მგონია - ასე რომ, კიდევ მოსვი და გადმომაწოდე.“ მაქსველმა ერთხელ კიდევ მოსვა და ბოთლი გადააწოდა.

შექსპირმა ლუდი დაამთავრა და ბოთლი მაგიდაზე დაახეთქა.

კეროლმა სასმელი ჩამოართვა უფსს და ჭიქაში ოდნავ ჩამოისხა.

„ჩემი საქმე არაა, თქვენ როგორ იქცევით, - თქვა მან, მაგრამ თქვენსავით მთლად ბარბაროსი ვერ გავხდები. ჭიქიდან დალევა მირჩევნია.“

„ლუდი! - დაიძახა უფსმა, - კიდევ ლუდი - ჩვენი გამოჩენილი სტუმრისთვის.“

„მადლობელი ვარ, ბატონო,“ - თქვა შექსპირმა.

„სად მოძებნე ეს დუქანი?“ - იკითხა მაქსველმა.

„მე ბევრი სხვა მიყრუებული ადგილიც ვიცი კამპუსში.“ მიუგო უფსმა

„ეს ზუსტად ისეთია, როგორიც გვაწყობდა, - თქვა მოჩვენებამ, -

„დრო“ ალბათ ღობე-ყორეს აწყდება, რომ ჩვენი მეგობარი იპოვოს. ჰარლოუმ არ გამცნო, ის გაქრაო?“

„არა, - მიუგო მაქსველმა, - მაგრამ რაღაც გაღიზიანებული კი ჩანდა. მან აღნიშნა, რომ განერვიულებული იყო, მაგრამ ერთი შეხედვით მასზე ამას ვერ იტყოდით. ის ადამიანთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც შეუძლიათ მოქმედ ვულკანზე ისხდნენ და ნერვი არ შეუტოკდეთ.“

„რეპორტიორებზე რაღას იტყვი? - იკითხა მაქსველმა, ისევ ქოხთან დარაჯობენ?“

უფსმა თავი გააქნია:

„მაგრამ ისინი დაბრუნდებიან. შენთვის სხვა ადგილი უნდა მოვძებნოთ თავშესაფრად.“

„მე მგონია, რომ მათთან შეხვედრას შევძლებ, - თქვა მაქსველმა, - ადრე თუ გვიან ეს ამბავი ხომ უნდა გახდეს ცნობილი.“

„ნაკუწებად გაქცევენ, - გააფრთხილა კეროლმა, უფსმა მითხრა, რომ უმუშევარი ხარ და ლონგფელოუც შენზე გაბრაზებულია. შენ ახლა თუ ცუდი პრესაც და გამოხმაურებებიც დაგემატება, ვეღარ გაუძლებ.“

„სინამდვილეში არც ერთ მათგანს არ აქვს მნიშვნელობა, - მიუგო მას მაქსველმა, - ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ უნდა მოვიფიქრო, ამ ისტორიიდან რის მოყოლა შეიძლება მათთვის.“

„მთლიანად, - თქვა უფსმა, - გამოიტანე ეგ ამბავი ყველასთვის სააშკარაოზე. მთელმა გალაკტიკამ იცოდეს ამ დანაკარგის შესახებ.“

„არა, - თქვა მაქსველმა, - ჰარლოუ ჩემი მეგობარია. ისეთ რამეს ვერ ჩავიდენ რომ მას ზიანი მივაყენო.“

მიმტანამა ბოთლით ლუდი მოიტანა და მაგიდაზე დადგა.

„ერთი ბოთლი! - გააფთრდა უფსი, - რას ნიშნავს მხოლოდ ერთი ბოთლი? უკან მიბრძანდი და მთელი იღლია ლუდის ბოთლი მოგვიტანე. ჩვენი მეგობარი წყურვილისგან იხრჩობა.“

„არაფერი გითქვავმთ, - მიუგო მიმტანმა, - საიდან უნდა მცოდნოდა?“ ის უკან გაბრუნდა ლუდის მოსატანად.

„აღტაცებული ვარ თქვენი მასპინძლობით, - თქვა შექსპირმა, - მაგრამ ვშიშობ, ჩემ გამო უსიამოვნებაში არ გაეხვიოთ.“

„უსიამოვნებაში, დიახ, - მიუგო მოჩვენებამ, - მაგრამ თავს ნუ დაიდანაშაულებთ. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ ჩვენთან ხართ.“

„რას გულისხმობდა უფსი, როცა თქვენი აქ დარჩენა ახსენა?“ მაქსველმაც იკითხა:

„აქ დასახლებას?“

„ცუდი კბილები მაქვს, - თქვა შექსპირმა, - ყველა მოყანყალებულია და დროდადრო აუტანლად მტკივა. ჩემი წარმოდგენით, აქ საუცხოო კბილის ექიმებია, რომლებიც კბილებს უმტკივნეულოდ ამომაძრობენ და მათ ნაცვლად ხელოვნურებს ჩამისვამენ.“

„ეს მართლაც რომ ადვილია,“ - დაეთანხმა მოჩვენება.

„სახლში ჭირვეული ცოლი დავტოვე და მასთან დაბრუნებას არც ისე დიდი სურვილი მაქვს. აგრეთვე ელი, რომელსაც თქვენ ლუდს ეძახით, სასწაულია ყველა მათ შორის, რაც დამილევია და თანაც ყური მოვკარი, რომ თქვენ ახლო ურთიერთობა გაქვთ გობლინებთან და ფერიებთან, რაც თავისთავად დაუჯერებელია. მოჩვენებასთან ერთ მაგიდასთან ჯდომა ხომ ყოველგვარ წარმოდგენას სცილდება. აქ ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ უფრო ღრმად უნდა თხარო - სიმართლის ფესვებთან რაც შეიძლება ახლოს.“

მიმტანი მოვიდა, იღლიაში ამოჩრილი ლუდით სავსე ბოთლებიც მოიტანა და მაგიდაზე ჩამოდგა.

„ინებეთ! - თქვა მან გაღიზიანებით, - ეს ცოტახანი გეყოფათ. მზარეულმა დამაბარა მეთქვა - თქვენი შეკვეთა მალე მზად იქნება.“

„არ აპირებთ, - მაქსველმა შექსპირს ჰკითხა, - თქვენს ლექციაზე გამოსვლას?“

„ნადვილად - არა, და თუ გამოვალ, - თქვა შექსპირმა, ისინი დაუყოვნებლივ, როგორც კი დავამთავრებ, სახლში მიკრავენ თავს.“

„და ისინი, - თქვა უფსმა, - თუ ოდესმე კლანჭებს ჩაავლებენ მას, აღარასოდეს გაუშვებენ.“

„მაგრამ თავს როგორ შეინახავ? - იკითხა მაქსველმა, ამ სამყაროსთვის საჭირო თვისებები არ გაქვს.“

„მე, - თქვა შექსპირმა, - აუცილებლად რამეს მოვიფიქრებ. ადამიანის გონება, მას თუ დაუჯერებ, გამოსავალს ყოველთვის იპოვის.“

მიმტანი ურიკით მიუახლოვდა, რომელიც კერძებით იყო დატვირთული და მათი მაგიდაზე გადმოლაგება დაიწყო.

„სილვესტერ!“ - დაიყვირა კეროლმა.

სილვესტერი სწრაფად დადგა ორზე, წინა თათი მაგიდაზე დადო და საუცხოო საქონლის ორ ნაჭერ შემწვარ ხორცს დასწვდა. სილვესტერი მაგიდის ქვეშ გაუჩინარდა ხორცით, რომელიც ყბებით ეჭირა და აქეთ-იქიდან გადმოკიდებოდა.

„ფისუნას შია, - თქვა შექსპირმა, - ის სანსლავს ყველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდება.“

„როცა საქმე საჭმელს ეხება, - თქვა კეროლმა შეწუხებულმა, - თავს ვერაფერს უხერხებს.“ მაგიდის ქვემოდან ძვლების ღრღნის ხმა მოისმოდა.

„ღრმად პატივცემულო შექსპირო, - მიმართა მოჩვენებამ, - თქვენ ინგლისიდან ხართ. უფრო სწორად, ქალაქიდან, რომელიც აივონზე მდებარეობს.“

„მეტად სასიამოვნო სანახავია, - უპასუხა შექსპირმა, მაგრამ სავსეა ნაძირალებით. ბრაკონიერებით, ქურდებით, მკვლელებით, მძარცველებით, ყველა ჯურის საძაგელი ხალხით...“

„მაგრამ მე მახსენდება, - თქვა მოჩვენებამ, - გედები მდინარეში, მის ნაპირზე მდგარი ტირიფის ხეები და... „

„შენ რა? - წამოიძახა უფსმა, - როგორ შეიძლება, რომ შენ ეგ გახსოვდეს?“

მოჩვენება ნელა წამოდგა ფეხზე და იყო რაღაც მის წამოდგომაში ისეთი, რამაც მათი ყურადღება მიიპყრო. მან ხელი მაღლა აღმართა - თუმცა ხელი მას არ ჰქონდა, მხოლოდ მანტიის სახელო, თუკი, რაც ემოსა, მანტია იყო. მისი ხმა ყრუდ გაისმა, თითქოს საიდანღაც - შორეული მანძილიდან და ცარიელი ადგილიდან - ლაპარაკობდა.

„მაგრამ მე მახსენდება, - უთხრა მათ, - ამდენი წლის მერე, გამახსენდა რაღაცები. ეს ყველაფერი მე ან დავიწყებული მქონდა ან არც არასოდეს მცოდნია. მაგრამ ახლა მე...“

„ბატონო მოჩვენება, - თქვა შექსპირმა, - რა გჭირთ? რამე უცნაური დაავადება შეგეყარათ?“

„ახლა უკვე ვიცი, ვინც ვარ, - საზეიმოდ წარმოთქვა მოჩვენებამ, - მე ვიცი, ვისი მოჩვენებაც ვარ.“

„მადლობა უფალს ამისთვის, - თქვა უფსმა, - ეს საბოლოოდ მოუღებს ბოლოს ყველა ამ გაურკვევლობას შენი მემკვიდრეობის თაობაზე.“

„და გაფიცებ, - ჰკითხა შექსპირმა, - ვისი აჩრდილი ხარ?“

„შენი, - წამოიძახა მოჩვენებამ, - მე ახლა ვიცი, მე ახლა ვიცი - მე უილიამ შექსპირის აჩრდილი ვარ.“ რაღაც მომენტში ყველა ჩუმად იჯდა შეცბუნებული, ცოტა ხნის შემდეგ შექსპირს ყელიდან შეშინებული ხროტინის ხმა ამოუვიდა. ის უცბად წამოხტა სკამიდან, შეხტა მაგიდაზე და კარისკენ გაქანდა. მაგიდა გადაყირავდა, რასაც ჭურჭლის მსხვრევა მოჰყვა. მაქსველის სკამიც გადაყირავდა და მასთან ერთად დაბლა დაენარცხა. გადაყირავებულმა მაგიდამ ის იატაკზე მიალურსმა. საწებლით სავსე ჯამი გადმოყირავდა და სახეზე მიეწება.

მან ორივე ხელი სახესთან მიიტანა და საწებლის სახიდან მოწმენდა სცადა. საიდანღაც, ზემოდან, უფსის გაცოფებული ღრიალი გაისმა.

თვალი გაახილა, სახეზე ჯერ ისევ საწებლიანმა, მაგიდის ქვემოდან გამოცოცება მოახერხა და ფეხზე წამოდგა.

კეროლი იატაკზე საჭმელების შუაგულში დასკუპებულიყო. ლუდის ბოთლები წინ და უკან დაგორავდნენ იატაკზე.

ჩარჩოიან კარში მზარეული იდგა, ჯანიანი ქალი, ხორცსავსე მკლავებითა და აბურძგნილი თმით, რომელსაც ხელები თეძოზე შემოეწყო. სილვესტერი ხორცს ჩაფრენოდა და გაშმაგებით გლეჯდა, ხორცის უზარმაზარ ნაჭრებს სწრაფად ყლაპავდა, ვიდრე მის შეჩერებას ვინმე მოიფიქრებდა.

უფსი კოჭლობით შემოვიდა კარში.

„ვერსად მოვკარი მათ თვალი, - თქვა მან, - ვერც ერთ მათგანს.“ მან ხელი წაავლო კეროლს და ფეხზე წამოდგომაში დაეხმარა.

„მოჩვენება კი არა და იდიოტია, - გამოცრა მან კბილებში, - რატომ ვერ მოისვენა? თუნდაც რომ სცოდნოდა...“

„მაგრამ მან არ იცოდა, - თქვა კეროლმა, - ამ მომენტამდე. ამ შეხვედრამ მიახვედრა. ალბათ, ეს შექსპირის ნათქვამმაც გამოიწვია. სწორედ ამის გამო წუხდა წლების განმავლობაში და როცა უცბად გონება გაუნათდა...“

„ეს მას გატეხავს, - განაცხადა უფსმა, - შექსპირი არ შეწყვეტს სირბილს. მისი მოძებნა რთული იქნება.“

„შესაძლოა, ეს სწორედ ისაა, რასაც ახლა მოჩვენება აკეთებს, - თქვა მაქსველმა, - ალბათ ისიც სწორედ იქით გაემართა, რომ მოძებნოს, შეაჩეროს და დააბრუნოს ის ჩვენთან.“

„შეაჩეროს ის, როგორ? - იკითხა უფსმა, - შექსპირმა თვალი რომ მოკრას, უკან მიყვება, სირბილში ახალ რეკორდს დაამყარებს.“

თავი 21

ისინი ყურებჩამოყრილები უსხდნენ უფსის ტლანქად გამოჩორკნილ მაგიდას. სილვესტერი ზურგზე იწვა ბუხართან, უკანა ფეხები მაღლა ჰაერში აეტყორცნა. სახეზე კმაყოფილებით სავსე სულელური ღიმილი დასთამაშებდა.

უფსმა ქილას ხელი მიჰკრა, მაგიდის გასწვრივ, კეროლის მიმართულებით. გოგონა დასწვდა და მოსვა.

„ნავთის სუნი უდის, - თქვა მან, - და, რამდენადაც ვხვდები, გემოთითაც წააგავს.“

მან ქილას ორივე ხელი წაავლო და ისევ მოსვა, შემდეგ მაქსველის მიმართულებით გააცურა.

„მე მჯერა, - აღნიშნა მან, - რომ გარკვეული დროის მერე ნავთის სმასაც ადვილად შეეჩვევი.“

„კარგი თვითნახადი გამომივიდა, - თქვა უფსმა თავდაჯერებით, - თუმცა, რაც ძველება, მით უფრო მაგრდება. როგორც ვატყობ, სასმელი ახლა უფრო მალე ათრობს, ვიდრე მაშინ, როცა გამოვხადე.“ მაქსველი ქილას დასწვდა და მონდომებით მოსვა. გავარვარებულმა არაყმა ყრონტი ჩაიარა და კუჭში აფეთქდა, მაგრამ ამას კარგი არაფერი მოჰყოლია. ის ისევ უხასიათოდ და ფხიზლად იყო. ერთ დროს, გამოუტყდა თავს, არ არსებობდა ისეთი რამ, რასაც გამოთრობა ჰქვია. ჩაისხამდი ორ ქილას და ისევ ფხიზელი იყავი. ახლა კი, ფიქრობდა ის, სიამოვნებით გამოთვრებოდა და ასეთ მდგომარეობაში იქნებოდა ერთი ან რამდენიმე დღე. იქნებ, გამოფხიზლების შემდეგ ცხოვრება ისე ცუდი აღარ მოსჩვენებოდა.

„რა ვერ გამიგია, იცით, - თქვა უფსმა, - ბებერმა ბილმა რატომ მიიღო მოჩვენების ამბავი ასე ცუდად. ის შიშისგან გავარდისფრდა და ალისფერი ლაქები დაეტყო. მაგრამ, რაც მაფიქრებს, ისაა, რომ მოჩვენების არსებობა სულაც არ გაჰკვირვებია. დიახ, თავდაპირველად მხოლოდ მსუბუქად შეშფოთდა. პრინციპში, მეთექვსმეტე საუკუნის ადამიანისგან ეს მოსალოდნელიც იყო. მან ბევრად უფრო ადვილად მიიღო მოჩვენება, ვიდრე ამ შემთხვევას მეოცე საუკუნის ადამიანი მოეკიდებოდა. მეთექვსმეტე საუკუნეში ჯერ კიდევ სჯეროდათ მოჩვენებების არსებობისა და ამიტომაც ის უფრო მისაღები იყო იმდროინდელი ადამიანებისთვის. მას წონასწორობა არ დაუკარგავს მანამდე, სანამ არ მიხვდა, რომ მოჩვენება მისი აჩრდილი იყო და შემდეგ...“

„ის საკმაოდ დაინტრიგდა, - აღნიშნა კეროლმა, პატარა რასის წარმომადგენლებთან ჩვენი კავშირით. პირობა ჩამოგვართვა, რომ რეზერვაციაში წავიყვანთ, რათა მათი გაცნობის საშუალება მიეცეს. მოჩვენებებს რაც შეეხება, მან მათი უყოყმანოდ ირწმუნა.“

მაქსველმა კიდევ ერთი ყლუპი მოსვა ქილიდან და უფსის მიმართულებით გააცურა. პირი ხელის ზურგით მოიწმინდა.

„იყო თავისუფლად და გახსნილი მოჩვენებასთან, ნებისმიერ მოჩვენებასთან, - მიუგო მან, - სულ სხვაა, ვიდრე შეხვედრა ერთ კონკრეტულთან, რომელიც, შესაძლოა, შენი აჩრდილი გამოდგეს. ძნელია ადამიანისთვის, ირწმუნოს, უფრო სწორად, ირწმუნოს

და დაიჯეროს თავის საკუთარი სიკვდილი. მაშინაც კი, როცა იცი, რა არის მოჩვენება...“

„ოჰ, გთხოვთ, თავიდან ნუ დაიწყებთ,“ - შეაწყვეტინა კეროლმა.

უფსს ჩაეცინა.

„შურდულივით გავარდა, - თქვა მან, გეგონებათ, კიკინაზე ანთებული მაშხალა მოაბესო. ისე გაიჭრა კარში, ურდულს არც კი შეხებია, კარი, უბრალოდ, გაარღვია.“

„არაფერი დამინახავს, - უპასუხა მაქსველმა, - სახეზე მთელი ჯამი საწებელი მქონდა შესხმული.“

„არ არსებობს მხარე, რომელმაც რაღაცა იხეირა ამ ქაოსიდან, - თქვა უფსმა, - გარდა მახვილკბილასი. მან საქონლის მთელი ბარკალი დაითრია. უმი, ისეთი, როგორიც უყვარს.“

„ეს კატა ოპორტუნისტია, - შენიშნა კეროლმა, - ის ნებისმიერი სიტუაციიდან მოგებული გამოდის.“ მაქსველმა მას შეხედა:

„ყოველთვის მინდოდა მეკითხა, ჩვენ როგორ გაგვიყადრე თავი? ასე ვიფიქრე, შენ ხელები დაიბანე ჩემთან ურთიერთობისგან გასულ ღამეს, როცა ვილერთან ინციდენტი მომივიდა.“ უფსმა ჩაიქირქილა:

„ის შენს ამბავს განიცდიდა. ამასთან, ძალიან ცნობისმოყვარეცაა.“

„კიდევ არის რაღაც, - აღნიშნა მაქსველმა, - როგორ მოხდა, რომ ამ ამბავში ხარ გახვეული? მოდი, ჯერ ეს ამბავი გავარკვიოთ. შენ იყავი სწორედ ის, არტეფაქტის ამბავი რომ ჩაგვაწვეთე - მის გაყიდვას აპირებენო.“

„მე არ ჩამიწვეთებია. წამომცდა. უბრალოდ...“

„დიახ ჩაგვაწვეთე, - განუცხადა მაქსველმა, - მე მგონია, რომ ეს შეგნებულად გააკეთე. რა იცი არტეფაქტის შესახებ? ალბათ იცი რაღაც, რის გამოც არ გინდა მისი გაყიდვა.“

„დიახ, სწორია, - თქვა უფსმა, - ჩემო დაო, შენ უმჯობესია დაიწყო და მოგვიყვე ყველაფერი, სინამდვილეში რაც ხდება.“

„რაღაც სისულეეები...“

„არა, - თქვა მაქსველმა, - მოდი, ამას ხუმრობად ნუ გადავაქცევთ. ეს მეტად მნიშვნელოვანია.“

„კარგი, მე ყური მოვკარი, რომ მას გაყიდვას უპირებდნენ, როგორც უკვე გითხარით. ეს მე არ უნდა გამეგო. ამან ძალიან შემაშფოთა და ამის გაფიქრებაც კი მზარავდა. არა იმიტომ, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე გაყიდვასთან დაკავშირებით იურიდიული

თვალსაზრისით, მივხვდი, რომ „დროს“ ამის უფლება ჰქონდა და შეეძლო მისი გაყიდვა, თუკი მოინდომებდა. მაგრამ რაც არ მომწონდა, ეს იყო - საერთოდ არტეფაქტის გაყიდვის იდეა, თუნდაც რამდენიმე მილიარდ დოლარად. ეს იმიტომ, რომ რაღაც ვიცი არტეფაქტის შესახებ - რაღაც, რაც სხვამ არავინ იცის, თან ვინმესთვის გამხელა მეშინოდა. როცა სხვა ხალხთან ვახსენე, თუ არტეფაქტი რაოდენ მნიშვნელოვანი იყო, დავინახე, რომ ძალიან არც ენაღვლებოდათ. შემდეგ, იმ საღამოს, როცა თქვენ ორი საუბრობდით ამის შესახებ და ასე დაინტერესებულები იყავით...“

„შენ გაიფიქრე, რომ ჩვენ შენი დახმარება შეგვეძლო.“

„სიმართლე ვთქვა, არ ვიცი, რა გავიფიქრე. მაგრამ თქვენ იყავით პირველები, ვინც ამ საკითხის მიმართ ინტერესი გამოხატა. თუმცა ბოლომდე ვერაფერს გეტყოდით. მე არ შემეძლო პირდაპირ მომეყოლა ყველაფერი იმიტომ, რომ თქვენც ხედავთ, წესით, არ უნდა ვიცოდე ამის შესახებ და კიდევ არსებობს „დროს“ ერთგულების პრინციპები და მე ამ ყველაფერში ძალიან დავიბენი.“

„გიმუშავია არტეფაქტთან? ამიტომაა, რომ...“

„არც მთლად ეგრეა საქმე, - თქვა მან, - არა, არ მიმუშავია. მაგრამ ერთხელ, როცა შევჩერდი, რომ მისთვის შემეხედა - როგორც ერთ-ერთი ტურისტი, გესმით ალბათ ჩემი, უბრალოდ დავსეირნობდი მუზეუმის ექსპონატების შიდა დარბაზში და შევჩერდი მასთან, იმიტომ, რომ საინტერესო და, ამასთან, საიდუმლოებით მოცული იყო დავინახე, ან ვფიქრობ, რომ დავინახე რაღაც. ახლა უკვე აღარ ვარ დარწმუნებული. ვერც ვიქნები დარწმუნებული. თუმცა იმ დროს, მახსოვს, რომ სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ დავინახე ისეთი რამ, რაც მანამდე არავის შეუმჩნევია, ან თუ შეუმჩნევიათ...“

ის შეჩერდა და ჯერ ერთს შეხედა, მერე მეორეს. არც ერთი ხმას არ იღებდა. ისინი მდუმარედ ისხდნენ და უცდიდნენ, გოგონა თხრობას როდის გააგრძელებდა.

„დარწმუნებული ვერ ვიქნები, - თქვა მან, - ახლა მით უმეტეს. ახლაც ეჭვი მეპარება.“

„გააგრძელე, - თქვა უფსმა, - მოგვიყევი ყველაფერი, რაც იცი.“

მან თავი დაუქნია.

„ეს ყველაფერი ერთ წამში მოხდა. ისე სწრაფად, ისე მოულოდნელად და როცა ის შევამჩნიე, მაშინ ეჭვიც კი არ შემპარვია იმაში, რაც ვნახე. მზე ანათებდა ფანჯრებში და მზის შუქი ეცემოდა არტეფაქტს. შესაძლოა, მანამდე არავის შეუხედავს არტეფაქტისთვის იმ დროს, როცა მზის სინათლე დასთამაშებდა მას ზუსტად ისე, როგორც ეს იმ დღეს მოხდა. არ ვიცი. სხვანაირად ვერც ვხსნი. მაგრამ მომეჩვენა, რომ არტეფაქტის შიგნით რაღაცას მოვკარი თვალი. არა, სულ მთლად მის შიგნით არა, უფრო თითქოს არტეფაქტი იყო რაღაც, რასაც შეკუმშული ფორმა ჰქონდა ან მოგრძო კუბის ფორმა მიეღო, მაგრამ ამას დაზუსტებით ვერ იტყოდით, თუ მზის შუქი

უშუალოდ არ ეცემოდა. მომეჩვენა, რომ თვალი დავინახე და ერთ წამში, როცა ეს თვალი დავინახე, მივხვდი, რომ ის ცოცხალი იყო, მე შემომცქეროდა და...“

„მაგრამ ეს შეუძლებელია! - წამოიყვირა უფსმა, - არტეფაქტი ქვას უფრო ჩამოჰგავს, ან ლითონის ზოდს.“

„უცნაური ლითონის ნატეხი, - თქვა მაქსველმა, რომელსაც ვერაფერს დააკლებ, რაღაც, რაც....“

„სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, - კეროლმა შეახსენა მათ, - რომ ახლა არ ვარ ყველაფერ ამაში დარწმუნებული. იქნებ, ეს ჩემი წარმოსახვის ნაყოფიც იყო.“

„ამას უკვე ვეღარასოდეს გავიგებთ, - თქვა მაქსველმა, - ხვალ ვილერს არტეფაქტი მიაქვს.“

„და კრისტალურ პლანეტას იყიდის იმითი, - თქვა უფსმა, - მეჩვენება, რომ აქ ჯდომაში დროს არ უნდა ვკარგავდეთ. შექსპირის დაკავება რომ შეგვძლებოდა...“

„ეს სიტუაციას ვერ შეცვლიდა, - მიუგო მას მაქსველმა, - ეს საქმე შექსპირის გატაცებასთან დაკავშირებით...“

„ჩვენ ის არასოდეს გაგვიტაცებია, - თქვა უფსმა, ამ მოსაზრებით განრისხებულმა, - ჩვენთან კონტაქტში ძალიან მშვიდად შემოვიდა. გაუხარდა კიდეც. მთელი ამ დროის მანძილზე ესკორტისგან თავის დაღწევას ცდილობდა, რომელიც მას „დრომ“ მიუჩინა. ეს მართლა მისი იდეა იყო. ჩვენ, უბრალოდ, ცოტა დავეხმარეთ.“

„როგორც, მაგალითად, ესკორტისთვის თავში ჩარტყმა?“

„არა, არასოდეს, - განაცხადა უფსმა, - ამ მიმართულებით ძალიან კეთილგონივრულად ვმოქმედებდით. მსუბუქი დივერსია მოვაწყვეთ, როგორც თქვენ უწოდებთ.“

„კარგი, როგორც იტყვით, - თქვა მაქსველმა, - ცუდი იდეა კი იყო. ამაში ძალიან დიდი ფული ჩაიდო. თქვენ შეგეძლოთ, თორმეტამდე შექსირი მოგეტაცათ, მაგრამ ვერასდროს აიძულებდით ჰარლოუ შარპს, უარი ეთქვა არტეფაქტთან დაკავშირებულ გარიგებაზე.“

„ასეთ ვითარებაშიც კი, - აღნიშნა კეროლმა, - რაღაც გზა უნდა გამოვნახოთ, რის გაკეთებასაც შევძლებთ. მაგალითად, არნოლდი თავის საწოლიდან წამოვაგდოთ.“

„ერთადერთი, - თქვა მაქსველმა, - რითიც დაგვეხმარება, „დროსთვის“ იმ თანხის გადახდაა, რასაც ვილერი დაჰპირდა შარპს არტეფაქტისთვის. ეს შეუძლებლად მიმაჩნია, თქვენ?“

„მეც ვერ წარმომიდგენია,“ - დაეთანხმა უფსი.

ის დასწვდა ქილას, პირთან მიიტანა და მოყლუპა, ფეხზე წამოდგა და იატაკში გაკეთებულ სამალავს მიადგა და მეორე ქილა ამოიღო. ძნელად, მაგრამ მაინც მოხსნა ხუფი და ქილა კეროლს გადააწოდა.

„მოდით, - შესთავაზა მან, - კარგად გამოვთვრეთ. რეპორტიორები აქ ხვალ დილით იქნებიან და მათ გასაყრელად ძალა უნდა მოვიკრიბო.“

„დაიცადე, დაიცადე, - წამოიძახა მაქსველმა, - მგონი, რაღაც იდეა მომდის თავში.“

ისინი ისხდნენ და ახალ იდეას ელოდნენ.

„თარჯიმანი, - თქვა მაქსველმა, - ჩანაწერების წასაკითხად რომ ვიყენებდი კრისტალურ პლანეტაზე, ჩემს ჩანთაში აღმოვაჩინე.“

„მართლა?“

„იქნებ არტეფაქტი, უბრალოდ, კიდევ ერთი ჩანაწერია?“

„მაგრამ კეროლი ამბობს...“

„ვიცი, კეროლი რასაც ამბობს. თანაც დარწმუნებული არ არის. ის მხოლოდ ვარაუდობს, რომ მისკენ მიშტერებული თვალი დაინახა, რაც ნამდვილად დაუჯერებელია.“

„დიახ, - თქვა კეროლმა, - ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ და რასაც პიტერი ამბობს, მართალიც შეიძლება იყოს და თუკი ეს სიმართლეა, მაშინ ის ძალიან მნიშვნელოვანი ჩანაწერი იქნება – და ძალიან ბევრისმომცველი. ცოდნის სავსებით ახალი სამყარო. იქნებ ისიც აღმოჩნდეს, რაც კრისტალურმა პლანეტამ დედამიწაზე დატოვა, ალბათ ფიქრობდა, რომ მისი აქ ძებნა აზრად არავის მოუვიდოდა. გარკვეული სახის გადამალული ჩანაწერი.“

„ასეც რომ იყოს საქმე, - მიუგო უფსმა, - ჩვენ რა ხეირს მოგვიტანს. მუზეუმი დაკეტილია და ჰარლოუ შარპი კი მას არ გაგვიღებს.“

„თუ მოვინდომებ, - უპასუხა კეროლმა, - შემიძლია დაცვას დავურეკო და ვუთხრა, რომ სამუშაო მაქვს დასამთავრებელი და შესვლა მჭირდება, ან ვითომ რაღაც დამრჩა და წამოღება მინდა. ამის უფლება მაქვს.“

„და დაკარგავ სამსახურს,“ - თქვა უფსმა.

გოგონამ მხრები აიჩეჩა:

„სხვა სამსახურს მოვძებნი. და თუ ყველაფერი გამოგვივიდა...“

„ცოტა შანსი გვაქვს, - შეეწინააღმდეგა მაქსველი,-მილიონიდან ერთი, შეიძლება კიდევ უფრო ნაკლები. არ უარვყოფ, რომ ძალიან მინდა ვცადოთ, მაგრამ...“

„და იმაზე რაღას იტყვი, მართლა რაღაც მნიშვნელოვანი რომ აღმოვაჩინოთ? - იკითხა კეროლმა, - მაშინ შევძლებთ, რომ შარპს ხელი ვტაცოთ, ყველაფერი ავუხსნათ და იქნებ...“

„არ ვიცი, - თქვა მაქსველმა, - მეეჭვება, რამე ისეთი მნიშვნელოვანი ვიპოვოთ, რომ ჰარლოუმ გარიგება დაარღვიოს.“

„იცით რა, - თქვა უფსმა, - ნუღარ ვკარგავთ დროს აქ ჯდომაში და ამაზე საუბარში. მოდით, ვიმოქმედოთ.“ მაქსველმა კეროლს შეხედა.

„მეც ასე ვფიქრობ, პიტ, თქვა მან, - ღირს, რომ ვცადოთ.“

უფსი ქილას დასწვდა, რომელზეც მთვარის შუქი ეცემოდა და ხუფი მოუჭირა.

თავი 22

კაბინეტებში გამოკეტილი წარსულის გარემოცვაში აღმოჩდნენ. სათავსოში ჩაედოთ ან პიედესტალზე შემოესკუპებინათ - დაკარგული, მივიწყებული და უცნობი, რომელიც კაცობრიობის ისტორიის დაფარულ კუნჭულებში მიჩქმალული დროსთვის გამოეგლიჯათ წარსულში მოწყობილ საველე ექსპედიციებს - ხელოვნებისა და ფოლკლორული ნიმუშები, რომლებზე ოცნებაც კი მანამადე შეუძლებელი იყო, სანამ ადამიანი უკან არ დაბრუნდა და არ იპოვა ისინი; ახალი მექოთნეობის ნიმუშები, რომლებიც აქამდე მხოლოდ ცალკეული ნამტვრევებით იყო წარმოდგენილი; უძველესი ეგვიპტური ბოთლები, რომლებზეც მონებია გამოსახული და ჯერ ისევ ვარგისი მალამოები ინახება; რკინის საბრძოლო იარაღი, რომელიც სამჭედლოში ახლად გამოუწრთიათ; გრაგნილები ალექსანდრიის ბიბლიოთეკიდან, რომლებიც წესით დამწვარი უნდა იყოს, მაგრამ არ არის იმიტომ, რომ ხალხი გაიგზავნა იმ დროში, რათა ისინი განადგურებამდე ცეცხლიდან გამოეტანათ; ცნობილი ელის ნაჭრები, რომელთა საიდუმლოებაც დიდი ხანია დაკარგული იყო- ეს და კიდევ ბევრი სხვა, ბევრი ნივთი ნაპოვნი საგანძურიდან, რომლებიც, იქნებ, განძს უკვე აღარ წარმოადგენდნენ, მაგრამ დროსთვის მაინც გამოეტაცათ.

მაქსველის აზრით, ამ ადგილს არასწორად უწოდებდნენ, „დროს მუზეუმი“ კი არ უნდა დაერქმიათ, არამედ - „მარადისობის მუზეუმი“, რადგან ის წარმოადგენდა ადგილს, სადაც ყველა ეპოქას მოეყარა თავი და სადაც არ არსებობდა დროში სხვაობა, ეს იყო შენობა, სადაც წარმოდგენილი იყო კაცობრიობის ყველა მიღწევა და ოცნება და არა ძველი ნივთების სახით, არამედ ყველა მათგანი ცინცხალი - გაპრიალებული და ახლად შექმნილი იყო. აქ წარმოდგენილი ექსპონატების წყალობით არ გჭირდებოდა ტვინის ჭყლეტა, თუ როგორ გამოიყურებოდა ესა თუ ის ნივთი წარსულში. აქ შეგეძლო, ხელით შეხებოდი და დაგეთვალიერებინა იარაღი, ინსტრუმენტები და

ათასნაირი წვრილმანი, რომლებიც დაემზადებინათ და იყენებდნენ განვითარების სხვადასხვა პერიოდში.

იგი იდგა პიედესტალის გვერდით, რომელზეც არტეფაქტი მოეთავსებინათ, ყურს უგდებდა დაცვის ნაბიჯებს, რომელიც მუზეუმის დარბაზში ჩვეულ შემოვლას ახორციელებდა.

კეროლმა მოახერხა და შეიყვანა ისინი მუზეუმში, თუმცა იყო მომენტი, როცა მას ეჭვი ეპარებოდა, რომ ამას შეძლებდა. მაგრამ ყველაფერი კარგად აეწყო. კეროლმა დაურეკა დაცვას და უთხრა, რომ რამდენიმე მეგობართან ერთად სურდა, საბოლოოდ შეეხედა არტეფაქტისთვის.

დარაჯი მათ პატარა კართან უცდიდა, რომელიც დიდ შესასვლელ კარში ჩაეყოლებინათ და რომელსაც მხოლოდ სამუშაო საათებში აღებდნენ.

„დიდი ხანი ნუ დაყოვნდებით, - ბუზღუნებდა ის, - დარწმუნებული არ ვარ, რომ ამის უფლება უნდა მომეცა.“

„კარგი, - მიუგო მან, - არ ინერვიულო.“ მან პატრულირება განაგრძო და თან ბუზღუნსაც აგრძელებდა.

პროჟექტორის შუქი ჰაეროვნად ეცემოდა შავ კუბზე, და ეს კუბი არტეფაქტი იყო.

მაქსველი ველვეტის თოკის ქვეშ გაძვრა, რომელიც პიედესტალს ჰქონდა შემოვლებული, არტეფაქტს მიუახლოვდა და მის გვერდით მოიკალათა. ხელის ფათურით ჯიბეში თარჯიმანი მოძებნა.

სულელური ჩანაფიქრი იყო თავიდანვე, გამოუტყდა საკუთარ თავს. ან სულაც არ იყო ეს ჩანაფიქრი. უბრალოდ იდეა, რომელიც იმედგაცრუების ჟამს გაჩნდა და ახლა ის ტყუილად კარგავდა ამაზე დროს, უფრო მეტიც, სასაცილო სიტუაციაში იგდებდა თავს. ამ უცაბედი გადაწყვეტილების შედეგად რამე მტკიცებულებაც რომ ეპოვა, მაინც ვეღარაფერს შეცვლიდა. ხვალ ვილერი დაეპატრონებოდა არტეფაქტს - კრისტალურ პლანეტაზე არსებულ მთელ ცოდნას და მერე ადამიანთა რასას რაც არ უნდა ენანა, ეს იქნებოდა ორმოცდაათი მილიარდი წლის ცოდნის დაუფლების შანსის დასასრული. ცოდნისა, რომელიც ორი სამყაროს საკუთრებას წარმოადგენდა და რომელიც დედამიწის უნივერსიტეტს უნდა რგებოდა, მისთვის იყო განკუთვნილი.

სამუდამოდ კარგავდნენ იდუმალებით მოცულ კულტურულ გაერთიანებას, იქნებ, დედამიწის პოტენციურ კოსმოსურ მტერსაც კი, რომელთაც შეყრისაც დედამიწას ყოველთვის ეშინოდა.

მისი მცდელობა უკვე დაგვიანებული იყო და ეს კარგად იცოდა. ცოტა მეტი დრო რომ ჰქონოდა, ამ გარიგებას ჩაშლიდა, შესაძლოა, ეპოვა ისეთი ხალხიც, რომელიც მას

მოუსმენდა, გარკვეულ ზურგს მისცემდა. მაგრამ ყველაფერი მის წინააღმდეგ მუშაობდა და, რაც მთავარია, გვიანიც იყო.

თარჯიმანი თავზე გაიკეთა და ხელით წვალება დაუწყო, რატომღაც გაუჭირდა მისი თავზე მორგება.

„მოდი, დაგეხმარო," - უთხრა კეროლმა. ის გრძნობდა, მისი თითები როგორ მარჯვედ მოძრაობდა, ქამარს ასწორებდა და დანიშნულ ადგილას არგებდა.

დაბლა დაიხედა და დაინახა, რომ სილვესტერი პიედესტალის გვერდით იატაკზე მოკალათებულიყო და უფსს შესცქეროდა.

უფსმა მაქსველის მზერა დაიჭირა:

„ამ კატას არ ვუყვარვარ, - თქვა ნეანდერტალელმა. - ის გრძნობს, რომ მისი ბუნებრივი მტერი ვარ. ერთ მშვენიერ დღეს ნერვები უმტყუნებს და ჩამაფრინდება."

„სისულელეა, - შეეხმიანა კეროლი, - ის, უბრალოდ, უწყინარი ფისოა."

„არა მგონია," - უპასუხა უფსმა.

მაქსველი დასწვდა და თარჯიმანი თვალებზე დაიმაგრა. არტეფაქტი შეათვალიერა.

რაღაც იყო ამ შავ ბლოკში. ხაზები, ფორმები, უცნაურობანი. სადღაც გამქრალიყო ის სადა, წარმოუდგენელი სიშავე, რომელიც ასე დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა გარე სამყაროს ყოველგვარ ზეგავლენას, არც არაფერს იკარებდა და არც არაფერს უშვებდა, რაც, მთელი სამყაროსაგან განზე განმდგარი, საკუთარ თავში ჩაკეტილი იყო.

მაქსველმა თავი გადახარა და შეეცადა დაეჭირა ის კუთხე, საიდანაც შეძლებდა გარკვეულიყო იმაში, რასაც ხედავდა. ეს არ იყო ნაწერები - არამედ უფრო სხვა რაღაც. ის თავსაბურს შეეხო და ფიქსატორი მოატრიალა, განათება გაძლიერდა, ცოტა ხანი ხელში კიდევ ატრიალა სენსორების დასარეგულირებლად.

„ეს რა არის?" - იკითხა კეროლმა.

„მე არ..." - და უცბად გონება გაუნათდა. დაინახა.

ბლოკის ერთ კუთხეში მიმწყვდეული ბრჭყალი დაინახა, ნაირფერადი სხეული, ან ტყავის, ან ქერცლოვანი ზედაპირით და მოელვარე კლანჭებით, რომლებიც ბრილიანტიდან გამოთლილი გეგონებოდათ. ეს ბრჭყალი მოძრაობდა და იბრძოდა, რომ თავი გაეთავისუფლებინა, მას მისწვდომოდა.

მაქსველმა უკან დაიხია, რომ ცოტა მოშორებით ყოფილიყო, და წონასწორობა დაკარგა. იგრძნო, რომ ეცემოდა და შეეცადა, გვერდულად წასულიყო და ზურგზე დაცემა აერიდებინა. ერთი მხარი ველვეტის თოკს წამოედო და სვეტები, რომელზეც ეს თოკი იყო გამობმული, ხმაურით წაიქცა. იატაკსაც მოჰკრა თვალი, რომელზეც

მძიმედ დაენარცხა. თოკზე გამოდება დაეხმარა, რომ გვერდულად დაცემულიყო, მაგრამ მხარი ცუდად დაარტყა. თავის იატაკიდან დაცვა მოასწრო. გაშლილ მკლავზე დაარტყა შუბლი, თარჯიმანი ცალ მხარეს მოიქცია, რომ თვალები გაეთავისუფლებინა.

და იქ, მის ზემოთ, არტეფაქტი საშინელი სიჩქარით იცვლებოდა. მისგან რაღაც იწვერებოდა - თავს აღწევდა ხანგრძლივ უკუნეთს, თავს ითავისუფლებდა. ეს რაღაც ცოცხალი არსება იყო, ენერგიული, მოძრავი და თვალისმომჭრელი სილამაზის.

თხელი, ნატიფი თავი, მოგრძო სახით და მახვილი კბილებით, რქოვანი სავარცხლით, რომელიც შუბლიდან იწყებოდა და მთელი კისრის სიგრძეზე მიუყვებოდა. ძლიერი მკერდი და წაგრძელებული სხეული, ორი წყვილი სანახევროდ მოკეცილი ფრთითა და ალმასისებური ულამაზესბრჭყალებიანი თათებით. ის თვალისმომჭრელად, ცისარტყელის ყველა ფერში კიაფობდა პროჟექტორების შუქზე. თითოეული მოკაშკაშე ქერცლი პატარა სარკე იყო, რომელიც სპილენძის, ოქროს, წითელ და ცისფერ სხივებს ირეკლავდა.

დრაკონი! - გაიფიქრა მაქსველმა. არტეფაქტის სიშავიდან დრაკონი წამოიმართა! დრაკონი, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა მილიონი წლობით არტეფაქტში ტყვეობის შემდეგ.

დრაკონი! ამდენი წლის ნადირობის მერე, ამდენი წლის ძიებისა და ფიქრის შემდეგ, ბოლოს მართლა გამოჩნდა დრაკონი. მაგრამ არა როგორც მას წარმოედგინა ეს გონებაში - არა ჩვეულებრივი ქმნილება სისხლითა და ხორცით, არამედ როგორც უდიდესი სიმბოლო, კრისტალური პლანეტის სიძლიერის ზენიტი, და შეიძლება არა მარტო ამ პლანეტის, არამედ მთელი სამყაროსი, რომელიც წავიდა იმიტომ, რომ ადგილი ახალი სამყაროსთვის დაეთმო უძველესი და ლეგენდარული, თანამედროვე იმ უცნაური ტომებისა, რომელთა უბადრუკი შთამომავლებიც ტროლები და გობლინები, ფერიები და ბანშები იყვნენ. არსება, რომლის სახელიც, რომელზეც ლეგენდა თაობებიდან თაობებს გადაეცემოდა, ათასეულ თაობებს, მაგრამ რომლის ხილვა არც ერთ ადამიანს არ ღირსებია.

უფსი იატაკზე ერთ-ერთი გადაყირავებული სვეტის მიღმა იდგა, რომელზეც ველვეტის თოკი იყო გამობმული, მას ფეხები ახლა კიდევ უფრო მოეხარა, ვიდრე ოდესმე, თითქოს იძირებოდა და ასევე გაიყინაო, მსხვილი ლორის მსგავსი ხელები აქეთ-იქით ჩამოკიდებოდა და თითები ბრჭყალებივით მოეკაკვა, შიშითა და გაოცებით შესცქეროდა პიედესტალს. მის წინ სილვესტერი ჩაცუცქულიყო, ფუმფულა ფეხებზე კუნთები დაჭიმვოდა, უშველებელი პირი დაებჩინა, ეშვები გამოეჩინა და შეტევისთვის ემზადებოდა.

მაქსველმა მხარზე ხელის შეხება იგრძნო და შემოტრიალდა.

„ეს დრაკონია?“ - იკითხა კეროლმა.

მისი სიტყვები უცნაურად გაისმა, თითქოს ამის კითხვისაც კი ეშინია და იძულებით წარმოთქვაო. გოგონა მაქსველს არ უყურებდა, მთელი ყურადღება დრაკონისკენ ჰქონდა მიმართული, რომელიც უკვე მთლიანად გათავისუფლებულიყო.

დრაკონმა გრძელი და ტალღოვანი კუდი გაშალა. უფსი ტლანქად დაენარცხა იატაკზე, რომ კუდი აეცილებინა.

სილვესტერი სიბრაზისგან აჩხავლდა და წინ, დრაკონისკენ გაცოცდა.

„სილვესტერ, არ გაბედო!“ - დაიძახა მაქსველმა.

უფსი დაოთხილი სასწრაფოდ წინ გაბობღდა და სილვესტერს ერთ-ერთ უკანა ფეხში სწვდა.

„დაუძახე, ჩქარა დაუძახე! - მიმართა მაქსველმა კეროლს, - ამ სულელმა კატამ კბილიც რომ გაჰკრას, ეშმაკმა იცის, რა მოხდება.“

„სილვესტერი უფსს არაფერს დაუშავებს.“

„უფსს არა, - მიუგო მაქსველმა, - დრაკონზე გეუბნები.

დრაკონზე იერიში რომ მიიტანოს...“ გააფთრებული ღრიალისა და მძიმე სირბილის ხმა ჭექა-ქუხილივით გაისმა სიბნელეში.

„აქ რა ხდება?“ - დაიღიალა დარაჯმა, რომელიც ბნელი კუთხიდან შემოიჭრა.

დრაკონი პიედესტალზე შემობრუნდა და სწრაფად მოსცილდა ისე, რომ ყარაულისკენ პირით აღმოჩნდა.

„ფრთხილად!“ - დაიღრიალა უფსმა, რომელიც ჯერ ისევ მაგრად ჩაფრენოდა სილვესტერს ფეხში.

დრაკონმა ფრთხილად წაიწია წინ, თითქმის მშვიდად, თავი ოდნავ გადახარა გვერდზე კითხვის ნიშნად, და კუდი გაშალა.

გაშლილი კუდი საექპოზიციო მაგიდას მოხვდა და ზედ მდგარი ჯამები და დოქები ერთიანად იატაკზე გადმოყარა. დამსხვრეული ჭურჭლის ნატეხები მთელ იატაკზე მიმოიფანტა.

„ჰეი, შეწყვიტეთ!“ - დაიყვირა ყარაულმა და შემდეგ, მოულოდნელად, დრაკონი დაინახა. მისი ყვირილი შეშინებული ადამიანის ღრიალში გადაიზარდა. ის შემობრუნდა და მთელი ძალით მოკურცხლა. მას დრაკონი აედევნა, არ ჩქარობდა, უფრო ინტერესით მიჰყვებოდა. მის ყოველ ნაბიჯს თან მტვრევისა და მსხვრევის ხმა ახლდა.

„თუ მას აქედან არ გავიყვანთ, - თქვა მაქსველმა, მთელი აღარაფერი დარჩება, მისი მოძრაობის სიჩქარით თუ ვიმსჯელებთ, თხუთმეტ წუთში აქ მხოლოდ ნამტვრევებიღა ეყრება. აქაურობას ერთიანად გაასწორებს მიწასთან. უფს, ღვთის გულისათვის, ხელი არ გაუშვა მაგ კატას. მთელი ამ ამბიდან მეტი სკანდალი აღარ გვჭირდება.“

მაქსველი ფეხზე წამოდგა, თარჯიმანი ჩამოიგლიჯა და ჯიბეში ჩაიჩარა.

„იქნებ, კარის გახსნა მეცადა, - შესთავაზა კეროლმა, და შემდეგ ის აქედან გაგვეყვანა. დიდ კარზე გელაპარაკები. მგონი, ვიცი, ის როგორც იღება.“

„უფს, რამდენად გეხერხება დრაკონების მწყემსვა?“ - ჰკითხა მაქსველმა.

დრაკონი უკვე შენობის სიღრმეში შესულიყო და ახლა უკან მოემართებოდა.

„უფს, - თქვა კეროლმა, - მომეხმარე კარის გაღებაში, ღონიერი მამაკაცის დახმარება მჭირდება.“

„ამ კატას რა ვუყო?“

„მე დამიტოვე, - თქვა მაქსველმა. - იქნებ კარგად მოიქცეს, დამიჯეროს.“

მსხვრევის გაბმული ხმა დრაკონის მოძრაობას ადასტურებდა. ამის გაგონებაზე მაქსველს გული ეკუმშებოდა შარპი მაგრად აზღვევინებდა. მეგობრობა მეგობრობად რჩებოდა, მაგრამ გული მოუკვდებოდა. მთელი მუზეუმი ნადგურდებოდა, არტეფაქტი კი აფორიაქებულ უზარმაზარ სხეულად გადაქცეულიყო.

მაქსველმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, საცდელად, იმ მიმართულებით, საიდანაც მსხვრევის ხმა მოისმოდა. სილვესტერი მის ფეხებთან ახლოს გაყუსულიყო.

ბინდბუნდში მაქსველი ნელა მოძრავ დრაკონს ძლივს არჩევდა.

„ლამაზი დრაკონი, - თქვა მაქსველმა, - დამშვიდდი, მეგობარო.“ სულელურად ჟღერდა და გარკვეულწილად - არაადეკვატურადაც. როგორ შეიძლებოდა, ამ ქვეყანაზე ვინმეს დრაკონთან საუბარი გაება? სილვესტერი ღრენას მოჰყვა.

„მისგან თავი შორს დაიჭირე, იცოდე, - უთხრა მაქსველმა მკაცრად, - ყველაფერი ისედაც ცუდადაა, შენ რომ აღარ გაართულო.“ ის ყარაული გაახსენდა, გაიფიქრა, ნეტავ რა დაემართაო.

ალბათ, ახლა პოლიციაში რეკავდა და აჟიოტაჟს ტეხდა.

ზურგს უკან კარის ჭრიალის ხმა ესმოდა, მის გაღებას ცდილობდნენ. დრაკონი ცოტას რომ შეჩერებულიყო, კარს ბოლომდე გახსნიდნენ და მას გარეთ გაუშვებდნენ. და როცა დრაკონი გარეთ აღმოჩნდებოდა, რა მოხდებოდა შემდეგ? ამის გაფიქრებაზე მაქსველი შეცბა - წარმოიდგინა უზარმაზარი მხეცი, რომელიც უმისამართოდ

დაეხეტებოდა ქუჩებში და დასასვენებელ მოედნებზე. იქნებ, მისი აქ გამომწყვდევა სჯობდა.

მაქსველი რამდენიმე ხანი იდგა და ვერ გადაეწყვიტა, სწონიდა, რა უფრო უკეთესი იყო: გამომწყვდევა თუ თავისუფლად გაშვება. მუზეუმი უკვე გაპარტახებული იყო და მისი საბოლოოდ გამეტება უკეთესი იქნებოდა, ვიდრე ამ არსების კამპუსის ტერიტორიაზე თავისუფლად გაშვება.

კარი ისევ ჭრიალებდა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ მალე გზა გაიხსნებოდა. დრაკონი აქამდე ნელა მოძრაობდა, მაგრამ ახლა რატომღაც ფეხს აუჩქარა და გახსნილი კარისკენ აიღო გეზი.

მაქსველი შემოტრიალდა.

„დახურეთ კარი!“ - დაიყვირა მან და შემდეგ სწრაფად გვერდზე გადახტა, რადგან დრაკონი მისკენ სწრაფად მოემართებოდა.

სანახევროდ ღია კარი ასევე დარჩა. კეროლი და უფსი სხვადასხვა მიმართულებით გარბოდნენ, რათა უფრო მეტი თავისუფალი სივრცე მიეცათ ტონობით წონის მოსიარულე მასისთვის, რომელიც კარისკენ მიიწევდა. სილვესტერის გაშმაგებული კივილი ზარივით რეკდა და ექოს გამოსცემდა მუზეუმში, კატას თავისი გაეტანა და გაქცეულ დრაკონს დადევნებოდა.

ერთ მხარეს მიმწყვდეული კეროლი მას მთელი ხმით უძახდა.

„მოეშვი, სილვესტერ! არა, სილვესტერ, არა!“

დრაკონის კუდი სირბილის დროს ნერვიულად მოძრაობდა მარჯვნივ და მარცხნივ. კაბინეტები და მაგიდები ზრიალით ყირავდებოდა და იმსხვრეოდა, ქანდაკებები ბზრიალით ეცემოდა ძირს – ბილიკს, რომელსაც დრაკონი თავისუფლებისკენ მიყავდა, გამანადგურებელი კვალი ეტყობოდა.

მაქსველი ყვირილით გარბოდა, ის სილვესტერსა და დრაკონს მისდევდა, თუმცა ვერ მიმხვდარიყო, რატომ გარბოდა. დრაკონის დაჭერა ნამდვილად არ უნდოდა.

დრაკონმა კარს მიაღწია და ერთი ნახტომით გაუჩინარდა, მაღლა ცაში აიჭრა და ნახტომთან ერთად ფრთები გაშალა, რომლებმაც ქარში აფრებივით დაიწყეს შრიალი.

მაქსველი ზღურბლთან შეჩერდა. გასასვლელში კიბეზე სილვესტერიც შეჩერებულიყო, მაღლა ატოტილი ხმამაღლა უღრენდა მფრინავ დრაკონს.

ეს გამაოგნებელი სანახაობა გახლდათ. მთვარის შუქი ურტყამდა მოქნეულ ფრთებს და წითელი, ოქროსფერი და ლურჯი სხივები ირეკლებოდა, რომლებიც ცაზე გადაჭიმულ ცისარტყელას მოგაგონებდათ.

უფსი და კეროლი კარში გამოიჭრნენ და ცაში აიხედეს.

„რა ლამაზია!“ - თქვა კეროლმა.

„დიახ, თანაც ძალიან,“ - მიუგო მაქსველმა.

და მხოლოდ ახლა გააცნობიერა ბოლომდე, რაც მოხდა.

აღარ არსებობდა არტეფაქტი და ვილერის გარიგებაც თავისთავად გაუქმებულად ითვლებოდა. ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი გარიგება, რომელიც მას კრისტალური პლანეტის სახელით უნდა ეწარმოებინა. მოვლენათა ჯაჭვი, რომელიც მისი ტალღური სტრუქტურის კოპირებით დაიწყო, როცა ის კუნსკინის სისტემაზე გაემგზავრა, დასრულდა.

ახლა, ცაში მოელვარე ცისარტყელას გარდა, ყველაფერმა ისეთი იერი მიიღო, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.

დრაკონი უფრო მაღლა მიიწევდა, უფრო და უფრო დიდ წრეებს აკეთებდა ცის კამარაზე, სხვა არაფერი ჩანდა, გარდა მოელვარე ცისარტყელას ფერებისა.

„აი ასე, - იკითხა უფსმა, - რა უნდა ვქნათ ახლა?“

„ჩემი ბრალია,“ - მიუგო კეროლმა.

„ეს არავის ბრალი არ იყო, - უპასუხა უფსმა, - ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ხდება ხოლმე.“

„რაც არის, არის, - თქვა მაქსველმა, - ის კი მოვახერხეთ, რომ ჰარლოუს გარიგება ჩავშალეთ.“

„მე ვიტყოდი, რომ შენ ჩაშალე, - გაისმა ხმა ზურგიდან, ვინმე ამიხსნის, აქ რა ხდება?“ ყველა შემობრუნდა.

ჰარლოუ შარპი იდგა კარის ზღურბლზე. ვიღაცას მთელ მუზეუმში სინათლე აენთო და ის ზუსტად განათებული და მოღიავებული კარის წინ იდგა.

„მუზეუმი განადგურებულია, - თქვა მან, - და არტეფაქტი გაქრა. აქ გხედავთ თქვენ ორს, რომელთაც კარგად გიცნობთ. მის ჰამპტონ, გაოცებული ვარ. მე თქვენზე უკეთესი წარმოდგენა მქონდა და ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ამ ხულიგნების კომპანიაში გაერეოდით. თუმცა ის თქვენი გადარეული კატაც...“

„სილვესტერს ნუ გარევთ ამ დავიდარაბაში, - მიუგო გოგონამ, - მას არაფერი აქვს საერთო ამ ამბავთან.“

„აბა ვის, პიტს?“ მაქსველმა თავი გააქნია.

„ცოტა მიძნელდება ყოველივე ამის ახსნა.“

„მეც ეგრე მგონია, - მიუგო შარპმა, - ეს ყოველივე უკვე დაგეგმილი გქონდა, როცა მესაუბრებოდი?“

„არა, - უპასუხა მაქსველმა, - ყველაფერი შემთხვევით გამოვიდა.“

„ძალიან ძვირადღირებული შემთხვევაა, - თქვა შარპმა, - შეიძლება დაგაინტერესოთ, როცა გეტყვით, რომ თქვენ „დროს“ საქმიანობა ერთი ან უფრო მეტი საუკუნით დასწიეთ უკან. იმის გარდა, რა თქმა უნდა, რომ მოიპარეთ არტეფაქტი და სადღაც გადამალეთ. ამ შემთხვევაში კი, ჩემო მეგობრებო, გაძლევთ ხუთ წამს, რომ უკან დამიბრუნოთ.“ მაქსველმა ნერწყვი ძლივს გადაყლაპა.

„მე ის არ მომიპარავს, ჰარლოუ. ფაქტია, რომ თითიც კი არ დამიკარებია. ვერ გამიგია, რა მოხდა. ის დრაკონად გადაიქცა.“

„რად გადაიქცა?“

„დრაკონად. უკვე გითხარი, ჰარლოუ...“

„ჰო, ახლა მახსენდება, - თქვა შარპმა, - შენ ყოველთვის ბევრს საუბრობდი დრაკონის შესახებ. დრაკონი რომ მოგეძებნა მაგისთვის, კუნსკინსშიც კი გაემგზავრე. და ახლა, როგორც ვხედავ, ერთი უკვე გიპოვია. იმედი მაქვს, კარგი ვინმეა.“

„ძალიან ლამაზია, - თქვა კეროლმა, -სულ ოქროსფერია და მოელვარე.“

„ოჰ, მშვენიერია, - თქვა შარპმა, - განა ეს ყოველივე გადასარევი არ არის? ვინ იცის, იქნებ აქედან კარგი ფულიც კი გავაკეთოთ, მოვატაროთ გამოფენები. შეგვიძლია ცირკიც კი ავაგოთ და დრაკონის ნახვის მსურველებს ბილეთებიც მივყიდოთ. უკვე ახლავე ვხედავ წარწერას დიდი ასოებით: ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი დრაკონი.“

„მაგრამ ის აქ არ არის, - მიუგო კეროლმა. - ის გაგვიფრინდა.“

„უფს, - მიმართა შარპმა, - შენ ერთი სიტყვაც არაფერი გითქვამს. რა ხდება? ჩვეულებისამებრ, ძალიან მჭევრმეტყველი ხარ.“

„მე დამუნჯებული ვარ,“ - თქვა უფსმა.

შარპი ისევ მაქსველისკენ შემობრუნდა.

„პიტ, - მიმართა მან, - ალბათ ხვდები, რა ჩაიდინე. დარაჯმა დამირეკა, უნდოდა პოლიციისთვისაც შეეტყობინებინა. მაგრამ ვთხოვე, ცოტა ხანი პოლიციაში არ დაერეკა, რადგან თავად მინდოდა ადგილზე მოსვლა. წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ყველაფერი იმაზე უარესად იქნებოდა, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო. არტეფაქტი გაქრა და ვერ ვასრულებ მიწოდების პირობებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი ფული უკან უნდა დავაბრუნო და ამასთან ერთად მუზეუმის ძალიან ბევრი ექსპონატი ნამსხვრევებად არის ქცეული...“

„ეს დრაკონმა ჩაიდინა, - მიუგო მაქსველმა, - სანამ გარეთ გავუშვებდით.“

„მაშ თქვენ ის გარეთ გაუშვით? ის თავისით არ გასულა. უბრალოდ, გარეთ გაუშვით.“

„აბა რა გვექნა, აქაურობას აპარტახებდა. შედეგებზე უკვე აღარ გვიფიქრია.“

„გულწრფელად მითხარი, პიტ. მართლა იყო დრაკონი?“

„დიახ, ის არტეფაქტის შიგნით იყო გამომწყვდეული. შესაძლოა, ის თავადაც იყო არტეფაქტი. არ მკითხო, იქ როგორ მოხვდაო. მისნობით, მე ასე მგონია.“

„მისნობით?“

„მისნობა რეალურად არსებობს, ჰარლოუ. თუმცა არ ვიცი, როგორ. წლები დავხარჯე, რომ მიმხვდარიყავი, ეს როგორ ხდება და ახლა ზუსტად იმდენივე ვიცი, რამდენიც მაშინ, როცა დავიწყე.“

„ისე მეჩვენება, - თქვა შარპმა, - რომ ვიღაც გვაკლია. როცა ასეთი ავანტიურა ხდება ხოლმე, როგორც წესი, არის კიდევ ვიღაც, ვინც ამაშია გარეული. შეგიძლია მითხრა, უფს, მოჩვენება, შენი დიდი და კარგი მეგობარი, სად შეიძლება იყოს?“ უფსმა თავი გაიქნია.

„მისი კვალის დადგენა ძნელია. ის ყოველთვის ახერხებს გაპარვას.“

„სულ ესე არ უნდა იყოს, - თქვა შარპმა, - არის კიდევ ერთი რამ, რასაც ყურადღება უნდა დავუთმოთ. შექსპირი გაქრა. მაინტერესებს, რომელიმე თქვენგანს თუ შეუძლია, შუქი მოჰფინოს მის გაუჩინარებას?“

„ის ჩვენთან ერთად ცოტა ხანი იყო, - თქვა უფსმა. ახალი დამსხდარი ვიყავით საჭმელად, როცა შეშინდა და შურდულივით გავარდა. ეს მაშინ მოხდა, როცა მოჩვენებამ გაიხსენა, რომ ის შექპირის აჩრდილი იყო. მთელი ამ წლების განმავლობაში, თქვენ იცით, მას აინტერესებდა, ვისი აჩრდილი იყო.“

შარპი ნელ-ნელა დაბლა დაეშვა, საფეხურზე ჩამოჯდა და ხან ერთზე გადაიტანდა მზერას, ხან მეორეზე.

„არაფერი, - თქვა მან, - არაფერი გამოგრჩენიათ, როცა ჰარლოუ შარპის განადგურება დაიწყეთ. კარგი სამსახური გამიწიეთ.“

„შენი განადგურება არც გვიფიქრია, - მიუგო უფსმა, არასდროს არაფერი გვქონია შენი საწინააღმდეგო. როგორღაც თავისთავად გამოვიდა. ერთი რომ წავიდა საქმე უკუღმა, მერე ვეღარ შევაჩერეთ.“

„წესით, - მიუგო შარპმა, - ზარალის ანაზღაურება უნდა დაგაკისროთ თითოეულ თქვენგანს. მე შემიძლია სასამართლოს მივმართო, თავი არ მოისულელოთ, მივაღწევ კიდეც ამას - რომ ყველა თქვენგანმა მთელი თქვენი დარჩენილი სიცოცხლე „დროს“

სასარგებლოდ სამსახურში გაატაროს. მაგრამ სამივე თქვენგანი ერთად ნაწილობრივადაც კი ვერ აანაზღაურებთ იმას, რაც ეს საღამო „დროს“ დაუჯდა. ასე რომ, ამის გაკეთებაში ვერავითარ აზრს ვერ ვხედავ. თუმცა, ალბათ, პოლიცია ჩაერევა მთელ ამ აურზაურში. გამოსავალს ვერ ვხედავ, როგორ შეიძლება პოლიციის შეკავება. სამივე თქვენგანს, ვშიშობ, ძალიან ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა.“

„ნეტავ ვინმე ყურს დამიგდებდეს, - თქვა მაქსველმა, მაშინ ყველაფრის ახსნას შევძლებდი. ამის გაკეთებას ვცდილობ მას მერე, რაც უკან დავბრუნდი, მოვძებნო ვინმე, ვინც მომისმენს. შენთანაც ვცადე საუბარი ამ შუადღისას...“

„თუ ასეა, - უპასუხა უფსმა, - ვფიქრობ, შეგიძლია ახლავე დაიწყო და ამიხსნა. ცნობისმოყვარეობა მკლავს. მოდით, ქუჩის მეორე მხარეს, ჩემს ოფისში გადავიდეთ, დავსხდეთ და ვისაუბროთ. მეთანხმებით? იქნებ, კიდევ დარჩა ერთი ან ორი რამ, სანამ საბოლოოდ გააკოტრებთ „დროს.“

„არა, მგონი, აღარაფერი დარჩა, - მიუგო უფსმა, - მე ვიტყოდი, ეჭვგარეშეა, ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო.“

თავი 23

ინსპექტორი დრეიტონი მძიმედ წამოდგა სკამიდან, იგი შარპის ოფისში იცდიდა.

„მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს გამოჩნდით, დოქტორო შარპ, - თქვა მან, - რაღაც მოხდა...“ ინსპექტორმა საუბარი შეწყვიტა, როცა მაქსველს მოჰკრა თვალი.

„აჰ ეს თქვენ ხართ?! - წამოიძახა ინსპექტორმა, მიხარია, რომ გხედავთ. დიდი ხანია გეძებთ.“ მაქსველი მოიღუშა.

„არა მგონია, ინსპექტორო, რომ მეც გავიზიარო თქვენი სიხარული.“ თუკი ვინმე არსებობდა, ვისი ნახვაც ახლა ყველაზე ნაკლებად უნდოდა, გამოუტყდა მაქსველი საკუთარ თავს, ეს ინსპეტქორი დრეიტონი იყო.

„და თქვენ ვინ ბრძანდებით? - მოკლედ იკითხა შარპმა, აქ რა უფლებით შემოვარდით.“

„მე ინსპექტორი დრეიტონი ვარ, უსაფრთხოების სამსახურიდან. ხანმოკლე საუბარი მქონდა ამ დღეებში პროფესორ მაქსველთან, მის დედამიწაზე დაბრუნებასთან დაკავშირებით, მაგრამ ვშიშობ, კიდევ დარჩა კითხვები, რომელთა გარკვევაც...“

„ასეთ შემთხვევაში, - მიუგო მას შარპმა, - გთხოვთ, რიგი დაიკავოთ. მე თავად მაქვს საქმე დოქტორ მაქსველთან და ვშიშობ, ჩემი უფრო სასწრაფოა, ვიდრე თქვენი.“

„თქვენ ვერ ხვდებით, - უპასუხა დრეიტონმა, - მე აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ თქვენი მეგობარი დავაპატიმრო. მას გაუმართლა, რომ ახლა თქვენთან იმყოფება, რასაც არ ველოდი. არის რაღაც საკითხი, რომელშიც, ვფიქრობ, თქვენი დახმარება დამჭირდება, საკითხი, რომელიც მოულოდნელად წამოიჭრა. საქმე იმაშია, რომ ყური მოვკარი, პროფესორი მაქსველი სტუმრად იმყოფებოდა მის კლეიტონის ბოლოდროინდელ წვეულებაზე და, აქედან გამომდინარე, ქალბატონის სანახავად გავეშურე...“

„საქმეზე ილაპარაკე, ადამიანო, - უთხრა შარპმა, - რა საერთო აქვს ნენსი კლეიტონს ამ ყოველივესთან?“

„არ ვიცი, ჰარლოუ, - მიუგო ნენსი კლეიტონმა, რომელიც ამ დროს ოფისის კარის ზღურბლზე გამოჩნდა, - მე არასოდეს მიფიქრია, რამეში გავრეულიყავი. ერთადერთი, რასაც ყოველთვის ვცდილობდი, ეს არის - გამერთო ჩემი მეგობრები და ამაში ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ.“

„ნენსი, გთხოვ, - თქვა შარპმა, - ჯერ გამარკვიე, თუ შეიძლება, რა ხდება. შენ აქ რას აკეთებ და ინსპექტორი დრეიტონი აქ რას აკეთებს და...“

„ლამბერტს ეხება,“ - მიუგო ნენსიმ.

„იმ კაცს ვგულისხმობ, რომელსაც ის ტილოები ეკუთვნის, შენ რომ გაქვს.“

„სამი ცალი მაქვს,“ - მიუგო ნენსიმ ამაყად.

„მაგრამ ლამბერტი, ხუთასი წელია, რაც გარდაიცვალა.“

„მეც მასე ვფიქრობდი, - მიუგო ნენსიმ, - მაგრამ ის ამ საღამოს გამომეცხადა და მითხრა, რომ დაიკარგა.“

უცნობმა მამაკაცმა შემოაბიჯა ოთახში და ნენსი გვერდზე გასწია. ის მაღალი და მკაცრი შესახედაობის კაცი იყო, ღია ქვიშისფერი თმითა და ღრმა ნაოჭებით, რომლებიც ზოლებად დასდევდა სახეზე.

„როგორც ჩანს, ბატონებო, - თქვა მან, - თქვენ ჩემზე მსჯელობთ. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, საკუთარ თავზე თავად რომ ვისაუბრო?“ რაღაც უცნაური ინტონაცია დასდევდა მის საუბარსა და წარმოთქმულ სიტყვებს. ის იდგა და მათ შესცქეროდა, კეთილგანწყობით, და არაფერი ისეთი არ იყო მასში, რაც მის მიმართ უნდობლობას გამოიწვევდა.

„თქვენ ალბერტ ლამბერტი ბრძანდებით?“ - იკითხა მაქსველმა.

„მართლაც რომ მე ვარ, - მიუგო ლამბერტმა, მაპატიეთ, თუკი შემოგეჭერით, მაგრამ მე პრობლემა მაქვს.“

„და განა მხოლოდ თქვენ ერთს?“ - წარმოთქვა შარპმა.

fb.com/groups/elib

„არ ვარ დარწმუნებული, - მიუგო ლამბერტმა. - მგონი, აქ ბევრი სხვა ადამიანია, ვინც გარკვეული პრობლემების წინაშე დგას. როცა პრობლემა გაქვს ადამიანს, როგორღაც ჩნდება კითხვა - სად წახვიდე, რომ მისი გადაჭრა მოახერხო.“

„ბატონო, - მიუგო შარპმა, - მეც ზუსტად მსგავს მდგომარეობაში ვარ და მეც თქვენსავით პასუხს ვეძებ.“

„განა ვერ ხედავთ, - უთხრა მაქსველმა შარპს, - რომ ლამბერტმა სწორად გადაწყვიტა თავისი ამოცანა. ის მოვიდა სწორედ იმ ადგილას, სადაც მისი პრობლემის გადაჭრაა შესაძლებელი.“

„თქვენს ადგილას რომ ვიყო, ახალგაზრდავ, - მიუგო დრეიტონმა, - ცოტა ჩუმად ვიქნებოდი. კარგად გამაცურეთ ამ რამდენიმე დღის უკან, მაგრამ ახლა ასე იოლად ვეღარ გამოძვრებით. რამდენიმე კითხვაზე მოგიწევთ პასუხის გაცემა“.

„ინსპექტორო, იქნებ კეთილი ინებოთ და შეწყვიტოთ, სთხოვა შარპმა, - ისედაც ცუდადაა საქმე, თქვენ რომ უფრო არ გაართულოთ. არტეფაქტი გაქრა, მუზეუმი განადგურებულია და შექსპირიც გაუჩინარდა.“

„მაგრამ ერთადერთი, რაც მე მსურს, - განაგრძო ლამბერტმა კეთილგანწყობით, - ისაა, რომ შინ დამაბრუნოთ.

უკან - 2023-ში.“

„ახლა კი ერთი წუთით მოითმინეთ, - ბრძანა შარპმა. ჯერ თქვენი ჯერი არ მოსულა. მე არ...“

„ჰარლოუ, - თქვა მაქსველმა, - ეს ყველაფერი აგიხსენი. ზუსტად ამ შუადღისას. სიმონსონის შესახებაც გკითხე. დარწმუნებული ვარ, გახსოვს.“

„სიმონსონი? დიახ, ახლა მახსენდება, - შარპმა ლამბერტს შეხედა, - თქვენ ხართ ის კაცი, ვინც ის ტილო დახატა, არტეფაქტი რომაა გამოსახული?“

„არტეფაქტი?“

„დიდი შავი კუბისმაგვარი ქვა გორაკის თავზე.“ ლამბერტმა თავი გააქნია.

„არა, არ დამიხატავს. თუმცა, ვფიქრობ, რომ აუცილებლად დავხატავ. მის კლეიტონმა მაჩვენა და ის უეჭველად ჩემი ფუნჯის ნამოქმედარია. რატომაც არა, არც თუ ისე ცუდი გამომივიდა, მართალი კია, რომ ამას არ უნდა ვამბობდე...“

„მაშასადამე, თქვენ მართლა ნახეთ არტეფაქტი წარსულში, იურულ პერიოდში?“

„იურულში?“

„ორასი მილიონი წლის წინ.“ ლამბერტს გაოცება გამოეხატა.

„მაშ, ასე დიდი ხნის წინ? ეჭვი მქონდა, რომ საკმაოდ შორს იყო წარსულში. იქ დინოზავრებიც იყვნენ.“

„მაგრამ თქვენ ეს უნდა გცოდნოდათ. თქვენ ხომ დროში მოგზაურობთ.“

„უბედურება იმაშია, - მიუგო ლამბერტმა, - დროის მანაქანამ აურია. ვეღარ ვახერხებ იმ დროში მოვხვედრას, სადაც მსურს წასვლა.“ შარპმა ხელები ასწია და შიგ თავი ჩარგო. შემდეგ კვლავ მოიშორა და თქვა:

„მოდით, მაშინ ჯერ ეს ამბავი გავიაროთ. თითო საკითხი ერთ ჯერზე. ჯერ ერთი ნაბიჯი და მერე მეორე, მანამ ბოლომდე არ გავალთ.“

„მისმინეთ, - თქვა ლამბერტმა, - მე მხოლოდ ერთი რამ მინდა. ეს რეალურად ძალიან ადვილია, ერთადერთი, რაც მსურს, კვლავ შინ დაბრუნებაა.“

„სად არის თქვენი დროის მანაქანა? - იკითხა შარპმა, სად დატოვეთ. შეიძლება, რომ თვალი შევავლოთ?“

„არსადაც არ დამიტოვებია. ვერსად დავტოვებ. ყოველთვის თან დამაქვს. ის ჩემს თავშია.“

„თქვენს თავში?! - გაოცდა შარპი, - დროის მანქანა თქვენს თავში. მაგრამ ეს შეუძლებელია.“ მაქსველმა შარპს ირონიულად შეხედა.

„როცა ჩვენ ამ შუადღისას ვსაუბრობდით, - უთხრა მან, - შენ მითხარი, რომ სიმონსონი ძალიან ცოტას საუბრობდა თავის დროის მანქანის შესახებო. ახლა ჩანს, რომ...“

„დიახ, გითხარი, - დაეთანხმა შარპი, - მაგრამ საღი გონებით რომელ არსებას შეეძლო წარმოედგინა, რომ დროის მანქანა დამონტაჟებული იქნებოდა სუბიექტის ტვინში. ეს რაღაც ახალი პრინციპებია. რაღაც, რაც ჩვენ სრულიად გამოგვრჩა მხედველობიდან.“ მერე ლამბერტს მიმართა:

„წარმოდგენა თუ გაქვთ მაინც, როგორ მუშაობს?“

„მცირედი წარმოდგენაც კი არ მაქვს, - მიუგო ლამბერტმა, - ერთადერთი, რაც ვიცი, ისაა, რომ, რაც ის ჩემს თავში მოათავსეს, საკმაოდ სერიოზული ქირურგიული ოპერაციის შედეგად, შემიძლია დაგარწმუნოთ, მას მერე შევიძინე დროში მოგზაურობის უნარი. საკმარისია გავიფიქრო, სად მსურს წასვლა, რა თქმა უნდა, მარტივი კოორდინატების გამოყენებით, და უკვე იქ ვარ. მაგრამ რაღაც მოხდა. მნიშვნელობა არა აქვს, რას გავიფიქრებ, ის მაკონწიალებს წინ და უკან, იო-იოსავით ერთი დროდან მეორეში და არც ერთი მათგანი არ არის ის პერიოდი, რომელშიც მე მსურს ყოფნა.“

„ამას ხომ თავისი უპირატესობაც აქვს, - თქვა შარპმა ჩაფიქრებულმა, უფრო თავისთვის, ვიდრე იქ მყოფთათვის. - მაგალითად, დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობა, კომპაქტურობა, ზომით ბევრად უფრო პატარა იქნება, ვიდრე ის მექანიზმი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ. ის ალბათ ტვინში იდგმება და... არ მგონია, ლამბერტ, რომ თქვენ ბევრი რამ იცოდეთ მისი შესაძლებლობების შესახებ.“

„უკვე გითხარით, - მიუგო ლამბერტმა, - არაფერი ვიცი. მაინცდამაინც არც დავინტერესებულვარ მისი მუშაობის მექანიზმით. სიმონსონი ჩემი კარგი მეგობარი იყო...“

„მაგრამ რატომ აქ? აქ რატომ მოხვედით? განსაკუთრებით ამ დროში და ამ ადგილას?“

„შემთხვევით, სულ ეს არის. და როცა აქ აღმოვჩნდი, აქაურობა ბევრად უფრო ცივილიზებული მომეჩვენა, ვიდრე ბევრი ის ადგილი, სადაც ვიმოგზაურე და აქაურობის შესწავლა დავიწყე. აშკარაა, რომ არასდროს ვყოფილვარ ასე შორს მომავალში, პირველი, რაც აქ შევიტყვე, ეს იყო ის, რომ თქვენც მოგზაურობთ დროში და რომ არსებობდა დროის კოლეჯი. შემდეგ შევიტყვე, რომ მის კლეიტონს ჩემი ტილოები ჰქონდა და გავიფიქრე, რომ თუკი მას ჩემი ტილოები აქვს, იქნებ ჩემს მიმართაც კეთილად იყოს განწყობილი-მეთქი და მისკენ გავეშურე იმ იმედით, რომ გავიდოდი ისეთ ხალხზე, რომლებიც უკან გამაგზავნიდნენ, სახლში. და სანამ მე იქ ვიყავი, ინსპექტორი დრეიტონიც გამოჩნდა.“

„ახლა, ბატონო ლამბერტ, - მიმართა ნენსიმ, - სანამ კიდევ უფრო შორს წახვალთ, რაღაც მინდა გკითხოთ. როცა თქვენ იყავით წარსულში, იურულ პერიოდში ან სადღაც, რომელიღაც დროში, რომელზეც ჰარლოუ ამბობს, და დახატეთ ის ტილო...“

„თქვენ გავიწყდებათ, - მიუგო მას ლამბერტმა, - ის ჯერ არ დამიხატავს. მე ჯერ მხოლოდ გარკვეული ჩანახატები გავაკეთე და ოდესმე იმედი მაქვს...“

„თუ ეგრეა, როცა ტილოს ხატვას შეუდგებით, იქნებ, დინოზავრებიც დაგემატებინათ. ვერც ერთ დინოზავრს ვერ ვხედავ იქ და თქვენ ახლახან ახსენეთ, რომ შორეულ წარსულში იმყოფებოდით და იქ დინოზავრები იყვნენ.“

„მე ტილოზე არ მყავს დინოზავრები, - მიუგო ლამბერტმა, - უბრალო მიზეზის გამო. იქ დინოზავრები არ იყვნენ.“

„მაგრამ თქვენ ხომ თქვით...“

„უნდა გააცნობიეროთ, - მოთმინებით უხსნიდა მათ ლამბერტი, - რომ ვხატავ მხოლოდ იმას, რასაც ვხედავ. არასოდეს გამომიტოვებია არაფერი. არც არასოდეს მიმიმატებია რამე. იქ არ იყვნენ დინოზავრები, იმიტომ, რომ ის ქმნილებები, რომლებიც მე ტილოზე მყავს გამოსახული, მათზე გამალებით ნადირობდნენ. ასე რომ, მე არ დამიხატავს დინოზავრები და არც სხვა რამეები.“

„და არც სხვა რამეები? - ჩაეძია მაქსველი, - რას გულისმობთ? იყო კიდევ სხვა?“

„იცით, - მიუგო ლამბერტმა, - იყვნენ არსებები ბორბლებზე.“ ის შეჩერდა და მის ირგვლივ შეძრწუნებულ სახეებს შეავლო თვალი.

„რამე ისეთი წამომცდა?“ - იკითხა მან.

„სრულიადაც არა, - მიუგო კეროლმა ტკბილად, განაგრძეთ, ბ-ნო ლამბერტ, და ყველაფერი მოგვიყევით ბორბლებიან არსებებზე.“

„თქვენ ალბათ არ დამიჯერებთ, - მიუგო ლამბერტმა, - და ვერ აგიხსნით, რას წარმოადგენდნენ ისინი. ალბათ უფრო მონებს. ცხენის მსგავს გამწევ ძალას. მტვირთავებს.

მსახურებს. ეს იყო სიცოცხლის ფორმა, შესაძლოა, ცოცხალი, მაგრამ ისინი ბორბლებზე იდგნენ ფეხების ნაცვლად და ერთ არსებას არ წარმოადგენდნენ. თითოეული მათგანი იყო მწერების სკა, ფუტკრების ან ჭიანჭველების მსგავსად, მწერების ოჯახი, უფრო ასე ვიტყოდი. თუმცა თქვენთვის ალბათ ძნელი დასაჯერებელია თუნდაც ერთი სიტყვა ჩემი მონათხრობიდან, მაგრამ, გეფიცებით...“ სადღაც შორს ხმაური გაისმა, დაბალი კაკუნის მაგვარი ხმა, რომელიც სწრაფად მომავალ ბორბლებს სჩვევიათ ხოლმე. ისინი ერთ ადგილზე მიჯაჭვულები იდგნენ და ყურს უგდებდნენ, ყველა ხვდებოდა, რომ ეს ბორბლები დერეფანში მოგორავდა. რაც უფრო ახლოვდებოდა ბორბლები, მით უფრო ძლიერდებოდა ხმაური. უცბად ის ზუსტად მათი ოთახის კართან შეწყდა, ნელა შემობრუნდა და ყველასთვის მოულოდნელად კარში ვილერი გამოჩნდა.

„ეს ერთ-ერთი მათგანია! - დაიყვირა ლამბერტმა, - აქ რას აკეთებს?“

„ბ-ნო მარმადუკო, - მიმართა მაქსველმა, - მიხარია, ისევ რომ გხედავთ.“

„არა, - მიუგო მას ვილერმა, - ბ-ნი მარმადუკი არ გახლავართ. ეგრეთ წოდებულ ბ-ნ მარმადუკს თქვენ ვეღარ იხილავთ. ის ძალიან პატივაყრილია. მან ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა.“ სილვესტერმა წინ წაიწია, მაგრამ უფსი დაიხარა, კისერში ჩაავლო და მაგრად მოუჭირა ხელი, მაგრამ ის მაინც თავის დაღწევას ცდილობდა.

„კონტრაქტი იყო გაფორმებული, - თქვა ვილერმა, ერთ ჰუმანოიდთან - სახელად ჰარლოუ შარპი. რომელი თქვენგანია ჰარლოუ შარპი?“

„მე გახლავართ,“ - მიუგო შარპმა.

„თუ ასეა, ბატონო, მინდა გავიგო, რას აპირებთ კონტრაქტის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.“

„ვერაფრით დაგეხმარებით, - მიუგო შარპმა, - არტეფაქტი გაქრა და მისი თქვენთვის გადმოცემა შეუძლებელია. თქვენ მიერ გადახდილი თანხა, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ უკან დაგიბრუნდებათ.“

„ეს, ბატონო შარპ, - თქვა ვილერმა, - საკმარისი არ იქნება. მეტიც, ის ბევრად შორსაა ჩვენი კმაყოფილებისგან. თქვენს წინააღმდეგ სარჩელს შევიტანთ. ბატონო, ყველა საშუალებას გამოვიყენებთ თქვენს წინააღმდეგ, რომ გაგანადგუროთ. ყველანაირად შევეცდებით, რომ სიღატაკის ზღვრამდე მიგიყვანოთ და...“

„რაო, შენ საცოდავო ჭოჭიალა, - განრისხდა შარპი, თქვენთვის არც ერთი კანონი არ არსებობს. გალაქტიკის კანონები არ ემსახურება ისეთი ქმნილებების ინტერესების დაცვას, როგორიც თქვენ ხართ. გგონიათ, რომ შეგიძლიათ აქ მოხვიდეთ და დამემუქროთ მე...“ სადღაც ჰაერიდან მოჩვენება გაჩნდა, ზუსტად ზღურბლზე გამოჩნდა.

„დროულია შენი გამოჩენა, - დაიღრიალა გაბრაზებულმა უფსმა, - სად იყავი მთელი ღამე? რა დამართე შექსპირს?“

„მგოსანი უსაფრთხოდაა, - თქვა მოჩვენებამ, - მაგრამ მე სხვა ამბავი მოვიტანე, - მანტიის მკლავი მაღლა აღმართა და ვილერისკენ გაიშვირა, - მისთანანი, მთელი ხროვა, გობლინების ნაკრძალში დრაკონის დაჭერას ცდილობენ.“

ესე იგი, - ფიქრობდა მაქსველი, - დრაკონი ყოფილა ის, რაზეც ისინი ნადირობდნენ თავიდანვე. ამ ხნის მანძილზე ვილერებმა იცოდნენ დრაკონის შესახებ? და პასუხიც, რაღა თქმა უნდა, ის იყო, რომ მათ ამის შესახებ იცოდნენ. რადგან თვითონ ისინი ან მათი შორეული წინაპრები ცხოვრობდნენ წარსულში დედამიწაზე, იურულ პერიოდში.

იურულ პერიოდში დედამიწაზე და კიდევ რამდენ ბევრ სხვა დროსა და კიდევ რამდენ სხვა პლანეტაზე? მსახურები, ლამბერტმა ასე თქვა, მსახურები, მუშა საქონელი, ტვირთის გამწევები. ბიოლოგიური რობოტები იყვნენ თუ გენეტიკურად სახეცვლილი მოშინაურებული ცხოველები? და ახლა ეს ყოფილი მონები, რომელთაც თავიანთი საკუთარი იმპერია დააარსეს, ეპოტინებოდნენ იმას, რაც ალბათ სჯეროდათ, რომ მათ ეკუთვნოდათ მემკვიდრეობით.

მათ, რადგანაც სხვა აღარავინ დარჩენილიყო მთელ სამყაროში, გაფანტული და მომაკვდავი ბანშების გარდა, მთელი იმ კოლონიზაციის პროექტის მონაწილეთაგან, რომლის განხორციელებასაც კრისტალური პლანეტა ოცნებობდა.

და შესაძლოა, - ფიქრობდა მაქსველი, - ის მათ ეკუთვნოდა კიდეც. რადგანაც ისინი იყვნენ ის სამუშაო ძალა, რომელსაც ამ პროექტის გამხორციელების დროს იყენებდნენ. და ალბათ მომაკვდავი ბანშიც, რომელსაც დანაშაულის გრძნობა აწუხებდა, წარსული შეცდომის გამოსწორებას ფიქრობდა, როცა შეეცადა,

კრისტალური პლანეტა მოეტყუებინა, როცა შეეცადა, ყოფილ მონებს დახმარებოდა. ან იქნებ მას სჯეროდა, რომ უკეთესი იყო, მემკვიდრეობა არა გარეშე პირს, არამედ იმ რასას დარჩენოდა, რომელსაც, თუმცა პატარა მსახურის, მაგრამ გარკვეული როლი მაინც ეკისრა საბოლოოდ კრახით დასრულებულ დიდ პროექტში.

„შენ იმის თქმა გინდა, - მიმართა ვილერს შარპმა, - რომ იმ დროს, როცა აქ დგახარ და მემუქრები, შენი ბანდიტები გააგზავნე...“

„ის ყველა ფრონტზე იბრძვის,“ - თქვა უფსმა.

„დრაკონი სახლში წავიდა, - თქვა მოჩვენებამ, ერთადერთ ადგილზე, რომელიც სახლს მიამსგავსა ამ პლანეტაზე. იქ, სადაც პატარა რასის ხალხი ცხოვრობს, სადაც მას შეუძლია თავისი თანამეინახეების ნახვა, შეუძლია ფრენა მთვარის შუქზე მდინარისა და მასთან გადაჭიმული ველების თავზე. და ამ დროს ვილერებმა შეუტიეს მას ჰაერში, ცდილობენ, აიძულონ, რომ დაბლა დაეშვეს, რათა ადვილად დაიჭირონ. დრაკონი იბრძვის მედგრად, რაც შეუძლია, მაგრამ...“

„ვილერებმა ფრენა არ იციან, - არ დაუჯერა შარპმა, და თანაც ამბობ, რომ ძალიან ბევრნი არიან. როგორ ბევრნი? ეს შეუძლებელია. ბ-ნი მარმადუკი ერთადერთი იყო...“

„შესაძლოა, - მიუგო მოჩვენებამ, - არავის ეგონა, რომ მათ ფრენა შეეძლოთ, მაგრამ მართლა ფრენენ. რაოდენობას რაც შეეხება, მეც გაოცებული ვარ. ალბათ, მთელი ეს დრო აქ იმყოფებოდნენ, მაგრამ კარგად იმალებოდნენ. ანდა, შესაძლოა, სატრანსპორტო სისტემით შემოდიან.“

„ჩვენ შეგვიძლია ყოველივე ამას ბოლო მოვუღოთ, მიუგო მაქსველმა, - ჩვენ შეგვიძლია, შეტყობინება გავუგზავნოთ ცენტრალურ სატრანსპორტო კომპანიას. ჩვენ შეგვიძლია...“ შარპმა თავი გააქნია.

„არა, ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვიძლია. ტრანსპორტი შიდა გალაქტიკური საშუალებაა და მარტო დედამიწას არ ეკუთვნის. აქ ჩვენ ვერ ჩავერევით.“

„ბ-ნო. მარმადუკ,“ - მიმართა ვილერს ინსპექტორმა დრეიტომა და საუბრისთვის ოფიციალური ტონის მიცემას ცდილობდა, - ან ვინც არ უნდა იყოთ, ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუკი დაგაკავებთ.“

„შეეშვით ამდენ უაზრო საუბარს, - თქვა მოჩვენებამ, პატარა რასას დახმარება სჭირდება.“

მაქსველი წამოხტა და სკამს დასწვდა.

„დროა, ბოლო მოვუღოთ ამდენ სისულელეებს, - წამოიძახა მან. სკამი მაღლა ასწია და ვილერს მიმართა, - დროა, საუბარი დაიწყოთ, მეგობარო. და თუკი ამას არ გააკეთებთ, ვერ გადამირჩებით.“ მოულოდნელად პროპელერის მსგავსი რამ ამოიწვერა ვილერის მკერდიდან და სისინის ხმაც გაისმა. საშინელი სიმყრალე ეცათ სახეში, საშინელი

სუნი, გეგონებოდათ, სილა გააწნესო. საშინელმა სიმყრალემ კუჭის სპაზმები გამოიწვია და ყელი აუწვა ყველას.

მაქსველი გრძნობდა, რომ გონს კარგავდა და იატაკზე ეცემოდა, ძალა არ შესწევდა, სხეული ეკონტროლებინა, რომელიც მთლიანად ვილერის მიერ გამოყოფილ სიმყრალეს დაემორჩილებინა და გაეკავებინა. ის მოცელილივით დაეცვა და გაგორდა იატაკზე. ხელი ყელში იტაცა, ცდილობდა, კრიჭა არ შეკვროდა, პირი ღია დაეტოვებინა, რაც შეიძლება მეტი სუფთა ჰაერი რომ ჩაესუნთქა, თუმცა ოთახში ჰაერი სრულიად აღარ დარჩენილიყო, გარდა ვილერის მიერ გამოყოფილი სიმყრალისა.

ზემოთ შემაძრწუნებელი ღრიალის ხმა გაისმა, როცა გადმობრუნდა და მაღლა აიხედა, სილვესტერს მოჰკრა თვალი.

მას თათები ვილერის სხეულის წინა ნაწილისთვის ჩაევლო, უკანა ფეხებით კი კაწრავდა და სცემდა გამჭვირვალე და გადმობრუნებულ მუცელს, სადაც მოფუთფუთე და საზიზღარი მწერები იკლაკნებოდნენ. ვილერის ბორბლები ქაოსურად, მაგრამ მაინც ტრიალებდა, თუმცა მაინც ვერ იყო რაღაც რიგზე. ერთი ბორბალი ერთი მიმართულებით ტრიალებდა და მეორე საპირისპირო მიმართულებით. ვილერი რაღაც თავბრუდამხვევ ცეკვას ასრულებდა, სილვესტერი უიმედოდ, მაგრამ მაინც ჩაბღაუჭებოდა მას, უკანა ფეხებით კი გამალებით ამუშავებდა ვილერის მუცელს. საერთო ჯამში კი მაქსველს მათი შერკინება ჩქარი ტემპით მოცეკვავე მოუხეშავი წყვილის ვალსს აგონებდა.

უხილავი ხელი მაქსველს მიუახლოვდა, დასწვდა მკლავში და ყოველგვარი მოკრძალების გარეშე იატაკზე გაათრია.

სხეული ხტუნვა-ხტუნვით მიჰყვებოდა და როცა ოთახის ზღურბლს გასცდნენ, ჰაერი თითქოს სიმყრალისგან დაიწმინდა და მისი ჩასუნთქვაც შესაძლებელი გახდა.

მაქსველი გადმოკოტრიალდა, ხელებზე დაეყრდნო, მუხლებიც მოიშველია და წელში გასწორება სცადა. მერე მუშტად შეკრული ხელები სახესთან მიიტანა და აცრემლებული თვალები მოიწმინდა. ჰაერი ჯერ ისევ დამძიმებული იყო სიმყრალისგან, მაგრამ სპაზმებს აღარ იწვევდა.

შარპი კედელს მიეყრდნო, თავი რომ შეემაგრებინა და ხელებით თვალებს იფშვნეტდა. კეროლი იატაკზე ფორთხიალობდა. უფსი ზედ ზღურბლთან გაშხლართულიყო და ნენსის ექაჩებოდა, როგორმე აქოთებული ოთახიდან რომ გამოეთრია, სადაც მახვილკბილა ჯერ ისევ გამალებით მუშაობდა.

მაქსველი ბარბაცით წავიდა წინ, დაიხარა, კეროლს დასწვდა და ზურგზე მოიკიდა, როგორც ტომარა, შემობრუნდა და დერეფნისკენ ბარბაცით დაადგა გზას.

ოცდაათი ფუტის მოშორებით შეჩერდა და შემობრუნდა.

ზუსტად მაშინ, როცა ეს გააკეთა, ვილერი გამოიჭრა კარში, როგორც იქნა, დაეღწია თავი სილვესტერისგან და ორივე ბორბლით მოგორავდა, რომლებიც ამჯერზე შერწყმულად ტრიალებდნენ. მან ჰოლი გამოიარა, გიჟივით მოჰქროდა, გვერდზე გადახრილი ბრმად მოიკვლევდა გზას. ბორბლებით ხან ერთ კედელს შეენარცხებოდა, იქიდან ასხლეტილი მეორეს ეჯახებოდა. გამსკდარი მუცლიდან პატარა მოფუთფუთე არსებები ცვიოდნენ და მთელ იატაკზე იფანტებოდნენ.

ათი ფუტის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც მაქსველი იდგა, ვილერი საბოლოოდ შეჩერდა, მისი ერთი ბორბალი კედელს მიენარცხა და გაიჭედა. ვილერი ნელა, რაღაც უცნაურად ღირსეული მოძრაობით გადმოტრიალდა და გაფატრული მუცლიდან მწერების უზარმაზარი გროვა გადმოსცალა იატაკზე.

სილვესტერი ნელა მოიპარებოდა ჰოლში, მიწაზე გართხმული, კისერი წაეგრძელებინა ცნობისმოყვარეობისგან. ის ჯერ ერთ ნაბიჯს დგამდა ფრთხილად და მერე - მეორეს. უფსისა და სილვესტერის უკან დანარჩენებიც გამოჩნდნენ.

„ახლა შეგიძლია დაბლა ჩამომსვა," - თქვა კეროლმა.

მაქსველმა გოგონა დაბლა დაუშვა. ის კედელს მიეყრდნო.

„არასოდეს მინახავს, ამაზე მოუხერხებლად ატარებდნენ ქალს ხელით, - განაცხადა მან, - არც კი იცით, როგორ უნდა ატაროთ ქალი ხელით ასეთ ვითარებაში. სად არის თქვენი რაინდული გალანტურობა?"

„შევცდი, - თქვა მაქსველმა, - იქ უნდა დამეტოვებინე, იატაკზე." სილვესტერი უკვე გაჩერებულიყო, კისერი დაეგრძელებინა და ვილერს ყნოსავდა, სახეზე ზიზღი და ცნობისმოყვარეობა აღბეჭდოდა. ვილერს სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. კმაყოფილმა სილვესტერმა უკან დაიხია და უკანა ფეხებზე ჩამოჯდა, პირის დაბანა დაიწყო.

იატაკზე, ვილერის გვერდით, ჭიების უთვალავი რაოდენობა ფუთფუთებდა და იკლაკნებოდა. რამდენიმე მათგანი დანარჩენებს გამოყოფოდა და ჰოლში მიცოცავდა.

შარპმა ვილერს გვერდით ჩაუარა.

„წავედით, - თქვა მან. - გავეცალოთ აქაურობას." კორიდორში საშინელი სიმყრალისგან დარჩენილი მჟავე სუნი ჯერ ისევ იგრძნობოდა.

„ვერ ვხვდები, რაშია საქმე? - აწუწუნდა ნენსი, - ბ-ნი მარმადუკი რატომ..."

„არაფერია, თუ არა აყროლებული ჭიების გროვა, მიუგო მას უფსმა. – წარმოგიდგენიათ? მყრალი ჭიების გალაქტიკური რასა! და მათ ჩვენი შეშინება უნდოდათ!" ინსპექტორი დრეიტონი წინ გაბღენძილი მოიწევდა ნელი ნაბიჯით.

„ვშიშობ, თქვენ ყველა უნდა გამომყვეთ, - თქვა მან. - ჩვენება უნდა ჩამოგართვათ."

„ჩვენება, - გაბრაზდა შარპი, - თქვენ ალბათ ჭკუაზე არ უნდა იყოთ. რა დროს ჩვენებაა, როცა დრაკონი თავისუფლად დადის და...“

„მაგრამ უცხოპლანეტელია მკვდარი, - შეეპასუხა დრეიტონი, - და თან არაჩვეულებრივი უცხოპლანეტელი. იმ რასის წარმომადგენელი, რომელიც ჩვენს მტერთა რიცხვს ეკუთვნის. ამას სერიოზული გამოხმაურება მოჰყვება.“

„უბრალოდ დაწერეთ, - მიუგო უფსმა, - მოკლა ველურმა მხეცმა.“

„უფს, - აღშფოთდა კეროლი, - შენ მაინც ნუ ამბობ ასეთ რამეს. სილვესტერი არ არის ველური. ის კნუტივით უწყინარია. და მით უმეტეს, არც მხეცი არ არის.“ მაქსველმა უკან მოიხედა.

„სად არის მოჩვნება?“ - იკითხა მან.

„გაიძურწა, - მიუგო უფსმა. - ყოველთვის ასე იქცევა, როცა უსიამოვნებები იწყება. მხდალია.“

„მაგრამ მან თქვა ...“

„ასეა, - თქვა უფსმა, - და ჩვენ აქ ტყუილად ვკარგავთ დროს. ო’ტულს ალბათ ჩვენი დახმარება სჭირდება.“

თავი 24

ბ-ნი ო’ტული მათ უკვე ელოდა, როცა ისინი სამგზავრო ხაზიდან გადმოვიდნენ.

„ვიცოდი, რომ მოხვიდოდით, - მიესალმა მათ. – მოჩვენებამ მითხრა, რომ გადმოგცემდათ ყველაფერს. სასწრაფოდ გვჭირდება ვინმე, ვინც ამ საზიზღარ ტროლებს დაელაპარაკება და გონზე მოიყვანს. ისინი თავიანთი ხიდის ქვეშ იმალებიან და რაღაცებს ბუტბუტებენ, მაგრამ ყურის დაგდებას არ აპირებენ.“

„ტროლებს ამ ამბავთან რა საერთო აქვთ? - იკითხა მაქსველმა, - თუნდაც ერთხელ, შენს ცხოვრებაში, შეგიძლია ტროლებს თავი დაანებო?“

„ტროლები, - დაიწყო ბ-ნმა ო’ტულმა ახსნა-განმარტება, - რა ბინძური არსებებიც არ უნდა იყვნენ, ჩვენი ერთადერთი ხსნაა. ისინი ერთადერთნი არიან, რომლებმაც ცივილიზაციისგან შორს ყოფნის გამო შეინარჩუნეს ძველი დროის ჯადოქრობის უნარი, ყველაზე ავი ჯადოქრობანი. ფერიებიც, რა თქმა უნდა, ინარჩუნებენ ძველ შესაძლებლობებს, მაგრამ მათი ჯადოქრობა უფრო უწყინარია და უწყინარობა ისეთი რამეა, რაც ჩვენ ახლა არ გამოგვადგება.“

„შეგიძლია გვითხრა, - სთხოვა შარპმა, - აგვიხსნა, რა ხდება. მოჩვენებას მაინცდამაინც თავი არ მოუკლავს ახსნაგანმარტებებით.“

„სიამოვნებით, - მიუგო გობლინმა, - მაგრამ ამასთან ერთად კარგი იქნება, თუ ვივლით. გზად მოგიყვებით ყველაფერს, რაც ხდება. ძალიან ცოტა დრო გვრჩება ისედაც, რომ ისიც ამაოდ არ გავფლანგოთ. ტროლები კი ძალიან ჯიუტი არსებები არიან და დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება მათ დასარწმუნებლად, რომ თითი გაანძრიონ ჩვენს სასარგებლოდ. ისინი ხავსმოკიდებული ქვების უკან იმალებიან, მათი უსარგებლო ხიდის ქვეშ და ისე ხითხითებენ, გეგონება, საღი აზრი დაკარგესო. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აქვე აღინიშნოს - ამ მყრალ ტროლებს საღი აზრი არც არასოდეს ჰქონიათ, რომ დაეკარგათ.“

ისინი ძნელად მიიწევდნენ წინ, ერთმწკრივად, კლდოვან ხეობაში, რომელიც უღელტეხილის მაღლობებს შორის გადაწოლილიყო და რომლის აღმოსავლეთითაც განთიადის პირველი სხივები იწყებდა ამობრწყინებას. მაგრამ ბილიკი, რომელიც ხეებს შორის მიუყვებოდა და ბუჩქებში იმალებოდა, მაინც ბნელს მოეცვა. აქა-იქ ფრინველებს ღამის ძილისგან გამოეღვიძათ და ჭიკჭიკებდნენ. სადღაც შორს, მაღლობიდან, ენოტის კივილის ხმა მოისმოდა.

„დრაკონი შინ დაბრუნდა, ჩვენთან, - მოუთხრობდა გზად მიმავალი ო’ტული, - დედამიწის ერთადერთ ადგილზე, სადაც მას შეეძლო წასულიყო. ადგილზე, სადაც მას შეეძლო, ისევ თავისნაირებთან ერთად ყოფილიყო, და ვილერები, რომელთაც უხსოვარ დროში სხვანაირად იხსენიებდნენ და არა როგორც ვილერებს, თავს დაესხნენ მას. ისინი ვარცლებივით ფრენენ. მათ არ უნდა მოახერხონ დრაკონის დაბლა დაშვება, მიწისკენ, თორემ აუცილებლად შეიპყრობენ და წაიყვანენ. ის ჭეშმარიტად კეთილშობილურად იბრძვის, მათ შემოტევებს იგერიებს, მაგრამ უკვე იღლება და ჩვენც უნდა ვიჩქაროთ, თუ მისი დახმარება გვინდა.“

„და შენ ფიქრობ, - მიუგო მაქსველმა, - ტროლებს შესწევთ უნარი, ვილერები დაბლა ჩამოყარონ, როგორც ეს ფლაიერს გაუკეთეს?“

„სწორად მიხვდი, ჩემო მეგობარო. ზუსტად ეგ აზრი მიტრიალებს თავში. მაგრამ ეს ბინძური ტროლები ამაზე ხელის მოთბობას ცდილობენ.“

„არასოდეს გამიგია, - თქვა შარპმა, - რომ ვილერებს ფრენა შეეძლოთ. ყოველთვის, როცა კი მათთვის თვალი მომიკრავს, დაგორავდნენ.“

„მათ კიდევ ბევრი სხვა უნარი გააჩნიათ, - მიუგო ო’ტულმა, - მათ სხეულიდან უთვალავი რაოდენობის აღჭურვილობა ეზრდებათ, რომელთა წარმოდგენაც კი ძნელია. ცხვირი - რომ თავიანთი მყრალი გაზი აფრქვიონ, იარაღი, რომ ისროლონ მომაკვდინებელი ისრები, პროპელერი, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, გასაოცარი სისწრაფით იმოძრაონ და იფრინონ. მაგრამ არაფერი კარგის გაკეთების უნარი არ აქვთ. მთელი ამ ხნის განმავლობაში, იქ, შორს, გალაქტიკაში

მოკალათებულები, სავსე სიბრაზითა და გულისწრომით, დაბოღმილი გონებით, რომელიც სიმსივნესავით ჭამდა მათ, მთელი ამ დროის მანძილზე შესაბამის მომენტს უცდიდნენ, რათა იმისთვის მიეღწიათ, რისი უნარიც მათ არ შესწევთ - რადგან ისინი ყოველთვის იყვნენ და დარჩებიან მსახურებად.“

„და რაში გვჭირდება ტროლები? - იკითხა დრეიტონმა, ¬- შემიძლია თვითმფრინავები და იარაღიანი ხალხი გამოვიძახო...“

„ნუ სულელობთ, - შეაწყვეტინა შარპმა, - ჩვენ მათ თითსაც ვერ დავაკარებთ. ადამიანი ამ ოპერაციაში არ უნდა ჩაერიოს და პრეცედენტი არ უნდა შეიქმნას. ეს ურთიერთობის გარკვევაა პატარა რასის წარმომადგენლებსა და მათ ყოფილ მონებს შორის.“

„მაგრამ კატამ ხომ უკვე მოკლა...“

„კატამ და არა ადამიანმა. ჩვენ შეგვიძლია...“

„სილვესტერი, - თქვა კეროლმა, - მხოლოდ ჩვენს დაცვას ცდილობდა.“

„აუცილებელია ასე ჩქარა სიარული? - სთხოვა ნენსიმ, მე არ ვარ ასე ჩქარა სიარულს მიჩვეული.“

„აგერ, - მიმართა ლამბერტმა, - ჩემს მაჯას დაეყრდენით. ბილიკი კიდევ უფრო გართულდება სასიარულოდ.“

„იცი, პიტ, - მიმართა ნენსიმ ბუტბუტით, - იცი, ბ-ნი ლამბერტი ჩემთან სტუმრობას დამთანხმდა. ის ერთი წელი ან ცოტა მეტი დარჩება და ტილოებს დახატავს ჩემთვის. განა ეს კეთილშობილური საქციელი არ არის მისი მხრიდან?“

„დიახ, - მიუგო მაქსველმა, - მართლაც ასეა.“

უკანასკნელი ასი ფუტის მანძილზე ბილიკი მთას მაღლა მიუყვებოდა და ახლა დაბლა დაშვება დაიწყო ხეობის მიმართულებით. გზა ჩამოცვენილი ქვის ლოდებით იყო ჩახერგილი, რომლებიც, რიჟრაჟის პირველი სხივების ფონზე, მიწაზე გართხმული კუზიანი მხეცები გეგონებოდათ.

ხეობაზე უძველესი ხიდი გადიოდა, რომელიც თავისი სტრუქტურით შუა საუკუნეებისას მოგაგონებდათ. მისი შემყურე, მაქსველს თითქმის არ სჯეროდა, რომ ის სულ რამდენიმე ათეული წლის წინ ააგეს, როცა ნაკრძალს ჩაეყარა საფუძველი.

ორი დღე, - ფიქრობდა იგი, - მხოლოდ ორი დღე გავიდა მას მერე, რაც დედამიწაზე დაბრუნდა და ინსპექტორ დრეიტონს ესაუბრა. იმდენი რამე მოხდა ამ პერიოდში, რომ ბევრად მეტი ეჩვენებოდა გასული. იმდენი რამე მოხდა, რომ ზოგიერთი დაუჯერებელიც კი ჩანდა და საოცარი მოვლენები ჯერ ისევ ხდებოდა. ის ასევე კარგად აცნობიერებდა, რომ სწორედ ამ მიმდინარე მოვლენების შედეგებზე იყო

დამოკიდებული კაცობრიობისა და იმ ფედერაციის მომავალი, რომელიც ადამიანს, სხვა დანარჩენ ვარსკვლავებთან ერთად, ჩამოეყალიბებინა.

მან სცადა ვილერების მიმართ სიძულვილი გასჩენოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. მეტისმეტად უცხონი იყვნენ, კაცობრიობისგან მეტისმეტად დაშორებულნი. ისინი უფრო ბოროტების აბსტრაქციებს წარმოადგენდნენ, ვიდრე თავად ბოროტებას, თუმცა ეს ნაკლებად საშიში სულაც არ იყო.

არსებობდა მეორე პიტერ მაქსველი და უკვე ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ის ვილერებმა მოკლეს. მიცვალებული როცა აღმოაჩინეს, ყველა გააოცა უცნაურმა სუნმა და ახლა, შარპის ოფისში განვითარებული მოვლენების მერე, მაქსველმა იცოდა, რა სუნზე იყო მაშინ საუბარი. ის იმიტომ მოკლეს, რომ ვილერებს ეგონათ - სწორედ პიტერ მაქსველი დაბრუნდა პირველი კრისტალური პლანეტიდან და მკვლელობა მათთვის ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა, რათა პიტერი გარიგებაში არ ჩარეულიყო და არტეფაქტის დაუფლებაში ხელი ვეღარ შეეშალა. მაგრამ როცა მეორე მაქსველი გამოჩნდა, ვილერებს უკვე მეორე მკვლელობის ჩადენა შეეშინდათ. ამიტომაც სცადა ბ-ნმა მარმადუკმა მისი მოსყიდვა.

და, რა თქმა უნდა, ყოველივე ამაში ლომის წილი მონტი ჩერჩილსაც მიუძღოდა, - გაიხსენა მაქსველმა. როცა ეს ყველაფერი დამთავრდება, მიღწეული შედეგების მიუხედავად, ის აუცილებლად მოძებნის ჩერჩილს და ანგარიშს გაუსწორებს.

ისინი ხიდს მიუახლოვდნენ, მის ქვეშ შეძვრნენ და გაჩერდნენ.

„აბა, თქვენ, უვარგისო ტროლებო, - დაიღრიალა ბ-ნმა ო’ტულმა გარინდული ქვების მიმართულებით, - მთელი გუნდი მოვედით თქვენთან სასაუბროდ.“

„შენ უმჯობესია ახლა გაჩუმდე, - სთხოვა გობლინს მაქსველმა, - მაცადე. შენ და ტროლებს მაინცდამაინც სახარბიელო ურთიერთობა არ გაქვთ.“

„განა ვის შეუძლია, - აღშფოთდა ო’ტული, - მათთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს. ისინი ჯიუტი არსებები არიან, ყოველგვარ ღირსებასა და საღ აზრს მოკლებულნი...“

„უბრალოდ, გაჩუმდი, - სთხოვა მაქსველმა. - მეტი აღარაფერი თქვა.“

ყველანი ჩუმად იდგნენ, გარიჟრაჟი კი უფრო ახლოვდებოდა. ბოლოს წრიპინა ხმა გაისმა ხიდის შორეული კუნჭულიდან.

„რომელი ხარ მანდ? – იკითხა ხმამ, - თუ იმისთვის მოხვედით, რომ დაგვემუქროთ და შეგვაშინოთ, ტყუილად ირჯებით. მყვირალა ო’ტული მთელი ამ წლების მანძილზე ცდილობს დაგვაშინოს და დაგვჯაბნოს, მაგრამ მეტს აღარ მოვითმენთ.“

„მე მაქსველი მქვია, - მიმართა მოსაუბრეს პიტერმა. თქვენს დასაშინებლად არ მოვსულვარ. მოვედი, რომ დახმარება გთხოვოთ.“

„მაქსველი? ო’ტულის კარგი მეგობარი?“

„ყველა თქვენგანის კარგი მეგობარი. თითოეული თქვენგანის. მე მომაკვდავი ბანშის გვერდით ვიჯექი მის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.“

„მაგრამ სვამ ო’ტულთან, მასთან საუბრობ და ყველა მის ტყუილს ხალისით იჯერებ.“ ო’ტული წინ გამოვარდა, სიბრაზისგან ადგილზე ხტუნავდა.

„ხმა ჩაიწყვიტეთ, - აყვირდა ის, - გამიშვით, რომ ჩემი ბრჭყალებით ყელი გამოვღადრო და მათი სისხლი დავლიო...“ სიტყვები უეცრად გაუწყდა, რადგანაც შარპი დასწვდა მისი შარვლის სალტოს და ო’ტული მაღლა ასწია. ასე გააჩერა. ის ფეხებს იქნევდა და სიბრაზისგან იხრჩობოდა.

„შენ კი განაგრძე, - მიმართა შარპმა მაქსველს. - ეს ლილიპუტი კიდევ თუ არ გააჩერებს პირს, სადმე გუბეს მოვძებნი და შიგ ჩავაყოფინებ თავს.“ სილვესტერი შარპს ნელა მიუახლოვდა, თავი მაღლა ასწია და ჰაერში მოტორტმანე ო’ტული დაყნოსა. ო’ტული ხელებს წისქვილის ფრთებივით იქნევდა, რომ კატა მოეგერიებინა.

„გააგდეთ ჩემგან!“ - შეშინებული აყვირდა გობლინი.

„მას თაგვი ჰგონიხარ, - თქვა უფსმა, - ვერ გადაუწყვეტია, შეგჭამოს თუ არა.“ შარპმა გობლინი კიდევ უფრო მაღლა ასწია, კატას კი ფეხი მოუქნია. სილვესტერი უკან გახტა ღრენით.

„ჰარლოუ შარპ, - თქვა კეროლმა შარპის მისამართით, მეტი აღარ გაბედოთ მსგავსი რამის გაკეთება. თუ ამას კიდევ დავინახავ, მე...“

„მოკეტეთ სუყველამ! - დაიყვირა მაქსველმა გაღიზიანებით, - გაჩუმდით ყველა. დრაკონი იქ მაღლა უკანასკნელ ძალებს კარგავს სიცოცხლისთვის ბრძოლაში და თქვენ კიდევ აქ წვრილმანებზე კინკლაობთ.“ ყველა გაიყურსა. ზოგიერთმა უკანაც კი დაიხია. მაქსველი ცოტა ხნით გაჩერდა და შემდეგ ტროლებს მიმართა:

„მე არ ვიცი, რა იყო ადრე, არ ვიცი, რა ხდება თქვენ შორის. მაგრამ ახლა თქვენი დახმარება გვჭირდება და აქ ამიტომაც მოვედით. მე სამართლიან გარიგებას გთავაზობთ, მაგრამ ასევე გპირდებით, თუ ჭკუას არ მოუხმობთ, ორი ტროტილის მუხტის წყალობით ჰაერში ავწევ თქვენს ხიდს.“

სუსტი, წრიპინა ხმა გაისმა ხიდის ქვემოდან:

„რასაც ყოველთვის ვითხოვდით ამ ყიამყრალი ო’ტულისგან, ეს იყო, რომ ჩვენთვისაც გაეკეთებინა ტკბილი ოქტომბრის ლუდი.“ მაქსველი შემობრუნდა.

„მართალია?“ - ჰკითხა მას.

შარპმა ო’ტული დაბლა მიწაზე დასვა, რომ პასუხის გაცემა შესძლებოდა.

„ეს გაუგონარი ამბავია,- აღრიალდა ო’ტული, - მეტი არაფერი. უხსოვარი დროიდან მხოლოდ ჩვენ, გობლინებს, შეგვიძლია საუცხოო ლუდის მოხარშვა და ჩვენვე უნდა დავლიოთ. ვაკეთებთ იმდენს, რამდენის დალევაც შეგვიძლია. ახლა ტროლებისთვის რომ დავიწყოთ მისი გაკეთება, მერე ფერიები მოინდომებენ...“

„იცი, - მიუგო უფსმა, - ფერიები არ სვამენ ლუდს. ერთადერთი, რასაც ისინი მიირთმევენ, ეს რძეა, ისევე, როგორც ფუძის ანგელოზები.“

„თქვენ ჩვენი მშრალზე დატოვება გინდათ, - აყვირდა ისევ გობლინი, - ლუდის მოხარშვა რთული საქმეა, და ვამზადებთ იმდენს, რამდენსაც ვსვამთ და ამას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება.“

„თუ მარტო მის გაკეთებაშია საქმე, - შესთავაზა შარპმა, - ჩვენ შეგვიძლია მოგეხმაროთ.“ ბ-ნი ო’ტული ახტა და სიბრაზისგან შემოტრიალდა.

„და ხოჭოები! - დაიყვირა მან, - ხოჭოებზე რაღას იტყვით? ვიცი, თქვენ მათ ლუდისგან გამოაცალკევებთ, როცა მის მოხარშვას დაიწყებთ. იტყვით, სისუფთავის დაცვა აუცილებელიაო. როცა ოქტომბრის ლუდს ხარშავ, ხოჭოები შიგ უნდა ცვიოდეს და კიდევ ბევრი სხვა მწერი და ჭუჭყი, თუ არადა, მთელი მისი არომატიც დაიკარგება.“

„ხოჭოებსაც ჩაგიყრით, - მიუგო უფსმა, - ყველანი წავალთ და ერთ სავსე ვედრო ხოჭოებს მოგიყვანთ და შიგ ჩაგიყრით.“ ო’ტული ისევ გაგიჟდა სიბრაზისგან, მთელი სახე აუჭარხლდა.

„ვერაფერი გაიგეთ, - უყვიროდა მათ, - ჭიები უბრალოდ კი არ უნდა ჩაყაროთ. ჭიები შიგ ცვივა სასწაულებრივი სელექციის შედეგად და...“ მას სიტყვები გულის გამაწვრილებელმა კივილმა შეაწყვეტინა, რასაც კეროლის მკაცრი შეძახილი მოჰყვა:

„სილვესტერ, ჭკუა ასწავლე!“ ო’ტული ფართხალებდა, მოთქვამდა, ხელებს იქნევდა სილვესტერის პირიდან. სილვესტერს თავი მაღლა აეწია, ისე, რომ ბ-ნ ო’ტულს ფეხები მიწამდე ვერ სწვდებოდა.

უფსი მიწაზე გორავდა და სიცილისგან იგუდებოდა.

„მას ო’ტული თაგვი ჰგონია! - როხროხებდა უფსი, - შეხედეთ ამ ფისუნიას! თავისთვის თაგვი დაუჭერია!“ სილვესტერი ძალიან ფრთხილად იქცეოდა. ცდილობდა, ო’ტულისთვის არაფერი ევნო, გარდა იმისა, რომ მის თავმოყვარეობას აშკარად ბღალავდა. ის მსუბუქად ეჭირა წინა ორი ეშვით.

შარპმა კატას ისევ მოუქნია ფეხი.

„არა, - დაუყვირა კეროლმა, - არ გაბედო!“ შარპი შეყოყმანდა.

„თავი დაანებე, ჰარლოუ, - თქვა მაქსველმა, - თავი დაანებე, ჰყავდეს ეგრე ო’ტული. მანაც დაიმსახურა გემრიელი ლუკმა იმისთვის, რაც ჩვენთვის გააკეთა იქ, შენს ოფისში.“

„კარგი, გავაკეთებთ, - დაიყვირა შეშინებულმა ო’ტულმა, - მათაც მოვუხარშავთ ერთ კასრ ლუდს. ორ კასრსაც მოვუხარშავთ.“

„სამი,“ - დაიძახა წრიპინა ხმამ ხიდის ქვემოდან.

„კარგი, სამი იყოს,“ - დაეთანხმა გობლინი.

„იცოდე, მერე თავის დაძვრენები არ იყოს,“ - ჩაეძია მაქსველი.

„ჩვენ, გობლინები, არასოდეს ვიძვრენთ თავს,“ - მიუგო ო’ტულმა.

„კარგი, ჰარლოუ, - უთხრა მაქსველმა. - მიდი, უშველე.“ შარპმა ფეხი მოუქნია კატას. სილვესტერმა ო’ტულს პირი გაუშვა და ერთი-ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

ტროლები უხვად გამოცვივდნენ ხიდის ქვემოდან და ყიჟინით აირბინეს აღმართი. ადამიანებიც შეუდგნენ მაღლობს ტროლების კვალდაკვალ.

მაქსველის წინ კეროლი მიდიოდა. მას ფეხი დაუცდა და დაეცა. მაქსველი შეჩერდა და ხელი მიაშველა. გოგონამ თავი გაითავისუფლა და სახეში მკვახედ მიახალა გაბრაზებულმა:

„არასდროს შემეხო!. არასდროს გამცე ხმა. შენ ჰარლოუს ნება მიეცი, სილვესტერისთვის ფეხი ამოერტყა. მიყვირე და მიბრძანე, მომეკეტა.“ გოგონა შემობრუნდა და სირბილით გააგრძელა გზა გორაკზე.

მაქსველი რამდენიმე წამი გაოგნებული იდგა, შემდეგ მანაც განაგრძო გზა, ცდილობდა, ჩამოცვენილი ლოდებისთვის გვერდი აევლო, ბუჩქებს ებღაუჭებოდა ასვლა რომ გაადვილებოდა.

მთის თავზე მან ველური ყიჟინა გაიგონა და მარჯვნივ დიდ შავ სფეროს მოჰკრა თვალი, მისი ბორბლები უაზროდ ტრიალებდა, ცაში წონასწორობა დაკარგა და ხეებში ჩაიჩეხა.

მაქსველი შეჩერდა და მაღლა აიხედა. დაინახა, რომ ორი სხვა შავი სფერო ერთმანეთს ეჯახებოდა ცაში. ისინი არც გადახვევას და არც სიჩქარის შენელებას არ ცდილობდნენ.

ერთმანეთს შეასკდნენ და აფეთქდნენ. ის იდგა და ხედავდა, როგორ მიმოიფანტა ნამსხვრევები. რამდენიმე წამის შემდეგ ნამსხვრევები ტყეს წვიმასავით დაასკდა თავს.

მიმოიხედა, ირგვლივ ვერავის მოჰკრა თვალი და ზევით მიმავალი გზა მარტომ განაგრძო.

ყველაფერი დასრულდა, - ფიქრობდა თავისთვის. ტროლებმა შეასრულეს თავისი საქმე და ახლა დრაკონს უკვე შეეძლო დაბლა დაშვება. მას თავისთვის ირიბად ჩაეცინა.

წლების განმავლობაში ის დრაკონზე ნადირობდა და აი, იპოვა კიდეც. მაგრამ ეს არ იყო უბრალოდ დრაკონი, არამედ კიდევ უფრო მეტი, იმაზე მეტი, ვიდრე წარმოედგინა. რა შეიძლება ეს დრაკონი ყოფილიყო? ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა, ან რატომ იყო ის არტეფიქტში გამომწყვდეული ან არტეფაქტად გადაქცეული, რა მისია ეკისრებოდა? საოცარი რამე იყო ეს არტეფაქტი, - ფიქრობდა ის, წინააღმდეგობას უწევდა ყველაფერს, უარყოფდა ყველაფერს იმ მომენტამდე, სანამ თარჯიმანი არ დაიბნია თავზე მის დასათვალიერებლად. რამ გამოიწვია დრაკონის გათავისუფლება არტეფაქტიდან? ცხადი იყო, რომ ამ მექანიზმს გარკვეული წვლილი მიუძღოდა ამაში, მაგრამ ბოლომდე მაინც გაურკვეველი იყო, რა მოხდა. კრისტალური პლანეტის ხალხს აუცილებლად ეცოდინებოდა, რაც მოხდა, მათთვის ბევრი რამ იყო ცნობილი, ბევრი სხვა უნარის პატრონები იყვნენ ისინი, რაც სხვებისთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელი იყო გალაქტიკაში. თარჯიმანი შემთხვევით აღმოჩნდა მის ნივთებში, თუ საგანგებოდ მოათავსეს იქ? მიზანმიმართულად ჩადეს, რომ შემდგომ მას გამოეყენებინა? მართლა თარჯიმანი იყო თუ სხვა რამე, რომელიც თავისი ფორმით თარჯიმანს ჩამოჰგავდა? გაახსენდა, ერთ დროს როგორ ტანჯავდა ცნობისმოყვარეობა, იყო თუ არა არტეფაქტი პატარა რასის ღმერთი ან თუნდაც იმ უცნაური არსებების, რომლებიც დედამიწის ისტორიაში პატარა რასასთან ასოცირდებოდნენ? ყოველთვის აინტერესებდა, რამდენად ახლოს იყო სიმართლესთან. დრაკონი მართლა ღვთაებას წარმოადგენდა უხსოვარ დროში? ის აღმართს შეუდგა, მაგრამ ცოტა შეანელა სვლა, უკვე აღარ ეჩქარებოდა. პირველი შემთხვევა იყო, რაც კრისტალური პლანეტიდან დაბრუნდა, რომ სიჩქარე აღარ სჭირდებოდა.

მაღლობისკენ მიმავალი გზა სანახევროდ უკვე გავლილი ჰქონდა, როცა მუსიკა შემოესმა, თავდაპირველად ისე სუსტად ისმოდა, რომ დარწმუნებული არც იყო, რომ მართლა გაიგონა.

ის შეჩერდა და ყური მიუგდო. დარწმუნდა, რომ მართლა მუსიკის ხმა ისმოდა.

მზის დისკოს ჰორიზონტისთვის უკვე მიეღწია და თვალისმომჭრელი მზის სხივები უკვე ხის წვეროებს ელამუნებოდნენ, კონცხის თავზე შემოდგომის ფერებით აელვარებულები. მაგრამ კონცხის ის მხარე, რომელსაც ის მიუყვებოდა, ჯერ კიდევ დილის ჩრდილით შებურვილიყო.

მიაყურადა, მუსიკა ქვებზე მორაკრაკე ბედნიერი ნაკადულის ხმას მიაგავდა. არამიწიერი რითმები. ფერიების მუსიკა. აი სწორედ ეს ესმოდა. ფერიების სამეჯლისო მწვანე მდელოზე, მის მარცხნივ, ფერიების ორკესტრი უკრავდა.

ფერიების ორკესტრი და ფერიების ცეკვა მწვანე მდელოზე! ეს არასოდეს უნახავს უწინ და ახლა ამის ნახვის შესაძლებლობა ჰქონდა. ის მარცხნივ შემობრუნდა და, რაც შეიძლება, წყნარად განაგრძო გზა სამეჯლისო მწვანე მდელოსკენ.

გთხოვთ, - ჩურჩულებდა თავისთვის, - გთხოვთ, არ დაიშალოთ. ჩემი ნუ შეგეშინდებათ. გთხოვთ, დარჩით, სადაც ხართ და ნება მომეცით, დაგინახოთ.

უკვე ახლოს იყო. ჩამოცვენილი ლოდების მეორე მხარეს.

მუსიკა კვლავ ისმოდა.

მაქსველი ქვებზე მიბობღავდა, ცდილობდა, ეს უხმაუროდ გაეკეთებინა.

და აი გამოჩნდა...

ორკესტრი ერთ რიგად ჩამწკრივებულიყო მდელოს განაპირას და უკრავდა, დილის სხივები ნაირფერადად ციმციმებდნენ მათ მრავალფერ ფრთებსა და გაპრიალებულ ინსტრუმენტებზე.

მწვანე მდელოზე ფერიები არ ცეკვავდნენ. სამაგიეროდ, ორ სხვას მოჰკრა თვალი, მათ დანახვას ვერასოდეს წარმოიდგენდა. მხოლოდ ორ გულუბრყვილო სულს შეეძლო ასე ეცეკვა, ფერიების მუსიკის თანხლებით.

ერთმანეთის პირისპირ, ფერიების ორკესტრის მუსიკაზე, მოჩვენება და უილიამ შექსპირი ცეკვავდნენ.

თავი 25

დრაკონი ციხესიმაგრის კედელზე დაეშვა, მისი ფერადფერადი სხეული მზის შუქზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. ქვემოთ, მოშორებით, ვაკეზე, ვისკონსინის მდინარე, ზაფხულის უღრუბლო ცასავით ლურჯი, გაჩირაღდნებული ტყის ნაპირებს შორის მიედინებოდა. ციხესიმაგრის ეზოდან ღრიანცელის ხმა გამოდიოდა, გობლინებსა და ტროლებს თავიანთი მტრობა გვერდზე გადაედოთ და დიდი კათხებით შემოდგომის ლუდს მიირთმევდნენ, კათხებს მაგიდებზე აბრახუნებდნენ, რომლებიც დიდ ჰოლში დაედგათ, და უძველეს სიმღერებს მღეროდნენ, ისეთებს, რომლებიც მაშინ შეეთხზათ, როცა ჯერ კიდევ ადამიანი არ არსებობდა.

მაქსველი მიწაში ღრმად ჩაფლულ ლოდზე ჩამოჯდა და ველს გახედა. თორმეტიოდე ფუტის მოშორებით, ფრიალო კლდის განაპირას, დაგრეხილი კედარი ამოსულიყო, ის იმ ქარებს დაეგრიხათ, რომლებიც უკვე უთვალავი წელია ველზე დაბოგინობდნენ. მის ღეროს ვერცხლისფერი მიეღო, ფოთლებს ღია მწვანე ფერი დაჰკრავდა და გასაოცარი სურნელით გაჯერებულიყო. იქიდანაც კი, სადაც იჯდა, მაქსველი ფოთლების მძაფრ არომატს გრძნობდა.

ყველაფერი კარგად გამოვიდა, გაიფიქრა მან. არტეფაქტი აღარ არსებობდა, რომ კრისტალურ პლანეტასთან მოლაპარაკება ეწარმოებინა ცოდნის თაობაზე. თუმცა არსებობდა დრაკონი და დრაკონი იყო ალბათ ის, რაც კრისტალურ პლანეტას სურდა. ეს ასეც რომ არ იყოს, ვილერებმა წააგეს და ეს, გრძელვადიან პერსპექტივაში, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ცოდნის შეძენა.

ყველაფერი კარგად გამოვიდა. იმაზე კარგად, ვიდრე ის იმედოვნებდა. იმის გამოკლებით, რომ ახლა ყველა მომდურებული ჰყავდა. კეროლი გულნატკენი იყო იმიტომ, რომ მან ჰარლოუს უფლება მისცა, სილვესტერისთვის ფეხი ამოერტყა და კიდევ იმიტომ, რომ უთხრა - მოკეტეო. ო’ტული მასზე ნაწყენი იყო იმიტომ, რომ ის სილვესტერს შეატოვა და თავისთავად აიძულა - ტროლებს თავისი გაეტანათ. ჰარლოუს ალბათ ყველაზე მეტი მიზეზი ჰქონდა, რომ მასზე ნაწყენი ყოფილიყო, ჯერ ერთი, არტეფაქტის გარიგება ჩაუშალა, მეორეც, მთელი მუზეუმი ნამსხვრევებად უქცია.

მაგრამ ის ფაქტი, რომ შექსპირი უკან დაიბრუნა, ცოტა შეამსუბუქებდა მის მდგომარეობას. და კიდევ დრეიტონი, რომელსაც ალბათ მისი დაკითხვის სურვილი ისევ ჰქონდა და ლონგფელოუ, ადმინისტრაციიდან, რომელსაც ალბათ გულზე არ ეხატებოდა, იმისდა მიუხედავად, რაც მოხდა.

ხანდახან, - უმტკიცებდა მაქსველი საკუთარ თავს, ყველაფერს ძალიან დიდი ყურადღება არ უნდა მიანიჭო ან თავი არ უნდა მოიკლა რამისთვის. ამის კარგი მაგალითი იყო ნენსი კლეიტონი - თავქარიანი ნენსი, თავისი გამოჩენილი სტუმრებითა და არაჩვეულებრივი წვეულებებით. რაღაცამ ჩაუქროლა, სწრაფად შემოტრიალდა, რომ დაენახა, რა იყო ეს. სილვესტერი მისწვდა თავისი უხეში, ხაოიანი ენით და სახის ლოკვა დაუწყო.

„შეწყვიტე, - უთხრა მაქსველმა. - შენ ენა კი არა და სახეხი გაქვს.“

სილვესტერი მორჩილად აკრუტუნდა და მის გვერდით ჩამოჯდა, ტანით მაქსველს მიეკრო. ორივე წყნარად იჯდა და თვალწინ გადაჭიმულ ველს გასცქეროდა.

„შენთვის ადვილია ცხოვრება, - მიმართა მაქსველმა კატას, - შენთვის უცხოა პრობლემები. შენთვის უცხოა დარდი.“

ქვები აჩხარუნდა. მოულოდნელად გაისმა:

„თქვენ კატა მომტაცეთ. შეიძლება თქვენთან ერთად ჩამოვჯდე და ცოტა მოვეფერო?“

„რასაკვირველია, ჩამოჯექით, - მიუგო მაქსველმა. ცოტას ჩავიჩოჩებ თქვენი გულისთვის. მეგონა, ხმას აღარასოდეს გამცემდით.“

„დაბლა ძალიან ამაზრზენი პიროვნება იყავით, - უპასუხა კეროლმა, - და თქვენზე გავბრაზდი კიდეც. მაგრამ ახლა ვფიქრობ, ასეც უნდა მოქცეულიყავით.“ შავი ღრუბელი ჩამოწვა კედარის ხეზე.

კეროლს შეეშინდა და მაქსველს აეტუზა. მან ხელი მოხვია გოგონას და მიიხუტა.

„ნუ გეშინია, - უთხრა მან, - ეს უბრალოდ ბანშია.“

„მაგრამ მას სხეული არ აქვს. არც სახე. ის, უბრალოდ, ღრუბელია.“

„ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, - მიუგო მას ბანშმა. - ჩვენ ასე გამოვიყურებით, მხოლოდ ორი ჩვენგანი დარჩა. უზარმაზარ ცაში მოფარფატე ბინძური ჭურჭლის ტილო. შენ არ უნდა გეშინოდეს ჩვენი, იმიტომ, რომ ეგ, მეორე ადამიანი, ჩვენი მეგობარია.“

„ის მესამე, მე მეგობრად არ მთვლიდა, - მიუგო მაქსველმა, - არც ადამიანების რასას. მან ვილერებში გაგვცვალა.“

„და მაინც, შენ მასთან იჯექი მაშინ, როცა ეს სხვა არავინ ისურვა.“

„ჰო, ასე იყო. ყველაზე მოსისხლე მტერსაც კი არ უნდა დააყვედრო ასეთი რამ.“

„მე მგონია, - უთხრა ბანშმა, - შენ მიხვდი, რაც ხდება ვილერები, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი ნაწილია. ძველი კავშირები ძნელად გავიწყდება.“

„დიახ, ყველაფერს კარგად ვგრძნობ და ვხვდები, - მიუგო მაქსველმა, - რით შემიძლია დაგეხმაროთ?“

„მხოლოდ იმისთვის მოვედი, - მიუგო მას ბანშმა, - რომ შეტყობინება გადმოგცე იმ ადგილიდან, შენ კრისტალურ პლანეტას რომ უწოდებ.“

„დრაკონს ითხოვენ? - იკითხა მაქსველმა. - მაშინ კოორდინატები უნდა დაგვიტოვო.“

„კოორდინატებს, - თქვა ბანშმა, - თქვენს ცენტრალურ სატრანსპორტოს გადავცემთ. იქ წასვლა მოგიწევთ, თქვენც და ბევრ სხვასაც, რომ ის ბიბლიოთეკა წამოიღოთ. დრაკონს რაც შეეხება, ის დედამიწაზე რჩება, აქ, გობლინების ნაკრძალში.“

„ვერაფერი გავიგე, - შეაწყვეტინა მაქსველმა, - მათ უნდოდათ...“

„არტეფაქტი, - დაასრულა ბანშმა, - რომ დრაკონი გაეთავისუფლებინათ. ის მეტისმეტად დიდხანს იყო დატყვევებული.“

„იურული პერიოდიდან, - თქვა მაქსველმა, გეთანხმებით. ეს ძალიან დიდი დროა.“

„მაგრამ ჩვენ ასე არ ვგეგმავდით, - თქვა ბანშმა. - თქვენ წამოიღეთ ის მანამდე, სანამ ჩვენ მას გავათავისუფლებდით და უკვე ვფიქრობდით, რომ სამუდამოდ დავკარგეთ. არტეფაქტი იყო ერთადერთი საშუალება მის შესანახად და დასაცავად მანამდე, სანამ დედამიწაზე ახალი კოლონია არ ჩამოყალიბდებოდა, რომელიც შემდეგ მის დაცვას შეძლებდა.“

„მის დაცვას შეძლებდა? რისგან სჭირდებოდა დაცვა?“

„სჭირდებოდა, - მიუგო ბანშმა. - ის უკანასკნელია თავის მოდგმაში და ამგვარად ძალიან ძვირფასიც. ის უკანასკნელია, მიჭირს კიდეც ამის თქმა, თქვენც ხომ გყავთ არსებები, რომლებსაც ძაღლებს და კატებს უწოდებთ.“

„დიახ, - მიუგო კეროლმა, - ერთი მათგანი აქვე გვყავს, გვერდით.“

„საყვარელი ცხოველი, - წარმოსთქვა ბანშმა. - და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ ცხოველი. არსებები, რომლებიც დედამიწაზე დაიარებოდნენ თქვენთან ერთად ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან. დრაკონი, საყვარელი ნებიერი არსება, კრისტალური პლანეტის უკანასკნელი შინაური ცხოველია. ისინი დაბერდნენ, მალე სულ გაქრებიან. მათ არ შეუძლიათ, რომ ეს არსება უყურადღებოდ მიატოვონ: მათ სურთ, რომ იგი მოსიყვარულე და მზრუნველ პატრონს ჩააბარონ.“

„გობლინები მასზე სათანადოდ იზრუნებენ, - თქვა კეროლმა, - ასევე ტროლები და ფერიები და საერთოდ ყველანი. ისინი ძალიან იამაყებენ მისით. ძალიან გაანებივრებენ.“

„ადამიანებიც, ხომ?“

„და ადამიანებიც, რასაკვირველია,“ - მიუგო მან.

ბანშის წასვლა ვერც კი შენიშნეს. მაგრამ ის უკვე გამქრალიყო. ცაში მოფარფატე ბინძური ჭურჭლის ტილო აღარსად ჩანდა. ხე დაცარიელდა.

საყვარელი არსება, - ფიქრობდა მაქსველი - არავითარი ღმერთი, უბრალოდ, საყვარელი არსება. და მაინც, არც ისე უბრალოდ იყო საქმე, როგორც ჩანდა. როცა ადამიანმა პირველად დაიწყო ბიომეხების შექმნა, რა იყო პირველი, რაც მან გააკეთა? არა ადამიანის კლონი, ყოველ შემთხვევაში, პირველ ჯერზე არა, არა რამე სასიცოცხლო მნიშვნელობის რამ, არც ახირებული რამე, რომელსაც ინჟინერიაში მაინც გამოიყენებდნენ. მათ პირველად საყვარელი შინაური ცხოველები შექმნეს.

კეროლი მხარზე გაეხახუნა.

„რაზე ფიქრობ, პიტ?“

„პაემანზე, - უპასუხა მან. - დიახ, ზუსტად მაგაზე ვფიქრობდი, სადმე ვახშმად მინდა დაგპატიჟო. ერთხელ უკვე გვქონდა პაემანი, მაგრამ იქიდან არაფერი გამოვიდა. რას იტყვი, ვცადოთ კიდევ ერთხელ?“

„გოჭსა და სტვირში?“

„სადაც შენ იტყვი.“

„უფსისა და მოჩვენების გარეშე. ყველა შარიანი ხალხის გარეშე.“

„მაგრამ სილვესტერთან ერთად, რა თქმა უნდა.“

„არა, - მიუგო გოგონამ. - მხოლოდ ჩვენ ორნი. სილვესტერი სახლში დარჩება. უკვე დროა, მიეჩვიოს.“ ისინი ლოდიდან წამოდგნენ და დაბლა, ციხესიმაგრისკენ დაეშვნენ.

სილვესტერმა მაღლა ახედა დრაკონს, რომელიც ციხესიმაგრის კედელზე ჩამომჯდარიყო და დაიღრინა.

დრაკონმა თავი დაბლა დახარა, კატას თვალებში ჩახედა და უეცრად გრძელი და ორკაპა ენა გამოუყო.